

იოსებ ომაძე

ბაია, ნანული, ბოჩია, მინდია

რომანი

ლევანი და ზურიკო

მოთხრობები

თბილისი, 2010 წ.

ISBN 978-9941-0-2794-9

Copyright: იოსებ ომაძე, 2010 წ.

## სარჩევი

### ბაია, ნანული, ბოჩია, მინდია რომანი

შესავალი .....	2
კარი I. ბაია, ნანული, ბოჩია, მინდია – ოთხი განუყრელი მეგობარი .....	2
კარი II. ოთხივენი სტუდენტები არიან! .....	9
კარი III. უძო .....	17
კარი IV. ბაკურიანი .....	23
კარი V. თბილისი – ვორონეჟი, ვორონეჟი – თბილისი .....	28
კარი VI. ბოჩია ბაიას რესტორანში ჰპატიუებს... ..	37
კარი VII. ბოჩიას ნანული შინ მიჰყავს .....	42
კარი VIII. ბაია წერილს სწერს ბოჩიას... ..	48
კარი IX. ბაია ბოჩიას ახლოს აღარ იკარებს .....	54
კარი X. მინდია ხვდება ლამარას .....	65
კარი XI. ბაია და მინდია .....	70
კარი XII. ნანული და ბოჩია .....	81
კარი XIII. ეპილოგი. ბაია, ნანული, ბოჩია, მინდია .....	87

### ლევანი და ზურიკო მოთხრობები

ლევანი და ზურიკო	
თევზაობა .....	92
ჩხუბი .....	93
ოთახების დალაგება .....	94
ჭიდაობა .....	94
ბაფთები .....	94
თათარა და ფელამუში .....	95
ლევანი და ზურიკო ცირკში .....	96
რამდენიმე ჭკუის სასწავლი ამბავი .....	98
შეხედე, როგორ მაქვს?.. ..	99
ფარდობითობის თვალსაზრისით .....	100
მესამე .....	101
მონატრება .....	101
გაზაფხულის ჩანახატი .....	102
მოლარე .....	102
ჯიბო და ბესიკი .....	103
სოფო, ლარისა, ლადო, ნოდარი .....	104
წიგნი მიძღვნის წარწერით .....	105
სინანული .....	106
კოჭლი პრეზიდენტი .....	107
ტახო .....	108
სამი ძმა .....	112
მამა და შვილი .....	114
ხაესიანი ქვა .....	115
საფლავი .....	115
მტრედები .....	116
მაგნოლია .....	117
შემოდგომის პეპლები .....	118

# ბაია, ნანული, ბოჩია, მინდია რომანი

## შესავალი

მოწყალეო ქალბატონებო და ბატონებო!

განვიზრახე, კიდევ ერთი, ჩემთვის ერთგვარად უჩვეულო, სამიჯნურო რომანი დამეწერა და იმედი მაქვს, არ დამძრახავთ. თუკი ეს წიგნი რომელიმე კრიტიკოსს ჩაუგარდება ხელში (რაშიც, მართალი მოგახსენოთ, ეჭვი მეპარება – სიმბოლური ტირაჟის გამო), ალბათ საყვედურებით ამავსებს: “ქვეყნიერებაზე, თუნდაც მხოლოდ XIX-XX საუკუნეებში, რამდენიმე ათეული ათასი, შესაძლოა, ასეული ათასიც, სამიჯნურო რომანი დაწერილა; უკვე ყველაფერია ნათქვამი, – ათასგზის, ათიათასჯერ და ბევრად მეტჯერაც გადაღეჭილი-გადაცოხნილი – და ტყუილუბრალოდ რატომ იჭინთება, ახალს რას იტყვის? რაღა საჭიროა კიდევ ერთი, თანაც არცთუ პირველხარისხოვანი, ამასთანავე – გაცვეთილი თემისადმი მიძღვნილი, რომანის დაწერისთვის თავის (და მკითხველის!) შეწუხება? თანაც, ასეთი ბეხრეკის მიერ სიცოცხლის მიწურულს დაწერილი ნებისმიერი რამ, რასაც კი მოაცოდვილებს, რამედ ივარგებს? ან მნიშვნელოვან პრობლემებს მაინც შეეხოს, ეპოქის სუნთქვა, საზოგადოებრივი განწყობა ჩანდეს, ფონად გასდევდეს – მეტი დამაჯერებლობისთვის... ღირდა კი ავტორი წვრილთემიანობას გადაჰყოლოდა, დრო და ენერჯია დაეხარჯა ფუჭი, ყველასთვის უსარგებლო საქმისთვის? სიბერეში სულ გამორჩეულად? ეს რა დიდი ხნის წინათ მოძველებული რეტრო-რომანის დაწერა დაიჩემა?”. ბუზღუნა ხალხს რა გამოლევს! მერე, ვინ თქვა, რომ ყოველგვარი “რეტრო” ცუდია? დიახ, ძველი ყაიდის კაცი ვარ და რასაც მე ახლა ვხედავ, როგორი რომანები იწერება და ”მოდური” ხდება, მათი ავტორები ლიტერატურულ კონკურსებში პრემიებსაც იღებენ – ვითომ “თანამედროვე” რომანები, დასახლებული ნარკომანებით, მამათმავლებით, მანიაკებით, ნაირ-ნაირი ჯურის მოძალადეებით და თაღლითებით, გაჯერებული ათასგვარი საშინელებითა და სისაძაგლით, ქუჩური სიტყვებითა და მეტისმეტად ნატურალისტურად გადმოცემული და გაჭიანურებული სექსუალური სცენებით... “თანამედროვე” წინწკლებით იმიტომ აღვნიშნე, რომ მათ დამწერებს, ახალგაზრდა მწერლებს, ჰგონიათ, დროის ფეხის ხმას აყვებითო, ის კი არ იცინა, რომ ახალს არაფერს ამბობენ: ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, შემდგომ პერიოდზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ამგვარი “არქივეოლოგიური” თემებისადმი მიძღვნილი რომანების მთელი ზღვაა დაწერილი... გულწრფელად ვამბობ: ამგვარი ვითომ თანამედროვე “შედევრები” სრულებით არ მიზიდავს, წასაკითხადაც კი, და მსგავსის დაწერაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. რა გქნა, დაე, მიკიჟინონ “ჩამორჩენილობა”, “პროგრესის მოწინააღმდეგეობა” და სხვა ცოდვები!... ჩემთვის რომანი – ეს არის, უპირატესად, ხასიათების ჩვენება, მათი წარმოჩენა დინამიკასა და გარემოში! და ყოველგვარი სკანდალური თემების, ჟარგონის, გინებისა და სხვა უხამსობის გარეშე – მორჩა და გათავდა! თავს იმითაც ვიმშვიდებ, რომ, სიყვარული მწერლობის მარადიული – და უპირველესი! – თემაა, ასევე – ჩვეული ფორმისადმი, “რეტროსადმი” ერთგულება სრულებითაც არ ნიშნავს რეტროგრადაობას... და, თუ უქმად გავისარჯე, ამით მხოლოდ მე ვიზარადლე...

## კარი I.

### ბაია, ნანული, ბოჩია, მინდია – ოთხი განუყრელი მეგობარი

ერთობ დახლართული ამბავი, რომელიც მე მსურს, მოგითხროთ, რთულ საჭადრაკო პარტიას ჰგავს და საბოლოოდ რა გამომივა, – მოვაბამ თავს, გავიმარჯვებ, “ლაგაშამათებ” თემას თუ ჩაფვლაგლები, – ნამდვილად არ ვიცი... ასე იქნება თუ ისე, ნათქვამია: “ცდა – ბედის მონახევრეაო”! ყოველი ახალი რომანის დაწევისას, ეს ბრძნული ანდაზა ფრიად მახალისებს, ბიძგსაც მაძლევს – ვნახო ერთი, რა ბიჭიცა ვარ! – და მეც ვიწეებ წერას: ექვსი-შვიდი (უფრო ხშირად – მეტი, ზოგჯერ – ნაკლები) თვის განმავლობაში ყოველდღე რამდენიმე საათით თითებს ვუტყაპუნებ კომპიუტერის კლავიატურას... ახლა კი ეს ახალი “პარტიაც”, თუ შეეძელი, ბოლომდე უნდა გავითამაშო და იქნებ თქვენც დაგაინტერესოთ...

ალბათ წიგნის სათაურიდანვე მიხვდით, რომ ოთხი მთავარი მოქმედი პირის შესახებ მსურს, მოგითხროთ, – მათ შორის ორი “დედოფალია” და ორიც – “ლაზიერი”! – და ხომ არ სჯობს, “დებიუტშივე” გაგაცნოთ მთავარი “ფიგურები”, ასევე, ესკიზურად მაინც, – მათი ოჯახების შემადგენლობა და ზოგი სხვა რამ?

როგორც ბენძე ბიოგრაფოსს შეეფერება, ტრადიციულად ჯერ ძირითადი თარიღები უნდა მოგახსენოთ: ოთხივენი დაიბადნენ 1952 წელს, 1969 წელს დაამთავრეს საშუალო სკოლა, ძირითადად მოქმედების დროა XX საუკუნის სამოცდაათიანი წლები, მოქმედების ადგილი – ქალაქი თბილისი. (1953 წელს გარდაიცვალა სტალინი, შემდეგ საბჭოთა კავშირის მმართველ გუნდში აღზევდნენ: ჯერ – ნიკიტუშკა ხრუშჩოვი, 1966 წლიდან – “მეორე ილიჩი”, ლიონია ბრეჟნევი; გაიმართა უამრავი სხვადასხვა ყრილობა, სესია, შემუშავდა ხუთწლიანი გეგმები, ერთი – შვიდწლიანიც, და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... საქართველოშიც, შესაბამისად, იცვლებდნენ რესპუბლიკის “თაგაკაცები”, მოჰყავდათ ახალი, თავიანთი “მმართველი გუნდის” წევრები... ცხადია, მაშინდელ საბჭოთა კავშირში თუ საქართველოში განვითარებულმა ხსენებულმა და სხვა ისტორიულმა თუ ნაკლებ მნიშვნელოვანმა მოვლენებმა ჩვენი გმირების ცხოვრებაზეც მოახდინა განსახლებური გავლენა, მაგრამ ამ ამბების “გამოძახილს” არ შეეხები – მე უფრო ჩემი გმირების პირადი ურთიერთობების ასახვით ვიქნები დაკავებული. ვისაც ქვემოთ მოთხრობილის ისტორიული ფონი დააინტერესებს, შეუძლია, იმდროინდელი გაზეთები – “კომუნისტი”, “ახალგაზრდა კომუნისტი”, “ზარია ვოსტოკა” და მათი უმცროსი “ძმები” – იმ ეპოქის ამსახველი მრუდე სარკეები – გადაათვალიეროს და ბლომად მტვერი და კიდევ მეტი ტყუილებიც ყლაპოს: იმ გაზეთთა ამჟამად სამართლიანად გაყვითლებულ ფურცლებზე – უპირიანი იყო, მაშინვე ყვითელ ქაღალდზე დაეპეტდათ – ბევრზე ბევრი დიდ-პატარა ფერუმარილით შელამაზებული სიცრუე იწონებს თავს! ისე კი, აჯობებს, სინამდვილეში რა და როგორ იყო, ჩემსავით ხანდაზმულთ ჰკითხოს, ოდნოდ მოცდილებს – მართალი მოგახსენოთ, მე ამისთვის დროს ვერ დავკარგავ.

ჩემი მონათხრობის ოთხი მთავარი გმირიდან სამის, – ბაია ჭიჭუგორაძის, ნანული შუშაბერიძისა და ბოჩია კარგაჩავას, – ოჯახები დიდებულში, ერთ სახლში ბინადრობდნენ. ოთხსართულიანი, ორსადარბაზოიანი, აგურის კაპიტალური სახლი შედარებით ახალი აშენებული იყო, – ომის შემდგომ პერიოდს რომ უწოდებენ, იმ დროს. მაშინ დიდ სახლად ითვლებოდა, ბინები – კეთილმოწყობილად. სამივენი პირველ სადარბაზოში ცხოვრობდნენ; ნანული და ბაია მესამე სართულზე კარის მეზობლები იყვნენ. ნანულის ოთხსულიან ოჯახს (დედ-მამა, ნანული და მისი უმცროსი და) ორთახიანი ბინა ეკავა, ბაიას სამსულიანს (დედ-მამა და ბაია) – სამი ოთახი; ბოჩიას ჯერ ოთხსულიან (დედ-მამა, ბოჩია და მისი უფროსი ძმა), შემდეგ სამსულიან ოჯახს (ბოჩიას ძმა უკვე ცალკე ცხოვრობდა), მეორე სართულზე – სამოთახიანი ბინა.

მათი მეოთხე მეგობრის, მინდია ლელიჩაღაშვილის, შეიღწეულიანი ოჯახი (მინდია, მისი დიდედა და პაპა, დედ-მამა და ორი უმცროსი დაიკო) უბნის რეკონსტრუქციის დროს დანგრევას გადაარჩინილ, ძველთაძველ, ერთსართულიან, ორთახიან ქოხმახში ცხოვრობდა; ეს უშნო ნაგებობა იმ ოთხსართულიანი სახლის პირისპირ იდგა, რომელშიც ბაია, ნანული და ბოჩია ცხოვრობდნენ, და მათ მცირე ეზო ჰყოფდა. ქალაქის მაშინდელ გარეუბანში, ახლა რომ ლამის ქალაქის ცენტრალურ უბნად ქცეულა, აშენებული ეს უბადრუკი ქოხი, რომელიც, სოფლად რომ მდგარიყო, საქონლის სადგომი ეგონებოდა კაცს, დიდი ხნის წინათ – XX საუკუნის ოციან წლებში – სოფლიდან ჩამოსულ მინდიას პაპას, ქიტესას, სახელდახელოდ საკუთარი ხელით შეუკოწიწებია: სანახევროდ – გადაყრილი აგურებისა და ალიზისა და სანახევროდ – ნაყარწყარისგან. ამ ქოხმახს დროთა განმავლობაში, დაოჯახების შემდგომ, მინდიას მამამ, გიორგიმ, მიადგა ჯერ ძველი ფიცრებითა და ყავლეგასული თუნუქის ფურცლებით შეჭედილი მცირე სამზარეულო და შემდეგ – ასეთივე ფეხსალაგიც; წყალსადენის გაყვანა კი ვეღარ მოახერხა და ოჯახი იძულებული იყო, საკმაოდ შორს მდებარე ეზოს ონკანით ესარგებლა.

ბაია, ნანული, ბოჩია და მინდია, როგორც მოგახსენეთ, თანატოლები და განუყრელი მეგობრები იყვნენ, ამასთანავე, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ხასიათები ჰქონდათ.

ნანული შავგვრემანი გოგო იყო, პუტკუნა, მაგრამ ძალიან კოხტა, ხალისიანი, კისკისა. მამამისი, შოთა შუშაბერიძე, – დაბალი, გამხდარი, წითური, შეუხედავი კაცი, – შოფრად მუშაობდა; დიდი სატვირთო მანქანით შორეულ რეისებში დადიოდა, შინ იშვიათად ნახავდი; დედა, ნათელა დათვიბაღაძე, – ქმარზე მაღალი, ტანსრული, ეშხიანი, – დიასახლისობდა; მუქი, გიზგიზა თვალები და შავი, ხშირი, ოდნავ ხვეული თმა ჰქონდა. ნანული ფერ-ხორციოთა და სილამაზით დედას დაემგვანა, სიმაღლით – მამას; მასზე ორი წლით უმცროსი და, მარიკო, პირიქით: გარეგნობით მამას დაემგვანა – წითური იყო, ჭორფლიანი, გამხდარი, სიმაღლით – დედას. ეგონათ, ისიც ნანულივით დაბალი იქნებოდა, მაგრამ თოთხმეტი წლისამ უცებ აიყარა ტანი, – დედასაც გადაასწრო სიმაღლით, – ჭოკივით აწოწილი გაიზარდა.

ბაია, – გამხდარი გოგო, კნაჭა, სიტყვაძვირი, – მოზრდილივით თითქოს სულ ფიქრებში ჩაძირული... მამამისი, ბესო (ოფიციალურ საბუთებში ბიკენტი ეწერა, შინაურობაში ბესოს ეძახდნენ), – დაბალი, ქერა, სათვალისიანი კაცი, – მუშაობდა ქალაქის საბჭოში ერთ-ერთი განყოფილების გამგედ. საოცრად ჩუმი და წყნარი პიროვნება გახლდათ, მის ხმას იშვიათად თუ გაიგონებდი, მით უმეტეს, რომ დილით ადრე მიდიოდა სამსახურში, როცა პერსონალური მანქანა მოაკითხავდა, და შინ გვიან ბრუნდებოდა; ხშირად – დასვენების დღეებშიც კი უწევდა სამსახურში სიარული (ბესოს მშობლები ბაიას დაბადებას კი მოესწრნენ, მაგრამ ჩვენი მონათხრობის დროისთვის უკვე გარდაცვლილები იყვნენ). ბაიას დედა, მზეონა ასკინკილაძე, – ქერა, ლამაზი ქალი, ამაყი, ფიცხი, – ქმარზე თხუთმეტი წლით უმცროსი იყო. საშუალო სკოლაც კი არ დაუმთავრე

ბია, ისე გაჰყვა ცოლად ბესოს და შემდგომ სწავლა-განათლებაზე აღარ უზრუნია, თუმცა ფრიად მაღალი წარმოდგენისა კი გახლდათ საკუთარ განსწავლულობაზე. მზეონას არსად არასდროს უმუშავია და შეეძლო, ერთადერთი შვილი შინ ჰყოლოდა, მისი მოვლა-პატრონობა არ უჭირდებოდა, მით უმეტეს, რომ ყოველთვის ჰყავდათ მოახლე, მაგრამ ქმარმა უთხრა: “ერთი კინკლა ბავშვი გეყავს, ცოლა, სულ მარტო რომ არის, დიდად აჯობებს, საბავშვო ბაღში მივიყვანოთ, ტოლებში უფრო გაერთობაო”. მზეონა 16 წლისა გათხოვდა და, როცა ბაია წამოიზარდა და დაქალიშვილდა, დედა-შვილი გარეგნულად დები გეგონებოდა – ერთი ზომისა და ერთნაირ კაბებსა თუ ფეხსაცმელსაც კი ყიდულობდნენ.

ბოჩია – მაღალი და მხარბეჭიანი, ქერათმიანი, ლურჯთვალეა ბიჭი, ოთხ მეგობარს შორის ყველაზე ხმაურიანი, სხვადასხვა წამოწყებების მოთავე გახლდათ. ბავშვობაში ძალიან ცელქი იყო, მოუსვენარი და ცნობისმოყვარე. სახლში ოცდაათამდე ოჯახი ცხოვრობდა და მათ შორის კარგაჩანების ოჯახი ყველაზე ინტელიგენტურად და განათლებულად ითვლებოდა, ყველანი დიდადაც სცემდნენ პატივს. ბოჩიას მამა, – გვანჯი კარგაჩანა, – ჯმუხი, ადრე გამელოტებული, ცისფერთვალეა, სწორნაკეთებიანი კაცი, უფროს ბუღალტრად მუშაობდა ერთ-ერთ დაწესებულებაში; მრავალმხრივი ინტერესების მქონე მწიგნობარი პიროვნება გახლდათ და ათეულობით წლების განმავლობაში რუღუნებით შეგროვებულ მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა, უმთავრესად – სიტყვაკაზმული მწერლობა და ლიტერატურა სახვითი ხელოვნების შესახებ. კიდევ ერთ გატაცებას ახალგაზრდობიდანვე უხდია ხარკს – ძველებური ფაიფურის და მინის მხატვრულ ჭურჭელს, აგრეთვე, მცირე პლასტიკას – სტატუეტებს და სხვა ნაკეთობებს – იძენდა. მართალია, მის კოლექციაში XII საუკუნის ვენეციისა და ბოჰემიის მინის ნაკეთობა, მაისენისა და სევრის ფაიფურის ჭურჭელი არ იყო, მაგრამ მაინც სხვა ცნობილი მანუფაქტურების საკმაოდ მაღალი დონის ნამუშევრების შეგროვება შეძლო, ქალაქში ცნობილი კოლექციონერი გახლდათ. ბოჩიას დედა, – ციცინო გოდორაული, ქმარივით ტანმორჩილი, ახალგაზრდობიდანვე სიმსუქნისკენ მიდრეკილების მქონე, მაგრამ საოცრად ენერგიული ქალბატონი, რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში სულ ერთი საბავშვო ბაღის გამგედ მუშაობდა; თან ცოტ-ცოტას მწერლობდა, ცოტ-ცოტას მხატვრობდა, საკმაოდ კარგად მღეროდა, – სასიამოვნო ხმა ჰქონდა, – და ცოტ-ცოტას კომპოზიტორობდა კიდევ. საკუთარი ლექსების ტექსტების გამოყენებით მრავალი სიმღერა შექმნა, რომელთა ნაწილსაც თვითონვე ასრულებდა; სიმღერების უმეტესობა მცირე ასაკის ბავშვთათვის, ბაღის აღსაზრდელებისთვის იყო განკუთვნილი. ნაწული, ბაია, ბოჩია და მინდია სკოლამდე მის საბავშვო ბაღში დადიოდნენ.

ბოჩიას ჰყავს ძმა – ბახვა, მასზე 12 წლით უფროსი; მშობლების სურვილის საწინააღმდეგოდ, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ხელოვნების გზას არ გაჰყვა, თუმცა წარმატებით დაამთავრა სამუსიკო სკოლა და პედაგოგები ურჩევდნენ, მუსიკის მსახური გამხდარიყო – მეცნიერება არჩია. როცა 7 წლის ბოჩია სკოლის I კლასში შეიყვანეს, მისი ძმა უკვე უნივერსიტეტის III კურსის წარჩინებული სტუდენტი-ფიზიკოსი იყო, სახელობით სტიპენდიას იღებდა. ბოჩიასაც აღმოაჩნდა სამუსიკო ნიჭი, დედისგან ლამაზი ხმაც დაჰყვა, მაგრამ სამუსიკო სკოლაში მხოლოდ ოთხ წელს გაძლო, შემდეგ თავი დაანება – დედასთან დიდი “ჭიდაობის” შემდეგ: ძალზე ცელქი ბავშვი იყო, ხანგრძლივ ვარჯიშს ფორტეპინოსთან ვერ ეგუებოდა. შინაც მამას გულს უხეთქავდა: ორ დიდ კარადაში გამოფენილ მის ფაიფურის სერვიზებისა და სხვა ნაკეთობების უნიკალურ კოლექციას, რომლის შეგროვებასაც გვანჯიმ რამდენიმე ათეული წელი, დიდი მონდომება და შრომა შეაღია, რომ აღარაფერი ვთქვათ უამრავ ფულზე, ერთ წამში დამსხვრევა ელოდა: ბოჩია, დაყვირებისა კი არა, მრავალჯერ მიტყუების შემდეგაც, ბურთის თამაშს ჯიუტად ოთახშიც კი არ იშლიდა – ბურთის ნამდვილი გიჟი იყო!..

როცა 17 წლის ბოჩიამ საშუალო სკოლა დაამთავრა, მაღალი, მხარბეჭიანი, ჯანიანი ბიჭი დადგა. მისი უფროსი ძმა, უკვე კარგა ხნის დაოჯახებული ბახვა, მამასავით დაბალი და ახალგაზრდობაშივე მამასავით გამელოტებული, ამ დროს უკვე ცალკე ცხოვრობდა; ორი ქალიშვილი ჰყავდა, ორივენი უკვე სკოლაში დადიოდნენ. შემდგომ ბახვა კარგაჩანა, – მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ფარგლებს გარეთაც კარგად ცნობილი ფიზიკოს-თეორეტიკოსი, – უნივერსიტეტში კათედრის გამგე გახლდათ, მისი ქალიშვილები კი, – ნინო და თამარი, – სამუსიკო სკოლაში ნიჭიერებით და მუყაითი სწავლით გამოირჩეოდნენ – ერთიმეორეზე უკეთესები იყვნენ და მათ ორივეს დარწმუნებით უწინასწარმეტყველებდნენ გამოჩენილი მევიოლინოების ფრიად წარმატებულ კარიერას... ბოჩიას დედ-მამა, ნათესაები, მეზობლები – ყველანი განცვიფრებით კითხულობდნენ, ეს აცვენილი ბიჭი, ბოჩია, გარეგნობითაც და ხასიათითაც ნეტავ ვისდა დაემსგავსაო – დედ-მამა და ძმა საკმაოდ მშვიდი ცხოვრების მოყვარულები იყვნენ და არც მოსული ტანით გამოირჩეოდნენ... ისიც უნდა ითქვას, რომ ბოჩია ბავშვობისას სახით უფროს ძმას ძალიან ჰგავდა და ქალბატონ ციცინოსაც კი, როცა შვილების ცალ-ცალკე გადაღებულ ბავშვობისდროინდელ ფოტოსურათებს ათვალიერებდა, ზოგჯერ უჭირდა გამოცნობა, რომელი მათგანი იყო მასზე გამოსახული – ბახვა თუ ბოჩია.

ახლა დროა, ჩვენი რომანის ოთხი მთავარი გმირიდან უმთავრესზეც კიდევ ცოტა რამ მოგახსენოთ... მინდია ლელიჩალაშვილი მეგობრებისგან თავიდანვე ყველაფრით მკვეთრად განსხვავებული გახლდათ – ცხოვრების პირობებით, გარეგნობით და ხასიათითაც: საბავშვო ბაღშიც

ყველაზე დამჯერი და წყნარი ბავშვი იყო; არც მიზეზობდა არასდროს, მისი ტირილი იქ არავის ახსოვს... მეტად შავგვრემანი იყო და სკოლაში ბიჭებმა მეტსახელად ჯერ “ზანგა” დაარქვეს, მერე კი – “ყორანა”; მეორე მათგანი კარგა ხანს შერჩა – ინსტიტუტის დამთავრების შემდეგაც კი. ბოჩია თავიდან ჯერ “ცხვირას” ეძახდა, მერე – “ყვავოს”... სამი მეგობრისგან განსხვავებით, ვერ ვიტყვი, რომ მინდია სილამაზით გამოირჩეოდა: მის ძალიან გამხდარ, საკმაოდ უხემწაკეთებთან სახეს მსხვილი წარბები, მოზრდილი, კეხიანი ცხვირი და თაფლისფერი, გრძელწამწამებიანი თვალები ამშვენებდა; როცა გაიღიმებდა, აქეთ-იქით ლოყებზე მოზრდილივით ნაოჭები უჩნდებოდა და უწორმასწოროდ მიჯრილ მსხვილ კბილებს გამოაჩენდა ხოლმე; ამ დროს რაღაც უმწეო და ალალი იერი ჰქონდა... შავი, ხშირი, ჯაგარივით თმა ეურჩებოდა სავარცხელს, დასველებაც კი ვერ შევლიდა, ამიტომ ყოველთვის მოკლედ თმაგაკრეჭილი დადიოდა. მაინც, მთლიანობაში, ნაკეთების მოუხეშაობის მიუხედავად, მინდიას სახე მნახველში სიმპათიას იმსახურებდა... მეგობრებს შორის ყველაზე ჩუმი იყო, – ბაიაზეც კი, – გულჩახვეული, უთქმელი. დიახ, ლაპარაკი არ უყვარდა, უფრო სხვების მოსმენა ერჩივნა; დაკვირვებული კი იყო, ბევრს რასმე ამჩნევდა თვალთ და ხედებოდა გუმანით, მაგრამ ხმამაღლა არაფერს იტყოდა; საკუთარი დამოკიდებულების გამოძღვანებისა კი არ ეშინოდა, მოკრძალებული იყო და ერიდებოდა... სამაგიეროდ, როცა რამე იყო გასაკეთებელი, მას საქმის დაწყებას ვერაფერს დაასწავდა. მეგობარ-ამხანაგებთან თამაშის დროს არასდროს მოსვლია უსიამოვნება: დამთმობი იყო, ხათრიანი – უფრო სიკეთის, ვიდრე სისუსტის გამო – და ხშირად სხვები ამით ბოროტად სარგებლობდნენ, განსაკუთრებით – რატომღაც ბოჩია იბრძვივებდა... თუმცა, ამის მიუხედავად, მინდიას ბოჩია უყვარდა და ბოჩიაც სხვა ბიჭებისგან აშკარად გამოარჩევდა: ზოგჯერ მინდიასთვის კინკრისხოში წიკპურტის გაკერის თუ სხვა მხრივ დაჩაგურის მიუხედავად, მაინც თითქმის სულ ერთად იყვნენ (როცა ბოჩიამ მაღალ კლასებში სწავლისას უბნის ბიჭები გაიცნო, მინდიასთან ურთიერთობას შესამჩნევად უკლო). ბოჩიას შინ ხშირად მიჰყავდა მინდია, აძლევდა წასაკითხად წიგნებს მამის ბიბლიოთეკიდან (თვითონ ბოჩიასაც კითხვა ძალიან უყვარდა, განსაკუთრებით – სათავედასავლო და ისტორიული რომანებისა, მაგრამ სასკოლო სახელმძღვანელოების ხელში აღება კი ჭირით ეჯავრებოდა!), ჩუქნიდა საკუთარ ნახმარ, მაგრამ ჯერაც გამოსადეგ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს...

მინდია მეგობრებში ყველაზე ღარიბი ოჯახის შვილი იყო; როგორც ადრე მოგახსენეთ, შვიდი სული ცხოვრობდა ოროთახიან ბინაში: მინდიას პაპა – ქიტესა და დიდელა – მართა, მშობლები – გიორგი და თეო და მასზე უმცროსი დები – ია და მზია... დედამისი, შესაბამისი კურსების დამთავრების შემდეგ, სულ ექიმის თანაშემწედ მუშაობდა რკინიგზის საავადმყოფოში და მინდია დიდდამ გაზარდა; პაპა – პენსიონერი იყო, საპატიო რკინიგზელი, მამაც – რკინიგზელი და სწავლის წლები მინდიამ მამის ნაქონი რკინიგზელის შინელით გაატარა. თავიდან შინელი მეტისმეტად დიდი მოუვიდა, თითქმის კოჭებამდე უწევდა, მიუხედავად იმისა, რომ დიდდამ ქვევიდან კალთები შეუკეცა. უფროს კლასებში ამ მრავალჭირნახულ შინელს დიდდამ კალთები ჩამოუშვა, თუმცა ბოლო ორ კლასში მინდიას ეს შინელი მაინც დაუმოკლდა – მამას ბევრად გადაასწრო სიმაღლეში.

ნაწული, ბაია, ბოჩია და მინდია სკოლაშიც ერთ კლასში სწავლობდნენ – პირველიდან მეორეთმეტე კლასის ჩათვლით. მინდიას შინ მუდმივი სამეცადინო ადგილი არ ჰქონდა; მრავალსულიან ოჯახში თითქმის განუწყვეტელი რია-რიას გამო, ხშირად მეცადინეობა უჭირდა და ამიტომ ნაწულისთან მიდიოდა; ხან კი, ბაიასთან ერთად, სამნიც იკრიბებოდნენ. შიგადაშიგ მათ ბოჩიაც უერთდებოდა და მაშინ, ამ უკანასკნელის ცუდლუტი ბუნების გამოისობით, – მარადჟამ დროსტარებაზე ჰქონდა თვალები დაჭყეტილი! – უფრო ერთობოდნენ, ვიდრე მეცადინეობდნენ... თუმცა, სხვა დროსაც, განსაკუთრებით – დაწყებით კლასებში სწავლისას, სულ ერთად თამაშობდნენ: დაჭერობანას, დახუჭობანას, “გაფუჭებულ ტელეფონს” და სხვას. გოგონების თამაშებს ბიჭებიც არ უკადრისობდნენ, მაგალითად, კლასობანას, ხოლო გოგონები – ბიჭებისას, მაგალითად, ლახტს და კოჭაობას, ჭიდაობდნენ კიდევ. ამ ბავშვური ღლაბუცის დროს მინდია ყოველთვის ერიდებოდა ბაიასთან ჭიდაობას... ბაია თავიდანვე რატომღაც მიუკარებელი, ამხანაგობისთვის მიუწვდომელი ეჩვენებოდა... სულ უნდოდა, მასთან ახლოს ყოფილიყო, ერთად ეთამაშათ, ერთად გართობილიყვნენ – და ვერ ბედავდა, შორს ყოფნას ამჯობნებდა, თითქოს რაღაც შინაგანი ძალა იზიდავდა და, იმავდროულად, განიზიდავდა კიდევ ბაიასგან. ნაწულისთან კი სრულიად თავისუფლად გრძნობდა თავს, თუმცა, არადროს ავიწყდებოდა, რომ ნაწული გოგო იყო, მასზე ბევრად სუსტი და უხეშად არასდროს მოექცეოდა. ნაწული კი სულ ცდილობდა, ბოჩიას დასჭიდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ბოჩია თითქმის არ ანსხვავებდა, ბიჭს ეპაექრებოდა თუ ნაზ გოგონას, ყველას ერთნაირად მოურიდებლად ექცეოდა, სიამოვნებდა, როცა დაჩაგრაგდა, საკუთარ უპირატესობას აგრძნობინებდა მეტოქეს. ბოჩია ყველაზე ხშირად მინდიას ეჭიდავებოდა; მასზე ძვალმსხვილი იყო და უფრო ღონიერიც, მაგრამ მაინც უჭირდა მეგობარ მოწინააღმდეგესთან გამკლავება: მინდია ძალიან მოქნილი იყო, თან – შეუპოვარი, ბოლომდე მებრძოლი, ბოჩია ისე ადვილად ვერ დაიმორჩილებდა ხოლმე.

ნაწული შუშაბერიძე სკოლაში კარგად სწავლობდა – უფრო სიბეჯითის, ვიდრე ნიჭ-უნარის წყალობით. ნაწული არ ფარავდა, რომ ბოჩია უყვარდა. ბავშვობიდანვე თამაშის დროს სულ ცდილობდა, ბოჩიას გვერდით ყოფილიყო, სკოლაში კი – მერხზე მასთან ერთად მჯდარიყო, რა-

საც თითქმის ყოველთვის ახერხებდა... იქნებ ბოჩიას მაინცდამაინც არც სურდა მისი მარადი მეზობლობა, მაგრამ ნანუღლივით ვერავინ უშველიდა – კარნახი ემარჯვებოდა და ხშირადაც იხსნიდა მას გაჭირვებისგან! ბოჩია ტანად ყველაზე ღილი იყო კლასში და ამიტომ ყოველთვის სულ უკანა მერხზე სვამდნენ მასწავლებლები, ამიტომ ბევრად დაბალი ნანუღლიც იძულებული იყო, მის გვერდით ბოლო მერხზე მჯდარიყო..

ბოჩია კარგაჩანა – თავდაჯერებული, გეგარიანად ამპარტავანი და თავგეიფა... ნიჭი არ აკლდა, მაგრამ ზარმაცობდა, საგნების მომზადებით თავის შეწუხება არ უყვარდა; თუმცა, ყოველთვის ახერხებდა – ნანუღლის დახმარებით – “საშუალო” ნიშნის მიღებას და ეს სრულებით აკმაყოფილებდა. რატომღაც ბავშვობიდანვე იცოდა, მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი – თანამდებობის პირი უნდა გამხდარიყო! არ იცოდა, რა ღარგში – მთავარია, მაღალი თანამდებობა უნდა ჰქონდეს! ამასთან არის დაკავშირებული სახელი, ძალაუფლება, გავლენა, ფული! საიდან და როგორ ჩაენერგა ჯერაც ნორჩ გონებაში ამგვარი “მაღალი” წარმოდგენები, ღმერთმა უწყის, ყოველ შემთხვევაში, მშობლებს ამ თემაზე მასთან არასდროს უსაუბრიათ. იქნებ ბოჩიაზე გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ იმ უამრავმა წაკითხულმა წიგნმა იმოქმედა, რომლებიც მრავლად მოიძებნებოდა მამამისის ბიბლიოთეკაში, მაგრამ, საოცარია, მაშინ იმაზე რატომ არ უფიქრია, რომ ღილი საქმე ღიდ ენერგიასა და თავდაუზოგავ შრომას ითხოვს; კარიერის ციცაბო კიბეზე აფორთხებას, ნიჭის გარდა, ღიდი ძალისხმევა სჭირდება, მცონარა ამას ვერასვებით შესძლებს...

ბაია ჭიჭეგორაძე – ბავშვობაშიც ძალიან ლამაზი გოგო იყო, მაღალი, სიფრიფნა, მაგრამ არცთუ სუსტი – თითქმის არასდროს ავადობდა. ჰქონდა ძალიან ღია ქერა თმა, თეთრი-თეთრი პირის კანი, თვალები კი – მუქი (ნეტა ვისგან გამოჰყვა? დედ-მამა ცისფერთვალეები იყვნენ) და ეს უნებურად მკვეთრად გამოარჩევდა ყველასგან. კონტრასტი ახასიათებდა ხასიათშიც: არცთუ ხშირად იღიმებოდა, სიცილით ხომ – კიდევ უფრო იშვიათად, ამასთანავე – ძალიან ენამახვილს, მძაფრი შეპასუხება ხერხებოდა... გულმოდგინებით ვერ დაიტრახებოდა, მაგრამ ალღოსა და ნიჭის წყალობით ყველა საგანში კარგად სწავლობდა, განსაკუთრებით – მათემატიკასა და ფიზიკას: იოლად, ერთხელ მოსმენით ან წაკითხვით იმახსოვრებდა, ანალიზური ნიჭიც ჰქონდა. სულ ადვილად შეეძლო, კლასში პირველი მოწაფე ყოფილიყო, მაგრამ – აი, საკვირველება! – სიამაყის მიუხედავად, სრულებით არ მისწრაფოდა ამისკენ! ცოტა არ იყოს, სხვა უცნაური ახირებაც ახასიათებდა: მეგობრებს უბრალო საბაბით ადვილად ებუტებოდა და შემდეგ კარგა ხანს აღარ ელაპარაკებოდა. კლასში ყველაზე თავმომწონე და ამპარტავანიც კი გახლდათ; შეძლებული ოჯახის დედისერთა ქალიშვილს ბავშვობიდანვე ანებივრებდნენ – ყოველგვარ სურვილს უსრულებდნენ... შინ მოახლის მზრუნველობა არ აკლდა და საბავშვო ბაღში ღდის ბოლოს და მერე, – სკოლაშიც კი, დაბალ კლასებში სწავლისას, – გაკვეთილების დამთავრებს შემდეგ, დედა კი არა, მოახლე აკითხავდა შინ წასაყვანად.

როგორც მოგახსენეთ, ბოჩია პირველი კლასიდან გამოირჩეოდა მოსული ტანითა და ძაღლივით და ბიჭებში თავიდანვე “ყოჩობდა”. უყვარდა როგორც ბიჭების, ისე გოგონების დაჩაგვრა – კინკრისოში წკიპურტით დაჯილდოება, “მეგობრულად” ხელის კვრა, კვანტის დადებით გამასპინძლება... შესვენების დროს ხელიდან წაღლებდა ხოლმე სკოლის ბუფეტში ნაყიდ ფუნთუშას ან შინიდან წამოდებულ ბუტერბროდს და სიცილ-ღრუჭით შეჭამდა, თან აქებდა: “ძალიან გემრიელია, თუ გინდა, ცოტას მოგიტეხს!... ჰი-ჰი-ჰი!”... კლასის პირველ მოსწავლეს, კაკი დიაოხიძეს, შინიდან ორი ბუტერბროდი მოჰქონდა ხოლმე, რათა ერთი ბოჩიასთვის მიეცა და მას მეორე მაინც დარჩენოდა; თუმცა, ეს ხრიკი ყოველთვის არ შველოდა – ბოჩია ხშირად ორივეს ართმევდა, თან არიგებდა: “მომწონს, მომწონს, ძალიან გემრიელია! შენ ყოჩადი ბიჭი ხარ, ხვალ არ დაგავიწყდეს სამი ბუტერბროდის წამოდება!”... ბიჭები, უფროსი კლასებიდანაც კი, ბოჩიას “ყოჩობას” აღიარებდნენ, მის მფარველობას ეძებდნენ, მაგრამ ამგვარი მამებლობა ნაკლებ შველიდათ ბოჩიასგან წკიპურტის აცილებაში ან კვანტის დადებაში. ბოჩია ყველაზე უფრო რატომღაც მინდიას იბრიყვებდა, – იქნებ იმიტომაც, რომ თითქმის ყოველთვის ერთად იყვნენ, – ხშირ-ხშირად მტკივნეულად გაჰკრავდა ხოლმე წკიპურტს მოკლედ შეკრეჭილ თავზე; ამ საქმეში ფრიად დაოსტატებული იყო, რასაც ვერ ვიტყვით სწავლაზე... პირველი მოთავე იყო მეცადინეობის მასობრივი გაცდენისა, უფრო ხშირად – ორშაბათობით, როცა კინოთეატრებში ახალ ფილმს უჩვენებდნენ; ხშირად მარტოც აცდენდა გაკვეთილებს... ცოტა რომ წამოიჩინა, ასე, მეექვსე-მეშვიდე კლასიდან მოყოლებული, საკუთარი უბნის უსაქმურ ბიჭებთან გააჩაღა ძმაკაცობა; თანდათან სხვა უბნელებიც ბევრი გაიცნო და მათთან ხშირად “სტუმრობდა”: ხან – საჩხუბრად, ხანაც – ფეხბურთის სათამაშოდ... ერთხანს ყომარის თამაშმა გაიტაცა, მაგრამ უფროსმა ძმამ, ბახვამ, ერთხელ ისე გაჯორა, როდესაც მისი “გმირობა” გაიგო, – ბოჩიას ფული აღარ ეყო და ვალში ზამთრის ბეწვიანი ქუდი მისცა ვიღაცას და შინ თავშიშველი დაბრუნდა, – რომ პატიოსანი სიტყვა დაღო: ამიერიდან ფულზე აღარ ითამაშებდა – არსად, არავისთან და არასდროს!.. საკვირველი იყო: თავნება, თავგეიფა ბოჩიაზე მამის არაერთგზის მიტყუებაზე უფრო ძლიერი და შედეგის მომტანი აღმოჩნდა მეცნიერი ძმის სიტყვიერი შეგონება!

ბოჩია მხოლოდ შინაურების მარადი თავის ტკივილი კი არ იყო, მასწავლებლებსაც სისხლს უშრობდა; იმდენად ცუდი მოსწრებით არა, რამდენადაც ცუდლუტობით. მისი გართობის

“რეპერტუარი” მრავალფეროვანი იყო, ყველაზე მეტად კი უყვარდა ორი ოინი: პირველი: ყოველ-თვის ბოლო მერხზე იჯდა და კარგი ასპარეზი ჰქონდა: “სასულე თოფით” – პირში ჩადებული შუშის წვრილი მილით – ნერწყვით დასველებულ და დაგორგლილ პურის ან ქაღალდის ბურ-თულებს დამიზნებით სტყორცნიდა წინ მსხდომთ – კეფაში მოხვედრაში “ვარჯიშობდა”... და მე-ორე: გრძელი მკლავები ჰქონდა და, როცა მასწავლებელი დაფისკენ მიბრუნდებოდა, დროს იხელთებდა და, თუ წახრით ვერ მიწვდებოდა, წამოდებოდა და მიპარვით წინ მჯდომ რომელი-მე თანაკლასელს კინკრიხოში წკიპურტს გაჰკრავდა, უკან მყისიერად ბრუნდებოდა და მოწაფის წამოყვრებაზე მობრუნებულ მასწავლებელს უცოდველი კრავის სახეს დაახვედრებდა...

მინდია, – მაღალი, ერთი შეხედვით, სუსტი აღნაგობისა, – სულ ვარჯიშობდა და თანდა-თან საოცრად დონიერი ბიჭი დადგა. ჰოდა, ის დროც მოვიდა, – უკვე მეცხრე კლასში სწავლობ-დნენ, – როცა საპასუხოდ ერთი-ორჯერ ისე უთაქა მისი ჩვეულებრივად დაჩაგვრის მოსურნე ბო-ჩიას, რომ შემდგომ სხვაც, მათე-მეთერთმეტე კლასელიც კი, ველარაგინ ბედავდა მასთან არამ-ცთუ ჩხუბს, წაკინკლავებდასაც. მინდიას გაკვეთილების გაცდენა არ უყვარდა და ბოჩია ხშირად დასცინოდა, მშიშარა ხარო. მინდია სხვა ბიჭებთან ნაკლებ მეგობრობდა, ბოჩიასთან კი ხშირად დადიოდა შინ, იქ ციციწო დეიდა ხშირად სადილადაც ტოვებდა. თუ სადილის დრო არ იყო – რამეს მაინც მიართმევდნენ: ხილს, სახელდახელოდ გაკეთებულ ხაჭაპურს, ალუბლის მურაბიან ფლავს, ჩაის ნამცხვრით... როგორც უკვე აღვნიშნე, ბოჩია ხშირად ჩუქნიდა საკუთარ ნახმარ ტანსაცმელს და ფეხსაცმელსაც, მამის ბიბლიოთეკიდან შინ წასაკითხად ატანდა წიგნებს.

მინდია ბოჩიას მეგობარი იყო და, როგორც ვთქვი, მასთან ხშირად შინაც დადიოდა, განსა-კუთრებით – წიგნების სათხოვნელად, თუმცა გვანჯის ბიბლიოთეკაში მისთვის საინტერესო ტექ-ნიკური ლიტერატურა ნაკლებად იყო და მინდიამ ტექნიკურ ბიბლიოთეკაში დაიწყო საჭირო წიგ-ნების მოძიება. მინდია იყო, ასევე, ბაიასა და ნანულის მეგობარიც, მაგრამ თითქოს არც იყო; მის სამივე მეგობარს განსხვავებული ცხოვრება ჰქონდა: სხვანაირი საჭმელი, სულ სხვაგვარად მოწყობილი ბინები, პრიალა ავეჯი, მბრწყინავი იატაკი – პარკეტის! კრიალა სააბაზანო და ფეხ-სალაგი! დიდი მაცივარი! დიდი ტელევიზორი! მართავდნენ დღეობებს, რომელზედაც მინდიას არ-ცთუ ხშირად ჰპტივებდნენ და როცა მიიწვევდნენ, თვითონ მინდიას უმეტესწილად ეუხერხულე-ბოდა მისვლა – იქ სულ ძვირფასად გამოპრანჭული გოგო-ბიჭები დახვდებოდა, მას კი მხოლოდ ერთ ხელი უბრალო ტანსაცმელი ჰქონდა, საჩუქრადაც ვერაფერს მიიტანდა...

მინდია შინ რადიოს უსმენდა ხოლმე, – საკუთარი ხელით ააწყო, – უყვარდა და ეხერხებო-და ჩხირკედელაობა; ნორჩ ტექნიკოსთა სადგურში რადიოტექნიკურ წრეში მეცადინეობდა და შე-საბამის ლიტერატურასაც კითხულობდა. დედამისი ყოველდღიურად, სკოლაში წასვლის წინ, ფუნთუშის ფულს რომ აძლევდა – დიდი შესვენების დროს წაიხემსეო, – აგროვებდა, წიგნებს ყიდულობდა და ჩუმიდ მიჰქონდა შინ, რომ დედა-მამას არ გაელანძღა: ერთი-ორჯერ წაასწრეს ამ-გვარ “დანაშაულზე” და მამამისმა კინაღამ მიტყეპა: უნდა ვალიარო, რომ მინდიას მშობლები წიგნსა და განათლების ყადრს ნაკლებ აფასებდნენ... მინდიას ფიზიკა განსაკუთრებით იზიდავდა და ამ საგანში სასკოლო პროგრამით მოთხოვნილზე ბევრად მეტი იცოდა, ბაიასაც კი სჯობნი-და. ფიზიკის მასწავლებელი გაკვეთილს არასდროს ეკითხებოდა, ისე უწერდა ყოველი მეოთხე-დის ბოლოს ნიშანს – “ფრიადს”. ხშირად კლასში ახალ გაკვეთილს თვითონ კი არა, დაფასთან გამოყვანილ მინდიას აახსენებებდა ხოლმე. თავიდან მინდიას ბუნებრივი მორიდებულობა ძალი-ან უშლიდა ხელს, მაგრამ შემდეგ, მერე და მერე, მასწავლებლის შეგულიანებით, თანდათან დაძლია სიმორცხვე; უკვე დიდად სიამოვნებდა კლასის წინაშე გამოსვლა და წინდაწინ საგულ-დაგულოდ ემზადებოდა. მინდიამ შეატყე: ამგვარმა “საჯაროდ” გამოსვლებმა მეტი სითამამე შესძინა და, ადრე თუ მეტისმეტად მორცხვი იყო, ამჯერად უფრო ადვილად ურთიერთობდა სხვებთან; კლასში უკვე სულ სხვა თვალთ უყურებდნენ და ბოჩიაც ველარ ბედავდა მის მიმართ აბუჩად აგდებით მოპყრობას – შეეშვა სარმის გამოკვრას, თავში წკიპურტით გამასპინძლებას; იქნებ ამის მიზეზი ისიც იყო, რომ მინდია ბეჯითი ვარჯიშის წყალობით ისე მომძლავრდა, რომ ძნელად დასაჩაგრავი გახდა...

ნანული, ბოჩია და მინდია ცდილობდნენ, ზაფხულის არდადეგების დროს პიონერთა ბანაკ-ში ერთად წასულიყვნენ, მხოლოდ ბაიას მათთან ერთად არასდროს უშვებდნენ მშობლები – ის მულამ დედასთან ერთად ატარებდა ზაფხულს: ერთ თვეს ზღვაზე მიდიოდნენ – ქობულეთში, გაგრაში ან ბიჭვინთაში, მეორე თვეს – მთაში: ბაკურიანში ან ბახმაროზე.

როცა მინდია წამოიზარდა, ორი დიდი ოცნება ჰქონდა: პირველი – მოტოციკლის შეძენა სკოლის დამთავრების შემდეგ (რა თქმა უნდა, ატომანქანაზეც არ იტყოდა უარს, მაგრამ გა-ვლახს!) და, მეორე – ბაიას ცოლად მოყვანა, რასაკვირველია, როცა ამის დრო მოაწევდა... იმდენად მორიდებული იყო, რომ ამ ოცნებების შესახებ ერთი სიტყვაც არავისთან დასცდენია, თუმ-ცა მეორის დაფარვა ვერ მოახერხა – მისმა კლასელებმა იცოდნენ: თუ ნანულის ბოჩია უყვარ-და, ასევე, მინდიას – ბაია...

როგორ მიხვდა მინდია, როდის გააცნობიერა, რომ ბაიას სხვა გოგოებისგან გამოარჩევდა? ერთ ზაფხულს თხუთმეტი წლის მინდია პიონერთა ბანაკში ისვენებდა მახინჯაურში და იქ მისი კბილა ერთი ქერა გოგონა იყო, ხათუნა, – ისიც რკინიგზელის, მინდიას მამის თანამშრომ-ლის, შვილი, – როგორც შემდეგ მასთან ერთ-ერთი საუბარის დროს გამოირკვა. მინდიას ძალიან



მოსწონდა ხათუნა, სულ მის ახლოს ტრიალებდა. რა თქმა უნდა, გოგომ შეამჩნია მინდიას მის-  
 დამი გამორჩეული ყურადღება და თვითონაც ცდილობდა, ეჩვენებინა ბიჭისთვის, რომ ისიც საპა-  
 სუხო სიმპათიას გრძნობდა... მაგრამ საოცარია, მინდიას თითქოს რაღაც შინაგანი ძალა, გაუც-  
 ნობიერებელი მიდრეკილება ამუხრუჭებდა, რომ გოგოსთვის, რომლის რაღაცის მოლოდინით აღ-  
 სავსე თვალები მისდამი ხშირად იყო მიპყრობილი, სააღერსო სიტყვები ეთქვა... მინდია გრძნობ-  
 და, რომ ამ შემთხვევაში მიზეზი მხოლოდ მისი სიმორცხვე არ იყო. როცა აგვისტოს ბოლოს მა-  
 ტარებლით ბრუნდებოდნენ თბილისში, მინდია და ხათუნა ერთ კუპეში მოხედნენ, რა თქმა უნდა,  
 ეს შემთხვევით არ მომხდარა... მინდიამ მთელი ღამე ვერ დაიძინა, გააზრებისთვის მოუხელთებუ-  
 ლი რაღაც გრძნობა არ ასვენებდა... მერე მიხვდა: ხათუნა გარეგნულად ძალიან ჰგავდა ბაიას!  
 მიუხედავად იმისა, რომ მუქთვალეობა ბაიასგან განსხვავებით, ცისფერთვალა იყო! რომ დაუკვირ-  
 და, განსხვავება სხვაც აღმოაჩინა, კერძოდ, ყველაზე თვალში საცემი იყო, რომ ხათუნას და ბაი-  
 ას ორივეს ღამაში ტუჩები ჰქონდათ, მაგრამ ხათუნას – უფრო სავსე, რაღაცნაირად რბილად  
 მომრგვალებული, ბაიას კი – მკვეთრად შემოხაზული, პირის კუთხეები ქედმაღლურად, კაპრიზუ-  
 ლად უკმაყოფილო... ბაიას თუ მარად კუშტი იერი ჰქონდა, თითქოს რაღაცით უკმაყოფილო იყო,  
 ხასიათით ხათუნა უფრო თბილი აღმოჩნდა, ამასთანავე – ძალიან მხიარული და უშუალო... მინ-  
 დია იმასაც მიხვდა: მახინჯაურში ყოფნისას თურმე სულ ბაია ენატრებოდა... ხათუნა ბაიას აგო-  
 ნებდა და ამიტომ უნდოდა სულ მის გვერდით ყოფნა!.. ერთგვარი შეება იგრძნო და ახლა ერთი  
 სული ჰქონდა, როდის ჩავიდოდა თბილისში, რომ ბაია ენახა...

იმ დროიდან მოყოლებული, მინდია სიამეხსაც გრძნობდა და ტანჯვასაც; ცდილობდა, არაფ-  
 რით გაეჟღავნებინა მისი დამოკიდებულება ბაიასადმი, მაგრამ თუკი მასთან თუნდაც ერთ ნაბიჯ-  
 ზე ყოფნა მოუწევდა, კიდევ უფრო მორიდებული და შებოროტი ხდებოდა: სახეში შეხედვას ვერ  
 უბედავდა, მისდა უნებურად ენა ებმოდა, სახეზე ჭარხალივით წამოწითლდებოდა – აჩქარებული  
 გული თითქოს მკერდიდან ამოხტომას ღამობდა... მინდიას მაშინვე გაქცევისკენ ეჭირა თვალი,  
 არადა, ბაიასთან დაშორებაც უძნელდებოდა...

მინდიას ჯიბეში ყოველთვის ედო ქაღალდში გახვეული საკლასო ოთახში მოპარული ცარ-  
 ცის ნატეხი და სადაც კი მოახერხებდა, – სახლთა კედლებზე, ხის მესერებზე, ბეტონის დობებზე,  
 – მალულად მიაწერდა ხოლმე: “ბაი, მიყვარხარ!”; საოცრად სიამოვნებდა, როცა მერე იმ აღ-  
 გილას გაივლიდა და საკუთარ ნაწერს თვალს შეავლებდა.

\* \* \*

უკვე რამდენიმე წელია, დილ-დილაობით ტანზევით შიშველი, წელზე პირსახოცშემოხვეუ-  
 ლი მინდია გამოდის ეზოში (როგორც ადრეც აღვნიშნე, ლელიჩაღაშვილების ოჯახს შინ ონკა-  
 ნი არ აქვს, ოჯახში საჭირო წყლის ასაღებად ეზოს შუაგულში არსებულ ონკანს მიაშურებენ  
 ხოლმე) და წელზევით ცივი წყლით იბანს ტანს – სახეზე, თავზე, მკერდზე დგაფუნით ისხამს  
 წყალს და სიამით ქშენს; ასე გრძელდება ზამთარ-ზაფხულ. ზამთარში მეზობლებს ტანში აზრი-  
 ალებთ, როცა ფანჯრიდან დაინახავენ, როგორ ისხამს მინდია შიშველ მკერდზე ყინულივით  
 წყალს, ხოლო თუ თოვლია მოსული, ხვეტს მიწიდან თოვლს და ტანს იხეულს...

იანვრის ერთ ყინვიან დილას მაწვნის საყიდლად ეზოში გამოსული ბოჩია გაეხუმრა ონკან-  
 თან დახრილ მობანავე მინდიას:

- ხომ არ დაგცხა, შე ყვაგო? ჰო, ჰო, კარგია, კარგი, ორას წლამდე გინდა, იცოცხლო თუ  
 სამასამდე? ჰი-ჰი-ჰი! აგერ ნახე, თუ შენს ქელეხზე მე არ ვიყო თამადად!
- მინდიამ წამით ამოხედა, გაიღიმა და თეთრი, მსხვილი კბილები დაანახა:
- გულთბილი გამოსამშვიდობებელი სიტყვა უკვე მზად გაქვს?
- აბა რავა! შენ რომ გაგიხარდება, ისეთი!
- ახლავე ჩაწერე, არ დაგავიწყდეს! შენ თუ არა, მე მაინც გამომადგება: შენსავით წინდა-  
 წინ მომზადება არ მიყვარს!

\* \* \*

სკოლის დამამთავრებელ წელს, აპრილის ბოლოს, სკოლაში მოვიდა რესპუბლიკური გაზე-  
 თის, “ახალგაზრდა კომუნისტის”, რედაქციიდან ყმაწვილი კორესპონდენტი, რომელსაც თან ახ-  
 ლდა ასევე ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამელოტებული ფოტოკორესპონდენტიც. მათ მიცემული  
 ჰქონდათ საგანგებო დაგალება: უნდა მოემზადებინათ მასალა დამამთავრებელი – XI კლასის –  
 რომელიმე წარჩინებული მოსწავლის შესახებ.

კლასში მათ შეჰყვა სკოლის დირექტორი, ფრიად გახარებული, რომ მისი სკოლის სახელი  
 საქვეყნოდ გაგარდებოდა... მათემატიკის გაკვეთილი უკვე დაწყებული იყო. რასაკვირველია, მა-  
 შინვე გაიძახეს დაფასთან კლასის პირველი მოწაფე, ასეთად კი ითვლებოდა კაკი დიალხიძე –  
 სათვალისანი, ჩაპუტკუნებული ბიჭი. კაკის რამდენიმე რაკურსით სურათი გადაუღეს – მასწავ-  
 ლებლის გვერდით მდგომი, ვითომ ფორმულებით აჭრელებულ დაფაზე რაღაც რთულ მათემატი-  
 კურ განტოლებას იყვანდა...

სტუმრები უკვე წასვლას აპირებდნენ, როცა ფოტოკორესპონდენტის ყურადღება მიიპყრო წინა მერხზე მჯდარმა ბაიამ და კორესპონდენტს ყურში რაღაც ჩასწურა... იმასაც მოეწონა ბაია და მასწავლებელს, – კლასის დამრიგებელს, ბაბო გილეიშვილს, – ჰკითხა, ეს მშვენიერი გოგონა როგორ სწავლობსო. იმან უპასუხა, რომ მათემატიკაში მასეთი ნიჭიერი ბავშვი მთელ სკოლაში არ მეგულებათ. “მაშინ ისიც გადავიღოთ!” – გადაწყვიტეს. ბაიაც დააყენეს დაფასთან და როცა ფოტოკორესპონდენტი უკვე სურათის გადაღებას აპირებდა, მან უცებ წაშალა დაფაზე ნაწერის ნაწილი. ყველანი შეცბუნდნენ... ბაბო მასწავლებელმა ჰკითხა: “რატომ წაშალე?”; “იმიტომ, პატივცემულო მასწავლებელო, რომ აქ ამოხსნაში შეცდომაა დაშვებული”. ბაბომ შეხედა დაფაზე ნაწერს და შეცბუნდა – თურმე იმ ფაციფუცში კაკის ამოხსნას მართლაც გაჰპარვია უნებლიე შეცდომა...

შემდეგ კვირას გახეთში მხოლოდ ბაიას პორტრეტი დაბეჭდეს – გვერდზე ბაბო მასწავლებელი ედგა – და ამის გამო კაკი დაიბოღმა... რატომღაც ბაიაზე განაწყენებული დარჩა სკოლის დირექტორიც: თუმცა კორესპონდენტის წერილში იგი კეთილად იყო მოხსენიებული, როგორც ერთ-ერთი მოწინავე სკოლის ღირსეული ხელმძღვანელი, მაგრამ ფოტოზე ისიც რომ გამოჩენილიყო, მით რა დაშავდებოდა...

როცა ბაიამ სკოლა დაამთავრა, იქნებ სკოლის დირექტორს მისთვის ოქროს კი არა, ვერცხლის მედალიც არ გაემეტებინა, მაგრამ ბაია ჭიჭეგორაძის მამა საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირი გახლდათ და ამდენი ვედარ გაბედა...

\* \* \*

მეგობრებმა სკოლის დამთავრება დიდი სუფრით აღნიშნეს – თითქმის მთელი კლასი ბაიას ბინაში შეიკრიბა და იქ მოილხინეს; კაკი დიაოხიძე არ მისულა... როცა ბჭობდნენ, სად უნდა მოეწყოთ გამოსამშვიდობებელი სუფრა, ორ მოწაფეს აღმოაჩნდა შესაფერისი დიდი ბინა – კაკი დიაოხიძეს და ბაია ჭიჭეგორაძეს; კენჭი ჰყარეს და ბაიამ გაიმარჯვა. მინდიაც არ დასწრებია ამ თაყვრილობას – საქეიფოდ დასადები ფული არ ჰქონდა და – არც შესაფერი ტანსაცმელი...

გოგონები ფრიად ნირშეცვლილები ჩანდნენ: უმეტესობას თმის მოკლედ შეკრიჭა მოესწრო, რამდენიმეს – შეღებილიც კი ჰქონდა; ახალი, მოღური კაბები ეცვათ და ბიჭებზე ხმამაღლა იციროდნენ და მხიარულობდნენ.

სახეიმო ნადიმზე უფროსთაგან არაგინ იყო, გარდა ბაიას დედისა; სუფრას ჭიჭეგორაძეების მოახლე გოგო ემსახურებოდა. 36 წლის ქერათმიანი, ცისფერთვალა მზეონა სილამაზით ბრწყინავდა; ზოგიერთები ამბობდნენ, და არცთუ უსაფუძვლოდ, მზეონას ბაიას დედად კი არა, უფროს დად უფრო მიიჩნევ, სიტურფითაც შეიღს არაფრით ჩამოუვარდება, თუ არ ჯობსო. მზეონას უყვარდა ახალგაზრდულად ფერადოვანი, მოღის მიხედვით შეკერილი კაბების ჩაცმა; ამ დღესაც მასა და ბაიას ახალშეკერილი ძვირფასი კაბები ემოსათ. იქ მყოფ ქალიშვილებისგან ერთი რამით მაინც გამოირჩეოდა: ქმარი, ბესო, სულ ებუზღუნებოდა, ისედაც მშვენიერი ხარო, მაგრამ ვერაფრით გადააჩვია ყმაწვილობიდანვე გამომჟღავნებულ ჩვევებს: ფერუმარილს ჭარბად ხმარობდა, კვირაში ერთხელ სილამაზის სალონში პირისახის გასაწმენდად, თმის ვარცხნლობის, ფრჩხილებისა და სხვა რამის მოსაწესრიგებლად დადიოდა.

ამ ღვინვა ჩვეულებრივად ჩაიარა, – იმღერეს, იცეკვეს, იმამიშუნეს, იცინეს, – თუ არ ჩავთვლით იმას, რომ სუფრის ბოლოსთვის თამადა, ბოჩია, ისე დათვრა, ჭიქას ხელში ძლივს იკავებდა. ამის მიუხედავად, განაგრძობდა სმას, სანამ მორიგი სადღეგრძელოს წარმოსათქმელად ფეხზე წამოდგომა ვედარ შეძლო; მერე მაგიდაზე ჩამოდო თავი და ჩამოეძინა...

ზორბა, თან ტანდამძიმებული ბოჩია ძლივს ჩაიყვანეს, უფრო – ჩაიტანეს, ქვედა სართულზე, მის ბინაში. როცა დედამისმა, ციციმომ, ასეთ მდგომარეობაში მყოფი ბოჩია დაინახა, გულზე შემოეყარა – ეგონა, შეიღს რაღაც დაემართათ და აკივლდა...

## კარი II.

### ოთხივენი სტუდენტები არიან!

საშუალო სკოლის სრული კურსის წარჩინებით დამთავრების გამო ნაწილი ვერცხლის მედალი დაიმსახურა, ბაიამ, როგორც მოგახსენეთ, – ოქროსი, და ორივენი მაშინვე იოლად განდნენ თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები; ნაწილი მხოლოდ ერთ, მაპროფილებელ საგანში ჩააბარა გამოცდა და ბიოლოგიის ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა, ბაია კი უგამოცდოდ, პირდაპირ ჩაირიცხა დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, ფრანგული ენის განხრით (დედის რჩევას დაჰყვა, თორემ მათემატიკა და ფიზიკა ძალიან ეხერხებოდა). ბოჩიამ და მინდიამ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩააბარეს მისაღები გამოცდები, პირველმა – სამშენებლო ფაკულტეტზე, მეორემ – სატრანსპორტოზე; მინდია გააგრძელებდა საგვარეულო ტრადიციას – პაპისა და მამის მსგავსად, ისიც რკინიგზელი გახდებოდა.

ციცინოსა და გვანჯის დიდი სურვილი ჰქონდათ, მათი უმცროსი ვაჟი მაინც გამხდარიყო რომელიმე დარგის ხელოვანი და ამის საკმაოდ საფუძველიც ჰქონდათ: ბოჩიას ხატვა ეხერხებოდა, მშვენივრად მღეროდა... მაგრამ ბოჩიამ რატომღაც პოლიტიკნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელება არჩია, მიუხედავად იმისა, რომ მათემატიკასა და ფიზიკაში მოიკოჭლებოდა. მისაღები გამოცდების დროს შეღავათი გაუწიეს: ცალკე სიით ჩაირიცხა, როგორც სპორტსმანი – IX-X-XI კლასებში მოზარდთა საფეხბურთო გუნდში ვარჯიშობდა და რამდენიმე ახალგაზრდულ ტურნირშიც გამოიჩინა თავი. შეეძლო, ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში იოლად მოხვედრილიყო: მომავალში მას ტარანის ტიპის აგრესიული, შედეგიანი ფორგარდის საკმაოდ წარმატებულ სპორტულ კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ...

\* \* \*

ნოემბრის დასაწყისია, საკმაოდ აცივდა, გადაბმული, გულის გამაწვრილებელი წვიმებიც დაიწყო.

ერთ საღამოს მინდია შინ მივიდა ბოჩიასთან.

– ბოჩო, გასაჭირი მაქვს, უნდა მიშველო! – შეეხვეწა მინდია.

– კი, ჭირიმე, შენ ოღონდ მიბრძანე! ვინმე ხომ არ გყავს გასაალახი? ოღონდ მერე პურ-ღვინო უნდა იკისრო!

– პიჯაკს ვერ მათხოვებ?

– კი, კაცო, თუ გინდა, ნიფხავსაც გათხოვებ! – გაეხუმრა მეგობარს ბოჩია. – შე ყვაგო, პიჯაკი არ გაქვს?

– ჰო, ხომ იცი, არ მაქვს... მხოლოდ ერთი საღამოსთვის მჭირდება.

– თუ პირველ პაემანზე მიდიხარ, მერეც დაგჭირდება, ან იქნებ უკვე ცოლს თხოულობ? ასე მოულოდნელად? მომილოცავს! ვინ გაგაბედნიერა?

– რა დროს ცოლია, თუ ძმა ხარ, დეკანატში დამიბარეს; დეკანმა მითხრა, ინსტიტუტის გუნდში უნდა იმღეროო...

– ჰო, შენ ხომ იადონის ხმა გაქვს, შე ყვაგო, უშენოდ გუნდი არაფრად ვარგა! ჩემთვის არაფერი უთქვამთ, რა სიმღერა აუტყდათ?

– რას გეტყოდნენ, სანახევროდ ინსტიტუტში არ დადიხარ... სახელდახელოდ შექმნეს ინსტიტუტის მომღერალთა ნაკრები გუნდი: ემზადებიან ოპერის თეატრში ოქტომბრის რევოლუციის მორიგი წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო საღამოში მონაწილეობის მისაღებად! ესენი იხეიმებენ, მე კი, თუ უარს ვიქნები, დეკანი სტიპენდიის მოხსნით დამემუქრა.

– მერე, შენგან რა უნდათ, რომელი საოპერო ხმა შენ გაქვს.

– სიმღერა კი მიყვარს, მაგრამ ხმა ნაღდად არ მომდევს... სასაცილო არ არის? შენ არ უნდა მონაწილეობდე და ჩემისთანა ყვაგის ჩხავილი მოუნდათ მაინცდამაინც... ვუთხარი დეკანატში, არასდროს მიმღერია, სმენაც არ მაქვს, საქმეს გაგიფუჭებთ-მეთქი, მაგრამ დეკანმა მითხრა, მაგას ნუ ნაღვლობ, შენ მხოლოდ პირი დაადე, ხმის ამოდებს არავინ გთხოვსო... გაგიგონია ასეთი რამე? ნაღდად დამცინიან!

– საკუთარ თავს დასცინიან... საერთოდ უთხარი უარი, ტყუილად რატომ გაწვალებენ? ცოცხალ ბუტაფორიად უნდა გაქციონ?

– უკვე მაქციეს, ორ რეპეტიციას დავესწარი. მე ტყუილად ვაღებ პირს და მათ კი ღონისძიების ჩატარებაში უნდა ჩაეთვალოთ... არადა, ცოტათი რომ თავი შეეწუხებინათ, სამ და ოთხ გუნდსაც შეადგენდნენ მართლა კარგი მომღერლებით.

– ამ მაიმუნობას მაინც გადავრჩი. იციან, ყალბაბანდი ვარ, ლექციებზე არ დავდივარ და მაგათ სულელურ რეპეტიციებზე მიმსვლელი ვარ?

– რამდენიმე თვეში მოასწარი და კარგად გააცანი თავი... შედეგის არ გეშინია?

– მაგათი სტიპენდია სულ ფეხებზე მკიდია, რაღაცა ფოკუსს მოგუწყობდი სცენაზე... კარგი, მოგცემ პიჯაკს, უნდა მოგერგოს, სიმაღლეში თითქმის ტოლები ვართ; მე ცოტა უფრო განიერი ვარ მხრებში, მაგრამ ეგ არაფერი... უკიდურეს შემთხვევაში, ბამბები ჩაიფინე მხრებში, მაინც არ მღერიხარ და არა უშავს, კიდევ ერთი ყალბაბანდობა ჩაიღინე!

– ოღონდ შეჭველად შავი ან, უკიდურეს შემთხვევაში, ძალიან მუქი ლურჯი პიჯაკი უნდა იყოსო... ნაღდი ყვაგების გუნდი იქნება.

– კი, კაცო, დარდი ნუ გაქვს, შავიც მაქვს და ლურჯიც. თუ სადმე ოფიციალტად გაგიშვებენ ან ცირკში – მასხარად, თხოვნა ნუ მოგერიდება – თეთრი პიჯაკიც მაქვს, მწვანეც, წითელყვითელიც და კუბოკრულიც!.. ჰო, კარგი, ნუ იბღუხები, გაგეხუმრე!.. შენს დეკანს უთხარი, ერთი აცვენილი ძმაკაცი მყავს, გუნდურ სიმღერებზე ჭკუა ეკეტება და ამ საზეიმო ღონისძიებას რომ არ დაეწვროს, გაგიჟდება და მისთვის ერთი მოსაწვევეი ბილეთი უსიკვდილოდ უნდა მომცეთ-თქო, პი-პი-პი!

– მაშინ იხითხითე, იანგერის საგამოცდო სესიაში რომ გაიჭედები და მეორე სემესტრში სტიპენდიას აღარ მოგცემენ!

– აი, დარდი!

– სტიპენდია რომ გქონდეს, გაწყენს?  
 – შენ ამას ნუ დარდობ, საკუთარ თავს მოუარე – გაზაფხულზე საფეხბურთო სეზონი დაიწყება და ინსტიტუტის ნაკრები გუნდის საუკეთესო თავდამსხმელს უსტიპენდიოდ დატოვებენ?

\* \* \*

გაზაფხულდა.

ბოჩია და მინდია საწვრთნელად ფეხბურთს თამაშობენ ინსტიტუტის სტადიონზე, სხვადასხვა გუნდებში არიან. ბოჩია ინსტიტუტის ნაკრები გუნდის თავდასხმაშია, მინდია მის წინააღმდეგ თამაშობს სატრანსპორტო ფაკულტეტის გუნდის დაცვაში. ბოჩია ჯანია, ტარანული ტიპის თავდასხმელი, თუმცა მშვენიერ ფინტებსაც ფლობს და მისი ზორბა ტანისთვის საკმაოდ სწრაფიცაა. ბოჩია ადვილად დაუსხლტება ხოლმე მინდიას, ორჯერ, ინდივიდუალური გარღვევების შემდეგ, გოლებიც გაიტანა მოწინააღმდეგე გუნდის კარში, მაგრამ საბოლოოდ ბოჩიას გუნდმა მაინც წააგო... საოცრება მოხდა: ინსტიტუტის ნაკრები გუნდი, კარგად ნავარჯიშევი, დამარცხდა ფაკულტეტის სახელდახელოდ შეკოწიწებულ გუნდთან...

გულდაწყვეტილმა ბოჩიამ თამაშის შემდეგ მინდიას შესჩივლა:

– ბიჭო, თქვენს გუნდში ერთი კაციც არ გყავთ, ჩემთან რომ კლასით ახლოს მაინც მოვიდეს... ორი ბურთი გავიტანე, მეტი რაღა მექნა, და მაინც წავაგეთ...

მინდიამ აუხსნა:

– ბოჩო, რატომ გიკვირს? ფეხბურთი კოლექტიური თამაშია, შენ, ერთი შეხედვით, კარგად კი თამაშობ, მაგრამ ბურთს ვერ ელევ, პასი არ გიყვარს... მარტომ გინდა, მთელ გუნდს აჯობო? ასეთი თამაშით შენი გუნდი ყოველთვის წააგებს!

ბოჩია საერთოდ ხშირად დასცინის ხოლმე მინდიას, ახლაც შეესუმრა მეგობარს (ბოჩიას წყენა მალე გადაუგლის ხოლმე და ამ წაგებას უკვე იმდენად აღარ განიცდის):

– ჰო, მინდიას ვენაცვალე, ფეხბურთში კარგად ერკვევი და ისიც გეტყობა, რეჟიმს მკაცრად რომ იცავ! დღეს რამდენჯერ მოგატყუე, შე ყვაგო? ჰო, ივარჯიშე, ივარჯიშე, მონაზონივით იცხოვრე, არც ღვინო-არაყს და ქალებს გაეკარო, დასაძინებლადაც ყოველთვის დროულად დაწე და შენგან დიდი ფეხბურთელი დადგება!..

– ანდაზისა არ იყოს, ჩემი ხნისა რომ ფეხბურთის სწავლას დაიწყებს, საიქიოს გამოადგება...

– კარგი რა, ნუ ჩამოუშვი ცხვირი, შენი დღევანდელი წარმატება არ უნდა აღვნიშნოთ? წამო, დაველიოთ! “გემოში” ნაცნობი ოფიციალტი მეგულებს, ნისიაზე თანახმა იქნება! ან გირაოდ საათს დაგუტოვებ...

– შენ, ძმაო, მთელი ცხოვრება ესე ნისიად გინდა, გაატარო...

\* \* \*

ბოჩიამ მეზობლებსა და ნაცნობ-მეგობრებს ამაყად ამცნო ოცნების აღსრულება: თბილისის “დინამოს” სახელგანთქმულ საფეხბურთო გუნდში ჩარიცხეს! მართალია, ჯერჯერობით დუბლშემადგენლობაში იასპარეზებს, მაგრამ ამ სეზონში თუ არა, მომავალში მაინც, აუცილებლად ძირითად შემადგენლობაში მოხვდება!

არქა, კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი! ეპოქალური მოვლენა: ბოჩიას გუნდს მორიგი თამაშის ჩატარება უწევს მოსკოვის “ტორპედოს” დუბლების შემადგენლობასთან და პირველად ითამაშებს “დინამოს” გუნდში ახლახან მიღებული ჯერ სრულიად ახალგაზრდა, თვრამეტი წლის ძალიან ნიჭიერი თავდამსხმელი ბოჩია კარგაჩავს! არ არის გამორიცხული: თუ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, რისი დიდი იმედიც ყველას აქვს, მეორე დღეს გუნდის ძირითად შემადგენლობაშიც ვიხილოთ, შეცვლაზე ცოტა ხნით მაინც გამოუშვებენ!

და აჰა, ამ შეხვედრის დღეც დადგა! საზეიმოდ განწყობილი მეზობელი მამაკაცები და ნაცნობ-მეგობრები დაიძრნენ სტადიონისკენ – შემდგომ შვილიშვილებთან სატრახახო ექნებათ: მომავალი საფეხბურთო ვარსკვლავის, ბოჩია კარგაჩავს, პირველი კაშკაშა გაბრწყინების დროს ბედნიერება ეწვიათ და ამ სასიხარულო მოვლენის უშუალო მხილველნი იყვნენ! დიდის ტაშისცემითა და შეძახილებითაც გაამხნევეს, იმ გამორჩეულ დღეს რა დაავიწყებთ!

როცა ჩვენი გუნდის წევრები მოედანზე მოსათელად გამოვიდნენ, ბოჩიას გამოჩენას გამამხნეველები შეძახილებითა და გამაყრუებელი სტვენით შეხვდნენ. მოუთმენლად ელოდნენ მარის დაწყებას და მოლოდინი გაუცრუვდათ – მოთამაშეთა შორის სადაა ბოჩია? სათადარიგოთა სკამზე ზის... მისი გულშემატკივარნი თავს ინუგეშებენ: ჯერჯერობით დამწყები მოთამაშეა, გამოცდილება აკლია და ალბათ შემდგომ, ვინმეს შესაცვლელად გამოუშვებენ მინდორზე... თუნდაც შეხვედრის მიწურულს, მცირე ხნით მოხდეს ეს ამბავი, დასაწყისისთვის ესეც ძალიან დიდი საქმეა! მომავალში უფრო დიდ წარმატებას ნელ-ნელა აუცილებლად მიაღწევს!

შეხვედრის ბოლოს, როცა თამაშის დამთავრებას მხოლოდ ათ წუთზე ნაკლები აკლდა და ანგარიში იყო 0 : 3 სტუმართა სასარგებლოდ, მწვრთნელმა ერთ-ერთი თავდამსხმელი შეცვალა

– მის მაგივრად ბოჩია გამოუშვა მოედანზე. ცხადია, ახალი მოთამაშე დარჩენილ მცირე დროში სასწაულს ვერ მოახდენდა და წაგება გარდუვალი იყო; უნდა მომხდარიყო ახალი ფორვარდის “საბრძოლო” ნათლობა და მისი შესაძლებლობების ნაწილობრივ მაინც წარმოჩენა, იქნებ “პრესტიჟის” გოლის შეგდებაც მოეხერხებინა მეტოქის კარში.

როცა ბოჩია გაკუნტრუშდა მოედანზე, ჰო-ჰო, რა ღრიანცელი ატყდა!.. მისი გულშემატკივრების გამამხნეველებმა სტვენამ და ტაშმა სტუმართა ფეხბურთელები შეაფიქრინა – ვილაც მათთვის უცნობი მაგარი მოთამაშე იქნებოდა და ბოჩიას მაშინვე საგანგებოდ პერსონალური მეურვე მიუჩინეს – ჯანიანი აყლაყულა, ცენტრალური მცველი. ეს ჯეელი სულ ლანდივით დასდევდა ბოჩიას, როგორც ამბობენ ხოლმე, ტკიპასავით მიეწება და ფეხი არ გაანძრევინა. მაჩისთვის განკუთვნილი დრო ისე მიიწურა, რომ ბოჩიამ მხოლოდ ერთხელ მიიღო ბურთი: მოახერხა და მეტოქის საჯარიმო მოედანში კარგად გაიხსნა, მშვენიერი პასიც დროულად მიაწოდეს, მაგრამ ბოჩიას მიერ მეტოქის კარისკენ დარტყმული ბურთი ხუთი მეტრით მაინც ასცდა მიზანს... ბოჩიას ძალიანხმევა მაყურებლებმა გამაყრუებელი სტვენით დააფასეს!

საფეხბურთო სეზონი ისე მიიწურა, რომ ბოჩიამ მხოლოდ რამდენჯერმე მიიღო გუნდის დუბლშემადგენლობის ოფიციალურ თამაშში მონაწილეობა, მაშინაც სხვა მოთამაშის შეცვლისას; თავის გამოჩენის შესაძლებლობა ვერც ერთხელ გამოიყენა და არც იყო გასაკვირი, რომ ერთთავად სათადარიგოთა სკამზე მოუწია ყურყუტი...

\* \* \*

ბოჩიას, როგორც ფეხბურთელს, ლიმიტით მსუბუქი ავტომანქანა გამოუყვეს – ახალთახალი “ვოლგა”!

დატრიალდა გვანჯი, შემნახველ სალაროში ჰქონდა გარკვეული თანხა დაგროვილი, მეზობლებში და მეგობრებ-ამხანაგებში საჭირო დანარჩენი თანხაც ისესხა და მაღაზიიდან ავტომობილი გამოიყვანეს – შვილს გულს ხომ არ დასწყვეტდა!

ბოჩიამ ორი თვე იგრიალა ზევით-ქვევით, მერე, ერთხელ დამით, ნასვამმა, მანქანა ქუჩაში ბოძს დააჯახა... ბოჩიას სერიოზულად არაფერი დაშავებია, მხოლოდ სახის დალილაგებით გადარჩა, გვერდით მჯდომმა ახალგაზრდა ქალბატონმა კი თავი გაიტეხა...

დამტვრეული მანქანის შესაკეთებლად კარგაჩაგების ოჯახს ფული არ ჰქონდა და ბოჩია იძულებული გახდა, იგი საკმაოდ იაფად გაეყიდა. მშობლებმა შვებით ამოისუნთქეს... ბოჩია იხტიბარს არ იტეხდა:

– მანქანა რად მინდა, მილიონი ძმაკაცი მყავს! როცა დაველე, არ შეიძლება, ვინმე ნაცნობი არ შემხედეს – შინ როგორ არ წამიყვანს!

\* \* \*

შემდეგი საფეხბურთო სეზონის დაწყების წინ, ადრე გაზაფხულზე, ბოჩიას კი დაუძახეს შეკრებაზე და გაგრაშიც წაიყვანეს საგარჯიშოდ, მაგრამ ერთი თვეც არ იყო გასული და სპორტული რეჟიმის დარღვევისთვის გუნდიდან დაითხოვეს: ერთ საღამოს რესტორანში გვარიანად დათვრა, ჩხუბში მოყვა და სხვებთან ერთად მილიციაშიც მიაბრძანეს.

მართალია, იქ გაირკვა, რომ მას ბრალი იმ ჩხუბში არ მიუძღოდა, მაგრამ ჩხრეკისას ჯიბეში პისტოლეტი აღმოუჩინეს... უამრავი ადამიანის, გულშემატკივარ-მეგობრის თუ ნათესავის, სირბილი, ტელეფონის ზარების წვიმა და ქრთამის მიცემაც გახდა საჭირო, რომ ბოჩია კარგაჩაგა პასუხისგებაში არ მიეცათ ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა-ტარებისთვის – ეს საქმე როგორღაც მიაფუჩიეს...

გუნდში ისედაც არ უყურებდნენ კარგი თვალთ, – უმიზეზოდ ვარჯიშებს ხშირად აცდენდა, – ეს ბოლო ინციდენტი კი აღარ აპატიეს და, ამგვარად, გუნდს გამოემშვედობა... ამით დამთავრდა დიდი იმედების მომცემი ახალგაზრდა ფეხბურთელის ბოჩია კარგაჩაგას კარიერა “დიდ” ფეხბურთში, რომელიც, თუ სიმართლეს გავუსწორებთ თვალს, წესიერად არც იყო დაწყებული.

ბოჩია მერე დროდადრო ხან ერთ პროვინციულ გუნდში გამოჩნდებოდა მცირე ხნით, ხან – მეორეში, მაგრამ ფეხი ვერსად მოიკიდა...

\* \* \*

სამშენებლო ფაკულტეტის წინ, პატარა ეზოში, სტუდენტი ბიჭები შესვენებაზე ორად არიან გაყოფილნი და ფეხბურთს თამაშობენ. ბოჩიას ჯგუფიდან ერთი შავტუნა, შავულვაშა, ბუჩქით ხშირი თმის ქვეშიდან დაბალი შუბლი რომ ძლივს მოუჩანს, მორგევით ქუთაისელი ბიჭი თამაშობს, მეტსახელად – ტუნა; ყველა იცნობს. ის და ბოჩია ბურთისთვის ბრძოლაში წაეჭიდაგნენ ერთმანეთს და ტუნა ასფალტზე წაიქცა. ტუნა ფიცხი ბუნებისაა, ფიცხლად წამოხტა ფეხზე, მივარდა “დამჩაგრავს”... ბოჩია ბოლიშის მაგვარს ბურტყუნებდა, რომ ამ დროს იგი გვერდზე გასწია ვილაცამ, ტუნას მოაშორა...

მინდია!..

გაფიცხებული ტუხა ახლა მინდიას მიეჭრა, რას ერჩები აქ, შენ ვისი ტიკი-ტომარა ხარო და, გაბრაზებულმა, ხელი ჰკრა; როცა მინდიამ უკან არ დაიხია, ტუხამ მუშტი მოუქნია, მაგრამ მინდიამ დარტყმა აიცილა და ერთი ისეთი სთხლიშა პირდაპირ ყბაში, რომ ტუხა მეორედ გაგორდა ასფალტზე.

– მინდი, აქ საიდან გაჩნდი? – გაკვირვებული იყო ბოჩია. – რას ერჩოდი ამ პატიოსან ადამიანს, ცოტას მოგეფერებოდა...

– აქ პატარა საქმე მქონდა...

გონს მოსული ტუხა ყბას ისრესდა და ჯგუფელებს ეკითხებოდა:

– ვინ არის ის ბიჭი, მოკრივეა?

ბოჩიამ კი მინდია იქაურობას გამოარჩა:

– შე ყვაფო, იცი, ვის დაარტყი?

– არ ვიცი, ის კი ვიცი, რომ დიდი მყრალი ვინმეა, თაფხედი. კარგა ხანს ვუყურებდი თამაშს, დიდი ჭინჭყელი ვილაცხა. ყველას ძალიან უხეშად ეპყრობოდა, შენ რამდენჯერმე კვანტი დაგიდო, რატომ არაფერს ეუბნებოდი? მერე კინაღამ მუშტიც გითავაზა...

– არა, კაცო, ჩემი ძმაკაცია! შე ყვაფო, ეგ ცნობილი მოჭიდავეა, ბაქარ ბარაქაშვილი! საქართველოს ნაკრები გუნდის წევრია კლასიკურ ჭიდაობაში...

– სულ ფეხებზე მკილია, ვინც არის; გინდაც გაველახე, მაინც დავარტყამდი!

– ვერ ხედავ, დათვივით არის, რომ დაეხეთქებინე ერთი გემრიელად იმ ასფალტზე, მერე სად მიდგოდი? ვერ აგაწყობდა ვერავინ!

– რომელმა ვინ დაახეთქა, ეგეც საკითხავია...

– ბიჭო, შენ რა შფოთის მოყვარული ყოფილხარ, აქამდე არ ვიცოდი! ტუხა უნდა გაგაცნო; კარგი ბიჭია, მაგრამ ეგ არის, რომ ცოტა ჭინჭყელი უყვარს, – შენ კარგად შენიშნე, – და თუ ვინმე არ მოეწონა, ეგრევე ყბაში მოსდებს, ნაღდი გიჟია! ამ სადამოს “ღარიალში” წავიდეთ, თუ გინდა, ჩემი ჯგუფის გოგოებსაც წამოვიყვან!

– არ მცალია, თან არც საქეიფო ფული მაქვს... ერთი გიჟი შენ ხარ, მეორეც – ეგ ყოფილა, გიუბოთან და გადარეულებოთან რა მინდა?

მინდიას უარი არ გაუვიდა. ბოჩიამ მინდია ტუხასთან შეარიგა და ერთი საათის შემდეგ სამივენი სუფრას უსხდნენ იაფფასიან სასადილოში – სადამოს აღარ დაუცადეს...

ტუხა თამადის – ბოჩიას – სადღეგრძელოს წარმოთქმას არ აცლიდა, ღვინოს ეგრევე დაისხმდა და დალევდა.

– შენს შესახებ ამბობენ, მაგარი მოჭიდავეაო და მაგარი მსმელიც ყოფილხარ! – უთხრა მინდიამ.

– ჩემნი მომავალი ძმაკაცობისა იყოს! – კიდევ ერთი ჭიქა შესვა ტუხამ და მინდიას მხარზე მეგობრულად მოუთათუნა ხელი. – შენ მაგარი დამრტყმელი ყოფილხარ! კრივზე დადიხარ?

– არა, სად მცალია, ლექციების შემდეგ ვმუშაობ... – უპასუხა მინდიამ. – ლექციების ან ლაბორატორიული სამუშაოების ხშირად გაცდენა მიხდება, რომლებიც შუადღის შემდეგ არის დანიშნული. ბოჩიას მამამ, გვანჯი ბიძიამ ერთ-ერთ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში საწყობის გამგედ მომავყო.

– ყოჩაღ, მაგარ მაყუთიან ადგილზე მოხვედრილხარ! – უთხრა ტუხამ.

– ჩემნაირებს ფულიან ადგილზე არავინ მიიღებს! ინსტიტუტის დირექტორი ვითომ გვანჯი ბიძიას სკოლისდროინდელი ამხანაგია, მაგრამ მაინც გამაწვალა – უკვე ორ თვეზე მეტ ხანს ვმუშაობდი და შტატში ჩარიცხვას მაინც აჭიანურებდა... სულ იქეთ-იქით სირბილში ვარ; ინსტიტუტში რომ გამიგონ, მუშაობა დავიწყე, სტიპენდიას მომიხსნიან, შესაძლოა, ინსტიტუტიდან საერთოდ გამრიცხონ, მაგრამ რა ვქნა.

– კრივში არასდროს გივარჯიშია?

– არა, მე უფრო მოტოსპორტით ვიყავი გატაცებული, მოტოკლუბშიც დავდიოდი, ახლა იმასაც შევეშვი...

– ცოლოა, შენისთანა ნიჭი დაიკარგოს! – მინდიას მხარზე ხელი ისევ დაარტყა ტუხამ. – სპორტსმანი თუ არ ხარ, დალიე, დალიე და შეგერგება!.. ახლა მე ვისვენებ და ჩემთვის შეიძლება. შეჯიბრებების დროსაც სადილის წინ ერთ-ორ ჭიქა შავ ღვინოს აუცილებლად მივირთმევე, ექიმმა ტონუსის ასაწევედ და საჭმლის მონელების გასაუმჯობესებლად დამინიშნა.

მინდიას უნდოდა ეპასუხა, რომ მოჭიდავისთვის არც ახლა არის დიდად სასარგებლო ამდენი ღვინოს სმაო, მაგრამ გადაიფიქრა: “ყველამ თავისი საქმისა თვითონ უკეთ იცის!”.

– ბოჩო, რა ჰქენი, საგნები რომ გქონდა დარჩენილი, ჩააბარე? – სხვა თემაზე გადააქვს საუბარი მინდიას.

– ერთი მაგ საგნების დედაც... ნიშნებს ეგრევე მიწერენ. ფეხბურთში არ მიმართლებს, იქნებ მეც რომელიმე სხვა სპორტს მოგვიდო ხელი.

– რაღა დროს შენთვის ჭიდაობის დაწყება ან სხვა რამე...

– კალათბურთის გუნდში მინდოდა, დამიწუნეს – მიძიმე ხარ და სიმაღლეც არ გყოფნისო... ამის დედა ვატირე, მეტი რაღა უნდათ: მეტრი და ოთხმოცდაოთხი მაქვს სიმაღლე! მერე მირჩიეს,

შტანგაზე იარეო... ერთი თვე ძლივს გაგველი, რეჟიმი და ყოველდღე ვარჯიში არაა ჩემი საქმე!.. თან მეუბნებიან, შტანგისთვის მეტისმეტად მაღალი ხარო... ფეხბურთის თამაში უფრო მიყვარს; ახლა ინსტიტუტის ნაკრებში კი ვთამაშობ ხანდახან, მაგრამ ვატყობ, არც იქ მახვირებენ... აქამდე კარგი ვიყავი, “დინამოშიც” კი მიმიწვიეს და ახლა მათთვისაც აღარ ვარგვივარ?

– ძალიან ნაწყენი ჩანხარ...

– არა უშავს, სხვაგანაც მეპატიუებიან, ერთ-ერთ რაიონულ გუნდში გადავად. იქ პატარა ხელფასიც მექნება და მეჩრე – გნახოთ...

– მონდომებით რომ მოკიდებოდი საქმეს, არც კალათბურთზე დაგიწუნებდნენ და სიმბიძეების აწვევაშიც ივარგებდი, – ეუბნება მინდია; იმის შეხსენებას კი ზედმეტად თვლის, რომ ბოჩიას მშვენიერი შესაძლებლობა ჰქონდა, კარგი ფეხბურთელი დამდგარიყო, მაგრამ მან ღვინო და დროსტარება ამჯობინა.

ბოჩია უცებ სხვა თემაზე გადაერთო:

– ბიჭო, შენს ჯგუფში კარგი გოგოები იქნება, გამაცანი!

– ეგ საქმე უფრო მოგწონს? – გაეცინა მინდიას. – შენს საკუთარ ჯგუფს მოუარე უკვე და ახლა ახალ ბაღში გინდა, ინადირო?

– არა, შე ყვაგო, ნუ გეშინია, შენს ჯგუფში თუ რომელიმე გოგო მოგწონს, პატიოსან სიტყვას გაძღვე, მე იმას ხელს არ ვახლებ, არც კი დავეღაპარებ! შენ ნუ გეშინია, არავის არაფერს ვეტყვი...

– რის უნდა მეშინოდეს? ან ვის რა უნდა უთხრა, რაც არც არაფერი არის?

– კარგი, ჰო, მართლა არ მოგწონს შენი ჯგუფელი არავინ? გამაცანი! მაინტერესებს...

– ვინ გაგაცნო, არარსებული ვინმე?

– კარგად გიცნობ, ვინც ხარ, ძალიან ამაყი ბრძანდები! ალბათ არის ასეთი ასული და შენ ვერაფრით უბედავ ორი სიტყვის თქმას... მე მინდა, შენი გულათამყრობელის, ჩემთვის უცნობი მშვენიერი გოგონას, სადღეგრძელო დავლიო! თუ გინდა, თუ მენდობი, შენს მაგივრად მე ავუხსნი, როგორ ძლიერ გიყვარს...

– ვითომ რატომ? ენაბლუ ვარ თუ ყრუ-მუნჯი?

– იმიტომ, ჭირიმე, რომ შენ სხვანაირი კაცი ხარ, მეტისმეტად მორიდებული... – ბოჩიამ გაიცინა: – მე ეგ პრობლემა არ მაწუხებს, შემოძლია, დღეში ხუთ ქალს ავუხსნა სიყვარული – ამაზე ადვილი არაფერია, მხოლოდ სიტყვების მოძებნა არ უნდა გაგიჭირდეს! პირველად არის ცოტა ძნელი, სანამ ერთ-ორ ქალს მოთაფლაგ, მეჩრე და მეჩრე გაიწაფები!

– მე გაწაფვა არ მჭირდება!

– გაწაფვა ყველა საქმეშია საჭირო! ფაფის ჭამაშიც! კოვზის დაჭერა თუ არ იცი, ძაღლივით მოგიწევს ერთ ათქველფა... ბოლო-ბოლო, არ მეტყვი, ვინ გიყვარს?

– კარგი რა, დამანებე თავი, სხვა სალაპარაკო მოძებნე...

– თუ არ გიყვარს, არც მოგწონს ვინმე? ეგ შეუძლებელია! – არ მოეშვა ბოჩია.

– ვიცი და არ გეუბნები? – არ ნებდებოდა მინდია. – ბოჩო, ჩემთან ერთად თითქმის სულ ბიჭები სწავლობენ, საერთოდ, მთელ ფაკულტეტზე გოგოები სანთლით საქებნელია.

– ბედნიერი კაცი ყოფილხარ, – გაეხუმრა მინდიას ბოჩია. – მოსვენებული ხარ! სამშენებლოზეც ცოტანი არიან.

– უნივერსიტეტში უნდა შესულიყავი...

ბოჩიამ მისთვისაც მოულოდნელი თავშეკავება გამოიჩინა და არ უთხრა მეგობარს: “გესუმრებოდი, მე ხომ ისედაც მშვენივრად ვიცი ყველაფერი – ბაიას სხვას ვერ ამჯობინებ, მაგრამ, რას იხამ – არაფერი გამოგდის, მას არ უნდებხარ...”.

\* \* \*

ბოჩია, – მხიარული, ენაწყლიანი, მოღხენის მოყვარული, – ქალების მუსუსი იყო. გარეგნობითაც ნამდვილად არ დაიწუნებოდა; მოწონებულ მანდილოსანს დიდი, ოდნავ გადმოკარკლული, თაფლისფერი თვალებით მომწუსხველად მიაჩერდებოდა და ლამაზი სიტყვების ნიაღვარში ძირავდა... ყველას ლამაზი ხმითაც ხიბლავდა – სუფრაზე მისი სიმღერის მოსმენას არაფერი სჯობდა. საოცარი სმენა და მუსიკალობა ჰქონდა, სულ სხვადასხვაგვარ სიმღერებს ერთნაირი წარმატებით მღეროდა – ხალხურსაც, საესტრადოსაც და საოპერო არიებსაც კი. საოცარი იყო: ამ ბრგე ტანში ასეთი ტკბილი ხმა, თანაც – ტენორი! – როგორ ბუდობდა?.. შინ ხომ ამო ხვეწნა-მუდართით დაიდალნენ, სხვანიც ბევრნი ურჩევდნენ – პოლიტექნიკურ ინსტიტუტში რა გინდა, შენი ადგილი კონსერვატორიაშიაო, მაგრამ ბოჩია ყველას აგდებულად პასუხობდა: “მოგცლიათ ერთი, ჩემი საქმისა მე ვიცი!”...

ბოჩიას ჯგუფში სულ რამდენიმე ქალიშვილი იყო, ყველანი – მეტ-ნაკლებად ლამაზები, და ბოჩია ყოველ მათგანს ეარშიყებოდა, მაგრამ ძალიან შორს არასდროს შეტოპავდა. მათგან სიტურფით და ჯიშინაობით გამორჩეული იყო დოდო ბუნქაძე – მაღალი, თითქმის ბოჩიას სიმაღლისა, ტანსრული, შავგვრემანი. სხვა გოგოებისგან სითამამითაც ღიდად განსხვავდებოდა: შემოტმანნილ კაბებს იცვამდა და გამომწვევად აბუკდა ბარაქიან მეკრდს; სისხლისფერ პომადას

ხმარობდა, რაც მის მარწვევის ტუნებს სრულებით არ სჭირდებოდა; სიგარეტს დაუფარავად ეწეოდა და კაცივით სვამდა – ღვინოს არა, მხოლოდ კონიაკს ან არაყს... შეძლებული ოჯახის შვილს, – მამამისი სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილე გახლდათ! – ყოველთვის ძვირფასი, უკანასკნელი მოდის მიხედვით, ტანსაცმელი ეცვა; საოცარია, ასეთი გავლენიანი მამის შვილს სამშენებლო ფაკულტეტზე რა უნდოდა?

ერთხელ, პირველ კურსზე ყოფნისას, ოქტომბრის დასაწყისში, ბოჩიას მთელი ჯგუფი ლექციების შემდეგ წავიდა კინოთეატრ “ამირანში” ახალი საზღვარგარეთული კინოფილმის სანახავად და ჩაბნელებულ დარბაზში გვერდზე მჯდომმა დოლომ მუხლი შეახო ბოჩიას მუხლს; ერთხანს ბოჩია გაყურებული იყო, მერე კი, თავის მხრივ, ხელი გაუბედავად მოჰკიდა მის ხელს და ფერება დაუწყო...

სურათის ნახვის შემდეგ დოლომ ბოჩია შინ წაიყვანა – ვაკეში, დიდ ბინაში, მას ცალკე ოთახი ჰქონდა...

მას შემდეგ კვირაში ორ-სამჯერ ბოჩია ღამეს დოლოსთან ათევდა. დოლო ბუნქაძე გახდა პირველი ქალი ბოჩიასთვის...

დოლომ ბაკურიანის ტურისტული ბაზის ორი საგზური იშოვა და ზამთრის არდადეგების დროს ბაკურიანში ის და ბოჩია ერთად წავიდნენ.

რამდენიმე დღემ კარგად ჩაიარა: დღისით თხილამურებით დასრიალობდნენ, საღამოს კლუბში ერთობოდნენ; ერთ საღამოს კი რესტორანში წავიდნენ და იქ დოლო უგონოდ დათვრა – ბოჩიამ ვერაფრით შეაჩერა.

დილით კი, უფრო სწორედ, უკვე შუადღევ იყო დამდგარი, ბოჩია საყვედურობდა გამოღვიძებულ დოლოს:

– იცი, გუშინ რა ლამაზი სანახავი იყავი? სულ მთლად გაითიშე, ორმა კაცმა ოთახამდე ძლივს მოგათრიეთ...

– მერე შენ რა? – გაღვიძებისთანავე, ჯერ კიდევ ლოგინში მწოლიარე დოლომ სიგარეტი გააბოლა.

– რაღაც ნაღდად არ მომწონს... თუ არყის სმა გინდოდა, ამას თბილისშიც მშვენივრად მოახერხებდი, ბაკურიანში რაღას მოვდიოდი?

– არ მოგწონს და კარგად იყავი!..

გაოგნებულ ბოჩიას ენა წაერთვა; როცა ცოტა გონს მოვიდა, მხოლოდ ამის თქმაღა მოახერხა:

– კარგი, ახლავე წავალ...

– გზა დამილოცნია, თბილისს მოკითხვა გადაეცი! მანამდე მანგოს წვენი მომაწოდე... არა, ჯობს, ერთი ჭიქა არაყი...

– არაყს გააჩერებდი შენ ოთახში?

– არ გვაქვს? არც კონიაკი? რას ბუზღუნებ, წადი და იშოვე!.. ფული ხელჩანთაშია.

ბოჩიამ არაფერი უპასუხა, საჩქაროდ წამოკრიფა თავისი ტანსაცმელი, ჩემოდანში ჩაყარა და ოთახიდან გავიდა. ერთი კი გაიფიქრა, ხომ არ დაერჩე, სხვა ოთახში გადავიდო, – ბაკურიანში რუსეთიდან ჩამოსული მშვენიერი ქერა ქალიშვილების ცვენა იყო, – მერე გადაწყვიტა, არ ღირს აქ ყოფნა, უკვე მომეშხამა გუნება, გემო აღარაფერს ექნებაო და ავტობუსის გაჩერებისკენ გასწია. ეს დღე მისთვის დათარსული გამოდგა: უხვად მოსული თოვლის გამო ავტობუსები არ დადიოდნენ და შუადღეზე გუგუული მატარებლით მოუწია ბორჯომში გამგზავრება.

მართალი რომ ითქვას, ბოჩია დოლოს ლოთობის გამო კი არ დაშორდა; ეს გარემოება თუმცა არასასიამოვნო იყო, მაგრამ დიდად არ ანაღვლებდა – მას ქალი სხვა მხრივაც აღარ მოსწონდა... დოლო თავნება გოგო იყო, ყოველთვის მის ნებას უნდა დაჰყოლოდი – წვრილმანშიც კი – და ეს გარემოება თვითონაც ჯიუტ ბოჩიას ძალიან აღიზიანებდა. ამასთანავე, თვითონ ბოჩიას დაღევა კი უყვარდა, მაგრამ თითქმის მხოლოდ ღვინის, ამასთანავე, მთვრალ ქალებს ვერ იტანდა. კიდევ ერთი, თუმცა ნაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი: დოლო ჯერ ოცი წლისაც არ იყო და ეტყობოდა, მინდამდე უკვე უამრავი კაცის ხელში გაველო...

არდადეგების შემდეგ ერთი კვირა ბოჩია დოლოს ვერ შეხვდა: ხან თვითონ აცდენდა ლექციებს, ხან – დოლო. შემდეგ ორშაბათს ბოჩიამ დოლო დაინახა – პირველი ლექციის დაწყების მოლოდინში ახალ, კაშკაშა წითელ, ძვირფას კაბაში გამოწყობილი ქალი დერეფნის ბოლოში, კუთხეში მარტოდმარტო მიმდგარი, სიგარეტს ეწეოდა; ასევე, ახალი, მბრწყინავი წითელი, წვრილქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვა. ბოჩიამ თვალი აარიდა. რამ მოიყვანა ასე ადრიანად? მის მოსვლას ხომ არ უცდიდა?

– გამარჯობა, ბოჩია! – შორიდანვე ისე მიესალმა დოლო, ვითომც ბაკურიანში მათ შორის ფრიად უსიამოვნო შელაპარაკება არ მომხდარაო, კეკლუცად გაუღიმა კიდევ – ლამაზად ჩაწიქწიკებულმა კბილებმა გამოანათა.

ბოჩია იძულებული გახდა, დოლოსთან მისულიყო, ხელი ჩამოართვა და დოლოს მიერ მიშვერილ ლოყახეც აკოცა, უფრო სწორედ, ტუნებით ოდნავ შეეხო, თუმცა ამის სურვილი სრულყოფით არ ჰქონია: “როგორც კატა თავგს, ისე მეთამაშებ...”



– ბიჭო, შენ რა ფხუიანი ყოფილხარ! – შესცინა დოღომ და კმაყოფილ სახეზე თეთრი კბილები ისევ ააელვარა. – რას მორბოდი, იცი, რა დრო გავატარე?

– რა ვიცი, ხელი აღარ შეგიშალე: შენ ალბათ უკვე შერჩეული გყავდა სხვა ვინმე! – განგებ გამომწვევი პასუხი გასცა ბოჩიამ, უნებურად გაიფიქრა: “რომ შეხვდავ, რა ლამაზია, ოხერი, ეს კახა ვისაც გინდა, შეაცდენს!”.

– მაშინ – არა, მერე – კი! – გულისანად გაიცინა დოღომ. – აბა, დროს ხომ არ გავაცდენდი, დროსტარებისთვის არ ვიყავი წასული? ჰი-ჰი-ჰი!..

“რა აცინებს, ნეტავი?”, – კიდევ უფრო მოიღუშა ბოჩია.

– ყველანი დროსტარებისთვის ვართ გაჩენილები, მერე, მერე რას აპირებ, ჭირიმე, როდისმე გათხოვება აღარ გინდა?

– მაგი შენ ნუ გადარდებს, ახლაც მთხოვნელების რიგი მიდგას!

– მერე?.. – კითხვა მხოლოდ მონიშნა მინდიათ, მაგრამ დოღომ მიუხვდა, ისევ გაიცინა:

– ქორწინების წინ ქალწულობის აღდგენას რა უნდა!

– რა ვიცი, მე ეგ პრობლემა ნაღდად არ მაწუხებს!.. ყველას ჩვენ ჩვენს გზაზე გაგვიმარჯოს! – ამის თქმალა მოახერხა დოღომს უტიფრობით გაოგნებულმა ბოჩიამ.

– შენ რას იკატუნებ თავს, ბიჭო, დიდი მამა აბრამის ბატკანი მყევხარ! – დაცინვით წარმოსთქვა დოღომს, სახეზე ღიმილი გაუქრა.

ამ დროს ლექციის დაწყების ზარიც გაისმა.

სალაპარაკო მეტი აღარაფერი ჰქონდათ. დოღომ სიგარეტი ურნაში ისროლა და, ბოჩიასთვის არც შეუხვდავს, დაუმშვიდობებლად, ტანის ამაყი რხევით, აუდიტორიისკენ გაემართა – ეტყობა, საუბრით უკმაყოფილო დარჩა; ბოჩიამ კი გულის გადასაყოლებლად სადმე წასვლა გადაწყვიტა.

ქუჩაში მიმავალმა, გაიფიქრა: “ჯერ უნივერსიტეტში ბაისთან მივალ, იქნებ კინოში წამომყვებს”...

\* \* \*

მინდიათ ხელფასიდან და სტიპენდიიდან ცოტ-ცოტა ფული გამოიზოგა და, როგორც იქნა, დიდი ხნის ოცნება აისრულა: მშობლების მხრივ წინააღმდეგობის მიუხედავად, ნახმარი მოტოციკლი შეიძინა, – ალბათ ათი კაცის ხელში გამოვლილი, მაგრამ ჯერ კიდევ ჯანზე მყოფი ამერიკული “ჰარლეი-დავიდსონი”, – შეძლებისდაგვარად შეაკეთა და ზევით-ქვევით გატაცებით დააბლუილებს! მხოლოდ გასართობად კი არ უყიდა, დროც ეზოგება: დილაადრიან სამსახურში უნდა მივიდეს, მერე, ერთ საათში, სამსახურიდან ინსტიტუტში უნდა გაიქცეს, შუადღეზე – ინსტიტუტიდან ისევ სამსახურში დაბრუნდეს... საღამოს კი – შინისკენ მოუსვას!

ეტყობა, რკინის რაშის შექმნით კი არ სურდა მეგობრებისგან გამორჩეულიყო, – მის ჯგუფში ორ ბიჭს საკუთარი მსუბუქი მანქანა ჰქონდა და ყოველ დილით დიდის ამბით მოგრი-აღდებოდნენ ფაკულტეტის შენობასთან და ამაყად გადმოვიდოდნენ მანქანიდან, – მათი სრულე-ბით არ შურდა: თავისთავად უყვარდა მოტოციკლით თავდავიწყებული ჯირითი! ხომ წყნარი ბიჭი იყო, თითქოს ძალიან მორცხვი და ერთგვარად ფლეგმატურიც კი, მოტოციკლით ქროლვამ წარმოაჩინა მისი დაფარული, ჭეშმარიტი არსი – თურმე მაღალი სიჩქარისა და თავგადასავლე-ბის ტრფიალიც იყო!..

შვილის ახირებით შეფიქრიანებული დედ-მამა მინდიას ეხვეწებოდნენ: “ყოველდღე ხიფათის მოლოდინით გული გვისკდება და გთხოვთ, მაგ დამთხვეულ ეშმაკის მანქანას შეეშვი! რამ გავაგიჟა, თუ მაინცდამაინც სიჩქარე გიტაცებს, ინსტიტუტს თავი დაანებე და ელმაგლის მემანქანეთა კურსებზე შედი”... მაგრამ მინდიას ისეთი ბედნიერება ეწვია, ახალშექმნილ მეგობარს – მოტოციკლს – როგორ შეეღვება! ბოჩია, ბაია, ნანული? ნუთუ ისინი არ იყვნენ მისი მეგობრები? იყვნენ და არც იყვნენ... გარდა ნანულისა! განსხვავებულად ექცეოდნენ, თითქოს მინდია მათ უფრო დაბალ საფეხურზე მდგომად მიაჩნდათ... თუ ბოჩიასა და ბაიას მისდამი ამგვარი დამოკიდებულე-ბა მისი ფანტაზიის ნაყოფია? არა, ბოჩიას მხრივ – ქცევაშიც მუდავნდება: ხან – მისი ძმაკაცია, ხან – არაფრად აგდებს. ბაია კი... საერთოდ ძალიან თავშეკავებული და გულცივი გოგო არის, მაგრამ მინდიას მიმართ მეტისმეტი მოსდის – საერთოდ ვერ ამჩნევს, თითქოს ის არც კი არსებობს... ეს არის ყველაზე დამთრგუნველი! თუ მინდიას ასე ეჩვენება? არა, შეყვარებული მინდია იმდენად მგრძობიარეა, ბაიას მხრივ მოპყრობის უფაქიზესი ნიუანსებიც არ გამოეპარება... მინდია მზად არის, მის მიმართ ბაიას ყოველგვარი ქცევა აიტანოს, ოღონდ ნუ იქნება გულგრილი... მინდიას ესამოვნებოდა თუნდაც ბაიას “მონად” ყოფნა, მისი ყოველი სურვილის, თუნდაც კაპრიზის შესრულება... აღმოაჩინა: თურმე არსებობს “მონობის” ბედნიერებაც!

არა, მინდიას საყვედური ბოჩიას მიმართ არ არის მთლად სამართლიანი, სულ უყურადღე-ბობას ვერ დასწამებს: მხოლოდ მამამისის ბიბლიოთეკით სარგებლობა რად ღირს, სხვა მხრი-ვაც ხშირად დახმარებია... აი, ახლაც – ბოჩიამ ნახმარი ტყავის ქურთუკი აჩუქა; მართალია, საკ-მაოდ გაქუცულია, მაგრამ მოტოციკლით ქროლვისას ტყავის ქურთუკს რა სჯობს, ქარისგანაც ხომ დაიცავს! მერე მინდიამ ნახა: გვერდზე, საკმაოდ დიდზე, ტყავი გამოხეული იყო, რომ დაუკ-

ვირდა, უფრო – გაჭრილი ჩანდა: შესაძლოა, ბოჩია რაღაცას წვეტიანს გამოედო... თუ ბებუთით იყო გასერილი? მინდიას არც ეს გაუგვირდებოდა: ბოჩია ბრეკია იყო, თავისი ძალ-ღონის იმედი ჰქონდა და ყველასთან ყოყლოჩინობდა.

\* \* \*

კინოფილმების სანახავად თითქმის ყოველთვის სამნი დადიოდნენ: ბოჩია, ბაია და ნანული. მინდია მეტიმეტად თავმოყვარე იყო და მათ იშვიათად შეუერთდებოდა: მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბილეთისა და ნაყინის ფული ჰქონდა, თანაც – ოთხივესთვისაც სამყოფი: გოგოებსაც და ბოჩიასაც ნაყინი ძალიან უყვარდათ. კინოთეატრის დარბაზში ნანული და ბოჩია ბევრს ლაპარაკობდნენ და იცინოდნენ, სენსის დროსაც კი; ხშირად მათ ბაიაც აუბამდა მხარს, მინდია კი უმეტესად ენაგადაყლაპულივით ჩუმად იჯდა, თითქოს სხვა ორბიტაზე გასული, მხოლოდ ცდილობდა, სიბნელეში შიგადაშიგ უჩუმრად შეეხედა ბაიას პროფილისთვის; ვერც რიგად ფილმის სანახავად კი არ მიჰყვებოდა მეგობრებს, რამდენადაც ბაიასთან ერთად ყოფნა სურდა... ხშირად უფიქრია: “რა კარგი იქნებოდა, მხოლოდ მე და ბაია წავსულიყავით კინოში...”, რამდენჯერმე ბაიას კინოში დაპატიჟების მიზნით ფულიც შეაგროვებდა, მაგრამ ქალიშვილისთვის თავისი განზრახვის გამხელა ვერც ერთხელ ვერ გაბედა.

ერთხელ კვირადღეს ბოჩიამ კინოთეატრში მხოლოდ მინდია წაიყვანა – ბაიასა და ნანულისთან ერთად ბოჩიას ის კინოფილმი უკვე ნანახი ჰქონდა: კინოთეატრ “ამირანში” რომელიღაც ამერიკულ ვესტერნს აჩვენებდნენ სახელგანთქმული მსახიობის მონაწილეობით. სალაროებთან ყოველდღე დილიდან საღამომდე უზარმაზარი რიგები იყო გაჭიმული, ბილეთის შოვნა ძალიან ჭირდა და ამჯერადაც ასე იყო. ბოჩია არ დაბნეულა – მაშინვე დაბაღ, ცუდლუტვალება, გაუპარსავ ახალგაზრდა გადამყიდველთან მივიდა:

- ბილეთები გაქვს?
- მაქვს, რამდენი გინდა? კარგი ადგილებია...
- ორი, რა ღირს?
- თითოს თუმანი უნდა.

– ასე ცოტა? მანახე! – ბოჩიამ გამოართვა ბილეთები, არც დაუხედავს, ისე ჩაიდო ჯიბეში და მათ სანაცვლოდ ორი მოკეცილი მანეთიანი ჩაუკუჭა ხელში: – მაღლობა!

ბიჭი გამოეკიდა, აყვირდა:

– ეს რა არის?

– ეგეც მეტია შენთვის! – შეუბღვირა ბოჩიამ, ახლოს მისულს მკერდი გაჰკრა და ბურთივით მოისროლა. – წადი, სანამ ლამაზი ხარ!

გადამყიდველი ბურტყუნ-ქადილით გაეცალა...

მინდიამ ბოჩიას უთხრა:

– ხომ შეიძლებოდა, დანა ჰქონებოდა და ცხელ გულზე ეხმარა?

– შე ყვაგო, დანა მეც კი მაქვს!

– შენ ვინა ყოფილხარ, კაცო! კინოში რომ მოგვაკითხოს ძმაკაცებთან ერთად? ან სენსის შემდეგ დაგიდარაჯდეს?

ბოჩიამ უდარდელად აიქნია ხელი:

– ერთი მაგის!..

მინდია ბოჩიას კინოსურათის სანახავად მაინც შეჰყვებოდა კინოდარბაზში – ამერიკული მძაფრსიუჟეტის ვესტერნის ნახვა დიდ-პატარას ძალიან უნდოდა! განსაკუთრებით – სასკოლო ასაკის ბიჭებსა და გოგონებში ფილმით გატაცებამ ლამის ეპიდემიის სახე მიიღო: ერთხელ ნახვას არ სჯერდებოდნენ, მრავალს კი ეს კინოფილმი ათზე მეტჯერაც ჰქონდა ნანახი, ლამის ზეპირად იცოდნენ.

იმ დღიდან შესამჩნევად შეიცვალა მინდიას დამოკიდებულება ბოჩიას მიმართ, სხვა თვალთ შეხედა... ვერ ვიტყვი, მისდამი პატივისცემა გაეზარდაო, უფრო – ერთგვარად საშიშროების მომტან, შარიან პიროვნებად მიიჩნია.

იმის მიუხედავად, რომ მინდია არ იყო ბოჩიასავით გულზვიადი, დასვენების დღეებში გოგოებს თავისი რკინის რაშით არ ასეირნებდა – ა-პა-პა! თუმცა, ბევრჯერ შეეხვეწნენ, მათ შორის – ნანული და საკუთარი დებიც, მინდია შეუვალი იყო. ერთ გამონაკლისს კი ნამდვილად დაუშვებდა: ბაიას სიხარულით შემოსვამდა უკან, მაგრამ ქალიშვილს ამგვარი თხოვნა არასდროს გამოუთქვამს...

### კარი III. უძო

მინდიას, ნანულისა და ბაიას ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა მოხდა: უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრეს! იწყება სულ სხვაგვარი ცხოვრების ეტაპი – დამოუკიდებელი

მოდგაწეობის დრო, რომელიც, წესისამებრ, უნდა გაგრძელდეს მრავალი ათეული წლის განმავლობაში, – სანამ ადამიანი სუნთქავს, სანამ აზრი აქვს ამ ქვეყანაზე არსებობას... სულ სხვა განწყობით, იმედებით, მოლოდინით აღსავსე დღეები დაიწყო.

ახალი ცხოვრების დასაწყისის დასაწყისი კი ასეთი იყო: ისინი განაწილებით სხვადასხვა დაწესებულებებში გაგზავნეს სამუშაოდ. გოგონებმა ზაფხულის ორი თვე გართობა-დასვენებას დაუთმეს და აი, სექტემბრის დადგომისთანვე, უკვე დამოუკიდებელ შრომით ფერხულშიც ჩაებნენ: ნაწილი შუშაბერიძემ – ერთ-ერთ საშუალო სკოლაში, ბიოლოგიის მასწავლებლად, ბაია ჭიჭეგორაძე მამამ თბილისის უნივერსიტეტში მოაწყო ფრანგული ენის კათედრაზე ლაბორანტად. მინდია ლელიჩაღაშვილს ერთი თვეც არ დაუსვენია, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტის სრული კურსის გაგლის დამადასტურებელი დიპლომი აიღო თუ არა, მაშინვე საგაგონო დეპოში რიგით ინჟინრად დაიწყო მუშაობა.

ჩვენს მიერ მოთხრობილი ამბის მეოთხე გმირმა, ბოჩია კარგაჩავამ, ამასობაში ჯერ მხოლოდ მესამე კურსის “დახურვა” შეძლო, თუმცა, ეს გარემოება მას, როგორც ჩანს, დიდად არ ანადგვლებდა...

ჭიჭეგორაძეებისა და შუშაბერიძეების ოჯახებში სულ უფრო ხშირად იმართებოდა ხანგრძლივი საუბრები, რომ უკვე დროა, იქნებ ოდნავ დაგვიანებულიც, ქალიშვილებმა, – ბაიამ და ნანულომ, – სერიოზულად იფიქრონ გათხოვების შესახებ, თორემ, თუ მეწყვილის გარეშე კიდევ რამდენიმე წელიწადი გაუფრინდებათ, შინაბერად დარჩენის სერიოზული შესაძლებლობა გაუჩნდებათ – არცთუ დიდად სახარბიელო...

ნაწილი გათხოვებას როგორ არ აპირებდა, ოღონდ – მხოლოდ სიყვარულით, თანაც მისი ტრფობის საგანი დიდი ხნის წინათ გამოიკვეთა – ბოჩია... ქალიშვილს რა უნდა ეღონა? მხოლოდ მოცდა თუ შეეძლო, მოთმინების გამოჩენა. რაც შეეხება ბაიას, იგი გულდასხურული, თანაც ამპარტავანი გოგო იყო, ვერ გაიგებდი, უყვარდა ან თუნდაც მოსწონდა თუ არა ვინმე; ერთხელ კი მეგობრებთან წარმოთქვა სიტყვები, რომლებმაც, როგორც შემდგომ აღმოჩნდა, გადამწყვეტი თუ არა, ფრიად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ოთხივე მეგობრის მომავალ ცხოვრებაში... რა გარემოებაში მოხდა ამ სიტყვების წარმოთქმა და რა შედეგები მოჰყვა შემდგომ ოთხივეს ბედისთვის, ქვემოთ მოგახსენებთ.

ოქტომბრის შუა რიცხვები იყო; რა ხანია, მობრძანდნენ და ერთმანეთს მიჰყვანენ თბილისური ოქროს შემოდგომის თბილი, უქარო, დამტკბარი დღეები. ნაირგვარი და ნაირფერი ხილით გაივსო ბაზრები; ჯერ კიდევ შილიფად ჩაცმული ხალხი, როგორც ზაფხულში, ცდილობდა, დასვენების დღეებში ქალაქგარეთ გასულიყო, დრო ბუნების წილში გაეტარებინა.

ნაწილი, ბაია, ბოჩია და მინდია შეთანხმდნენ, მცირე ექსკურსიაზე ერთად წასულიყვნენ და აი, კვირა დილით ყველანი უკვე ვაკის სასაფლაოსთან, ტროლეიბუსებისა და ავტობუსების ბოლო გაჩერებაზე იყვნენ; შემდეგ იქ წყნეთის ავტობუსში ჩასხდნენ და ქალაქგარეთ გავიდნენ: ჯერ – ზემო წყნეთში ავიდნენ, შემდეგ გადაწყვიტეს, გზა ფეხით გაეგრძელებინათ, კიდევ უფრო მაღლა ასულიყვნენ და პატარა მწვერვალი – უძო – “დაელაშქრათ”.

ავტობუსის ბოლო გაჩერებაზე ჩამოსული ჩვენი გმირები, მშვენიერი გუნება-განწყობილებით აღვსილნი, სერიოზობა-სერიოზობით შეუდგნენ აღმართს ასფალტიან გზატკეცილზე და მალე ზემო წყნეთის დასახლება ქვევით მოიტოვეს. მინდიამ ქალიშვილებს გამოართვა მათი ხელჩანთები, დინჯად მიუყვებოდა აღმართს და შემოდგომის ბუნების ფერადოვანი დღესასწაულით ტკებობდა, ბოჩია კი ვერ ისვენებდა და ქალიშვილებსაც არ ასვენებდა – მისგან გატკეულებს დასაჭერად დასდევდა და შეუხიციებდა: ხან ერთს ააჭყვირებდა, ხან – მეორეს...

მინდია არ ჩქარობდა და თანდათან დანარჩენებს საგრძნობლად ჩამორჩა. დროდადრო ჩერდებოდა, ბარჯს მიწაზე დებდა, გზიდან გადადიოდა და ქალაქის პარკში კრფდა ასკილს, შიგადაშიგ გემოსაც უსინჯავდა; არც შავ კუნელს და მწიფე, მაგრამ მაინც მწკლარტე კვინჩხს იწუნებდა; არცთუ მაღალ ჯაგმუხებიდან ჩამოცვენილ პრიალა რკოსაც აგროვებდა – რატომ, თვითონაც არ იცოდა, ალბათ გარეგნულად მოსწონდა; იქნებ ბავშვობის ის დრო ახსენდებოდა, როცა დებს ახარებდა: ძაფზე ასხმული რკოსგან მათ უბრალო მძივებს უკეთებდა.

მინდიამ ნება-ნება იარა და უძოს გორაკს მიაღწია, სადაც არცთუ ძველი, მცირე ეკლესიის ძირში მიმჯდარიყვნენ და მას ელოდნენ ნაწილი და ბოჩია, ბაია კი შორიანლო ბალახოვან, რუხად ფერშეცვლილ ფერდობზე შემოდგომის მოკრძალებულ, მაგრამ მაინც მშვენიერ, მინდვრის ყვავილებს ჰკრეფდა.

შეჩერებულმა მინდიამ ირგვლივ მიმოიხედა: ზევიდან ყოველი მხრივ დიდებული ხედი იშლებოდა, განსაკუთრებით მდინარეების – ვერესა და მტკვრის – ხეობები იზიდავდა მზერას; აღმოსავლეთით ქედის ზურგი ნელ-ნელა დაბლდებოდა და მის კიდეზე, მთაწმინდაზე, ამართული სატელევიზიო ანძის წვერი უძოზე დაბლა ჩანდა; ჩრდილოეთით, შორს – მაღლა აზიდული, ლურჯი, გაცრეცილი კავკასიონის ქედი გაწოლილიყო თეთრი მწვერვალების ქარაგნით.

მინდიამ და ნაწილიმ გამხმარ და საქონლისა და ადამიანების სიარულით დაბეკნილ ბალახზე გაშალეს გაზეთები (ეტყობოდა: ამ ადგილს ხშირად სტუმრობდნენ და აქ სუფრასაც შლიდნენ), ზედ დააწყვეს შინიდან წამოღებული სურსათ-სანოვაგე; ყველანი დასხდნენ და, მოშვივებულბმა, ენერგიულად აამუშავეს ყბები. მშვენიერი სუფრა გამოვიდა: ნაწილის დედამისმა ქვა-

ბით ბლომად ტოლმა, ორი მრგვალი პური და ერთი წველა სულგუნი გამოატანა; ბაიამ ლამაზად გაფორმებული, მადის აღმძვრელი შოკოლადის ტორტი ამოიღო მუყაოს კოლოფიდან – ეტყობა, მაღაზიაში იყო ნაყიდი; მინდამ კი ყველა გააკვირვა – მოწული კალათიდან ამოაღა: ორი წაგრძელებული თონის პური, ოთხი ხაჭაპური, მოხარშული და შემდეგ შემწვარ-შევიწინებული მოზრდილი დედალი, ნახევარკილოიანი შუშის ქილით – კომბოსტოს მწნილი, ბლომად თითქმის ბოლომდე დამწიფებული საგვიანო პომიდორი, სამი ბოთლი ხუთი ნომერი ღვინო, ორ-ორი ბოთლი ლიმონათი და “ბორჯომი”; არც ჭიქების, თეფშების, პატარა ქილით ტყემლის საწებალასა და ასანთის კოლოფით მარილის წამოღებაც დავიწყებია. მხოლოდ ბოჩია წამოსულიყო ცარიელ-ტარიელი...

– ასეც ვიცოდი, მინდი ყველას გვაჯობებდა! – წამოიძახა ნანულიმ. – ნაღდი ოჯახის კაცი დადგება! არა, უკვე ხარ!

– მე კი არა, შენ! – უპასუხა მინდიამ. – აი, მეოჯახე ქალი! ყოჩაღ! როგორ დატრიალდა და სუფრა ხელდახელ გააწყო!

მინდიამ იგრძნო, რომ ირიბად ბაიას გაკიცხვაც გამოუვიდა, რომელიც იჯდა და ნანულის საქმიანობას მოწმესავით უყურებდა; როგორ მოეხერხებინა წარმოქმნილი უხერხულობის გაფანტვა, ვეღარ მოისაზრა და საკუთარ თავზე გაბრაზდა...

– საქორწილო სუფრაა! – განარბებულმა, სიამოვნებით მოიფშენიბა ხელები ბოჩიამ. – მინდი, აბა, ერთი ჩამოსახსი! ეკლესიის ძირში ვზივართ, გაუქმებული რომ არ იყოს, ორი წყვილი ქე ვართ და ბარემ მღვდელს ჯვარსაც დავაწვინებდით!

– რა უწინო ხუმრობა იცი! – უსაყვედურა ბაიამ.

– რა იყო, აღუა გგონია თავი? – უპასუხა ბოჩიამ, თან მინდიას მიერ მიწოდებული ჭიქა სულმოუთქმელად გამოსცალა. – იფ, ამის დამწურავს გაუმარჯოს!

– ბიჭო, რა სულსწრაფი ხარ, ჯერ სადღეგრძელო გეთქვა! – ბოჩიას უთხრა მინდიამ. – თუ გწყურია, ლიმონათი დაგეღია...

– ხომ ვთქვი, დამწურავს გაუმარჯოს-მეთქი!

ბოჩიამ ამჯერად საკუთარ ჭიქაში თვითონ დაისხა ღვინო ბოთლიდან და შემდეგი სადღეგრძელოც მაშინვე მიაყოლა:

– გაგვიმარჯოს, ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს! ამ ადგილს და აქ ამომსვლელებს გაუმარჯოს! ჩვენი სადღეგრძელო კიდევ ბევრჯერ დაგველიოს, სანამ ჩვენ სანთელივით დავიღვევით! – და ისევ სულმოუთქმელად ბოლომდე გამოსცალა ჭიქა.

– სად გეჩქარება, ამდენი სადღეგრძელო რომ ერთად დაახვავე! – უთხრა ბოჩიამ.

– ყოჩაღ, კარგად ჩაგიცივებია, გათბობა ვერ მოასწრო! – უპასუხა ბოჩიამ და, ვითომ ხუმრობით, განაგრძო: – მე სად უნდა მეჩქარებოდეს, შენ კი, ჩემო ბოჩო, უნდა გისაყვედურო: ოთხი ბოთლი მაინც უნდა წამოგედო, თითო-თითო ბოთლს დავიდგამდით წინ და შენ აღარ შეგეშინდებოდა, მე ნაკლები ღვინო შემხვდებო...

მინდიას უნდოდა ეპასუხა: ”თუ გინდა, მე მხოლოდ ლიმონათს დაგვლე, ჩემი წილი ღვინოც შენთვის დამითმიაო”, მაგრამ თავი შეიკავა.

ძალიან ესიამოვნათ ღია ცის ქვეშ ყველაფერის მირთმევა; ისედაც, აღმართში ნასიარულებნი, მადას არ უჩიოდნენ და მსუყე, გრილი ჰაერიც კიდევ უფრო ხელს უწყობდათ. კარგა ხანსაც ისხდნენ, თითქმის საღამომდე და ამ სიმაღლიდან გადასახედის ხილვით არ იღლებოდნენ: აღმოსავლეთით, ქვაბულში, უზარმაზარ რუხ გველეშაპად ქალაქი გაწოლილიყო, მისი მძლავრი სუნთქვა – ყრუ გუგუნი – აქამდე აღწევდა. ჩრდილოეთით, შორს, შორს, პორიზონტთან, კავკასიონის ლურჯი, დინოზავრივით გაწოლილი მთაგრეხილი იტაცებდა მზეერას, – საღამოსპირს გამოკვეთილი, თავთეთრი მწვერვალების ძეწკვით დამშვენებული... შეგებლო, უსასრულოდ გეცქირა, მზეერა არ იღლებოდა ამ შევნიერების ხილვით.

– შეხედე, მყინვარწვერი! – წამოიძახა მინდიამ, – თითქოს აქვეა, სულ ახლოს!

მართლაც, უღრუბლო, ლურჯი ცის ფონზე გასაოცრად ლამაზად მოჩანდა მაღლა აზიდული მყინვარწვერის სპეტაკი შუბლი, დასავლეთისკენ საკმაოდ გადახრილი, უკვე დაღლილი მზის სხივებით გაბრწყინებული.

თავიდან ეგონათ, ამდენ დახვავებულ სანოვაგეს ვერ მოევერეთო, მაგრამ, რაც კი წამოღებულნი ჰქონდათ, ყველაფერი ბოლომდე მიირთვეს; ის კი არა, რამე რომ კიდევ შეუჭმელი დარჩენილიყო, სანაქებო მადით გამორჩეული ბოჩია იმასაც მოუღებდა ბოლოს.

გოგოები უფრო ლიმონათს სვამდნენ, მხოლოდ თითო ჭიქა ღვინო გამოწურეს, დანარჩენი ბიჭებმა დალიეს; მინდია, ბოჩიასგან განსხვავებით, სანახევროდ ივსებდა ჭიქას და იმასაც ბოლომდე არ სვამდა. ბოლო სადღეგრძელო ბოჩიამ ჩვენს ტურფა ქვეყანას უძღვნა – მის თვალწარმტაც მთა-ბარს, ლამაზ და პურღვინიან, სტუმართმოყვარე ხალხს... ჩვენს მშვენიერ სუფრას, ჩვენს მშვენიერ ქალებს, ჩვენს მშვენიერ სიმღერებს...

– მართლა ყველაფერი მშვენიერია, რა მშვენიერი დღეა! ბოჩო, იმდერე რა! – შეხვეწა ნანული.

– რა უნდა ვიმდერო?

– რაც გინდა! რაიმე... ბევრი მშვენიერი სიმღერა იცი.

- არა, არა... ახლა ხმა არ მივარგა...
- კარგი რა, ბორო, ძალიან გთხოვ... - არ ეშვებოდა ნანული და გვერდით მიუჯდა. - ოპერის სცენაზე კი არ დგახარ! ჩვენ გვიმღერე!
- არ მინდა...
- რატომ, უგიტაროდ ვერ შეძლებ? ნეტავ გიტარა წამოგვედო.
- მეტი საქმე არ მაქვს, გიტარა მეთრია! ჩემი ლეშიც ძლივს ამოვათრიე, - ბოჩია მიწაზე გაწვა და თვალები მიღუღა.
- მაშინ ბურთი მაინც წამოგვედო, აქ გაბერავდი და ვითამაშებდით! - დაცინვით მიმართა ბოჩიას ბაიამ. - ფეხბურთელ კაცს ეგ როგორ დაგაგიწყდა?
- ამ გორაზე? - ნანული ვერ მიუხვდა ბაიას ხუმრობას. - ერთს დაარტყამდი გემრიელად და თბილისამდე გაფრინდებოდა... ბორო, ძალიან გთხოვ, ერთი სიმღერა მაინც იმღერე, რა! ჩვენი ერთი ბეწო პატივისცემა თუ გაქვს...
- დამანებე რა თავი! - ბოჩიას თვალები არ გაუხელია.
- მაშინ მე ვიმღერებ! - წამოიძახა ნანულიმ.
- რას ინახები, დიდი პრიმადონა მყევხარ! - ბოჩიას მკვახელ მიმართა ბაიამ - არ მოეწონა მისი თავპატივი.
- შენ რა გინდა? - გაუბრაზდა ბოჩია, წამოჯდა. - ხოში მაქვს და არ ვიმღერებ! ჩემი ნება არ არის? ვაჰ, ძალაზე ხართ?
- შენი ნება არის, ყველა ფეხებზე დაგვიკიდო? - ისევ უტევდა ბაია.
- დაანებე თავი, იქნებ მართლა არ შეუძლია... - ბოჩიას იცავდა ნანული.
- ჭირვეული ბავშვივით მიზეზობს, ვერ ხედავ? - ახლა ნანულის მიუბრუნდა ბაია. - დღეს გაიცანი? რომც დაურქო, ხათრს მაინც არ გაგიწევს...
- მე კი არა, თქვენ ჭინჭყლობთ, თქვენ არ დაიწყეთ? - გაბრაზება არ უცხრებოდა ბოჩიას და ფეხზეც კი წამოხტა.
- ჩვენ რა გვაქვს საჭინჭყლო? - უპასუხა ბაიამ.
- რა და გათხოვება გინდათ და ვერ ისვენებთ! - დაცინვით წამოიძახა ბოჩიამ.
- ჰო?... - გაბრაზდა ბაია. - გაუთხოვრები დაფრჩებით და შენისთანა უხიავს თავს არ გაუყადრებთ!
- ამ სიტყვიერ შესვლა-შემოხლაში აქამდე ჩუმად მყოფი მინდიაც ჩაერთო:
- რა ბაზრის ქალივით წაეკიდე გოგოებს! - უსაყვედურა ბოჩიას.
- ჰო, ესენი თავს ვერ დაიცავენ, შე ყვაგო, კარგი ადვოკატი გამოუჩნდი! - უკმაყოფილოდ უპასუხა ბოჩიამ. - ვერ ხედავ, ბაის ენა სამართებელივით აქვს! მე ვიცი, რამაც ააცუნცრუკათ... ვერ მიხვდი?.. ხომ იცით, სიტყვა “უძო” რასაც ნიშნავს? “უძეო”, უშვილო... ხედავთ? ბუჩქის ტოტებზე ფოთლებზე მეტი ფერად-ფერადი ნაჭრებია გამოსკვნილი, - აქ, ამ სამლოცველოსთან, ამოდინ ქალები და შესთხოვენ, ღმერთო, შვილი მოგვეციო... ბარემ ახლავე დაიჭირეთ თადარიგი, თქვენც მიაბით რამე და ჩაუთქვით... სწავლა-განათლება მოათავეთ, რაღას უცდით, როდის თხოვდებით? ამორჩეული გყავთ უკვე საქმროები? - ბოჩიას შეკითხვაში დაცინვა აშკარად იგრძნობოდა, ბაიასა და ნანულის შორის ჩაჯდა.
- ბიჭო, რა ენად გაიკრიფე, - გოგოების ნაცვლად უპასუხა მინდიამ. - დაანებე თავი, ჩვენს გოგოებს გათხოვება არ გაუჭირდებათ.
- აგერ ვნახავთ, ჯერჯერობით მათი გულისთვის თავს არავინ იკლავს! - ენამწარობას არ იშლიდა ბოჩია. - ნეტა ვინ იქნებ ის ბედნიერი, ვისაც ბაი თავს გაუყადრებს!
- შენ რა გადარდებს? ვინც პირველი მაკოცებს, იმის ვიქნები! - მოულოდნელად წამოიძახა ბაიამ.
- ყოჩად, ყოჩად, გაუმარჯოს, ვინც პირველი გაკოცებს! - ბოჩია ვითომ ძალიან მთვრალი იყო, ბაიასკენ გადაიხრა და საკოცნელად ხელებით წაეპოტინა, მაგრამ გოგო მარდად დაუსხლტა და ფეხზე წამოხტა:
- გაგიხმა ხელები!
- შენ კი გენაცვალე! - ბოჩია ხითხითით ახლა მეორე გვერდზე გადაიხარა - ნანულისკენ; ნანულიმ ვითომ გაქცევა სცადა, მაგრამ უსწორმასწორო ნიადგზე წაფორხილდა და ბალახებზე წაიქცა. ბოჩია წაქცეულს ზევიდან მიეჭრა, მკლავებში წვდა, პირადმა გადმოატრიალა და ჯერ ერთ ლოყაზე აკოცა, მერე - მეორეზე, ისევ და ისევ, ბოლოს - ხანგრძლივად დაეწაფა მოფართხალე ქალის ტუჩებს...
- ნანული გაყურდა, ბაია კი ზურგიდან ფიცხლად ეცა ბოჩიას, ნანულისგან მის აგლეჯას ამოდ ცდილობდა. ბაია რომ ვერაფერს გახდა, ბოჩიას ზურგში პატარა მუშტები დაუშინა. მოულოდნელად ბოჩია ნანულის შეეშვა, ამოტრიალდა, ცქვიტად წამოხტა და გაქცეულ ბაიას დაედევნა. ხან აკივლებული, ხან აკისკისებული ბაია გარბოდა, თუმცა შორს ვერ გაექცა: ნავარჯიშევი ფეხბურთელი ადვილად წამოეწია, მკლავებში მოიქცია, ჩაბლუჯა, თავისკენ მოატრიალა და ტუჩებში კოცნას ცდილობდა... ბაია უძალიანდებოდა, სახეს არიდებდა, მაგრამ ღონიერ ბოჩიასთან რას გახდებოდა. ბოლოს, ბოჩიამ კოცნა არ აკმარა, ქალიშვილის ქვედა ტუჩი პირში მოიქცია და არაფრით უშვებდა...

ნანულიმ დრო იხელთა და იქვე ნაპოვნი მსხვილი ჯოხი რამდენჯერმე ისე გამეტებით სდრუხა მოძალადე ბიჭს ბეჭებში, რომ ტკივილისგან სიმწრით პირდაღმეტილი ბოჩია აიძულა, ბაიასთვის ხელი გაეშვა...

მინდია ამ სცენის გათამაშებისას ისევ სუფრასთან იჯდა, ამ ორომტრიალს, ერთი შეხედვით, გულგრილად უყურებდა და იღიმებოდა, მაგრამ რაღაც უნიათოდ – ამ ღიმილში ნაღველი მეტი იყო. ისე გრძობდა თავს, თითქოს აქ ზედმეტი იყო, მხოლოდ ხელს უშლიდა მეგობრების სრულ სილაღეს... უნდოდა, მისი განწყობა დანარჩენთათვის შეუმჩნეველი დარჩენილიყო, – დაღვრემილი სახე არ ჰქონოდა, – მაგრამ არ გამოუდიოდა და ამიტომ ცდილობდა, მათკენ არ გაეხედა, თუმცა, ამასაც ვერ ახერხებდა...

როგორც იქნა, ნანული, ბაია და ბოჩია, – აქოშინებულნი, ბრძოლით გაოფლიანებულნი, დაღლილ-გამოსავათებულნი, – დაშოშმინდნენ, სუფრასთან დაბრუნდნენ და მინდიას მიუსხდნენ გვერდით. არა, მინდიასთან მხოლოდ ბოჩია დაჯდა; ნანული და ბაია ჯერ სუფრასთან დასხდნენ, მერე კი – მათგან ცოტა მოშორებით გადაინაცვლეს, გაბუტულბეჭებით ცალ-ცალკე...

საუბარი მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ დაიწყო, როცა ბოჩიამ სიცილით თქვა:

– რა გეგონათ, ჩემგან გაქცევას მოახერხებდით? – და ხუმრობით წამოიწია, ვითომ ისევ აპირებდა მათ დაჭერას.

მას იმ წამსვე უპასუხა ბაიამ:

– ჩვენზე ძლიერი თუ ხარ, ასე უნდა გვაწვალო? ალბათ გსიამოვნებს!

– სრულებითაც არ გაწვალებთ, ვერთობით! აბა, რისთვის წამოვედით? აქ რა უნდა ვაკეთოთ? მინდიასავით მუდოსავით უნდა ვისხდეთ და ხმაც არ ამოვიდოთ?..

– ჰო, შენ თუკი კარგ ხასიათზე ხარ, როცა გთხოვდით, გვიმღერეო, მაშინ რატომ აიფოფრე? – უტყვედა ბაია.

– ვიმღეროთ! – ბაიას სიტყვებს აინუნშიც არ აგდებდა ბოჩია და მაღალი ხმით სიმღერით შემოსძახა: – “ღვინოვ კახურო, ვარ შენი მსმელი!”... მინდი, ღვინო სულ აღარ დარჩა? – მოულოდნელად ბოთლებს სათითოდ დაუწყო გასინჯვა და, გაბრაზებულმა, რომ ბოლო ბოთლმაც იმედი გაუცრუა, შორს მოისროლა.

მინდიას უნდოდა, ეთქვა, ნეტავ მართლა არ წამოვსულიყავი, შენ განსაკუთრებული ნიჭი გაქვს, ჩააშხამო ყველას დროსტარებო, მაგრამ ხმა არ ამოუდია. ბოჩიას გოგოებმაც არაფერი უპასუხეს; მინდიას ამან უფრო ატკინა გული, ვიდრე ბოჩიას სიტყვებმა, რომლებითაც იგი უცხვირპიროდ მოიხსენია... წამიერად ისიც კი გაიფიქრა: “ახლა ავღებები და ვიტყვი: თუ ჩემისთანა მუდოს თქვენთან ყოფნა ხელს გიშლით, საერთოდ წავალ, აბა, ჰე, კარგად გართობას გისურვებთ!”.

მეტი არაფერი თქმულა; მინდია მიწოდან წამოდგა: “ცოტას გავივლი, არემარეს დაგათვალიერებო”, – და მართლაც წავიდა.

ნანულიმ და ბაიამ სუფრის ალაგება, ჭურჭლის კალათში ჩაწყობა დაიწყეს; ბოჩიას მათი მიხმარება არც უფიქრია – გამხმარ ბალახზე პირადმა წამოწვა და თვალები მილულა, ცოტა ხანში წაუძინა კიდევ.

როცა მინდია ნახევარ საათში დაბრუნდა, გოგოები მის მოსვლას უცდიდნენ; ბოჩია გაადვიძეს და ყველანი წასასვლელად მზად იყვნენ.

– გოგოებო, ხომ იცით, მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ დედამიწა მრგვალია; მოდით, სხვა გზით დავბრუნდეთ შინ! – შესთავაზა ბაიასა და ნანულის ბოჩიამ. – ფეხით წავიდეთ მთაწმინდის პარკამდე და იქიდან ჩავიდეთ ქალაქში – ფუნქიკულიორით ან საბაგირო გზით!

ბაია და ნანული მაშინვე დაეთანხმნენ ბოჩიას; მინდიას არაფერი უთქვამს: თავს შეურაცხყოფილად გრძობდა – მას არაფერს ეკითხებოდნენ, თითქოს არც იმყოფებოდა იქ. როცა ადგილიდან დაიძრნენ, ბოლო წავიდა, ხელში თავისი კალათი ეჭირა, რომელშიც ცარიელი ბოთლები და გასარეცხი თევშები ეწყო...

გზად გახალისებული, ახალი ძალ-ღონით ადვსილი ბოჩია ისევ არ ისვენებდა, თითქოს ვეღარ იოკებდა თავის აწყვეტას; ხან ერთ გაქცეულ გოგოს გაეკიდებოდა, აკივლებულს მოიგდებდა მკლავებში და ჰკოცნიდა; მერე – მეორეს გამოენთებოდა... უფრო ტანსრული ნანული ვერ გარბოდა ბაიასავით მკვირცხლად, ცოტას გაირბენდა, გულამოვარდნილი ჩაჯდებდა და ბოჩიას ადვილად უვარდებოდა ხელთ, – იქნებ ნებითაც, – მაგრამ ბოჩია უფრო ხშირად სწორედ ბაიას დაჭერის ჟინით იყო შეპყრობილი, რომელსაც ისე ადვილად ვერ ეწეოდა...

მინდიას საოცრად აღიზიანებდა მათი გაუთავებელი ღლაბუცის ყურება – გულისამრევად ეჩვენებოდა; ნელ-ნელა მათ ჩამორჩა, მერე გაჩერდა, სანამ წინ წასულები საკმაოდ მანძილით არ დაშორდნენ და მალე თვალსაც მიეფარნენ – მიხვეულ-მოხვეული გზა მიწის უსწორმასწორო ზედაპირს მიუყვებოდა.

მინდია მიწაზე დაჯდა. შინაგანად აფორიაქებული, ერთხანს უაზროდ დასჩერებოდა ფეხებთან რუსად გადახმარ ბალახს, მერე წამოწვა და კარგა ხანს იყო ასე – ზურგზე მწოლიარე, უდრუბლო ლურჯ ცას მიჩერებული... ოდონდ სულ სხვა რამეს ხედავდა: ახლახანს მის თვალწინ გათამაშებულ სურათს... და, ამასთანავე, ყურშიც ჩაესმოდა ბოჩიას თავხედური, კმაყოფილი სი-

ცილი, ხან – ბაიას, ხან – ნანულის წიკვინი და გოგოების წყველა, რომლებიც გულწრფელი არ ეჩვენებოდა.

თვალეები დახუჭა და თანდათან წარსულის სურათებიც ამოტივტივდნენ მესხიერების მორევიდან...

ბოჩია ბავშვობაშიც ბოლოქანქალასავით მოუსვენარი იყო, კლასში ცუდლუტობით გამოირჩეოდა; გაკვეთილზეც სულ წრიალებდა, აქეთ-იქით იხედებოდა, რაიმე გასართობს ეძებდა და, ძალზე ხშირად, პოულობდა კიდეც. შესვენების დროსაც ვერ ისვენებდა: უყვარდა საკუთარი ღონის წარმოჩენა და მკლავის გადაწევაში ბიჭებთან შეჯიბრი იტაცებდა; თანატოლებში თავიდანვე მოსული ტანით გამოირჩეოდა და ამიტომ მასთან პაექრობას თითქმის ვერაფერს ბედავდა (თუ იშვიათად ვინმე გამოჩნდებოდა, უფრო ხშირად ეს მინდია იყო) და მაშინ თანაკლასელებს ძალად ეჭიდავებოდა – ბიჭებსაც და გოგოებსაც, ერთნაირად...

საოცარი ის იყო, რომ, მეცხრე კლასიდან მოყოლებული, გამხდარი მინდიას დაპარდებული მკლავის გადაწევაში ბოჩია სულ უფრო ხშირად მარცხდებოდა ხოლმე და ამას ძნელად ეგუებოდა: თავიდან, როცა პირველად იწვინა დამარცხება, მეტისმეტად გაკვირვებული დარჩა და, დღეში რამდენჯერმე, ჟინიანად იწვევდა მინდიას საპაექროდ; მერე და მერე კი, როცა შეატყო, მის ძალისხმევას მისთვის სასურველი შედეგი სულ უფრო ნაკლებად მოჰქონდა, – თითქმის სულ აგებდა! – საერთოდ შეწყვიტა ვინმეს გამოწვევა ხელის გადასაწევად – მხოლოდ მინდიასი კი არა, საერთოდ ყველასი...

ბოჩიამ იცოდა, რომ მინდია ყოველ თავისუფალ წუთს თავდაუზოგავად ვარჯიშობდა, თვითონაც რამდენჯერმე ინტენსიურად დაიწყო ვარჯიში, ზოგჯერ – მინდიასთან ერთადაც, მაგრამ მოთმინება მხოლოდ დიდი-დიდი ერთ-ორ კვირას თუ ჰყოფნიდა... თან – სიგარეტის მოწევაც დაიწყო... მინდია შეუპოვარი იყო: მიზნის მისაღწევად დროს არ ჰკარგავდა – სკოლაში შესვენებების დროსაც კი მერხებს შორის დადებოდა, მერხებს ხელებით დაეყრდნობოდა, ფეხებს მოხრიდა, ასწევდა და მკლავებით აჭიმვაში ვარჯიშობდა. თავიდან თუ მხოლოდ რამდენჯერმე აჭიმვას ახერხებდა, მერე და მერე ათჯერაც აიწია, ოცჯერაც, ორმოცდაათჯერაც და ასზე მეტჯერაც! დროდადრო ბიჭები ეჯიბრებოდნენ, – მათ შორის, სხვა კლასებიდანაც, – და მათგან ყველაზე ღონიერებსაც მინდია ყოველთვის დიდად სჯობდა. ბოჩია ღონიერი კი იყო, მაგრამ მინდიას ამგვარ აჭიმვაში მხოლოდ ორ-სამჯერ შეეჯიბრა, მიხვდა, მინდიასთან ახლოსაც ვერ მივიდოდა და შემდგომ არასდროს უცდია მისი გამოწვევა.

მინდია შინ ყოველდღე დილა-სადამოს სიმძიმეების აწევაშიც ვარჯიშობდა; მერე სკოლაში ისწავლა მერხებს შორის ყირის აჭიმვა... შესვენებების დროს იატაკზეც გაჭიმავდა ყირას, ბიჭების შემავალიანებელი შეძახილების თანხლებით, ხელებით გაივლიდა ხოლმე გზას ოთახის მთელ სიგრძეზე – საკლასო დაფიდან მოპირდაპირე კედლამდე... ფიზიკულტურის მასწავლებელმა შეამჩნია მინდიას მონდომება და უნარი, უნდოდა, მას ტანვარჯიშში სერიოზულად ევარჯიშა და ერთხანს საგანგებოდ ცალკე ამეცადინებდა კიდეც – სპორტულ სკოლაში ჩასარიცხად, მაგრამ როცა მინდიამ მოულოდნელად სწრაფად იწყო სიმაღლეში გაზრდა, ნახევარ წელიწადში დიდად აიწოწა, ამ განზრახვაზე ხელის აღება მოუხდა.

ადრეც აღვნიშნე: რა თქმა უნდა, სკოლაში სწავლისას, მინდიაც, როგორც ყველა ბიჭი, დროდადრო წაიჭიდავებდა ხოლმე, მაგრამ გოგოებთან – იშვიათად, ისიც – მხოლოდ ხუმრობით... ბაიასთან – არასოდეს! მასთან ახლოს მისვლაც კი ერიდებოდა...

მინდიამ თვალეები გაახილა და მოგონებების ბურანიდან ამოყვინთა. გვერდით ძეძვის ბუჩქს გახედა – რაღაც ერთი ბეწო ნაცრისფერი ჩიტი, ბელურაზე მომცრო, ალბათ – ჭინჭრაქა, ჟივთვებდა და დახტოდა თითქმის ბოლომდე ფოთოლგამარცვულ, ეკლიან, ხშირ ტოტებში... იქ ხომ არ ბუდობს? არა, ახლა რა დროს ბარტყების გამოჩენა... მაინც არ შეიხედავს, მყუდროებას არ დაურღვევს; ამ ბუჩქსაც განერიდება, ისევე, როგორც მეგობრებს გაშორდა, არ უნდოდა, ისინი შეეწუსებინა დაღვრემილი სახითა და ხაზგასმული სიჩუმით, თუმცა მის სიჩუმეს მიჩვეულნი იყვნენ... ვერც ვერაფრით ჩაერთვებოდა მათ უშნო ღლაბუცსა და მტლამამტლუშში, არ შეეძლო ამის ყურებაც კი – ეჯავრებოდა ამგვარი რამ და თავს ძალას ვერ დაატანდა... თან ბრაზობდა საკუთარ თავზე, რომ ბუნებამ მსახიობობის ნიჭით არ დააჯილდოვა... იმაზეც ბრაზობდა, რომ დანარჩენებისგან გამოირიყა, მაგრამ ეს ხომ თავისთავად მოხდა, საკუთარ ბუნებას ვერ უღალატებდა. ისედაც ძნელად უახლოვდება ახალგაზრდობილ ადამიანებს, ახლა ბავშვობის მეგობრებსაც ხომ არ მოიძულეებს? კაცმა რომ თქვას, რა მოხდა ისეთი, რატომ იფურტანის ტყუილად ნერვებს? იქნებ არც არის მათი ბრალი მისი უგუნებობა, ვერაფერს უსაყვედურებს, ალბათ თვითონ ბუნებით არის ასეთი მართლა მუდო, სულ ტყუილად წარმოიდგენს ყველაფერს მუქ ფერებში, გართულებულად... იქნებ ჩვეულებრივი შური არ ასვენებს და უღრღნის გულ-მუცელს? არასდროს არავისი არაფერი შურდა: არც გარეგნობა, არც – სიმდიდრე თუ კარგი ბინა... იმათიც კი არ შურდა, ვისაც მეტი საშუალება ჰქონდა, წიგნები ეყიდა და იმათიც კი, ვინც მოტოციკლით დაჰქროდა!.. ყოველთვის იმითაც კმაყოფილი იყო, რაც ჰქონდა, მაგრამ ახლა სულ სხვა გარემოება შეიქმნა, მის სულ სხვა სურვილებსა და გრძნობებს შეეხნენ და უხეშად შელახეს; იქნებ ამან ქვეცნობიერად, მისი ნების გარეშე, გაუცნობიერებლად მართლაც წარმოშვა მასში შურის გრძნობა... შეშურდა, რომ მას არ შეუძლია, იგივე მოიმოქმედოს, რასაც სხვა სრულიად დაუძაბა-

ვად, თავისუფლად აკეთებს, – თუნდაც გოგოებთან ურთიერთობაში, – თვითონ განსხვავებული ბუნებისა არის... თუ მასში შურის გრძობა ქვეცნობიერად წარმოიშვა, მაშ, თვითონ რატომ მსჯელობს ასე დალაგებულად და გააზრებულად ყოველივე ამის შესახებ?

ოთხი მეგობრიდან დღეობებს ყოველწლიურად მხოლოდ ბაია იხდიდა; მინდია მას ერთხელაც არ მიუწვევია... ბოჩია და მისი მშობლები ხშირად დადიოდნენ ოპერაში და თან თითქმის ყოველთვის მიჰყავდათ ხოლმე ბაიაც. ერთხელ, როცა მეგობრები უკვე სკოლის დამამთავრებელ კლასში სწავლობდნენ, მინდიაც მოხვდა მათთან ერთად ოპერაში. გვანჯი და ციციხოველი ვეღარ ახერხებდნენ ოპერაში წასვლას, – ბოლო წუთს რაღაც გადაუდებელი საქმე გამოუჩნდათ, – და მათ მაგივრად ბოჩიამ ნანული და მინდია დაჰპატიჟა. აუჰ, რა ფაციფუცი ატყდა ლელიჩაღაშვილების ოჯახში! რა უნდა ჩაეცვა მინდიას? შესაფერისი ტანსაცმელი ვერაფერი მოძებნეს... მინდიამ ბოჩიას უთხრა, სამწუხაროდ, ვერ წამოვალ, შარვალ-კოსტიუმი არ მაქვსო, არც მამაჩემს აქვს, იმისი რომ ჩამეცვაო... მაშინ ბოჩიამ ათხოვა თავისი პიჯაკი, პალტოს მაგივრად კი მინდიას მოუწია მამამისის რკინიგზელის ძველი შინელი ჩაეცვა, რომლითაც ჩვეულებრივ დადიოდა სკოლაში... როგორ უხერხულად გრძობდა თავს, როცა ანტრაქტში გამოეფინა გაკაშკაშებულ ფოიეში ბრწყინვალედ ჩაცმული საზოგადოება, რამდენი ლამაზი ქალიშვილი ნახა! როცა შესთავაზეს, ბუფეტში წასვლაზე უარი თქვა და მეორე ანტრაქტში კი საერთოდ დარბაზში დარჩა... მუსიკის დიდი სიყვარული ჰქონდა, მაგრამ მშვენიერი წარმოდგენის ხილვისა და მოსმენისგან მიღებული სიამოვნება უხერხულობის გრძობამ მნიშვნელოვანწილად გააფერქვართალა... რამდენიმე წლის შემდეგ მინდიამ ხელმეორედ ინათხოვრა პიჯაკი ბოჩიასგან და ისევ ოპერაში წასასვლელად, ოღონდ ამჯერად – თვითონ იღვა სცენაზე! და პირს შოშის ბარტყივით აღებდა, ოღონდ, სხვებისგან განსხვავებით, – არ მღეროდა... და ამჯერადაც უხერხულობის გრძობით იყო შეპყრობილი...

ბოჩია თავიდანვე – სულ გარიყული იყო! ახლაც... ვისი ბრალია? ალბათ – მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავისა... მაგრამ მეგობრებმა რატომღა მიატოვეს? ყველამ... რატომ არ მოუცადეს? იქნებ ფეხი იღრძო ან საჭმელმა აწყინა და ცუდად გახდა, ან, ხომ შესაძლებელია, თუნდაც მაწანწალა ძაღლმა დაკბინოს?..

რა იქნება შემდეგ? უკან ხომ არ მიბრუნდეს? წყნეთში ჩავიდეს და იქიდან დაბრუნდეს შინ? მათი დანახვაც კი ალბათ უნდა... არ ეგონა, თუ, ბაიას მიმართ მაინც, ასეთი სიძულვილი წარმოეშობოდა... ამბობენ, სიძულვილი ცუდი გრძობაა, სულგრძელ ადამიანს არ შეჰყვრისო... არასდროს ასეთი რამ არ მოსვლია – არავის მიმართ... ახლა რაღა დაემართა?.. არა, ამ გრძობას სიძულვილს ვერ უწოდებს, უფრო – გაბრაზება, ყველაზე უფრო – საკუთარ თავზე... საკუთარ უსუსურობაზე, სისუსტეზე... ქალების მეტი რაა ქვეყანაზე – ბაიაზე ლამაზიც, ჭკვიანიც... აბა, რატომ არის, რომ ახლაც სულ მისი სახე უდგას თვალწინ?.. როგორ კისკისებდა, როცა ბოჩია მოხვევდა ხელს და საკოცნელად მიიზიდავდა... ბოჩიას ბრალიც არ არის... არც – ბაიასი... ბაიას რას ერჩი: მინდია ახლოსაც ვერ მივა ბოჩიასთან – ვერაფრით, ვერაფრით... მინდიაზე ბევრად შესაფერი – სილამაზეს დაუწუნებ თუ ხასიათით არ სჯობს მინდიას? მშვენიერი სიტყვა-პასუხი, ყველასთან ადვილად აბამს ურთიერთობებს... მარტო ბოჩიას სიმღერაა საკმარისი, რომ გადარიოს ნებისმიერი ქალი... ქალს მეტი რა უნდა?..

არა, არც მთლად სწორია მისი ფიქრები, ზოგი რამით ალბათ ბოჩიას არაფრით ჩამოუვარდება, თუ უკეთესი არ არის... ბაია სულელი ხომ არ არის, ბოჩიას როგორ ენდობა? ბოჩია ცოლად ითხოვს ბაიას? არა ჰგონია... ბოჩია საერთოდ როდისმე თუ ითხოვს ცოლს, ესეც საკითხავია... კი, შეხედავ – ვაჟკაცია, თვალს რომ ახარებს, ისეთი: ლამაზი, ზორბა, ღონიერი, თამამი, თავხედიც კი, მაგრამ აქვს კი ძალა? ის ძალა, ის მოთმინება, რომელიც სჭირდება ოჯახის შექმნას და გაძლვლას, ათასი ჭირ-გარამის დაძლევის... აქვს ბოჩიას ამგვარი სიძლიერე?.. ალბათ – არა... ხვდება ამას ბაია? მაგრამ რატომ ჰგონია, რომ თვითონ ის, მინდია, ამ მხრივ ბოჩიაზე უკეთესია?

ასე დაბორიანობდა მისი ურთიერთსაწინააღმდეგო ფიქრები მტანჯველი წარმოსახვების დახლართულ ლაბირინთებში, სანამ სიგრილემ ზეზე არ წამოაგდო და, დასვენებულმა და ერთგვარად დაწყნარებულმა, სწრაფი ნაბიჯით განაგრძო გზა.

დანარჩენებს უკვე პარკში მიაგნო – საბავირო გზის ზედა სადგურთან ელოდნენ, მხიარულად მასლაათობდნენ.

– სად დაიკარგე, კაცო, ვინმე გოგომ ხომ არ მოგიტაცა, შე ყვაგო?? – სიცილით შეეგება ბოჩია, გოგოებმაც გაიციინეს.

“ამათთვის მართლა ყვაგი ვარ... თეთრი ყვაგი... ნეტავ არ მოეცადათ”, – გაიფიქრა მინდიამ; ბოჩიას არაფერი უპასუხა, უნდოდა კი ეყვირა: “თუ იცით, ყველანი რა საზიზღრები ხართ!”, თუმცა, იცოდა, ამგვარი რამის დაყვირება კი არა, გაფიქრებაც კი ცუდი იყო...

მინდიას გულში რაღაც სტიკოდა და პატარა ბავშვივით ტირილი მოუნდა. მათ გვერდით ჩუმად იდგა და, ქვის მალალ პარაპეტს იდაყვებით დაყრდნობილი, უსმენდა მეგობრების ხალისიან და უდარდელ ჟღერტულს, მაგრამ თითქოს ცალკე იყო, სხვა სამყაროში არსებობდა... უევირდა და, ამავე დროს, უხაროდა კიდევ, რომ მის მდგომარეობას ვერ ამჩნევდნენ – თითქოს ერ-



თვეარ სიამოვნებასაც ანიჭებდა ტანჯულის მდგომარეობის განცდა, მარტოსულად ყოფნა... ვინ-მეს რომ მასთან ახლა მასლაათი გაება, კიდევ უფრო დიდ ტკივილს მიაყენებდა.

როგორც ადრე, ახლაც ცდილობდა, მეგობრებს არ შეემჩნიათ მისი განწყობა – გულგრი-ლი სახით იდგა და ვითომ ქვევით, მტკვრის ხეობაში ლაღად ფრთაგაშლილი თბილისის ჭვრეტით იყო გართული. ბაია, ნანული და ბოჩია კი მშვენიერ გუნებაზე იყვნენ, ჩვეულებრივ სიტყვაძვირი ბაიაც კი იყო ჩართული მხიარულ საუბარში და ყველანი არც მინდიას აქცევდნენ ყურადღებას და არც – ქვევით, მტკვრის ხეობაში წაგრძელებული ქალაქის მართლაც თვალწარ-მტაც ხედს...

#### კარი IV. ბაკურიანი

იანვრის საგამოცდლო სესიის დამთავრებიდან ერთი კვირის შემდეგ მინდიას ბოჩიამ შინ მია-კითხა და შესთავაზა:

– მინდი, ბაკურიანში არ გინდა წამოსვლა?

– ბაკურიანში არასდროს ვყოფილვარ...

– ბიჭო, ტუხი დაგეცა: ორი საგზური ვიშოვე, პროფკავშირებში იაფად გაეშანსე. წამოდი! ნახევარ ფასშია!

– რა მინდა ბაკურიანში, ჩემს მეტი ვერაფერ ნახე?

– მე და ჩემი ძმაცაი გუშინ ვაპირებდით წასვლას, მაგრამ იმას ორი საგანი ღარჩა ჩასა-ბარებელი...

– შენ არ ღარჩა?

– ერთი იმისი ღეღაც... წავიდეთ!

– თხილამურებზე ჯერ არასდროს ვმდგარვარ...

– ბიჭო, მოტოციკლისტი არ ხარ? თხილამურებით სრიალის სწავლა შენთვის არაფერია! იქ უცებ ისწავლი! მე გასწავლი!

– თხილამურები რომ არ მაქვს?

– იქ იქირავებ, გამქირავებელი პუნქტია. ფეხსაცმელებს ჩემსას მოგცემ, სამი სეზონი ვიხმა-რე, მაგრამ მაინც კარგია, ჯერ ვარგა.

– შენ?

– მე ახალი ვიშოვე.

– სამსახური? ხომ იცი, რომ გმუშაობ...

– უხელფასო შეგებულება აიდე! ათი დღით რომ გამოგიშვან, არ დაიქცევა ქვეყანა. კარგი, კაცო, ნუ აჯანჯლებ, გადაწყვიტე, მოდიხარ თუ არა?

– რა ვიცი...

– კარგი, ჰო, ნუ გააჭირე საქმე, რა მადამ პომპადურით ინახები! შენც მეორე ნანული გა-მომიჩნდი.

– ნანული ბაკურიანშია?

– ჰო, ბაიმ ძლივს დაიყოლია, გუშინ წავიდნენ. ჩვენც სწორედ კარგ დროს მივალთ, მაგარი თოვლი მოსულა.

ბაია ბაკურიანში ყოფილა!

მინდიამ მეორე დღესვე გააფორმა შეგებულება და გვიან საღამოს ის და ბოჩია უკვე ვალეს მატარებელში ისხდნენ, მერე კი, ადრე დღით, ბორჯომ-ბაკურიანის გუგულ-მატარებელში გა-დასხდნენ. ბოჩიას, ჩანთასთან ერთად, შეფუთული გრძელი საგანი მოჰქონდა თან.

– ეგ რა არის? მძიმე ჩანს, მაგის სათრევად მოიცალებ? – ჰკითხა მინდიამ.

– თხილამურებია. ბაკურიანში ყოველ წელს დავდივარ და იქ თხილამურების დაქირავებას საკუთარის წადება სჯობს. ავსტრიული “ტიროლია”, იქ ასეთს ვინ მოგაშავებს! ძვირი კია, მაგ-რამ ამის ფასი უკვე ამოვიდე და ახლა მუქთად მასრიალებს.

– შენ ყველაფერი მუქთა გიყვარს!

– აბა რა, შე ყვაფო! ბევრი დააჭყეტს თვალებს, “ტიროლით” რომ გავივლი კონტაგორისკენ!

– მთავარი თხილამურები კი არ არის, არამედ – მისი პატრონი როგორ დასრიალებს...

– ხომ წამოხვედი და არ დაგწყვეტ გულს – მაგასაც განახვებ!

\* \* \*

ბიჭების ბაკურიანში ჩამოსვლიდან მეორე დღეს ტურისტული ბაზიდან ოთხივენი დილიდან-ვე შენობიდან გადათეთრებულ მინდორში გამოვიდნენ – ასეთ მშვენიერ მზიან ამინდში ღამით მოსული ფაფუკი თოვლით დაფარულ არე-მიდამოში გავლა ერთ რამედ ღირს! თუკი თხილამუ-რებითაც შეიარაღებული ხარ, სხვა სიამოვნებაც წინ გეღის!.. მართალია, ბოჩიამ მაშინვე გა-ნაცხადა, რომ სხვებთან ერთად არ იქნებოდა – კონტაგორიდან უნდა ჩამოვსრიალდეო – და შუა

გზაზე მიატოვა ბაია და ნანული... მინდიას გოგოებთან დარჩენა უნდოდა, რომელი მთის არწივი მე ვარ, რომ კოხტაგორიდან გადმოვფრინდეთ, მაგრამ ბოჩიამ თითქმის ძალათი წაიყვანა – ხომ დაგპირდი და აუცილებლად უნდა განახო, როგორ დავეშვები მთიდანო; გოგოებსაც ეპატივებოდა, მაგრამ ისინი წასვლაზე ვერ დაიყოლია.

ბაია თითქმის ყოველ წელს, იანვარში ან თებერვალში, დედამისთან ერთად ბაკურიანს სტუმრობდა და თხილამურებზე გვარინად დასრიალებდა. მართალია, ბოჩიასავით კოხტაგორიდან ჩამოსვლას ვერ ბედავდა, მაგრამ პატარა გორაკებიდან ჩამოსრიალება არ უჭირდა. ნანული მხოლოდ სხვათა თხილამურებით სრიალის ყურებით კმაყოფილდებოდა.

თუმცა არ ჰყინავდა და მზეც ჩახჩახებდა, მაგრამ ერთ ადგილზე დიდხანს დგომისგან თბილად ჩაცმულ ნანულის მაინც შესცივდა, ფეხებს აბაკუნებდა და მერე, გასახურებლად, აქეთ-იქით სიარულიც დაიწყო, მოსწყინდა კიდევ...

– ბაი, გავიყინე, წავიდეთ რა! – დაუძახა ბაიას. – არ მოგშივდა?

– ჯერ ადრეა, ბიჭებს მოეუცადოთ... – ბაია ნანულისთან მივიდა და შეაგულიანა: – ეგერ თითის ტოლა ბაღლები როგორ ქარივით დაჰქრინან, თუ გინდა, ჩემს თხილამურებს გათხოვებ, შენც ისწავლე თხილამურებით სრიალი!

პუტკუნა და ოდნავ მოუხეშავი ნანული ფრთხილობს (ბაკურიანში ყოფნის სულ ორიოდ დღეში საკმაოდ ნახა: რამდენი დაშავებული მოთხილამურე მოჰყავდათ სწორედ ასეთი ფერდობებიდან ტურისტულ ბაზაში, ზოგიერთი კი – საავადმყოფოშიც წაიყვანეს!):

– რომ დავმტვრე? არა, არა, შენ ისრიალე, მე გიყურებ...

– დაცემა აუცილებელი კი არ არის... თუ ასე გეშინია, ცივით მაინც ჩამოსრიალი! შეხედე, სამი-ოთხი წლის ბავშვები როგორ ციგაობენ! შეხედე, შეხედე! – არ ეშვება ბაია.

– ბაი, მაინც მეშინია! რომ გადმოვვარდე?

– მაშინ ერთად დაგვჯდეთ, მე – წინ, ციგას მიმართულებას მივცემ, შენ – ჩემს უკან; ხელე-ბით მაგრად მომჭიდვები!.. გოგო, ერთხელ მაინც არ უნდა სცადო?

– ჰო, კარგო... ციგა რომ არ გვაქვს?.. ვინათხოვრო?

– ცოტა დიდი ციგა მოიტანე.

როცა ნანულიმ ციგა მოათრია, სწორედ ამ დროს გამოჩნდა ბოჩია: ამ სიცივეში – გაოფ-ლილი, მხარზე თხილამურებადებული; მასთან ერთად მოვიდა მინდიაც.

– მოთხილამურეებს გაუმარჯოს! ათჯერ ჩამოგსრიალდი კოხტიდან, ათჯერ! – ტრახახობს ბოჩია. – აგერ მინდიც დამემოწმება! ხომ მაგარი ვარ!

– მიკვირს, როგორ არ ბეზრდება: ადის საბაგიროთი – ჩამოსრიალდება, ადის – ჩამოსრი-აღდება, ისევე ადის... – ამბობს მინდია.

– ნადი ყვავი ხარ, შე ყვავო! ერთხელ რომ ჩამოხვალ და მუღამს გაუგებ, შენც ჩემსავით იქნები! – პასუხობს ბოჩია.

– გიჟი კი არ ვარ!

– სინჯე და თუ არ ვიქნები მართალი...

– ასი წლის შემდეგ!

– არა, კაცო, ახლა უნდა ისწავლო! ბაკურიანში ხარ, თოვლიც არის, მეტი რაღა გინდა?

– რაღა დროს ჩემი სწავლაა...

– მეტჯერაც მინდოდა ასვლა, მაგრამ საბაგიროს ფული გამითავდა. უჰ, დავიდალე, ტურბა-ზაში ფეხით დაბრუნება მოგვიწევს.

– მე მაქვს ფული, მარხილით დავბრუნდეთ, – შესთავაზა ბაიამ.

– სადილს მაინც ვერ მივუსწრებთ, – თქვა ნანულიმ. – მომშივდა!

– არა უშავს, ცოტა წონაში დაკლება მოგიხდება კიდევ, – ეუბნება ბაია.

– მეც მგელივით მომშივდა, პირველი რომელი შეგჭამოთ? – ბოჩიამ თხილამურები მინდიას გადასცა, ციგაზე დაჯდა და ბაიას შესთავაზა: – დაჯექი, ჩავსრიალდეთ!

– არ მინდა!

– რატომ? მართლა კი არ შეგჭამ!

– მე თხილამურებით მირჩევენია. ვიცი შენი ხასიათი: გზაში რაღაცას იხიმანებ, ციგას ძა-ლათი ამოატრიალებ...

– რაც არ გინდა, დმერთმა ნუ მოგცეს! ნანული, შენ? დაჯექი, ნუ გეშინია, ტურბაზამდე ჩაგვიყვანს! – გაეხუმრა ბოჩია ნანულის. – მოდი, მოდი, ლამაზო!

ნანული ყოყმანობდა, მერე გაუბედავდ მიუახლოვდა; ბოჩიამ ნანულის ხელს ხელი შეაშვე-ლა, გოგო წინ დაისვა, ხელები მოხვია, დაიყვირა: “ნახვამდის, წავედით!” და მოსარკულ ფერ-დობზე ყიჟინით ქვევით დაქანდნენ...

შემდეგ ოთხივენი ფეხით გაეშურნენ ტურბაზისკენ – ცხენის მარხილი ერთიც არ ჩანდა.

მინდიამ ბოჩიას ჰკითხა:

– რას კისკისებდა ნანული, არ შეეშინდა?

– გზაში სამჯერ ვაკოცე!

საღამოს, როცა ვახშმის შემდეგ სასადილოდან გოგოების ოთახში დაბრუნდნენ, ბანქოს თამაში გააჩაღეს – წაგებულს ბუფეტში ქილებში დაკონსერვებული მანგოს წვენი უნდა ეყიდა და მოეტანა. რამდენიმე ხელი ითამაშეს. ორი ხელი ბოჩიამ წააგო, ორი – მინდიამ, გოგოებს პატარებს სცემდნენ! მეხუთე ხელის დარიგებისას ბოჩიამ თქვა:

– ოთხი ქილა დღეს და ხვალ გვეყოფა, მოდი, ახლა კოცნაზე ვითამაშოთ!

– როგორ? – იკითხა ნანულიმ.

– გაგარდნაზე... ოთხნი ხომ ვართ, თითო ხელს რომ ვითამაშებთ, ერთი წაგებული გაგარდება, შემდეგ ხელზე – კიდევ ერთი; ბოლოს დარჩებიან ორნი, ჰოდა, ვინც ამ ორიდან მოიგებს, წაგებულს აკოცებს! მანგოს წვენი ძალიან მოგწონთ, მაგრამ იმაზე უფრო ტკბილია!

– საკუთარი გამოცდილება გალაპარაკებს? – ჰკითხა ბაიამ.

– პატარა გამოცდილება შენც გაქვს! – უპასუხა ბოჩიამ.

– რას გულისხმობ? – გაბრაზდა ბაია.

– დაარიგე, დაარიგე! – შეწყვიტა მათი კამათი ნანულიმ.

ბოჩიამ დაარიგა ბანქოს ქაღალდი, დაიწყო თამაში და პირველ ხელზევე ბოჩია გაგარდა! წაგება საშინლად ეწყინა და სიგარეტი გააბოლა, რასაც არასდროს აკეთებდა ოთახში, გოგოებისგან გაფრთხილებული იყო. გოგოებმა ამუხამადაც უკმაყოფილება გამოთქვეს და ბოჩია იძულე-ბული განდა, დერეფანში გასულიყო.

მეორე ხელზე ნანულიმ წააგო და დიდად არ უნაღვლია.

დარჩნენ ბაია და მინდია...

ბოჩია ოთახში დაბრუნდა, ნანულის მოხვია ხელი:

– შენც გამოფრინდი, ჩიტო? კოცნაში გამოცდილების გადრმაგება მერმისისთვის რატომ გადადე?..

ბოლო, მესამე ხელი მინდიამ მოიგო.

მინდია დაიბნა, ბაიას შეხედა...

კი შეატყო, რომ ბაია წინააღმდეგი არ იყო, მინდიას მისთვის ეკოცნა, მაგრამ... მაგრამ თვითონ ვერაფრით გაბედა, ქალიშვილს მიახლოვებოდა...

– მიდი, შე ყვავი, რაღას უყურებ! – წამოიძახა ბოჩიამ. – დროზე, დროზე, კიდევ უნდა ვითამაშოთ!

მინდია ისევ ჭოჭმანობდა...

ბოჩია ბაიასთან მივიდა:

– რა საგსე ტუჩები გაქვს, კარგი საკოცნელი ხარ! – უცებ სწრაფად დაიხარა და პირდაპირ ტუჩებში აკოცა. – გამოცდილება გაიღრმავე!

ატირებული ნანული გაგარდა ოთახიდან...

მინდიაც საშინლად გაღიზიანდა, მაგრამ ხმა არ დაუძრავს – ბაია არ გამოთქვამდა უკმაყოფილებას, მხოლოდ ჩაიკისკისა და თვითონ რა უნდა ეთქვა? გაახსენდა, უძობზე რომ იყვნენ ასულები, მაშინაც შეურაცხყოფილად იგრძნო თავი...

მინდია წამოდგა და ოთახიდან გავიდა; დერეფნის ბოლოში, კუთხეში მიუყუწული ნანული დაინახა, მივიდა და დამშვიდება დაუწყო...

\* \* \*

ბაკურიანისთვის ამ დროისთვის დამახასათებელი იდეალური ამინდი გრძელდებოდა: მთელი ღამე თოვდა ხოლმე, მეორე დღეს კი, დილით, გადაკრიალებული ზეციდან მზე იცინოდა, მაგრამ ჰაერის ტემპერატურა მხოლოდ რამდენიმე გრადუსი იყო ნულს ქვემოთ; შუადღეზე ნულამდე ან ცოტა ზევითაც აღიოდა და საღამოსთვის სახლთა სახურავების ქვემო კიდეებზე ლამაზად ჩამოგრძელებოდა ყინულის ღოღოების ძეწკვი – თითქოს თოვლის პაპას ჩურჩხელები მოურთმევი და ასე კოხტად ჩაუმწკრივებიაო.

და, რა თქმა უნდა, შემდეგ დიდას ჩვენი მოთხრობის გმირები ისევ წავიდნენ სასრიალოდ, უფრო სწორედ, მხოლოდ ბოჩიასა და ბაიას ჰქონდათ თხილამურები; ბოჩიამ კვლავ კოხტაგორისკენ გასწია, მას აედევნა ნანულიც, – ბოჩიას საუზმის დროს შეურიგდა, – მეც უნდა ვნახო, მოთხილამურები იმ მთიდან როგორ ეშვებიანო...

მინდია არასდროს მდგარა თხილამურებზე, უყურებს და უკვირს, ბაია როგორ კარგად, თავდაჯერებულად დგას თხილამურებზე – უცებ ჩასრიალდება ქვევით, შემდეგ ნელ-ნელა ამოდის ფერდობზე, ცოტა ხანს შეისვენებს და ისევ დაეშვება.

შუადღისთვის ბაია დაიღალა; მინდიამ ქურთუკი გაიხადა, მზიანი, სწორი ადგილი შეარჩია და დასაჯდომად თოვლზე დაუფინა.

ბაია დაჯდა, გვერდზე გაჩოჩდა და ხელი დაატყაპუნა ქურთუკზე:

– მინდი, მოდი, შენც დაჯექი.

მინდიას გაუკვირდა, გვერდზე მიუჯდა.

ასე ახლოს ბაიასთან არასდროს ყოფილა...

მოუნდა, ხელით შეხებოდა მის ოქროსფერ თმებს, თბილი ქუდიდან რომ რბილად გადმობნეულიყვნენ...

– ნეტა რას აეკიდა ნანული ბოჩოს, კონტაგორიდან ისიც ჩამოსრიალდება თუ რა? – რატომღაც ამრეხით ამბობს ბაია.

– ბოჩო სუფელია... ნანული გემრიელი გოგოა, მე რომ მასე შემყვარებდეს ვინმე, ბედნერი კაცი ვიქნებოდი...

ბაიამ აღარაფერი უპასუხა, გადაწვა ქურთუკზე, თვალები დახუჭა, სახე მზის თბილ სხივებს მიუშვირა...

მინდია დასცქეროდა მის უკვე ოდნავ მზედაკრულ, ნაზ სახეს, გაიფიქრა: “ახლა რომ გუთხრა: “იცი, გუშინ როგორ მინდოდა შენი კოცნა-მეთქი?”... ან, წინასიტყვაობა რა საჭიროა, რომ დავიხარო და ვაკოცო, რა იქნება? გეტყვი: “გუშინდელი ვალი გაისტუმრე-მეთქი”... თვითონ რას მიპასუხებს? არა, ამას ვერ ვიზამ, მე ხომ ბოჩო არ ვარ...”.

როცა საღამოს უკან ბრუნდებოდნენ ტურისტულ ბაზაში, – ჩქარობდნენ, რომ ვახშმისთვის მაინც მიესწროთ, – ძლიერ დაღლილნი და მოშივებულნი, მინდიას გარდა, ყველანი გემრიელ საჭმელებზე ლაპარაკობდნენ; მათ დიდად ჩამორჩენილ მინდიას კი სულ სხვა რამ აწუხებდა: საკუთარ თავს უბრაზდებოდა – ვერ პატიობდა, რომ გამბედაობამ უმტყუნა...

\* \* \*

მინდია მხოლოდ ერთხელ დაჰყვა მეგობრების თხოვნას და ვახშმის შემდეგ წაჰყვა მათ კლუბში ცეკვებზე – მეგობრები სულ საყვედურობდნენ: რატომ რჩები მთელი საღამო ოთახში მარტო, როგორ ძლებ, გვეო წიგნების კითხვა, ამისთვის კი არ წამოსულხარ ბაკურიანში.

ამ საღამოს ბოჩიამ გაიცნო და ერთ-ერთი ცეკვის შემდეგ მეგობრებთან მიიყვანა და იმათაც გააცნო რუსის გოგო, გალკა, – მოსკოველი სტუდენტი; რუსს სრულებით არ ჰგავდა – მინდიასავით შავგვრემანი იყო, თაფლისფერთვალება, ძალიან ეშხიანი; ბოჩიამ გარეგნობით და თამამი ქცევითაც დიდო ბურჟუაზს მიამგვანა, ოღონდ უფრო ტანწერწეტა იყო. როგორც მოგვიანებით გამოირკვა, დიდოსავით სიგარეტს ისიც ეწეოდა და არც არაფის დაღვევაზე ამბობდა უარს.

გალინას რატომღაც მორიდებული მინდია მოეწონა – სულ თვალებს უშუშუნებდა და ექაჩებოდა, საცეკვაოდ გაგიდეთო.

ბოჩიამ მინდიას ფერდში ქიმუნჯი უთავაზა:

– მიდი, შე ყვავო, მაგარი გოგოა, სწორედ საშენოა: ხედავ, შენსავით შავია! ფერი ფერსა, მადლი დმერთსა! კარგი საქმე გაგიკეთე, ნახე, რა ხოშიანი გოგო გიშოვე! მიდი, ჩემს წაგებაში გაგიქვითავ, სარფიანი საქმეა! (წინა საღამოს რატომღაც ბოჩია მინდიას შეუჩნდა – ხელის გადაწვევაში შეგვეჯობროთ, წაგებულმა ათი ქილა მანგოს წვენი იკისროსო; მინდია უარს იყო, მაგრამ, ბოლოს, როცა ბაიასა და ნანულის თანდასწრებით სიმხდალეში დასდო ბრალი, დათანხმდა და მოუგო კიდევ, თანაც ორჯერ: პირველ ცდაზე წაგების შემდეგ მინდიას შარი მოსდო, არ მოგიგია, დროზე ადრე უცებ გადამიწიე ხელი, როცა ჯერ მზად არ ვიყავიო).

მინდიამ ცეკვა არ იცოდა, გალინამ უთხრა: “ეგ დიდი ცოდვა არ გაწვეს, მე გასწავლიო”; დიდი იწილ-ბიწილოს შემდეგ, ხათრიანი მინდია დაჰყვა ქალიშვილის ნებას, გაჰყვა – დათვით დაბაჯბაჯებდა...

მერე გალინა ყოველ საღამოს მოდიოდა ხოლმე მათთან და, ამჯერად უკვე ხუთნი, ვახშმის შემდეგ, ბაიასა და ნანულის ოთახში იკრიბებოდნენ, თამაშობდნენ ბანქოს, ოღონდ კოცნაზე – აღარ... ერთი-ორჯერ ბოჩიამ ისევ კოცნაზე თამაშის შესახებ კი ჩამოაგდო საუბარი, მაგრამ დანარჩენებმა არ ისურვეს – გალინას გარდა.

მინდია ძალიან უხერხულად გრძნობდა თავს – გალკა მის გვერდით ჯდებოდა და პირდაპირ შეტევაზე გადადოდა: ებღვარებოდა, სრულებით არ ერიდებოდა, რომ ოთახში სხვებიც იყვნენ. ბოჩიამ აღარ იცოდა, როგორ დაეცვა მისგან თავი! უხეშად ხელს ხომ ვერ ჰკრავდა – გოგო ეფერებოდა – და ვერც თვითონ იაქტიურებდა... უმწეოდ იღიმებოდა, უსულო ტიკინასავით გაჩერებული იყო და გალკა ჯერ უღვაშზე გადაუსვამდა ხოლმე თითს, მერე ტურნებზე, მერე – მოურიდებლად უძვრებოდა გულისპირში, ბაღნიან მკერდზე უსვამდა ხელს, ეხუტებოდა და კისერში ჰკოცნიდა... ბაია და ნანული კისკისებდნენ, ბოჩია კი მინდიას აგულიანებდა: “მიდი, შე ყვავო, წაიყვანე მის ოთახში, ხომ ხედავ, გიჟდება შენთვისო”... მართალია, გალკას არაფერი სჭირდა დასაწუნი, გარეგნულად მაინც, მაგრამ მინდიას ვერ წარმოედგინა, სხვა გოგოს როგორ უნდა გაარშიყებოდა, მით უმეტეს – ბაია იქვე იყო...

ერთხელაც, დილით, ბაიას წაქეზებით, მინდიამ თავისთვისაც იქირავა თხილამურები და პირველად მოსინჯა ფერდობზე ჩამოსრიალების სიამე. მართლაც, როგორც ბოჩია ეუბნებოდა, ბაიას ხელმძღვანელობით ადვილად შეეგუა თხილამურებზე დგომას, საღამომდე დაუღალავად აღიოდა და ჩამოსრიალდებოდა ფერდობზე; რამდენჯერმე დაეცა კიდევ, თუმცა არაფერი სტკუნია... საღამოს დაღლილობისგან გამოსავათებულ მინდიას ბოჩია ნიშნის მოგებით ეუბნებოდა: “ხომ დარწმუნდი ჩემი სიტყვების სიმართლეში: თხილამურებს მუღამს რომ გაუგებ, სხვანაირად ილაპარაკებ-მეთქი!”.

დილით მინდიას მთელი კუნთები სტკიოდა, მაგრამ წინა დღის გატაცება არ განელებია: ისევ შედგა თხილამურებზე და ფერდობზე დაუსრულებლად ჩამოსრიალდებოდა და ისევ ზევით ადიოდა... შუადღეზე მინდია უკვე მეოთხედ დაეცა და ამჯერად უხერხულად – მუხლი იტკინა; იძულებული გახდა, იქვე ჩამომჯდარიყო; შემდეგ კი ბოჩიას აღარ დაუცადეს – იგი კვლავ კოხტაგორაზე სრიალებდა – და, ნანულისა და ბაიასთან ერთად, ადრინადა, კოჭლობა-კოჭლობით დაბრუნდა ტურისტულ ბაზაში.

შემდეგ დღეებში მინდიას, რასაკვირველია, ფიქრადაც არ გაუვლია თხილამურებით სრიალი; ნათხოვარი ყვარჯენით მიხანხალდებოდა სასადილოში, შუადღეზე გავიდოდა ფართე, ღია აივანზე და, მის მსგავსად დაზარალებულთა დარად, მზეს ეფიცებოდა და გადათეთრებულ გარემოს თვალმოჭუტვით გასცქეროდა...

როცა საგზურებს ვადა დაუმთავრდათ, სამნი – ბაია, ნანული და ჯერ კიდევ კოჭლობით მოსიარულე მინდია – წამოვიდნენ თბილისში, ბოჩია ბაკურიანში დარჩა – გაურკვეველი ვადით.

\* \* \*

ორი კვირის შემდეგ ბოჩიაც დაბრუნდა თბილისში, – მთის მზით გაშავებული, ჯან-ღონითა და ხალისით აღსავსე, – და მინდიას შეხვედრისას ღიმილით უთხრა:

– შე კოჭლო ყვაგო, რა სულელი ხარ, მწიფე მსხალი თვითონ გივარდებოდა ხელში, შენ კი ცხვირს იბზუებდი!

– გალკაზე ამბობ? – აიჩეხა მხრები მინდიამ, მეტი არაფერი უთქვამს, თუნდაც – ჩემთან მოკითხვა ხომ არ დაგაბარაო.

– ჰო, შენგან დაწუნებული ის გოგო “გაგაფორმე”!.. მაგარი გოგოა! მოსკოვში მეპატიჟება, ჩამოდიო. თუ იქ მომიწია წასვლა, სასტუმრო აღარ დამჭირდება!.. ჰო, მართლა, შენთან საჩუქარი გამომატანა... – და ბოჩიამ მინდიას გაუწოდა ოთხად მოკეცილი ქაღალდის ფურცელი.

არა, ეს არ აღმოჩნდა წერილი, როგორც თავიდან გაიფიქრა მინდიამ და გაუკვირდა კიდევ – თუ ბოჩიასთან დაიჭირა საქმე, მე რაღად ვჭირდებით... გაშალა ფურცელი და უნებურად გაუღიმა: ფურცელზე პასტიანი ბურთულკალმისტრით, ხელის თავისუფალი, უშეცდომო “მონასმე-ბით” დახატული იყო მინდიას პორტრეტი, უფრო სწორედ – მეგობრული შარვი! გამოსახული იყო: მინდია... ტრამპლინიდან თხილამურებით ხტება! უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი: მინდიას თავი ხტება! რადგან ეს უზარმაზარი თავი ლამის ტრამპლინზეც კი დიდია, ტანი და თხილამურები ხომ თავის მეთადის ზომის არცაა... ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ ტრამპლინიდან... ცხვირი ხტება! უჰ, რა ჯიშინი ცხვირი გამოუსახავს – თავსაც კი ეჯობება სიდიდით!.. მსხვილი, შავი წარბები გადმოხურვია გადმოცვენამდე გადიდებულ, შეშინებულ თვალებს; მსხვილი უღვაშების ქვეშ თითქმის არ ჩანან ტუჩები და ნიკაპი...

– მართლა მაგარი გოგოა! – წამოიძახა მინდიამ.

– მოგწონს?

– კარგია!

– რა გიკვირს, გალკა პროფესიით მხატვარია, მომავალ წელს სურიკოვის ინსტიტუტს ამთავრებს.

– რა ინსტიტუტია?

– არ გაგიგია? მოსკოვის სამხატვრო ინსტიტუტია, ჩვენი სამხატვრო აკადემიის ანალოგიური, ოღონდ, ბევრად დიდი. დეკორაციულ-გამოყენებით ფაკულტეტზე სწავლობს. როცა ფაიფურის წარმოების შესახებ მოვუყევი, მერე გერმანიის და საფრანგეთის წამყვანი ცენტრები ჩამოვუთვალე, გაკვირვებისგან თვალები დააჭყიტა, ამდენი საიდან იციო. ეგ რა არის-მეთქი და ყველა მათგანი რომ დაგუხასიათე – თავის ტექნოლოგიური თავისებურებებით, კლასიციზმის, როკოსოს, ბაროკოს ეტაპებით – სულ მთლად გავაგიჟე...

– ეგ გრაფიკოსადაც ივარგებს... ნახე, რა ოსტატურად დაიჭირა ჩემი ხასიათი... მხოლოდ გარეგნობა კი არა.

– შე ყვაგო, არ იცი, რომ ყველა მხატვარი მეტ-ნაკლებად გრაფიკოსია? ხატვა ყველას უნდა შეეძლოს.

– შენ არ დაგხატა?

– არა, სამაგიეროდ, მე დაგხატე! თანაც ისეთ პოზაში, კინაღამ გააფრინა!

– მოეწონა?

– ნაღდი ნამუშევარიაო, – მითხრა, – ცოტა უხერხული რომ არ იყოს, ჩარჩოში ჩავსვამდი და კედელზე დაგვიდებდიო.

– ბიჭო, შე მართლა ყვაგო, შენ იქნებ სამხატვრო აკადემიაში...

– კარგი რა! ჯერ საქმე გამიჭირეს, კონსერვატორიშია შენი ადგილიო, ახლა შენ – აკადემიაშიო...

– მე მგონი, ხელოვნებათმცოდნედაც ივარგებდი, მაგრამ ხელოვნებათმცოდნეობას და მხატვრობას ჩაჯდომა უნდა, დღე და ღამე მუშაობა, შენ კი...

– რაც ყველაზე უფრო გიყვარს, იმ საქმეს უნდა მისდიო, ის უნდა აკეთო, გაიგე?

- შენ რა თქმა უნდა, ქალებს უნდა სდიო... სხვა რა გიყვარს?
  - არ იცი? ფეხბურთი! ბაკურიანი მაგრად მომიხდა, კარგად ვივარჯიშე, ნახე, გაზაფხულზე, როცა ფორმაში შევალ, როგორ ვითამაშო!
  - არა, მართლა?... ფეხბურთზე უფრო ღვინის ყლურწვაც გიყვარს!
  - აბა, რაგა!..
  - თუ ქალები?
  - ერთიცა და მეორეც!
- როგორც შემდეგ შეიტყო მინდიამ, გალკას “დათრევის” შესახებ ბოჩიას ბაიასთანაც უტრაბახია და ნანულისთანაც...

## კარი V.

### თბილისი – ვორონეჟი, ვორონეჟი – თბილისი

მინდიამ, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტის დამთავრებასთან ერთად, იმავედროულად, სამხედრო კათედრაზე მომზადების სრული კურსი გაიარა; დადგენილი წესით, მინდია ჯერ სამხედრო სამსახურში უნდა გაეწვიათ რამდენიმე თვით და მხოლოდ ამის შემდეგ მიანიჭებდნენ თადარიგის ლეიტენანტის სამხედრო წოდებას.

და აი, მინდია დეკემბრის ერთ მოღრუბლულ, ცივ ღღეს, დილის 9 საათზე, უკვე ყოველმხრივ გამზადებული, სამხედრო კომისარიატში მივიდა; იქიდან კი, რეგისტრაციის შემდეგ, სხვებთან ერთად, – მათ შორის მინდიას ინსტიტუტის ჯგუფელებიც იყვნენ, – ავტობუსით პირდაპირ რკინიგზის სადგურში გადაიყვანეს. იქ საგანგებო მატარებელი უცდიდათ, რომელიც ორი საათის შემდეგ ბაქოს მიმართულებით წავიდა. მინდია დედამისმა და დებმა გააცილეს.

მინდია ხშირად წერდა წერილებს დედ-მამას და დებს, ასევე – ნანულისაც. რატომ ნანულის? ბაიასთვის წერილის მიწერას ვერ ბედავდა, მისი ამბების გაგება კი უნდოდა... და ამის საუკეთესო საშუალება სწორედ ნანულისთან – ჭკვიან, გამგებ და ყურადღებიან გოგოსთან – მიწერ-მოწერა იყო.

მინდიასგან პირველი წერილი თბილისიდან გამგზავრებიდან ერთი კვირის შემდეგ მოვიდა; იგი იწერებოდა:

“სალამი ნანული!

გზიდან გწერ პირველ წერილს. იმედია, ყველანი კარგად ხართ, მეც არა მიშავს. თბილისიდან ბაქოს მიმართულებით წაგვიყვანეს მატარებლით. თავიდან ყველანი ძალიან აფორიაქებულნი ვიყავით, გვანტერესებდა, სად მივყავით; გვითხრეს, ვორონეჟშიო, მაგრამ რა ნაწილში, ამას, როცა ჩახვალთ, მაშინ გაიგებთო. იმას მაინც ვერ მივხვდი, ვორონეჟში ბაქოს გავლით რატომ წაგვიყვანეს. როგორც იქნა, დავლაგდით. შვიდ კაცს კიდევ ორი დაგვიმატეს და შექმნეს ქვეყანა-ყოფი. უკვე თანდათან გვაჩვენებენ სამხედრო გარემოებებს. ჩვენს წინა ორ ვაგონში ბიჭები მოსკოვში მიჰყავთ. ჯერ ძალიან მაინტერესებდა საქართველოსგან ასეთი განსხვავებული მხარის ყურება, მერე მომბეზრდა: მთელი დღე მივდიოდით აზერბაიჯანის უსასრულო ტრამალებით და თითქმის არც ერთი ხე არ არის ამოდენა ტერიტორიაზე, სულ გადახოტრილი, ხრიოკი ადგილებია. იშვიათ სოფლებში ბრტყელსახურავიანი სახლებია, მიწურებს მოგაგონებს, სახურავზე მიწა არის დაყრილი. მერე ბაქოს ავუქციეთ გვერდი და კასპიის ზღვას ჩავუარეთ. სანოვაგე ძალიან ბევრი გვაქვს წამოდებული, სულ დავადეთ ჩვენი გამყოლი ჯარისკაცები. ვიდაცას უშველებელი ინდაური წამოუდია, მისი ერთი ბარკალი დედლის ხელა იყო. ჩვენს ერთ-ერთ გამყოლს, უზბეკ ეფრეიტორს მივეცი, ის ბარკალი ერთ წუთში გააქრო, ნახევარი ინდაურიც იმან შეჭამა. ბიჭებს არაყის სმის ნებას არ აძლევენ, მაგრამ ჩუმად მაინც მოახერხეს დალევა. აზერბაიჯანში რომელიც სადგურზე გაგჩერდით, ჩვენ ვაგონებიდან გარეთ არ გვიშვებდნენ. მატარებლის გასწვრივ თათრები დადიოდნენ და 14-კაპიკიან ლიმონათს 50 კაპიკად ჰყიდდნენ. რაღაც საშინელი უგემური ლიმონათი იყო, მომაგონდა ლალიძის წყალი. ერთი სული გვაქვს, როდის გავალთ აზერბაიჯანიდან, მოგვებზრდა ერთფეროვანი, ლატაკი ბუნება.

მეტი რა მოგწერო, ამ წერილს დერბენტის სადგურში ვაგდებ საფოსტო ყუთში. შემდეგ წერილს წინასწარ მოვამზადებ და რომელიმე სადგურიდან გამოგიგზავნი. მოკითხვა შენს მშობლებს, მარიკოს, ბაის და ბოჩოს.

მინდია, 1974 წლის 9 დეკემბერი.”.

მინდიას შემდეგი წერილი რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა.

“სალამი და გამარჯვება ნანულის!

ეს ჩემი მეორე წერილია. აზერბაიჯანიდან რომ გავდიოდით, მერე ხეებიც გამოჩნდა, კარგადი ჭალა იყო, ვერხვები ირწვოდნენ ქარში და თვალს სიამოვნებდა ერთფეროვნების შემდეგ ამის ხილვა. ბიჭებმა თქვეს, აქ კარგი სანადირო ადგილები იქნებაო. შემდეგ შევედით ჩრდილო

კავკასიაში. ბუნება შეიცვალა, უფრო მრავალფეროვანი გახდა, სახლებიც სხვანაირია, ჩვენი თვალისთვის უჩვეულო. როცა გავჩერდით რომელიღაც სადგურში, ბოთლები გადავაწოდეთ წყლის მოსატანად. ვიღაცამ თქვა, გაიტყვევა და ბოთლებს წაიღებს, არ იცი, აქ რა ხალხიაო, მაგრამ ტყუილი გამოდგა: წყალი მოგვიბრუნინეს. მერე ერთი ვიღაცა გამოჩნდა, დახეული ფეხსაცმელი ჰქონდა და გვეხვეწებოდა, გამიცვალეთ კარგებშიო, თქვენ მაინც უნდა გადაყაროთ, მაგრამ არავინ გაუცვალა. საშინლად მოგვებზრდა მატარებელში ყოფნა, თითქმის მთელი დღე გვიბნავს. ძალიან გვინდა თოვლის ნახვა, მაგრამ ჯერ არსად ჩანს. გამყოლმა ჯარისკაცებმა გვითხრეს, ვორონევიდან რომ მოვდიოდით, გზაში თოვლი არ იდო.

მოსაწერი მეტი არაფერია, კარგად იყავი. უკვე ძალიან მომენატრეთ, მომიკითხე ყველა დიდი სიყვარულით.

მინდია, 1974 წლის 10 დეკემბერი.”.

შემდეგი, საკმაოდ დიდი წერილი, მინდიასგან ნანულიმ კარგა ხნის შემდეგ მიიღო.

“წერილი №3, 1974 წლის 15 დეკემბერი.

სალამი და გამარჯვება ნანულის!

გუშინ მთელი წამოღებული საჭმელი გაგვითავდა. ბიჭები იძახდნენ, ამ მამაძაღვებს რომ შევაჭამეთ ყველაფერი, ახია ჩვენზე, ის საჭმელი კიდევ სამ დღეს გვეყოფოდაო. გამყოლ ჯარისკაცებს მოჰქონდათ ჩვენთვის მოხარშული წიწიბურა, მაგრამ პირი არავინ დააკარა, სალაფავს ჰგავდა. როცა როსტოვში შევედით, ჯარისკაცებმა გვითხრეს, ახლა მალე ვიქნებით ვორონეჟშიო. ორის ნახევარზე ჩავედით ვორონეჟში. აქ მუხლამდე თოვლი და საბარგო მანქანები დაგვხვდა. დაგვანაწილეს კუპების მიხედვით. ჩვენი ბოლო ორი კუპეს ბიჭები მოგხვდით ერთ მანქანაში, წაგვიყვანეს ვორონეჟის გარეუბანში, სხვები სხვა ქალაქკარეთ ნაწილებში დაანაწილეს. აქ გავიგეთ, რომ “სტრობატში” (სამშენებლო ბატალიონში) მოგხვდით. სუყველას გვეწვინა, მაგრამ რას ვიზამდით. ჩვენ გვეგონა, სპეციალობის მიხედვით სარკინიგზო ჯარების რომელიმე ქვედანაყოფში მოგხვდებოდით. შეგვიყვანეს კლუბში და ჩაგვწერეს რაღაც დაგვთარში, აღგვიცხეს. შემოდიოდნენ ცნობისმოყვარე ჯარისკაცები. ჩვენები სერჟანტებს სულ შეკითხვებს აყრიდნენ, როგორია აქ და რა ხალხია, სიცივეები თუა, რამხელა ქალაქია და ასე შემდეგ. მოიტანეს თმის საკრეჭი მანქანები და პირველ მსურველებს თავები გადახორტრეს. ჩვენ ვუჭურვდით, სულ ბლუჯა-ბლუჯა რჩებდათ თმები. ჩვენ მოგძებნეთ ბიჭი, რომელიც ყველაზე კარგად პარსავდა და იმასთან გადავიკრიჭეთ თავი. აგვიყვანეს მესამე სართულზე ჩვენი ბარგი-ბარხანით და გვითხრეს, აქ მოიცადეთო. ვიღაცას თხილი აღმოაჩნდა, სულ მოფინეთ იატაკი მისი ნაჭუჭებით. შემოვიდა სერჟანტი და თქვა, ვისაც ბარგი აქვს, საკონტროლო პუნქტზე წამოიღეთო. ქართველებმა არ წავიდეთ, ჩემს ზურგჩანთაში ჩაგტენეთ ყველაფერი და ერთი მეგრელი ბიჭი იყო, რომელიც თბილისიდან მოგვეყვებოდა და ფულთან ერთად იმას მივაბარეთ. ის სხვა ნაწილში მსახურობდა, უკვე მესამეწლიანი იყო. სადგურზე ჩვენ რომ სხვა ნაწილში წაგვიყვანეს, მან გვითხრა, ყველაფერს მოგიტანთო. მატარებელში სულ ვაშაყირბდით, რეზო ჰქვია, მეგრელია, ძალიან კარგი ბიჭია. ერთი კვირა გავიდა, რეზო არ ჩანდა. ბიჭები იძახდნენ, სულერთია, მაინც ვნახავთ, ტყავს გავაძრობთო, მაგრამ მათი შიში უსაფუძვლო გამოდგა. ერთი კვირის შემდეგ გამოჩნდა რეზო, სუყველა სიხარულის შეძახილებით შეხვდა. გვითხრა, მაიორი არ მიშვებდაო, თუ ვინმემ რამე გაწყენინოთ, გამაგებინეთ და მერე მე ვიციო. როცა გარეთ უკვე დაღამდა, შეიდი საათი გახდა, წაგვიყვანეს აბანოში. გარეთ საშინელი სიცივეა. ჩვენების უმეტესობას ძველთაძველი, თხელი პიჯაკები აცვია, ქული არავის აქვს. ფეხზე ყველას დახეული ფეხსაცმელი აცვია. თავზე ზოგმა პირსახოცი შემოვიხვიეთ, ზოგმა – შარფი, ზოგს ჯარისკაცებმა მისცეს ძველი ქულები. აბანო დაახლოებით 500 მეტრშია ნაწილიდან. სულ სირბილით მივდიოდით. სასაცილო სანახავეები ვიყავით, ნაპოლეონის არმია რომ გარბოდა რუსეთიდან, იმას ვგავდით. ვისაც უნდოდა ტანსაცმლის შინ გაგზავნა, მოგვცეს ტომრები, ჩავდეთ შიგ ტანსაცმელი და მისამართი დავაწერეთ. დაბანის შემდეგ დაგვირიგეს ფორმა. ისეთი განიერი შარვალი შემხვდა, რომ უკან გარმონივით არის დაკეცილი, ალბათ ღიპიანზე არის გათვალისწინებული; სხვა ტანსაცმელს არა უშავს. ქული დიდი ავიღე, ყურებიანად ვარ ჩაფლული შიგ. სასაცილო შესახედავი ვართ ფორმაში. აბანოდან უკვე ნელა მოვდიოდით, თბილად გვეცვა და არ გეციოდა. საღამოს საჭმელი გვაჭამეს და დაგვაძინეს.

გრძელი წერილი გამომივიდა, რამდენიმე დღე ვწერდი ხამუშ-ხამუშ. დანარჩენს მერე მოგწერ.

მოკითხვა ყველას.

მინდია.”.

შემდეგი წერილი ნანულიმ წლის მიწურულს მიიღო:

“წერილი №4, 1974 წლის 22 დეკემბერი.

გამარჯვება ნანული!

რამდენიმე დღეა, დაიწყო ჩვენი ჯარისკაცული ცხოვრება. ვცხოვრობთ ხუთსართულიან შენობაში, მეხუთე სართულზე. სუყველა ქართველი ერთ ოცეულში ვართ, სულ – 36 ბიჭი. ჩვენი სერჟანტი ახალგაზრდა ბიჭია, პირველი წელია, მსახურობს. დაგვანაწილეს ქვეგანაყოფებში, დაიწყო სამწყობრო მომზადება. ამ სიცივეში გარეთ სამი საათი როგორი გასატარებელია. მთელი დღე ზევით-ქვევით დავრბივართ – ხან კლუბში მეცადინეობაზე, ხან “ლენინის ოთახში” გვიტარებენ მოსაწყენ ლექციებს; მოკლედ, მთელი დღე ამოსუნთქვის საშუალება არ გვაქვს. მეორე დღეს ქართველების ნახევარი გადაიყვანეს ქვედა სართულზე სხვა სასწავლო ასეულში. ვწევართ ერთსართულიან საწოლებზე; ლოგინები დიდი აგურებივით უნდა გაასწორო, ბალიშიც აგურს უნდა ჰგავდეს. ჩვენთან ერთად ლიტველებიც მოხვდნენ, რუსული არ იციან, სულ ბატბივით არიან. მათ ელაპარაკებიან, ისინი კი დააღებენ პირს და ხმას არ იღებენ. განათლება ძალიან დაბალი აქვთ, საშუალო განათლება არც ერთს აქვს, უმეტესობა 3-4 კლასის განათლებით არის. ტყუპი ძმა არის, იმათ საერთოდ არ იციან წერა-კითხვა, მხოლოდ ხელის მოწერა შეუძლიათ. მთელი დღეების განმავლობაში ხან მწყობროში სიარული გვიწევს, ხან – სამხედრო წესდებებს გვაზუსტებენ, ყელში ამოვიდა ამდენი “უსტაგები”. დაგვანაწილეს ოცეულებში ოთხ-ოთხი კაცი. მოვხვდი სათვალეებიან სერჟანტთან, სიმპათიური ბიჭია, სხვებთან შედარებით – განათლებული; ოთხნი ერთად მოვხვდით უმაღლესი განათლებით. ახლა ორსართულიან საწოლებზე ვწევართ. რა ხალხს არ შეხვდები აქ, გაგიჟდები! ღამით მიდიან საპირფარეოში ფეხშიშველნი და მერე დასვრილი ფეხებით პირდაპირ წვებიან ლოგინში. დილით ექვს საათზე ვდგებით. ადრე მეღვიძება და სულ ვუცდი, როდის დაიყვირებენ ადგომას. ძალიან ცუდი გრძნობაა. ჩემს გვერდით ლიტველი წევს. ადგომამდე თხუთმეტი წუთით ადრე ჩაიცვამს ტანზე და ჩექმებიანად შეწვება ლოგინში. ადგომის ბრძანებაზე სუყველა ჩქარა ვიცვამთ, გზადაგზა ვიბნევთ ღილებს და გავრბივართ გარეთ სავარჯიშოდ. ისეთი სიცივეა, ხელები და ცხვირი სულ მეყინება. მერე ვბრუნდებით, ლოგინებს ვასწორებთ, პირს ვიბანთ, ვსაუზმობთ და იწყება სამწყობრო მომზადება. ყველაზე უფრო ეს გვეჯავრება – ყინვაში გარეთ დილის ვარჯიში და დაწოლის წინ გასეირნება. ფიზმომზადებაც საშინელია. სტადიონი გაშლილ ადგილზე გვაქვს. მუხლამდე თოვლში სირბილით რამდენიმე წრე უნდა დაარტყა, შემდეგ ვარჯიშებს ვსწავლობთ. ჩვენი ლეიტენანტი კახაკია, სულ ყვირის და იბინება. უმცროსი ლეიტენანტი ძალიან კარგი ბიჭია. კვირას მეცადინეობა არ გვაქვს, წაგვიყვანეს თოვლის საწმენდად, მოსაბეზრებელი და მიიმე სამუშაოა და ძალიან დავიღალეთ. ახლა გვიანაა, მეძინება, დანარჩენს მერე მოგწერ. მოკითხვა ყველას, ჯარისკაცული საღმით, მინდია.

ძალიან გთხოვთ, წერილი მოიწერეთ. ჩემი მისამართი კონვერტზე აწერია.”.

კიდევ ერთი წერილი ნანულიმ ახალი წლის შემდეგ, 8 იანვარს მიიღო:

“წერილი №5, 1975 წლის 2 იანვარი.

გამარჯობა და კარგად ყოფნა ნანულის!

შენგან წერილი ჯერ არ მიმიღია. ისევ გვიჭირს, მაგრამ უკვე ნელ-ნელა ვეჩვევით ახალ მდგომარეობას. შვიდ იანვარს ფიცი უნდა მივიღოთ. ახალი წლის წინადღით ათის ნახევარზე დაგვაწვინეს. ღამით ვიღაცამ გამაღვიძა, ჩვენი ბიჭები აღმოჩნდნენ. თბილისის დროით ახალი წელი დამდგარა, მომილოცეს და კანფეტები მომცეს, სადღაც ნაშოვნე ერთი ბოთლი არაყიც დაფლიეთ ცოტ-ცოტა. პირველში სადღესასწაულო საჭმელები იყო. სადილის დროს სასულე ორკესტრი გვიხვრეტდა ყურებს. საღამოს საახალწლო საჩუქრები დაგვირიგეს. მეტი სიახლე აქვთ არაფერია, ველი შენს წერილს. უკვე დედაჩემის ორი წერილი მოვიდა, შენსას რაღა დავმართა?

ჰო, მართლა, გილოცავ ახალ წელს, ბედნიერი ყოფილიყოს შენთვის და შენი ოჯახისთვის. ჩემი სახელით მიულოცე ბოჩოს და ბაის, ყველანი ძალიან მენატრებით, მინდია.

ახალ წელს როგორ შეხვდით?”.

როგორც იქნა, მინდიაშეც მიიღო ნანულისგან პირველი წერილი:

“გამარჯობა, მინდი!

გილოცავ ახალ წელს, მრავალს დაესწარი, ჯანმრთელად და ბედნიერად! როგორ ხარ? ჩვენ ყველანი კარგად ვართ. შენგან რამდენიმე წერილი მივიღე, მაგრამ პასუხს მხოლოდ ახლა გწერ, როცა შენი მისამართი გავიგე. როცა შენი ბოლო წერილი წავაკითხე, ბაიმ თქვა, არ მეგონა, თუ მინდი ასეთი მოხერხებული გამოდგებოდა, როგორ კარგად მოიფიქრა ბარგის შენახვაო. შენ ხომ არ ხარ წინააღმდეგი, თუკი შენს წერილს ბაის წაგკითხებ ხოლმე? ბაი ამბობს, მინდი აქ რომ იყო, ისეთი ჩუმი და წყნარია, ვერავინ ვამჩნევდითო, ახლა კი, როცა წავიდა, ყველას დაგვაკლდაო. ბოჩოს იშვითად ვხედავთ ხოლმე. ამას წინათ მაგარი მთვრალი მოვიდა ძალიან გვიან, ციციხო დეიდა შინ არ უშვებდა, შენი ძმაკაცები თუ გირჩევენია, წადი იმათთან, მე ნერვებს ნუღარ დამაწყვეტ ლოღინითო, მაგრამ შემდეგ შეეცოდა, ამ სიცივეში ღამით გაიყინებო და მაინც გაუღო კარი. ახალ წელს სხვაგან შეხვდები: მე რამდენიმე ჩემს



ჯგუფელთან ერთად ერთ-ერთის ოჯახში ვიქეიფე. მარტო გოგოები ვიყავით და იმ ჩემი ჯგუფელის ორი ძმა, ძალიან მოსაწყენი ტიპები. მე უნივერსიტეტში აღარ დავდივარ, სესიისთვის ვემზადები. წერილს საჩქაროდ ვამთავრებ, ახლა ჩემი ამხანაგი მოვიდა, ერთად უნდა ვიმეცადინოთ. ბაის ამბავი კიდევ დამავიწყდა, შემდეგ წერილში აუცილებლად მოგწერ. შენც მოიწერე.  
ნანული. 5/1 - 1975 წ.”.

“წერილი №6, 1975 წლის 12 იანვარი.

გამარჯობა, ნანული!

შენი წერილი მივიღე, დიდი მადლობა! ერთი ათჯერ მაინც წავიკითხე. შეიძლება ფიცი მივიღეთ. დაგვაწყვეს სუყველა ორ რიგად, ერთი ძველი კარაბინი გექონდა, ერთმანეთს ვაწვდიდით და ფიცის ტექსტს გკითხულობდით, შემდეგ ხელი მოვაწერეთ. ცხრაში პირველად წავგიყვანეს სამუშაოდ, დაახლოებით სამი კილომეტრი იქნება ყაზარმიდან. სულ დამავიწყდა: ფიცის მიღების შემდეგ დაგვანაწილეს. ჩვენი ხუთი ბიჭი იმ ასეულში დარჩა, მე და ერთი ამხანაგი კი გადაგვიყვანეს მესამე სართულზე. მე წავედი პოდპოლკოვნიკთან და ვთხოვე, ჩვენც იმ ასეულში დავეტოვებინეთ, მაგრამ უარით გამომისტუმრა: “ეს კარგია, რომ იქ ორნი იქნებით; თქვენ განათლებულნი ხართ და სხვას ჭკუას ასწავლით”. მე მგონი, უარის მიზეზი სხვა იყო: ქართველები შფოთისთავებად მიაჩნიათ და მათ დანაწილებას ცდილობენ. ისევ ჩვენს სათავლებიან სერჟანტთან მოვხვედით. გეცნობით ძველ ჯარისკაცებს. ჩემი განყოფილების უფროსი რუსთაველი თათარი, ქართულად კარგად ლაპარაკობს. რუსთავეში უცხოვრია, მერე ბაქოში გადასულა, იქ უნივერსიტეტში სწავლობდა და ჯარში წაუყვანიათ. ჩვენს განყოფილებაში ექვსი ეროვნების თორმეტი კაცია. ასეულში ძველები აზერბაიჯანელები და უზბეკები არიან, კარგი ბიჭები, აგრეთვე – ბელორუსებიც. ჩემთან ოცეულში მოხვდნენ უზბეკები, აზერბაიჯანელები, ერთი ბოშაა, ტუველი, ლიტველი, ნენცებიც არიან. თავიდან მშენებლობაზე წავგიყვანეს. ჩაგვევრით სარდაფში, მოგვცეს ძალაყინები – ტრანშეა უნდა გაიყვანოთ. გაყინულ მიწას მთელი დღე ვჩიქნიდით და სულ ცოტა მოვთხარეთ: გინდა ქვაზე გირტყია და გინდა – მიწაზე, ერთი და იგივეა. მეორე დღეს რინის პალოები და უროები მოგვცეს. სარდაფში საიდანდაც წყალი შევიდა და ტრანშეის გათხრას გადავრჩით. შვეებით ამოვისუნთქეთ, თორემ მთელი დღე ვჩიქნიდით და შედეგი კი არ ჩანდა. სამაგიეროდ, ხან სართულებზე კანალიზაციის გასაყვანად ბეტონის იატაკს გვახვრეტინებენ, ხან თოვლს გვაწმენდინებენ, ხან კარებს და ფანჯრებს გვათრევიანებენ სართულებზე. მოკლედ, საშინელი სამუშაოა. მშენებლობაზე მთელი ნაწილი ერთად მიდის, გრძელი კოლონა გაიწელება. სამუშაოს სადამოს ხუთ საათზე ვამთავრებთ, ვეწეობით და გბრუნდებით ყაზარმაში. უკან ყველა ჩქარა მიდის, უკვე ღამეში გვიწევს სიარული და უკან რომ გაიხედავ, შავად მიდის კოლონა, თითქოს უზარმაზარი გველი მიიკლაკნება.

ეს არის სულ, რის მოწერაც ამჯერად მინდოდა. როგორც ხედავ, საკმაოდ ერთფეროვანი და მძიმე ცხოვრება გვაქვს. ამიტომ გთხოვ, წერილის მოწერას ნუ დაიზარებ, ხომ იცი, როგორი მოუთმენლობით ველი თქვენი ამბების გაგებას. მოკითხვა, მოკითხვა, მოკითხვა – ყველას, ყველას!

მინდია”.

“გამარჯობა, მინდი!

როგორ ხარ? ალბათ ძალიან გიჭირს, მაგარი ყინვები ყოფილა და შეუჩვეველი ადამიანისთვის ძნელი ასატანია. ჩვენ ყველას არა გვიშავს. აქაც საკმაოდ ცივა. დედაჩემი შემიჩნდა, ერთი ნორმალური კაბა როგორ არ უნდა გქონდეს გასათხოვარ ქალიშვილსო და შალის ნაჭერი მიყიდა, ძალიან ძვირფასი, ჟოლოსფერი. მკერავთანაც წამიყვანა. მკერავი ქურდი მამამადლი გამოდგა, ნაწილი მოიპარა და ვიწრო შემიკერა. ვიწრო გამომადგა, მაგრამ მაინც ჩავიცვი, ძალიან გიხდებაო, მითხრეს. პირველი გარეცხვის შემდეგ საერთოდ ვეღარ ჩავეტიე და მარიკოს ვაჩუქე. ახლა ძალიან დაკავებული ვარ, გამოცდები დამეწყო, სულ ვკითხულობ და ვკითხულობ, ვიზუთხავ და ვიზუთხავ. ბაის ამბავს დავპირდი. ბესო ბიძია დააწინაურეს და ჭიჭევეორაძეებს საახალწლოდ ახალი ბინაც მისცეს, ისევ სამოთახიანი, ოღონდ – უფრო დიდი, ისევ დიდუბეში, ახალ სახლში. უკვე გადავიდნენ, სესიებიც დაიწყო და ამიტომ ბაი წელს აღარ მინახავს. მეტი რა მოგწერო, წერილი მოიწერე, როგორ ხარ.

ნანული, 10/1 - 1975 წ.”.

“წერილი №7, 1975 წლის 24 იანვარი.

გამარჯობა, ნანული!

შენი ორი წერილი მივიღე, დიდი მადლობა! რა თქმა უნდა, თუკი ჩემს წერილებს ვინმეს წააკითხებ, საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს, პირიქით – გამიხარდა, რომ ბაი იგებდა ჩემს ამბებს. თუკი უნივერსიტეტში ნახავ, უთხარი: თუკი ორ სიტყვას ისიც მომწერს ხოლმე, ძალიან მადლობელი დავრჩები, სამშობლოსთან დაკავშირებული სულ უმნიშვნელო რამეც კი აქ დიდი სიხარულის მომტანია; მისი ახალი მისამართი დამაგებინე. ბოჩოსაც წააკითხე, თუმცა, იმედი არ მაქვს, რომ ჩემთვის წერილის მოსაწერად თავს შეიწუხებს.

ახლა ჩემი ამბები. ერთი კვირის წინათ გადაგვიყვანეს ჩვენს ნაწილთან ახლოს, გადასატვირთ ბაზაზე. აქ რკინიგზით მოდის ვაგონებით სხვადასხვა ტვირთი. პირველ დღეს დაგვაგადასტვირთეს რკინიგზის ლიანდაგის ხაზის გაწმენდა ძალაყინებით; ბარით ვერაფერს დააკლეს, გაყინულია ყველაფერი. ორი დღე ვმუშაობდით ხაზებზე, საშინელი სამუშაოა. შემდეგ მოვიდა ვაგონით წილა, დავიწყეთ მისი დაცლა. ისეთი მტვერი იდგა, გარშემო არაფერი ჩანდა, მაგრამ არც ისეთი ძნელი სამუშაოა. ცუდი კიდევ ის იყო, რომ შაბათი დღე იყო, ყველა ისვენებდა, ჩვენ კი ვმუშაობდით. შემდეგ რის დაცლა არ მოგვიწია. ერთხელ ქვანახშირი ისეთი გაყინული იყო, სულ ურთოთი და სოლებით გამტვრევდით. მთელი ღამე ვმუშაობდით, თანაც ძალიან მაგრად ჰყინავდა. მეორედ წვრილად დამტვრეული ქვის, ხრეშის, დაცლა არ იყო ისეთი ძნელი, მაგრამ ნახევარი ვაგონის ქვეშ ცვიოდა და იქიდან მისი გამოტანა ძნელი საქმე იყო, სულ მუხლებზე დაჩოქილს უნდა გემუშავა. დავცალეთ, აგრეთვე, რამდენიმე ვაგონი, დატვირთული კარებით, ფანჯრებით, ფიცრებით და ასეთი წვრილმანი რალაცვებით, – შედარებით იოლი საქმეა. ყველაზე ძნელი ცემენტის დაცლა ყოფილა. ვაგონს მხოლოდ ერთი კარი აქვს, თანაც ცემენტი მიძიმა. გვიწვედა ჯერ კარისკენ გადაყრა, შემდეგ კი – გარეთ. საშინელი ბუღი იდგა, საკუთარ გაწეულ ხელს ვერ დაინახავდი. ჩვიდმეტი საათი ვცლიდით ვაგონს – შუადღის სამ საათზე რომ დავიწყეთ, დილის რვა საათზე ძლივს დავამთავრეთ. ფეხზე ძლივს ვიდექით, ისე დავიდალეთ. შემდეგ აბანოში წავიდით, მაგრამ წამწამებზე და სახეზე ცემენტი ბოლომდე ვერ მოვიშორეთ, ცხვირი სამი დღე გაქვავებული ცემენტით მქონდა გაჭედილი. “მოხუცებმა” “დაგვამშვიდეს”, გვითხრეს: “ცემენტი არაფერია, კირი რომ მოვა, მაშინ ნახეთ, თვალები სულ რომ გეწვის, გეცრემლებათ”. გადასატვირთ ბაზას ბიჭები “დისციპლინარულ ბატალიონს” უძახიან, ისეთი კატორღაა. თანდათან ვეჩვენებით, ისე ძალიან აღარ ვივლებით, როგორც თავიდან, მხოლოდ ის არის ცუდი, რომ, თუ ვაგონები ღამით მოვიდა, მაშინვე ლოგინიდან წამოგვყრიან, ვაგონის დიდხანს გაჩერება არ შეიძლება.

ასე მიდის ჩემი საქმე. მოიწერეთ წერილები, მოუთმენლად ველი.

მინდია, 1975 წლის 24 იანვარი.”

“გამარჯობა, მინდი!

ლესიები მე კარგად ჩავათავებ. ბორო ინსტიტუტიდან კინაღამ გარიცხეს: თითქმის ყველა საგანში ჩაიჭრა; მხოლოდ იმან უშველა, რომ რომელიღაც ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდში ირიცხება. აქაც ცივა. ბაის რამდენიმე დღის წინათ შევხვდი, ახლა ბაკურიანშია უკვე დედამისთან ერთად, ბოროც აპირებს იქ წასვლას. არ ვიცი, თუ მოხვრებს, იქნებ მეც წავიდე. ბაის გუთხარი, შენთვის წერილი მოეწერა, ალბათ მალე მიიღებ. ჩვენს კლასელ ამხანაგებს თითქმის ვერაგის გხვდები ხოლმე. შენი ოჯახის ამბებს ალბათ ია და მზია უფრო დაწვრილებით შეგატყობინებენ. მოგიკითხა მარკომ. აბა, მაგრად იყავი.

ნანული, 28/1 - 1975 წ.”

“წერილი №8, 1975 წლის 2 თებერვალი.

გამარჯობა ნანული!

დიდი მადლობა, რომ არ მივიწყებ. აქაურ ერთფეროვან და მიძიმე ცხოვრებაში ყოველი მსახური წვრილმანი ჩემთვის ციურ მანანსავითაა. ალბათ ფიქრობ, ალბათ კი არა, ნაღდად: “რა გააჭირა საქმე ამ ვაგონების დაცლით, ეგლა მაკლია, ქვანახშირით, ხრეშით და ცემენტით მინაგვიანებს გონებასო...” და მართალიც იქნები, მაგრამ რა ვქნა, სულ ამგვარი ერთგვაროვანი კარუსელი ტრიალებს ჩემს თავს და ზღაპრებს ხომ არ მოგვგები? კიდევ ერთ ჩვეულებრივ დღეს გავიხსენებ, გუშინდელს, არა – გუშინწინდელს.

იანვრის ბოლო დღეა, ღამით მოგვიწია ადგომა, ხრეშის ვაგონები მოსულა. ყინვამ მოიმტა, უკვე 30 გრადუსს მიაღწია. სამის ნახევარზე ლოგინებიდან წამოგვყარეს, ჩავიცვით და წავედით გადასატვირთ ბაზაში. ვაგონები დავცალეთ, დილის რვა საათზე მოვრჩით. მივედით ნაწილში, საჭმელი ვჭამეთ და ისევ ბაზაში დავბრუნდით დანარჩენი ვაგონების გადმოსაცლელად, მაგრამ ლოკომოტივი არ მოვიდა და მოცდა მოგვიწია. ყველას ეძინებოდა, შევედით საცეცხლფარეშოში და ზოგი იატაკზე დაწვა, ზოგი ქვაბებზე აძვრა და ისე ეძინათ. მე ტაბურეტზე დავჯექი, ფეხები ორთქლის ქვაბზე დავაწყვე, თავი კედელს მივაყრდენი და ისე დავიძინე. თორმეტის ნახევარზე გაგვაღვიძეს, კომისია მოდის და წადით აქედანო. თურმე მილიდან წყალი წვეთავდა და დაბამული ქურთუკის ცალი გვერდი სულ სველი მქონდა. მივედით ჩვენს საწყობში, იქ იატაკზე რალაც ძველმანი დავაფინეთ, ერთმანეთის მიგეხუტეთ და ისე დავიძინეთ. პირველის ნახევარზე ავდექით, ლოკომოტივი არ ჩანდა და სამხედრო ნაწილში წავედით საჭმელად. ლოკომოტივი ისევ არ მოსულა და დღის სამ საათზე დავწყვეით დასაძინებლად. ხუთ საათზე გაგვაღვიძეს, ვაგონები მოვიდაო. მივედით ბაზაში, ტყუილი აღმოჩნდა. იქ ერთი საათი ვიყურეუტეთ, მერე დავბრუნდით ყაზარმაში. დასაძინებლად დავწყვეით ათ საათზე, ღამის პირველის ნახევარზე აგვაყენეს, ვაგონები მოსულა. წავედით დასაცლელად. ასეთი სიცივე ჯერ არ ყოფილა, 37 გრადუსი იყო. მთელი ღამე ვცლიდით ვაგონებს და დილით, რვა საათზე, წავედით ყაზარმაში. ისე ჰყინავდა, თითქმის სირბილით მივდიოდით, ვჭამეთ და დავიძინეთ. მეორე დღეს შაბათი იყო, დავისვენეთ, კვირას კი იგივე განმეორდა – მთელი ღამე ვიმუშავეთ...

ნანიკო, როგორ მოგწონს ჩემი ყოფა? ჯერჯერობით ვუძღვებ, კაჟივით გავხდი, კაჟივით! ახლა კი მეტი წუწუნით აღარ დაგვლი და დაგემშვიდობები, მოკითხვა ყველას. ბაის წერილი ჯერ არ მიმიღია. ნუ ზარმაცობს, თუ ნახო, გთხოვ, შეახსენო.  
მინდია”.

“გამარჯობა, მინდი!

როგორ ხარ? ჩვენ ყველანი კარგად ვართ. როგორც იქნა, საგამოცდლო სესია ჩამთავრდა და შგებით ამოვისუნთქე. ბოჩოს საქმეები ჩაუწყვეს და ინსტიტუტიდან გარიცხვას გადაურჩა. ახლა განარბუღია, თითქმის ყოველდღე ქეიფობს, ალბათ ბაკურიანიშიც წავა. ბაი ბაკურიანიდან ჯერ არ ჩამოსულა, მისი ამბავი არ ვიცი. მეც ვაპირებდი წასვლას, მაგრამ საკმარისი ფული არ მაქვს, თან მხოლოდ მე ვერ წავიდოდი, მარიკოს აქ ვერ დაგტოვებდი, არც დედა გამიშვებდა მარტოს. სტიპენდიას ვაგროვებდი, ლატარია გავითამაშეთ გოგოებმა, იმით ახალი ქურთუკის ყიდვა მინდოდა, მაგრამ ფული მხოლოდ ჩემებისთვის მეყო, ბაკურიანში წასასვლელად აღარაფერი დამრჩა. ახალი მეგობრები თუ გაიჩინე? ველი შენს წერილს, შენი ცხოვრების ყოველი წერილმანი გვაინტერესებს. მოგიკითხა ყველამ.

ნანული, 3/II - 1975 წ.”.

“წერილი №9, 1975 წლის 11 თებერვალი.

სალამი, ნანული!

როგორ ხარ? მე არა მიშავს. ამას წინათ, როგორც კი დილით ავდექით და ვივარჯიშეთ, მოგვესმა ლოკომოტივის სტვენა-კივილი. ბაზა აქვეა, ჩვენს გვერდით და ფანჯარაში ყველაფერი ჩანს; გავიხედე და გამოჩნდა ვაგონები ხრეშით. ჩვენ დიდი ვაგონი შეგვხვდა. საერთოდ, ვაგონები რომ მოდის, შვიდ ვაგონს აყენებენ დასაცვლელად, დანარჩენი კი სხვა ლიანდაგზე დგას. როცა ამ ვაგონებს დავცლით, ცარიელები მიაქვთ და სხვას აყენებენ. იმ დღეს ჩვენ ექვსი ვაგონი დავამუშავეთ; ისე დავიდალე, თითებს ძლივს ვღუნავდი, ძალიან მტკიოდა. სადამოს ათ საათამდე გვამუშავეს, მერე ნაწილში მივედი; ჩვენთვის დატოვებული იყო ვახშამი, ვჭამეთ და დავიძინეთ. მეორე დღეს ყველნი მოხარშულებით ვიყავით, ძლივს ვადგამდით ფეხებს. კიდევ კარგი, ბევრი სამუშაო აღარ იყო, საწყობში ვიცდიდით; ზოგნი სკამებზე ვისხედით, ზოგნი – იატაკზე და ყველას ასე გვეძინა. ვაგონები რომ მოსულიყო, არ ვიცი, როგორ დაეცლიდით. შაბათი დღე იყო და აბანოში წაგვიყვანეს; სადამოს, ვახშამის შემდეგ, ქართული კინოფილმი აჩვენეს. წესით და კანონით, ისე ვისვრებით და ვივანგლებით მტვერში, აბანოში ყოველდღე უნდა დავდიოდეთ. აბანო ახლა ჩვენთან გააკეთეს, ქვედა სართულში, და შორს აღარ გვიწევს წასვლა.

წუხელ თოვლი მოდიოდა, დღეს ძალიან თბილა, ნოლი გრადუსია, საუცხოო ამინდია. როგორც იქნა, წინა დღეს ცოტა ამოვისუნთქეთ. დღესაც ვისვენებთ; ჩვენი განყოფილების უფროსი ნაწილში დარჩა, ჩვენ წავედით ბაზაში. შესვენებამდე საწყობში ვისხედით. სადილისთვის ნაწილში დაგბრუნდით, შემდეგ ცოტა თოვლი გაგწმინდეთ ხაზებზე და ეს იყო მთელი სამუშაო. სადამოს ლექცია წავგიკითხეს დისციპლინაზე; ჯობდა, ვაგონის გადმოსატვირთად წავეყვანეთ, ისეთი მოსაბეზრებელი იყო. თითქოს ჯინაზე, როცა ყინვები მოუჭერს, მაინცდამაინც მაშინ გვამუშავებენ დღევ და დამეც.

ალბათ მოგაბეზრე თავი ამდენი წუწუნით, კარგად იყავი. წერილს მოუთმენლად ველი.  
მინდია”.

“გამარჯობა, მინდი!

მართალი გითხრა, არც კი ვიცი, რა მოგწერო. აქაური ცხოვრება ისეთი ერთფეროვანია, რომ ტვინს ვიჭყლეტ, რა მოგწერო? ახალ წიგნს მაინც წაიკითხავდიო, ალბათ იფიქრებ, მაგრამ, ჯერ ერთი, საგამოცდლო სესიამ ისე დამდალა და გამომფიტა, რომ წიგნის დანახვაც მეზარება, არამცთუ ხელში აღება; მეორეც: სხვისი წარმტაცვი ცხოვრების აღწერა რა შეღავთია, როცა შენი საკუთარი ასეთი უღიმღამოა? გოგოებთან შეხვედრა და მათთან ერთად გართობაც მიჭირს, რადგან დედა სამსახურიდან გვიან მოდის, დაღლილი, და სადამოსთვის ყოველგვარი საოჯახო საქმე მოგვარებული უნდა დავახვედრო. მარიკოც მეზმარება, ყოჩაღი გოგო იზრდება. ბაი და ბოჩო, კარგა ხანია, აღარ შემხვედრია, მათი ამბავი არ ვიცი. წერილი ხშირ-ხშირად მოიწერე, მოუთმენლად ველოდები ხოლმე. მოგიკითხეს დედაჩემმა და მარიკომ.

ნანული, 10/II - 1975 წ.”.

“წერილი №10, 1975 წლის 20 თებერვალი.

სალამი, ნანული!

რახან შენ იწერები, რომ თურმე ძალიან გაინტერესებს ჩემი გმირული საქმიანობის ყოველი წერილმანი, დაეკამაყოფილებ შენს სურვილს და მოკლედ მაინც მოგახსენებ, რაც კი მოხდება ჩემს თავს, ზოგიერთ რამეს მაინც.

ამას წინათ ღამის პირველის ნახევარზე წამოგვეყარეს: ორი ვაგონი მოსულა და ჩვენი ქვეგანყოფის მორიგეობის რიგი იყო. პირველი ვაგონი ერთ საათში დაეცალეთ, მეორეს მთელი და-

მე მოვუნდით, დღის ათ საათამდე ძლივს მოვრჩით. ჩვენმა ათეულის უფროსმა კიდევ ერთი ვაგონი აიღო, ხრეშით დატვირთული. დიდი ჯიბიდან გაგარდნილი ვინმეა, თვითონ არაფერს აკეთებს და რა ენაღვლება: რაც მეტ ვაგონს დაგვცლით, მით მეტ ფულს მიიღებს. იძახის, ფული ხომ გინდათო, ჰოლად, უნდა იმუშაოთო. რა ჭირად მინდა მაგათი ფული! ეგ მამაძაღლი ჩემთან კარგად არის, მაგრამ მაინც მეჯავრება. იმის გამო, რომ ზედმეტი ვაგონი აიღო, სადამოს მოგვიწია კიდევ ერთი ვაგონის დაცლა. დამის თორმეტის ნახევარზე გაგვადვიძეს, საჩქაროდ ჩავიცვიოთ და წავედით ბაზაში. გაბრაზებულები ვიყავით და სწრაფად ვმუშაობდით, საათნახევარში დავცალეთ. ქაფმინაბლოკები იყო, მტრისას, ისეთი საშინელი დასაცლელია. ძალიან მსუბუქია, აგურის ხელა ან ორი აგურის ხელა, ზოგიც – უფრო მეტი ზომისაა, შავი მტვერი აქვს. ორი წყვილი ხელთათმანი დავხიე, ყველაფერს ედება და უბედურად გლექს ქსოვილს.

გუშინ თბილი დღე იყო. საწყობში ვისხედით და შემოვიდა ჩვენი მეთაური, ორი კაცი გაგვიშვა ქალაქში მანქანით, ბაზაში ერთი ქალი მუშაობს და იმას გაგვაცოლა. მარცხენა ნაპირზე ვიყავით, კარგა შორს არის. კი გვითხრეს, ბევრი ტვირთი იქნებაო, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე ცალი რეზინის ღვედი აღმოჩნდა. მთელი დღე ასე უქმად გავატარე და ცოტა ამოვისუნთქე. დღესაც დავისვენე: კიდევ უნდა წავსულიყავით, მაგრამ მანქანა არ მოვიდა, ამ წერილის დაწერაც მოვასწარი. მიხარია, რომ ყველანი კარგად ყოფილხართ, წერილებს თუ უფრო ხშირად მოიწერებთ, კიდევ უფრო გამიხარდება.

მინდია.”.

21 თებერვალს მინდიამ მიიღო მისალმობი ღია ბარათი, როგორც ჩანს, ნანულის მიერ წინასწარ გამოგზავნილი:

“მინდი, გილოცავ დღესასწაულს, საბჭოთა არმიის დღეს.  
მრავალს დაესწარი, ჯანმრთელად და ბედნიერად!  
ნანული.  
23/II-1975 წელი”.

“წერილი №11, 1975 წლის 25 თებერვალი.

სალამი, ნანული!

ამ წერილის დაწერა რომ დავაპირე, ჩემი მეთაური მოვიდა და სულ რას წერ და წერ, წამაკითხეო. მე შევუბღვირე, შენი საქმე არ არის-მეთქი.

ისე კი მართლა სულ ერთსა და იმავეს შესახებ ვიწერები – ასეთი ერთფეროვანი და უინტერესოა ჩემი ახლანდელი ცხოვრება.

კვირას ოთხმოცი ახალწვეული ქართველი მოიყვანეს ჩვენთან, ასეულებში დაანაწილეს. ჩვენს ასეულში ოცი კაცი მოიყვანეს, სადამოს ყველას ახალი სამუშაო ტანსაცმელი, დაბამბული ქურთუკები და ნაბდის ჩექმები დაურიგეს. დილით ადგომისას ორის შარვალი აღარ იყო. სასაცილო სანახავეები იყვნენ: დაბამბული ქურთუკები ეცვათ, ზედ ჰქონდათ შემოჭერილი ქამარი, ეცვათ თეთრი ქვედა საცვალი, ჩექმები და ასე დადიოდნენ ასეულში, სანამ სანაცვლოდ სხვა შარვლებს მისცემდნენ. მთელი ასეული გაჩხრიკეს, მაგრამ ქურდები ვერ აღმოაჩინეს. მაგარი ქურდობა არის ჩვენთან. კარადაში ვერაფერს შეინახავ, ყველაფერს მოგპარავენ – საპონს, საპარსს, ცხვირსახოცებს, კბილის პასტას და ჯავრისსაც კი. წარმოიდგინე, ვის რად უნდა სხვისი ნახმარი კბილის ჯავრისი? სამუშაოდან რომ მოვდივართ, ხელთათმანებს კარადის ქვეშ ვმაღავ. დედას შალის ხელთათმანები გამოვაგზავნიე – იმ შემთხვევისთვის, თუ მომპარავენ; ის სულ ჯიბით დამაქვს. რამდენიმე დღე ძალიან მაგარი სიცივე იყო და ძალიან გამომადგა, ორი ხელთათმანი მეცვა. ქურთუკის სახელოზე მაქვს დაწერილი ჩემი ინიციალები, სამუშაო ტანსაცმელზე დიდი ასოებით დავაწერე ჯიბეებზე ქართულად ჩემი გვარი. ერთხელ უკვე მომპარეს სამუშაო ტანსაცმელი და მეც სხვისი ჩავიცვი, მეტი რა გზა მქონდა, – აქ მგლის კანონი მეფობს! – ოღონდ სახელოები მაქვს მოკლე, ჩემი ზომის ტანსაცმლის მოძებნა ცოტა ძნელი საქმეა. ქერის ცალი ჩექმაც მომპარეს, ვიღაცის ჩავიცვი და მიჭერს, ფეხს მტკენს: ერთი ჩემი მაცვია, ერთი – სხვისი. ახლებს უკვე ქერის ჩექმებიც მოპარეს, ხელთათმანებიც და ზოგს – ქურთუკებიც. გაგიუბებულნი არიან. დამე არის სასაცილო: დაძინების ნიშანს რომ მისცემენ, ჯარისკაცები იწყებენ სიგარეტის მოსაწევად სიარულს, თეთრი აჩრდილები გეგონება: ზევით თეთრი საცვლებით და ქვევით ჩექმეზე ფეხსახევეებით დადიან, ზოგი – ამ სიცივეში – ფეხშიშველაც. ჩვენს ოცეულში ოთხი ქართველი მოხვდა, ერთი ორმეტრიანია. ნაწილის უფროსმა უთხრა, თუ გინდა, ორმაგ ულუფას მოგცემთ, კარაქის გარდაო; იმან უპასუხა, კარაქი მომეცით, სხვა არაფერი მინდაო, მაგრამ უარი უთხრეს. ამბობს: ”გიჟი მნახეს, ორმაგი საჭმლის ფულს რა გადაიხდისო”. სასაცილო ტიპია, ტანსაცმლის მოპარვის ეშინია და ყოველ სადამოს ძაფს მიაბამს ხოლმე ტანსაცმელზე და თითზე: ”თუ ვინმემ მოპარვა დააპირა, ხომ გავიგებ და თავს მოგაპრობო”.

გუშინწინ ორი ვაგონი ხრეშში მოვიდა, მთელი დღე და დამე ვმუშაობდით – სანამ არ დავცალეთ, არ მოგვასვენეს. ვითომ სადღესასწაულო დღე იყო, 23 თებერვალი, საბჭოთა არმიის დღე, ჩვენთვის მაინც შავი დღე გათენდა. გუშინ ისევ მოვიდა ვაგონები, სადამოს შვიდ საათამდე

გვამუშავებს, შემდეგ მიგვიყვანებს ნაწილში, ვჭამეთ და დავიძინეთ, დამით კი პირველის ნახევარზე ისევ წავიყვანებს ბაზაში – დილაზე ვცლიდით ვაგონებს... დილას ვიბანავთ, ვჭამეთ და ისევ სამუშაოდ წავიყვანებს. ორ საათზე სადილი ვჭამეთ და მაშინვე დავიძინეთ; საღამომდე გვძინა, სანამ სავახშმოდ არ აგვყენებს.

ამ წერილს ნაწილ-ნაწილ ვწერდი, ამიტომ ცოტა აბნეული გამომივიდა – როგორც ყოველთვის! გემშიდობები და ყოველივე კეთილს გისურვებ, მოკითხვა ყველას, ვისაც ცოტათი მაინც გახსოვარ!

მინდია.”.

“გამარჯობა, მინდი!

როგორ შეხვდი დღესასწაულს? ჩვენ არაფერი აღგინიშნავს, მხოლოდ გახსენეთ კი ვახშმობისას, და ამასთან დაკავშირებით მამამ შამპანურის ბოთლი გახსნა და შენც გადღეგრძელა. აქ ისე დათბა, უნივერსიტეტში კაბითაც კი წავიდოდი, მაგრამ დედა არ მიშვებს. ამას წინათ ბაი ვნახე, ჩემზე მცირეა, ახალი ტყავის ქურთუკით დადის, მამამისმა უყიდა. ჯერჯერობით კავალრები არ გვყავს, თუმცა ბევრნი აჭყეტენ ჩვენზე თვალს. სწავლა კარგად მიდის, ზამთრის სესიები ისე ჩავაბარეთ, სტიპენდიებიც გვაქვს, ბაის – ფრიადოსნისა, მე – ჩვეულებრივი. ჯობდა, პირიქით ყოფილიყო, მაშინ მეც შევძლებდი ტყავის ქურთუკის ყიდვას, ძალიან მაგარი. ბორო დაკარგულია, თვეზე მეტია, არ მომიკრავს თვალი. ბაი ამბობს, კარგად არისო, მაგრამ უვაჟუცია – სესიის შემდეგ ორ საგანში “კუდები” გამოჰყოლია, მათ მომზადებაში ბაი ეხმარება, ბორო შინ მიდის მასთან. შენი წერილები ყველას ძალიან მოსწონს. ის კი არ მოგვწონს, როგორ წვალობ მანდ. არა უშავს, სპორტსმენი ხარ, კიდევ უფრო გავარჯიშდები და გამოიწრთობი. წერილი მოიწერე.

ნანული, 25/II-1975 წელი”.

“წერილი №12, 1975 წლის 28 თებერვალი.

სალამი, ნანული!

ეს ზამთარიც გადავგორეთ და გაზაფხული გვიკაკუნებს კარზე! ყოველ შემთხვევაში, მანდ მაინც – აქ კი, ჯერჯერობით, ისევ ბატონობს და ბაქიშქობს ზამთარი.

შენი საფოსტო ბარათი მივიღე, დიდი მადლობა მოლოცვისთვის. ყოველ შენს წერილს მიღებისთანავე ერთი სამჯერ ზედიზედ წავიკითხავ ხოლმე, მერე სხვა დღეებშიც ხშირად გადავიკითხავ, ისე მენატრებით ყველანი. ასე მგონია, ასი წელია, რაც მანდედან წამოვედი. უცნაური რამ შემემთხვა: შენი ღია საფოსტო ბარათი დამეკარგა. ხომ იცი, როგორი მოწესრიგებული ტიპი ვარ, არასდროს არაფერი მეკარგება; ყველაფერი გადავაქოთე და ვერ ვიპოვე. დარწმუნებული ვარ, მომპარეს. ეჭვი მაქვს ერთ “კოლექციონერზე”. უცნაური ვიღაცაა, ყველაფერს აგროვებს, რაზეც ლენინის გამოსახულებაა, ნებისმიერ ნივთს, განსაკუთრებით – საფოსტო ღია ბარათებს. მთელი ჩემოდანი გამოტენილი ჰქონდა ამგვარი ღია ბარათებით, დროდადრო მოქუჩებულს შინ აგზავნის შესანახად. ისეთი სიამაყით მაჩვენა მისი “კოლექცია”, ვიფიქრე, ცოტა ხომ არ აფრენს-მეთქი. ისე უწყინარი ვიღაცაა, სხვებივით ქურდობაცაც არ მეგონა, მაგრამ, როგორც ჩანს, შეეცდი. ადრეც მოგწერე, აქ როგორი სპორტის სახეობაა აყვავებული: ქურდობა! კბილის პასტას რომ მოგპარავენ, კიდევ არა უშავს, მაგრამ, თუ ქუდი მოგპარეს ან ჩექმები, ამ უბედურ ყინვაში სად მიდიხარ? არის გახურებული ერთმანეთის გაქურდება. აქ ისეთი მდგომარეობაა შექმნილი, რომ ძალაუნებურად წესიერ კაცსაც ქურდად აქცევენ. ხუმრობა იქით იყოს და ახლა გთხოვ, საფოსტო ბარათებზე წერილს ნუღარ მომწერ, ნაღდად მომპარავენ.

მინდია.

წერილი №13, 1975 წლის 2 მარტი.

წინა წერილის გამოგზავნა დროულად ვერ მოვახერხე, სადღაც დამებნა და ახლა ვნახე, თურმე ბალიშის ქვეშ შემინახავს. გადავწვიტე, გავაგრძელო და ორ წერილს ერთად მიიღებ ერთი კონვერტით.

თითქმის ყოველდღე ისევ ვირბევით გვამუშავებენ, სხვა მხრივ შედარებით კარგად ვარ. თბილისში ალბათ უკვე გაზაფხულს სუნთქვა იგრძნობა, აქ კი ისევ ყინვებია უბედური. წინა დღეს თბილისში უნდა დამერეკა, დილიდანვე თავი გაგინთავისუფლე, დილის 11 საათზე უნდა მელაპარაკა. ზემდეგს ვუთხარი და გამომიშვა 10 საათზე, მითხრა, დიდხანს მოგიხდება ლოდინი. კიდევ კარგი, რომ თბილისთან ლაპარაკი მქონდა შეკვეთილი, თორემ ოცგარდაუსიან ყინვაში მთელი ორი საათი მატარებდნენ ზევით-ქვევით სიმღერით. ორსაათნახევარი ველოდი თბილისთან დაკავშირებას, ფანჯარაში ვიყურებოდი და ვხედავდი, როგორ დადიოდნენ ჩვენები უხელთათმნოდ და მათ სულ ერთსა და იმავეს გაუთავებლად ამღერებდნენ და ამღერებდნენ. რა ემღერებოდათ, საწყლებს, მაგრამ რა უნდა ექნათ.

წუხელ ჩვენს ნაწილში “მოხუცებმა” გადაიხადეს სამსახურის ორი წლისთავი, ჩვენ არ მიგვიშვეს. რვა საათზე კინო გვიჩვენეს და დაგვაძინეს. დილით განაწესებულ ოცამდე კაცი გამოიყვანეს – წუხელ დამთვრალან და დაუჭერიათ. მთვრალებს კარცერში სვამენ. დილით კარგა მაგარი

ყინვა იყო, განაწესზე ნახევარი საათი ვიდრე, ძალიან გავითრშეთ. თორმეტ საათზე კაპიტანმა ყაზარმაში კრება ჩაატარა, ლოთები ჩამოწკრივა და გემრიელად გაჯორა. გუშინ, სანამ სადამო დაიწყო, ჩვენთან ჩვენი ზემდეგი გამოვიდა სიტყვით: “რადგან სასაღილო დაკავებულა, ასე უფრო ჭამთ და ფაფა არ ესროლოთ ჭერსო”, შარშან სულ გაუსვრიათ ჭერი ფაფით. სკამები არ იყო და ვინც როგორ მოახერხა, ისე ჭამდა. მე ტაბურეტი ვიშოვე და ფანჯრის რაფასთან მშვენივრად მოვეწყვე; ზოგი პირდაპირ გაწვა იატაკზე და ისე ჭამდა. ამ დღით ჩნები ავტუბუსით მორიგეს სასაღილოში: კაკაო არ მოგვიწია, კარტოფილი მუაგე იყო და მშვიერი დაგრჩით. სულ დამავიწყდა: დღეს დღით მწკრივის წინ გამოიყვანეს ოთხი ახალწვეული, გალანძღეს და კარცერში დაამწყვდიეს – გუშინ მეორე ცვლაში გაუშვეს სამუშაოდ, იქ დამთვრალან და თვითნებურად წამოსულან. ერთხელ მორიგე ვიყავი საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე და შევიხედე კარცერში. არ ვიცი, იქ როგორ ძლებენ, კედლები სულ ყინულით არის დაფარული.

ოთხ საათზე კინო გვიჩვენეს, ახლა თავისუფალი დრო გვაქვს და ამ წერილს ვწერ. მოუთმენლად ველი ყველას წერილებს, აბა, კარგად. მინდია”.

“მინდი!

როგორ ხარ? ვიცი, შენ ჩემზე ძალიან ნაწყენი იქნები. გეფიცები, ბევრჯერ მინდოდა წერილის მოწერა, მაგრამ ყოველთვის რაღაც საქმე გაეჩინებოდა ხოლმე და ვერ ვახერხებდი. ნანული შენს წერილებს ყველას გვაკითხებს და შენი ამბავი კარგად ვიცოდი, სანამ ახალი წლისთვის ჩემი ოჯახი ვაკეში, ახალ ბინაში გადავიდოდა საცხოვრებლად. ჩემს ამბავს თუ იკითხავ, უნდა ვთქვა, რომ დიდი უბედურება შემემთხვა პირადად მე. ფიზიკურად ძველებურად ვარ, ეს უფრო ჩემს სულიერ მდგომარეობას შეეხება. მე კარგად ვიცი შენი ჩემდამი დამოკიდებულება და ახლა ამ წერილში ვერაფერს მოგწერ, ძალიან მეუხერხულება და, რაც მთავარია, ისედაც ძალიან მძიმე პირობებში ყოფილხარ მანდ და შენი ზედმეტი აფორიაქება არ არის საჭირო. ალბათ მიმიხვდები. მოკლედ, როცა ჩამოხვალ, ყველაფერს მოგიყვები. ახლა კი დაგემშვიდობები, კარგად იყავი. ბაია”.

“წერილი №14, 1975 წლის 4 მარტი.

სალამი, ნანული!

ნანიკო, დღეს ბაის ერთადერთ წერილს ველირსე. თარიღის დაწერა დაგიწყებია, საფოსტო შტემპელის მიხედვით, ალბათ 28 თებერვალს არის გამოგზავნილი. ძალიან შეშფოთებული ვარ, რა მოხდა? მის წერილში მხოლოდ ის წერია, რომ ჩემს თავს დიდი უბედურებააო, ალბათ შენ მიხვდები ჩემს მდგომარეობასო. ბუნდოვან მინიშნებებში ათასი რამ ვიგულისხმე... თუ რამე იცი, ძალიან გთხოვ, დაწვრილებით მომწერო. ათასი სისულელე ვიფიქრე. ძალიან შეშფოთებული ვარ და რამენაირად სასწრაფოდ მომწერე ყველაფერი ან დარეკე. აქამდე ერთი წერილი არ მოუწერია და ახლა რატომ მოიწერა, თანაც – ასეთი უცნაური წერილი? აქამდე რატომ არაფერს იწერებოდა? ჯერ მინდოდა, ბაისთვის მიმეწერა, მაგრამ არა მგონია, კიდევ მომწეროს მეორე წერილი რაიმე ახსნა-განმარტებით. ეს წერილიც რატომ მომწერა? ვერ ვხვდები...

ძალიან არეულ-დარეული წერილი გამომივიდა, ბოდიშს ვიხდი. მოუთმენლად ველი შენს წერილს, სასწრაფოდ მომწერე.

მინდია”.

ეს იყო მინდიასგან მიღებული ბოლო წერილი... რაც ყველაზე საკვირველი იყო, ქალთა დღისთვის – 8 მარტისთვის – მისგან მისალმონი ღია ბარათი არ მიუღიათ არც ნანულის და არც მინდიას ოჯახის წევრებს: დიდელას – მართას, დელას – თეოს და დებს – იასა და მზიას...

## კარი VI.

### ბოჩია ბაიას რესტორანში ჰპატიუებს...

საკმაოდ ცივი დეკემბრისა და კიდევ უფრო მკაცრი იანვრის შემდეგ, თებერვლის დასაწყისში, მოულოდნელად ისე დათბა, აპრილი ეგონებოდა კაცს. ქალაქში, აქა-იქ, სამზეოზე, ეზოების მოფარებულ ადგილებში, მყუდრო კუნჭულებში ნუში აყვავდა. ვერხვის, ალვის, ჭადრის, თელის, იფნის ხეებს რტოებზე კვირტები დაებურათ; ბაღებში, სკვერებში, ეზოებში მიწიდან ღორთქო ბალახმა ამოხეთქა; კარგა ხანია, ახლომახლო ტყისპირებიდან კალათებით მოტანილი ყორივარდების კონები იყიდებოდა ქალაქის ქუჩებში.

ერთ ასეთ მზიან, თბილ დღეს ბოჩია დაუდარაჯდა ბაიას, როცა ის სამუშაოს დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტის მთავარი კორპუსიდან გამოდიოდა.

– ბოჩო, შენ აქ საიდან მოხვდი? – ჰკითხა გაკვირვებულმა ბაიამ ურთიერთ მისალმებისა და გადაკოცნის შემდეგ.

– რატომ გიკვირს? – თავი აარიდა პირდაპირ პასუხს ბოჩიამ.

- რამე საგანი ხომ არ დაგრჩა ჩაუბარებელი? - ნახევრად ხუმრობით ისევ ჰკითხა ბაიამ.
- არა, შენი მადლობელი ვარ, “კული” აღარ მაქვს...
- მადლობა ღმერთს!
- ჩემი დანახვა ხომ არ გეწყინა? ერთმა სულელურმა აზრმა მოლოდინულად წიკპურტი გამ-  
კრა და აქეთ გადმომაგდო!
- ძალიან სულელურია თუ არც ისე? აქ რამ მოგიყვანა?
- შენ გელოდი!
- მართლა?
- ჰო, მინდა ერთი რაღაც შემოგთავაზო...
- ბაიამ ცნობისმოყვარეობით შეხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ბოჩია ისევ ის ბოჩიაა -  
თაფლისფერი თვალები ძველებურად უცინის, თითქოს ბავშვურად რაღაც უნდა იცუღლუტოსო,  
მხოლოდ მოსუქებულია და თმა საკმაოდ შესთხვლებია.
- ძალიან გეჩქარება? - ჰკითხა ბოჩიამ, - შინ ბავშვი ხომ არ გიტირის?
- ჰო, კარგად იცი, ორი ბავშვი მიტირის, მაგრამ არა უშავს, მოიცდიან! - გაიცინა ბაიამ. -  
დედაჩემი კი ნამდვილად მეღის.
- დიდხანს არ გაგაჩერებ... ხომ არ გცივა? მშვენიერი ამინდია, მოდი, ცოტა ხნით ბაღში  
შევიდეთ.
- უნივერსიტეტის ბაღში ყველა სკამი ახალგაზრდებით იყო დაკავებული; ბოჩიამ ბაიას ხელ-  
კავი გაუკეთა და ასე გაისეირნეს წითელი აგურის ფხვნილით დაფარულ ერთ-ერთ ხეივანში.
- რა საქმე გაქვს ისეთი? - ჰკითხა ბაიამ. - ტელეფონით შეგეძლო, გეთქვა.
- რა და... არ გეგონოს, იმიტომ მინდა, შემოგთავაზო ერთი რამ, რომ ფიზიკის და ქიმიის  
მომზადებაში დამეხმარე... არა, მაგის სამადლობელს სხვა დროს გადაგიხდი...
- ერთი რამ? მაინც რა?
- შენ უნივერსიტეტში ფიზიკა-ქიმია სრულებით არ გჭირდებოდა და არც ახლა გჭირდება;  
მოგიხდა სახელმძღვანელოების დამუშავება... არა, ეგ კი არ მიკვირს, რომ ჩემი გულისთვის ასე  
შეიწუხე თავი, როგორ მოახერხე ასე სწრაფად უამრავი ახალი მასალის ათვისება?
- სრულებით არ გამჭირვებია, დაგავიწყდა? სკოლაში ამ საგნებში სულ ფრიალები მქონდა.  
სხვათა შორის, სხვა საგნებშიც...
- ჰო, ყველას სჯობდი, კაკი დიაოხიძესაც; მერე, ფრანგულზე რატომ შეხვედი?
- დედაჩემმა მიჩრია, ქალისთვის შესაფერისი სპეცილობააო და მეც მინდოდა. ესპანური  
და იტალიურიც მაინტერესებს. თუ მოვახერხებ...
- სხვა თემაზე გადავედით... - შეაწყვეტინა ბოჩიამ. - რა იქნება, რომ რესტორანში დაგპა-  
ტიყო? შენთან შეხვედრა მომენატრა, თან, ხომ გითხარი, ერთ საქმეზეც მინდა, მოგელაპარაკო...  
ხომ ხედავ, აქ სკამზე ვერსად დაგსხდებით, რომ გემრიელად ვისაუბროთ.
- აგერ ვართ ორივენი, თუ რამე სათქმელი გაქვს, ბარემ აქვე მითხარი.
- დანა-ჩანგლის წკრიალში საუბარს სხვა გემო აქვს... ახლავე რომ წავიდეთ?
- სად?
- რესტორანში!
- არა, ბოჩო, რას ამბობ, ხომ გითხარი, დედაჩემი მეღის, სუფრა უკვე გაშლილი ექნება...  
თუ გინდა, შენც წამოდი და იქ რა შეგვიშლის ხელს, დანა-ჩანგალი ჩვენც გვაქვს! ძალიან გაუ-  
ხარდება. მამა მოგვიანებით მოდის.
- არა, თქვენთან ასე მისვლა უხერხულია...
- წამოდი, წამოდი, სამეცადინოდ ხომ მოდიოდი.
- მაშინ სხვა იყო... მამაშენს ღვინის სმა ხომ არ დაუწყია? მაშინ წამოვალ! კარგი ღვინო  
ხომ გაქვთ?
- შენ სულ ხუმრობის ხასიათზე ხარ!
- აბა, რა ვქნათ?
- რა ვიცი... კარგი, მერე დამირეკე და მოვილაპარაკოთ...
- რესტორანში შევხვდეთ?
- სადაც შენ მეტყვი... ჯერ დამირეკე და შევთანხმდეთ.
- ასეთი პირობით დაშორდნენ ერთმანეთს.
- შემდგომ ბოჩია კარგა ხნის განმავლობაში ტელეფონით დროდადრო ურეკავდა სამსახურში  
ბაიას და დაჟინებით, მაგრამ უშედეგოდ სთავაზობდა შეხვედრას, ეპატიუებოდა, რესტორანში წა-  
ვიდეთო. ბაიას თან უნდოდა, ბოჩიასთან შეხვედრა და საუბარი, თან რაღაც შინაგანად ამუხრუ-  
ჭებდა კიდევ - ქალური გუმანი კარნახობდა, რომ ბოჩია ტყუილად არ იყო ასეთი შემტევი, რა-  
ღაც მეტად სერიოზული ჰქონდა ჩაფიქრებული. მაინც რა? ბოჩიას მიერ ნახსენები იმ რაღაც  
“ერთი საქმის” გაგების სურვილი ალაგზნებდა და, იმავდროულად, ერთგვარად აშინებდა კიდევ...  
რამდენჯერმე თვითონაც შესთავაზა ბოჩიას, ჩემს სახლში შეხვედრით, რომელ ღვინოსაც მეტყვი,  
იმას დაგახვედრებო...
- შემდეგ ისე მოხდა, რომ ორ კვირაზე მეტი გავიდა ბოჩიას მიერ ტელეფონით ბოლო და-  
რეკვიდან და ბაიას აღარ შეხმინებია და არც სამსახურში მიუკითხავს, არც - შინ... და აი, ბო-

ჩიას დუმილით შემფოთებულმა და ერთგვარად ნაწყენმა და გაღიზიანებულმაც, თვით ბაიამ გადაწყვიტა, დაერეკა ბოჩიასთვის... ბოჩიას შინ მოხელთება ადვილი არ გამოდგას; ბაიამ მხოლოდ მას შემდეგ მოახერხა მასთან ტელეფონით საუბარი, როცა დილაადრიან, სამსახურში წასვლამდე დაურეკა.

– ბოჩო, გეძინა? სად დაიკარგე, შე ძილისგუდა, ხომ კარგად ხარ? გუშინაც იქიფე? – დააყარა კითხვები.

- რა მიშავს, შენ როგორღა გიკითხო?
- როგორ და, შენგან დავიწყებულს როგორც შეჭფერის... სად გადაიკარგე?
- რა გიცი, აბა... გირეკე, გირეკე... თქვენი ტელეფონი სულ დაკავებულია...
- არ იცი დელანემის ამბავი? წამოწვება დივანზე და საათობით ლაპარაკობს დაქალებთან.
- ახლა რატომღა გაგახსენდი? ხომ შევთანხმდით...
- ნუ გეწყინება... ხან – ცოტა შეუძლოდ ვიყავი, ხან – საქმეები მქონდა... რესტორანში რომ

მეპატიებოდ, როდის წავიდეთ?

- ბაიას ასეთი კითხვით გაოგნებულმა ბოჩიამ მაინც მოხერხა ეთქვა:
- თუ გინდა, ხვალვე...
- ხვალ?... კარგი, კარგი... ბოჩო, ხვალ, სამსახურის შემდეგ... ბოდიში, ახლა სამსახურში

გავრბივარ...  
– სადამოს რვა საათისთვის შინ მოგაკითხავ ტაქსით, ქუჩაში დაგელოდები.

ადელვებულ ბოჩიას მოსალოდნელი შეხვედრის მოლოდინით დაიმუხტა. თებერვლის მიწურულის იმ დღეს მთელი ღამე და დილიდანაც წვიმდა, დროდადრო მცირე ხნით გადაიკარებდა; უქარო, წყნარი ამინდი იყო და არც ძალიან ციოდა.

სადამო ხანს წვიმამ, როგორც იქნა, საბოლოოდ გადაიღო და უფრო აცივდა. სადამოს ცხრის ნახევარი იქნებოდა, როცა ბაია და ბოჩია სასტუმრო “თბილისის” რესტორანში შევიდნენ: შედარებით წყნარი ქუჩიდან – სულ სხვა ფერადოვნებისა და განწყობის, საზეიმოდ აღზნებულ სამყაროში. ბოჩიას ეცვა ყოველდღიური სამოსი: ბეწვის საყელოიანი ქურთუკი და შინნაქსოვი ლურჯი ჯემპერი, ბაია კი საგანგებოდ გამოწყობილიყო: თეთრი პალტო და ახალშექერილი, აბრეშუმის მბრწყინავი, ღია ვარდისფერი კაბა და მარგალიტის მძივები ძალიან უხედებოდა; თმის ახალი ვაცხნილობაც საგანგებოდ გააკეთებინა სილამაზის სალონში და ბოჩია ერთგვარად უცხო, შეუჩვეველ ბაიას შეხვდა...

გარდერობიდან დიდ, გაჩირადლებულ დარბაზში ბოჩიასთან ერთად შესულ ბაიას, ნაწვიმარი ქუჩის თაღის ფერების შემდეგ, თვალი მოსჭრა გაჩირადლებული დიდი დარბაზის ჭადების ბრწყინვალეობამ, კედლების და თეთრი მაგილების ნათელმა; ისმოდა განუწყვეტელი ყაყან-ზუზუნი და დანა-ჩანგლების წკრიალი – რესტორანი გადავსებული იყო ხალხით, მაგრამ ისინი მაშინვე მიაცილეს თავისუფალ მაგიდასთან, მყუდრო კუთხეში.

აქამდე ბაია მხოლოდ რამდენჯერმე იყო ნამყოფი რესტორანში, ისიც – ხალხმრავალ სუფრაზე; ამჯერად მხოლოდ ბოჩიასთან პირისპირ იჯდა, ერთგვარად აღზნებული იყო და რაღაც განსაკუთრებულის მოლოდინით ადვსილიც – რესტორანში ტყუილად ხომ არ დაჰპატიჟეს? რატომ მხოლოდ ის? რის შესახებ აპირებს საუბარს ბოჩია?... ყველა გრძნობა გამახვილებული ჰქონდა და ყოველი წვრილმანიც კი იპყრობდა მის ყურადღებას; უპირველესად, შეატყო, ბოჩიას აქ კარგად იცნობდნენ: ოფიციალტი ქალი მაშინვე მათთან გაჩნდა და მოწიწებით მისალმებისას ბოჩიას სახელითაც კი მიმართა...

საჭმელ-სასმელი მათ მალე მიუტანეს, ჩანდა, რომ შეკვეთა წინასწარ იყო მიცემული ან ოფიციალტმა ქალმა კარგად იცოდა მისი მუდმივი სტუმრის გემოვნება. “ყველა კერძი უგემრიელესია, ღვინოც – შესანიშნავი, მაგრამ ჩემთვის არ უნდა გეიტხა, მე რას ვისურვებდი? შეკვეთების წიგნაკიც არ მომაწოდა...” – გაიფიქრა ბაიამ, თუმცა რაღაც “დიდ” თემაზე საუბრის მოლოდინით იყო ადვსილი და ბოჩიას მხრივ ეს უყურადღებობა მნიშვნელოვნად არ ჩათვალა, თუმცა, აღნიშნა არ გამოჩენია.

მათ ემსახურებოდა შუახნის რუსი ქალბატონი – დაბალი, ფაშფაშა, მაგრამ ძალიან მოძრავი, ტუჩ-თვალ-წამწამებიანად უზომოდ შეღებილი; ბაიას ქუჩაში რომ შეხვედროდა, უეჭველად პირწავარდნილ ბოზად მიიჩნევდა.

თუმცა საჭმელ-სასმელი უკვე ყველაფერი მოტანილი ჰქონდა, ეს ქალი მაინც არ შორდებოდა მათ მაგიდას – აივლიდა-ჩაივლიდა და ბოჩიას წყაღწყაღა ცისფერ თვალებს არ აცილებდა. ბაიას თვალს არც ეს გარემოება გამოჰპარვია...

- ბოჩო, ხშირად დადიხარ ამ რესტორანში?
- მართალი გითხრა, არ მახსოვს, როდის ვიყავი აქ ამ ბოლო ხანს, რესტორნები ისე ამერიკა ერთმანეთში... თბილისში საუკეთესო რესტორანია, მოგწონს?
- რომ გითხრა, არ მომწონს-მეთქი, დაიჯერებ?
- ხვალ-ზეგ სხვა რესტორნებიც მოვინახულოთ და შეადარე.
- რას ამბობ, ბოჩო, უნდა გამალოთო? ამდენი ფული საიდან გაქვს?
- მამარემი იყოს კარგად და... ძველებური სერვიზები ახლა ძვირად ფასობს.
- სერვიზებში კარგად ერკვევი?



– ასე თუ ისე... ყოველ შემთხვევაში, მათი ფასი კარგად ვიცი.

ბაიას მოლოდინი არ მართლდებოდა – ბოჩიასთან სრულიად ჩვეულებრივი საუბრის ძაფი გაიბა, თითქოს შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს და არც ჰქონდათ რაიმე განსაკუთრებული სათქმელი... ბოჩია სკამის ზურგზე ნებიერად იყო მიწოლილი, აქ თავს სრულიად თავისუფლად, ძალიან შინაურულად გრძობდა. საკვირველი იყო: ღვინოს ეგრე რიგად არ ეტანებოდა, საჭმელსაც ზომიერად მიირთმევდა, თუმცა უმაღლესს არასდროს უჩიოდა, სამაგიეროდ, ბევრს ეწეოდა. რამდენჯერმე მათ მაგიდასთან ბოჩიას ნაცნობები მივიდნენ, ბაიას მოწონების ღიმილით შეხედეს და ორივენი თავიანთ მაგიდასთანაც მიიპატიჟეს, მაგრამ ბოჩიამ ყველას ზრდილობიანი უარი უთხრა, საპასუხოდ კი მათ მაგიდას რამდენიმე ბოთლი შამპანური გაუგზავნა.

ბაიას სახეზე ჩვეული ამაყი გამომეტყველება ნელ-ნელა რბილდებოდა, ტუჩოთ კუთხეებში ნაზი ღიმილის ყვავილები გაიფურჩქნა; მაგრამ სიტყვით ისევ ძველი ბაიაა!

– ბოჩო, რამდენი ხალხი გესალმება... ძაღლი და კატა შენი მეგობარი თუ არა, ნაცნობი მაინც ჩანს!

ბოჩია ბაიასგან ამგვარ ჩხველეტებს დიდი ხნის მიჩვეული იყო; ამჯერად არ უპასუხა, მოულოდნელად ფეხზე წამოდგა:

– ბაი, მოდი, ვიცეკვოთ!

ბაია სხვა მოლოდინით იყო აღვსილი და სულ არ ეპიტნაგებოდა ამდენ ხალხში წარმოჩენა, მით უმეტეს, დიდი გამოცდილება არც ჰქონდა ცეკვისა... ახალი კაბაც როგორ ადგას ტანზე?.. იქნებ ბოჩიამ უფრო მოხერხებულად ჩათვალა, ცეკვისას უთხრას რაღაც? მცირედი ყოყმანის შემდეგ ბაია წამოდგა – ეტყობა, მშვენიერმა ღვინომ სითამამე შეჰმატა – და ის და ბოჩია დარბაზის ერთ კუთხეში, ორკესტრანტების წინ, მაგიდებისგან თავისუფალ ადგილზე, მოცეკვავით შეუერთდნენ.

ბოჩია, ზორბა ტანის მიუხედავად, მშვენივრად ცეკვავდა; ბაია თავდაპირველად დაძაბული იყო, მერე და მერე თავისუფლად მიენდო პარტნერს, რომელმაც იგრძნო მისი გამოუცდელობა, ფრთხილად წარმართავდა და არცთუ ურიგოდ მისრიალებდნენ მბრწყინავ პარკეტზე. ბაიას ტანად დაბალი არ ეთქმოდა, მაგრამ ბოჩია მასზე ბევრად მაღალი იყო; ვითომ ბაიასთვის ყურში რაღაცის თქმა უნდოდა, მოიხარა, ჩაეხუტა და მოულოდნელად კისერში აკოცა...

ასე გაიმეორა რამდენჯერმე.

ბაია ჯერ ვითომ გაებუტა, მერე – მხოლოდ გადაიკისკისებდა ხოლმე...

როცა მაგიდასთან დაბრუნდნენ, ბაიას სიამის ღიმილი დასთამაშებდა სახეზე. აღტაცებული და ატაცებული იყო ასეთ მბრწყინავ, უცხო გარემოში მოხვედრით, ხმამაღალი მუსიკით, სასიამოვნოდ დასალევი ღვინით... სახეგაბრწყინებული მისჩერებოდა ბოჩიას, რომელიც ერთიმეორის მიყოლებით უწმაწურ ანეგლოტებს უყვებოდა, შიგადაშიგ გულიანად იცინოდა... მოუნდა, ბოჩიასთვის ეთხოვა, ერთი სიმღერა მაინც იმღერე ჩემთვისო, მაგრამ თავი შეიკავა, თუმცა, რესტორნის დიდი დარბაზის სხვადასხვა კუთხიდან შექვიფიანებულთა სიმღერა განუწყვეტლივ ისმოდა.

მეორედაც გავიდნენ საცეკვაოდ...

როცა რესტორნიდან გამოვიდნენ, საკმაოდ გვიანი იყო, ბნელოდა; არ წვიმდა, არც ქარი იყო, მაგრამ მაინც საკმაოდ ციოდა.

ბაიას ღვინისგან სასიამოვნოდ უბრუნოდა თავი, ბედნიერად გრძობდა თავს; ჯერ ბოჩიას ხელკავი გაუკეთა, მერე ბოჩიამ ბაიას ხელი მოხვია მხრებზე, ქალი გვერდზე მიეკრა და ნელ-ნელა დაუყვნენ დაღმართში ჯორჯიაშვილის ქუჩას. ეს ქუჩა, გაჩირადღნებულ რუსთაველის გამზირთან შედარებით, ნაკლებ განათებული იყო და გამგლელ-გამომგლელნიც იშვიათად თუ გამოჩნდებოდნენ. ბოჩიამ ერთ ადგილას სახლის გვირაბით ჩაბნელებულ შესასვლელში შეიყვანა ბაია და კოცნა დაუწყო; ქალი წინააღმდეგობას არ უწევდა...

– ბაი, გახსოვს შენი ნათქვამი? – ჰკითხა ბოჩიამ.

– რომელი?

– უძოზე რომ ვიყავით, მაშინ რა თქვი?

– უძოზე? არ მახსოვს... რა ვთქვი ისეთი? – ვითომ ვერ მიუხვდა ბაია.

– ვინც პირველი მაკოცებსო...

– მერე რა?

– სიტყვის ქალი ხომ ხარ?

– მერე რა?

– რა და – უნდა წამომყვე!

– სად უნდა წამოგყვე, გაგიჟდი?

– ეგ მე ვიცი!

– არ შემიძლია, ბოჩო, შინ მელოდებიან...

– სიტყვა – სიტყვაა!

– დროზე რომ არ მივიდე, ხომ გაგიჟდებიან!

– ნუ გეშინია, ტაქსით მიგიყვან!

ხანმოკლე წინაღმდეგობის შემდეგ, ბოჩიამ ტაქსი გააჩერა და ბაია წაიყვანა საბურთალოზე, მეგობრის ბინაში, რომელიც იმხანად თბილისში არ იმყოფებოდა.

იქაც სასტუმრო ოთახში საგანგებოდ გაშლილი საკმაოდ უხვი მაგიდა დახვდათ... თუმცა, ყელამდე მაძღრები იყვნენ და ბოჩიამ მხოლოდ “ბორჯომი” მოსვა, ბაიასაც დააღვინა, მერე კი ბაია მაშინვე საძინებელი ოთახისკენ წაიყვანა.

– არ ვიცი, შენ ხარ გიჟი, თუ მე გაგვიჟდი! – წამოიძახა ბაიამ, როცა ბოჩიამ მოუთმენლობით აკანკალებული ხელებით ტანზე გახდა დაუწყყო.

ოთახში მხოლოდ ფანჯრებიდან შემოდინდა ქუჩის განათება, მაგრამ ბინდბუნდშიც შიშველი ქალის ქათქათა სითეთრემ გამოანათა.

ბაია არც ისეთი გამხდარი გამოდგა, როგორც ბოჩიას ეგონა; ლიფს არ ატარებს, არ სჭირდება – პატარა, მკვრივი ძუძუები აქვს...

\* \* \*

რამდენიმე დღის შემდეგ, დილით, სახლიდან გამოსულ ბაიას ბოჩია დაუხვდა ქუჩაში. ხელი მოხვია, ცოტა გაიარეს და ქალ-ვაჟი რომელიღაც დაკეტილი სადარბაზოს კართან მოფარებულში განმარტოვდნენ.

როცა კოცნით გული იჯერეს, ბოჩიამ უთხრა:

– ბაი, საგანგებოდ ჩვენთვის ოთახი დავიქირავე...

– მართლა?

– არ გინდა? ჩვენი ბუდე გვექნება.

– ბოჩო, მე მეგონა... შენგან სხვა სიტყვებს ველოდი...

– რა სიტყვებს? – გაუკვირდა ბოჩიას.

– სულ სხვა სიტყვებს... ვერც ახლა ხვდები? როცა ერთად ვიყავით, მაშინ ვერ გავიგონე, მეგონა, ახლა მაინც მეტყობი...

– რა სიტყვებს?

– ბოჩო, გიყვარვარ?

– ამას რა დიდი ფიცი-მტკიცი სჭირდება, რომ მიყვარხარ, ამას ელოდი?

– დიახ, ველოდი!

– თუ გინდა, ფრანგულად გეტყვი!

– აღარ უნდა მოიშალო უშნო ხუმრობა? ქალისთვის თბილი სიტყვა...

– კარგი რა! ხომ იცი, მთავარია არა სიტყვა, არამედ...

– ჰო, რა თქმა უნდა, ლოგინი! ოთახი რატომ დაიქირავე, რა, ამხანაგი ჩამოგივიდა?

– აბა, სულ ვიდაცის იმედზე ხომ არ უნდა ვიყო... – ვერ მიუხვდა დაცინვას ბოჩია.

– მე მეგონა, სულ სხვა თემაზე ვილაპარაკებდით! თუ გგონია, მე შენს საყვარლობაზე ვოცნებობდი?

– არა, მაგრამ... რაც გინდოდა, ის მიიღე, მეტს რაღას მთხოვ?

– და შენ გინდა, ასე გაგრძელდეს და მეტი არაფერი?

– რით არის ცუდი? ცოტა მივიხედ-მოვიხედოთ, შევეჩვიოთ ჩვენს ახალ ურთიერთობებს...

მოდ, გაეცოცო...

– არ მომეკარო! მომცილდი!

– კარგი რა, ბაი!..

აღშფოთებული ბაია საპასუხო სიტყვებს ვერ პოულობდა, ხელი ჰკრა ბოჩიას, გამოვარდა სადარბაზოდან და გაიქცა.

ბოჩია უკან არ გამოსდევნებია, მხოლოდ დაბნეული მზერით გააცილა...

“ნეტა რა ბოიკმა უკბინა?” – ბოჩია გაბრაზებული იყო მომხდართ, თან იმედგაცრუებული, რომ იმ საღამოს საგანგებოდ ნაქირავებ ბინაში ბაიას ვერ მიიყვანდა...

\* \* \*

ორ კვირაზე მეტი გავიდა.

შუა მარტს უცებ მკვებრად აცივდა, უხვი თოვლი მოვიდა. მთელ დღეს გაგრძელდა ასეთი თოვლის ზამთარმა კუდი მოიქნიაო; მეორე დილით გამოიდარა, მზემ გამოანათა... საღამოსთვის თოვლი გადნა და ისევ დათბა.

ბოჩია ხშირად იგონებდა ბაიასთან გატარებულ ტკბილ დამეს...

ო, ტუჩები, ბაიას ტუჩები! მუდმივად კაპრიზულად დაბუსხული, მუდმივად დამცინავი ღიმილი უკრთის ტუჩთა კუთხეებში... ირონიული საუბარიც უყვარს, ყოველთვის იპოვნის რაღაცას დასაცინს... სახეზე მარად არისტოკრატიულად ცივი, ამპარტაგნული გამომეტყველება აქვს და ბოჩია სასიამოვნოდ განცვიფრებული იყო ქალის ვნებიანობით; უნებურად აღარებდა დოლო ბუჩქაძეს – იმ გამოცდილ, თავაშვებულ ქალს თუ არ სჯობდა, არაფრით ჩამოუვარდებოდა... აი, როცა ცოტა გამოიწვრთნება, ბოლომდე მიენდობა ვნებას, მაშინ...

ბოჩია წარმოსახვების ტკბილ ბურანში დაცურავდა, ცდილობდა, ბაიას ისევ შეხვედროდა. მასთან შინ მისვლას ვერ ბედავდა, ვერც სამსახურში მიაკითხა – იქ დარეკა და უთხრეს, ბაიას გრიპი აქვს, არ დადისო. ერთი კვირის შემდეგ შაბათ-კვირას რამდენჯერმე შინაც დაურეკა ტელეფონით და ყოველთვის მზეონამ უპასუხა, ბაია არ გახლავს, საღამოს იქნებაო. მისვლა, ბაია ერიდებოდა მასთან საუბარს... მეორე კვირადღესაც დარეკა, ყურმილი ბაიამ აიღო, ალბათ მზეონა არ იყო შინ.

– ბაი, გამარჯობა, როგორ ხარ?  
 – ბოჩო ხარ?  
 – ჰო, გრიპმა გაგიარა?  
 – კი, რა ხანია...  
 – ახლა ხომ კარგად ხარ?  
 – რა გითხრა... არც ისე კარგად...  
 – რა იყო, რაიმე უსიამოვნება ხომ არ შეგემთხვა?  
 – მეტი რაღა უნდა მომხდარიყო...  
 – რა იყო?  
 – რა და შენს ძმაკაცებში რომ ტლიკინებ, ბაის მოგატყხე რქებიო... ეს რა ვაჟკაცობაა? მეტი სატრაბახო ვერაფერი ნახე?

– ბაი!  
 – მისმინე! მე ისიც მითხრეს, რომ თურმე, ისიც კი იკადრე, ჩემს პატიოსნებაში შეიტანე ეჭვი...

– რას ამბობ!  
 – რას? პირდაპირ მითხარი, გითქვამს თუ არა, ვწუხვარ, რომ ბაისთან “პიონერი” არ ვიყავიო...

ბოჩიას პასუხის გაცემა გაუჭირდა, მერე ამოღერდა:  
 – ტყუილია ეგ... ვინ გითხრა?  
 – ეგ როგორ იკადრე? მეტი დარეკვა არ გაბედო!.. არაკაცო! – ბაიამ პასუხს არ დაუცადა და დაუკიდა ყურმილი.

რამდენიმე ხანში, მეგობრებთან ყოფნისას, ბოჩია შემთხვევით ისევ შეხვდა ბაიას. ბაია ცდილობდა, შორს ყოფილიყო მისგან, მაგრამ ბოჩია არ ეშვებოდა, კუდივით ყველგან უკან მიჰყვა; ბოლოს, ბაია იძულებული გახდა, დალაპარაკებოდა.

– ბაი, მაპატიე...  
 – რა გინდა?  
 – მაპატიე... მომისმინე, იქნებ შევთანხმდეთ...  
 – რაზე? ჩვენ შეთანხმება გაგვიჭირდება.  
 – გცადოთ... მიყვარხარ, სულ სიზმრებში გნახულობ... მითხარი, შენ რა გინდა?  
 – არაფერი არ მინდა.  
 – არაფერი?  
 – ჰო, შენგან რა უნდა მინდოდეს? შენისთანა კაცისგან? მინდა, რომ თავი დამანებო, მეტი არაფერი. შენი დანახვაც არ მინდა!

– რატომ?  
 – არ იცი, რატომაც?  
 – ხომ გითხარი, მაპატიე...  
 – კარგი, მაპატიე, ახლა კი თავი დამანებე.  
 – კარგი რა, ბაი!.. მიყვარხარ... ხომ ამის გგონება გინდოდა? აი, ხომ გითხარი...  
 – არა, მართლა?  
 – ჰო, სულ სიზმრებში გნახულობ... ოღონდ ჩვენ ერთად ვიყოთ და რასაც მეტყვი, ყველაფერს შეგისრულებ...

– შენი ნდობა როგორ შეიძლება?  
 – ერთხელაც სცადე... ნუთუ მე შენთვის არაფერს წარმოვადგენ? სულ არაფერს? რაც ჩვენს შორის მოხდა...

– დაივიწყე, არაფერიც არ მომხდარა.  
 – შენ შეგიძლია, დაივიწყო, მე ვერ ვივიწყებ... რა გქნა? მინდა, ისევ ერთად ვიყოთ... შენ რაც გინდა, მითხარი და ყველაფერს შევასრულებ!

– კარგი რა! არ მსურს შენთან საუბრის გაგრძელება.  
 – მითხარი, მითხარი, შენ რა გინდა და თუ არ შევასრულებ...  
 ბაია ერთხანს უყურებდა ბოჩიას მომლოდინე თვალებს, მერე გადაჭრით უთხრა:

– კარგი, მაშინ ჯერ ხელი მოვაწეროთ!  
 – რაა?  
 – ჰო, ხელი მოვაწეროთ და მერე – ვნახოთ...  
 – ეგ არის შენი პასუხი?  
 – შენ სხვას მოელოდი?

- რა ვიცი... – ბოჩია აშკარად დაბნეული ჩანდა.
  - ძალიან ბრიყვი ყოფილხარ!
  - ბაი...
  - მომწყვი თავიდან!.. თავხედი!.. სულელი!.. – ბაია მიტრიალდა და გასცილდა.
- გაწბილებული ბოჩია ადგილზე დარჩა; საუბრის ამგვარი დასასრულით გაოგნებული, ფიქრობდა, ფიქრობდა... რა მოხდა? “თავხედი” მისთვის ბევრჯერ უწოდებიათ, ამას მიჩვეული იყო და არამცთუ ყოველთვის ფეხებზე იკიდებდა, სიამოვნებდა კიდევ, აი, “სულელი” კი...  
 “მაგასაც ვნახავთ, ვინ არის სულელი და ვინ – ჭკვიანი! ვინ ჰგონია თავი, როგორ მაკადრა?!” – აღშფოთების ტალღა ბოჩიას მკერდში გელარ ეტეოდა და მისდა უნებურად ხმაბლდა წამოიძახა:
- კარგი, ასე ხომ? – და გააკრაჭუნა კბილები.
  - ამ წუთიდან ბოჩია სულ შურისძიებაზე ფიქრობდა...

## კარი VII. ბოჩიას ნანული შინ მიჰყავს

ორ თვეზე მეტი ისე გავიდა, მინდიასგან ჩამიჩუმით არ ისმოდა; ნანულისაც და მინდიას ოჯახის წევრებსაც მინდიასადმი გაგზავნილი რამდენიმე წერილი უკან დაუბრუნდათ – ყველა კონვერტზე ერთი და იგივე შტემპელი იყო დარტყმული: “ადრესატი გადავიდა”...

მინდიას დღე-მამა და დები მარჩიელობდნენ: რა მოხდა? მინდია სხვა ადგილას ისე შორს სად უნდა გადაეყვანათ, რომ მის წერილს ასე დაგვიანებოდა? ან ამდენი ხანი გადის და ტელეფონით მათ რატომ არაფერი შეატყობინა? მინდიას მამა, გიორგი, სამხედრო კომისარიატში მივიდა ამბის გასარკვევად; იქ მინდიას ასავალ-დასავალის შესახებ ცნობები არ ჰქონდათ და გიორგი დაამთავრა: ჩვენ აქედან შეკითხვას გაავაზავნით ზაპოროჟიეში და მიღებულ პასუხს დაუყოფნებლივ შეგატყობინებთ.

დღე დღეს მისდევდა და ყველასთვის დიდად მტანჯველი გაურკვეველობა – სად არის მინდია, რა ბედი ეწია? – ისევ გრძელდებოდა...

ერთ მშვენიერ დღეს კი, მაისის მიწურვას ერთი კვირალა აკლდა, საღამოს, ძველ თბილისურ ეზოში შემოვიდა ტაქსი. იქიდან გაჭირვებით გადმოვიდა მალალი, გამხდარი, ფარაჯიანი ჯარისკაცი, რომელსაც მოკლედ შეერეჭილ შავ თმაში ნაადრევი ჭალარა გამოეროდა; ცალ ფეხზე ჯარისკაცული უხეში ჩექმა ეცვა, მეორე – თეთრი ნაჭრით ჰქონდა შეხვეული. მინდიამ რუხი ზურგჩანთა ზურგზე მოიგდო, ყვარჯენები ამოიღო იდლიებში და, სანამ ადგილიდან დაიძვრებოდა, ჯერ მეორე სართულის აივანს ახედა – მისი ოჯახიდან ვინმეს ხომ არ დაინახავს?

ადვილი წარმოსადგენია, როგორი სიხარულით შეხვდნენ მინდიას შინ მშვიდობით დაბრუნებას მისი მშობლები, დები, ახალი მეზობლები და ძველი მეგობრებიც. თუმცა, რაღა მშვიდობიანად: თურმე მინდია მშენებლობაზე დაშავდა – მარცხენა ფეხზე რაღაც სამშენებლო კონსტრუქცია დაეცა და ძვლების რთული მოტყეხილობა მიიღო. რამდენიმე თვე ვორონჟის სამხედრო ჰოსპიტალში იწვა და თბილისში ამის შესახებ არავისთვის შეუტყობინებია, – არც შინ და არც ნანულისთვის მოუწერია, – ტყუილად რატომ უნდა ინერვიულონ... დაზიანება იმდენად სერიოზული ყოფილა, რომ ექიმებს დიდი ოსტატობა და შრომა დასჭირვებიათ, რომ მისთვის ფეხი შეენარჩუნებინათ.

მინდიას დიდება მართა და პაპა ქიტესა იმ ქვეყანას სულ ახალი წასულები დახვდა – ამ ახალმიღებული ბინიდან გაუსვენებიათ ორთავენი. ცოლ-ქმარი ორმოცდაათ წელიწადზე მეტ ხანს ერთად ეწეოდნენ ცხოვრების ჭაპანს; ჯერ პაპა გარდაცვლილა, ისე, რომ დიდხანს არ უვადმყოფია; მისი დასაფლავებიდან ორი კვირის თავზე დიდებაც უკან მიჰყოლია... არც ოჯახის წევრებმა და არც ნანულიმ მინდიას ამ სამწუხარო ამბავის შესახებ წერილებში არ შეატყობინეს: იქ ისედაც არ აკლია გაჭირვება და მძიმე შრომა, ჩვენ კიდევ რაღად უნდა დაგუმატოთ სატანჯველიო... ან სად უნდა მიეწერათ, მისი ახალი მისამართი არ იცოდნენ.

მინდიამ მეორე დღესვე გაიგო ბაიას ამბავიც...

მინდია მერე მთელი ერთი კვირა და მეტიც, შინაგანად სულ აფორიაქებული იყო, ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა: მოურჩენელი ფეხის მიუხედავად, ყვარჯენებზე დაყრდნობილი, გრძელ საერთო აივანზე გადიოდა და დაღვანულად წინ და უკან დადიოდა; მერე ოთახში შებრუნდებდა, ტახტზე მცირე ხნით მიწვეებოდა, დაისვენებდა და შემდეგ აგრძელებდა სიარულს. შინ დიდხანს ყოფნაც უჭირდა; თუ დარი იყო, – მაისში და ივნისის დასაწყისშიც თბილისში ხშირად წვიმს, – სახლთან ახლომდებარე ბაღში მიდიოდა; ისეთ მიყრუებულ კუნჭულებს ეტანებოდა, სადაც ნაკლებად შეხვდებოდა ვინმეს – ნაცნობს თუ უცნობს... დროდადრო, დასასვენებლად, ძელსკამზე ჩამოჯდებოდა, ლურჯი ცის ფონზე ნიავისგან ათამაშებულ თელეებისა და ჭადრების ახალამწვანებულ რტოებს უშტერებდა მზერას... მერე თვალებს მიღუღავდა და იყო ასე გარინდებული, ქალაქის მშფოთვარე გუგუნს მიყურადებულ... ამ ხმაურს ბელურების ჭყიპინი ერთვებოდა და შინაგანი მზერით ხედავდა, როგორ დახტოდნენ დანაყილი აგურით დაფარულ წითელ ბილიკზე,

ზედ მის ფეხებთან და ყავარჯნებთან, ეს მარად მოუსვენარი არსებები... მერე თვალს ახელდა და უკვე უშუალოდ დანახული და აღქმული ბელუზების ეს დაუცხრმელი ფუსფუსი ახსენებდა, რომ ცხოვრება გრძელდებოდა...

\* \* \*

შუა ოქტომბრის ერთ მშვენიერ დღეს ბოჩია და ნანული წვეულებაზე ერთად მოხვდნენ. მათი ყოფილი კლასელი კაკი დიოხიძე ყოველ წელს საკუთარი დაბადების დღეს დიდ ღვინის მართავდა ხოლმე და ამჯერად ვაკეში, ახალ ბინაში, დაჰპატიჟა ისინი.

ბოდიშს ვიხდი, რომ კაკი ადრე კი ვახსენე, მაგრამ აქამდე უფრო ახლოს ვერ გაგაცანით, არადა, თავისებურად გამორჩეული ეს პიროვნება ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას.

ჩია ტანისა და შეუსვდავი გარეგნობის კონსტანტინე დიოხიძე, მეგობარ-ახლობლებისთვის – კაკი, სამაგიეროდ, დიდი ნიჭიერებით გამოირჩეოდა; სკოლაში ბრწყინვალედ სწავლობდა: პირველიდან მეთერთმეტე კლასის ჩათვლით სულ ფრიადები ეწერა, როგორც საკლასო მოსწრების ჟურნალებში, ასევე – მეოთხედების და კლასიდან კლასში გადასაყვან ფურცლებშიც (ფიზკულტურაში გაჭირვებულ “დამაკამყოფილებელი” შეფასების ღირსი თუ იყო, მაგრამ იქაც, ცხადია, სანაქებო მოწაფეს “ფრიადი” ეწერა ხოლმე). როგორც იტყვიან, მჩქეფარე საზოგადოებრივი აქტიურობითაც გამოირჩეოდა: თავიდან, ჩამოყალიბებისთანავე, კლასის კომკავშირის ორგანიზაციის თავკაცობდა, ბოლო ორი წელი სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი იყო, ხოლო უნივერსიტეტში უგამოცდოდ ჩარიცხვის შემდეგ, – ოქროს მედლით დაამთავრა საშუალო სკოლა, – ჯერ ფაკულტეტის კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი გახდა, მესამე კურსიდან – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა... უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ კაკის ერთი დღეც არ უმუშავია სპეციალობის მიხედვით – მაშინვე თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის ახალგაზრდული კომუნისტური კავშირის რაიონული კომიტეტის ერთ-ერთ მდივანად აირჩიეს, ერთ წელიწადში – პირველ მდივანად, კიდევ ერთი წლის შემდეგ – უკვე კომუნისტური პარტიის რაიონული კომიტეტის ერთ-ერთ მდივანად... ცოტა ხანში – მეორე მდივანად... და, ბოლოს, – პირველ მდივანდაც!

იმ დროს, რომელსაც ჩვენი ამბავი ეხება, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა კაკიმ პარტიულ იერარქიაში კიდევ ერთი საფეხურით აიწია – უკვე კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ერთ-ერთი განყოფილების გამგე გახლდათ! ვაკეში ოთხთახიანი ბინა მისცეს, სადაც სულ ერთი თვის გადასული იყო – მეუღლესთან (ძალიან ღამაზი ახალგაზრდა ქალბატონი მოიყვანა ცოლად, კომკავშირული ხაზით მომუშავე; კაკიმ ერთ-ერთ აქტივზე გაიცნო) და ორი წლის ქალიშვილთან ერთად. საკვირველი კია: სულ სხდომებსა და თათბირებზე იჯდა და როდის მოასწრო დაოჯახება? სწორედ ამ ახალ ბინაში, სადაც ჯერ კიდევ საღებავის სუნი მთლად არ იყო გამქრალი, აპირებდა კაკი საკუთარი დაბადების დღის აღსანიშნავი წვეულების გამართვას და, იმავდროულად, ახალმოსახლეობის აღნიშვნასაც.

კაკი ადრეც, სკოლაში სწავლისას, ყოველ წელს იხდიდა ხოლმე დაბადების დღეს; სხვა სტუმართა შორის ყოველთვის იყო ხუთი-ექვსი მისი კლასელიც, მათ შორის – ბაია, ნანული და ბოჩია; მინდია არასდროს ყოფილა დაპატიჟებული მის ოჯახში. რატომღაც თავიდანვე ასე მოხდა და შემდეგ ეს “ტრადიცია” გაგრძელდა კიდევ, თორემ რაიმე განსაკუთრებული მიზეზი მინდიას უგულვებელყოფისა ნამდვილად არ არსებობდა. სხვათა შორის, მინდია ამ ამბავს სრულყოფილ გულგრილად ხედავდა – საერთოდ, არ იყო დიდად მოყვარული მოლხენისა ან თუნდაც – ხმაურიანი თავშეყრებისა... ალბათ კაკის რომც მიეწვია, მინდია რაიმეს მომიზეზებდა და თავს აარიდებდა მის ოჯახში მისვლას, თუმცა კაკის მშობლები ჩვეულებრივი, ისეთივე უბრალო, უპრეტენზიო ხალხი იყო, როგორებიც მინდიას მშობლები იყვნენ.

ნანული კი კაკის მხრივ მიპატიჟებას ყოველთვის სიამოვნებით თანხმდებოდა; დაუპატიჟებლადაც მივიდოდა, – დაბადების დღეზე საერთოდ არ ჰპატიჟებენ! – ხალხში გარევა უყვარდა, ცეკვა-თამაში და სიმღერა, გოგოებთან ჭორაობა... ნანულის რბილი ხასიათი ჰქონდა, ძალიან მხიარული გოგო იყო, მარად ღიმილიანი, კეთილიც – და ამიტომ ყველას უყვარდა; მეგობარ-ამხანაგებიც დახმარებისთვის უპირველესად მას მიმართავდნენ, სიხარულსა თუ დარდსაც მას უზიარებდნენ. სამწუხარო საქმეშიც არ დაზარდებოდა, ისე დატრიალდებოდა ხოლმე, თითქოს საკუთარი ოჯახი იყო. ნანულისთან ურთიერთობა ყველას სიამოვნებდა; თუკი მისი ნაცნობ-მეგობრები სალხინო სუფრას გამართავდნენ, ხშირად ჰპატიჟებდნენ კიდევ; განსაკუთრებით ეხერხებოდა სხვადასხვაგვარი ნამცხვრისა და ტორტის გამოცხობა და, არცთუ იშვიათად, საგანგებოდ სთხოვდნენ კიდევ ამის გაკეთებას. ამჯერადაც კაკის დაბადების დღის აღსანიშნავი წვეულება ნანულიმ წინააღმდეგ გამოცხობილი უზარმაზარი ტორტით დაამშვენა – ისევე, როგორც წინა წლებში, ოღონდ ამჯერად – განსაკუთრებულად “მხატვრულად” გაფორმებულით, რასაც მთელი წინა დღე შეაღია.

კაკის მშვენიერი ბინა ძვირფასად იყო მოწყობილი. სუფრას, რომ იტყვიან, ჩიტის რძეც არ აკლდა, მაგრამ ნანულის მიერ გამოცხობილმა ტორტმა ყველა საგანგებო შეკვეთით დამზადებული ნამცხვარი დაჩრდილა.

ბაია სკოლაში სწავლის წლებში თავიდან ხშირად მიდიოდა კაკისთან დაბადების დღის მისალმნად, თუმცა, ყოველთვის არა, – ზოგჯერ მშობლები რატომღაც არ უშვებდნენ; შემდგომ, როცა კაკიმ წარმატებული კარიერა გაიკეთა, ბაიას აღარ ზღუდავდნენ; ისიც უნდა ითქვას, რომ, რომც ჰქონოდათ ამის სურვილი, ბაიას წასვლაზე უარს უკვე ვეღარ ათქმევინებდნენ...

ბოჩიას რაც შეეხება: თუ სადმე გემრიელი პურ-ღვინო ეგულებოდა, იმას როგორ გამოაკლდებოდა? განსაკუთრებით – ისეთ გამორჩეულად მიღირვულ სუფრას, როგორც კაკი დიალხიძის ოჯახში იშლებოდა ყოველთვის: ამ დღესასწაულისთვის მთელი წლის განმავლობაში ემზადებოდნენ, რომ უფროსი ვაჟიშვილის დაბადების დღეზე დასწრება მერე ყველა სტუმარს სალაპარაკოდ დიდხანს ჰქონოდა... ბოჩია კი ყველგან სასურველი სტუმარი იყო, განსაკუთრებით – სკოლის დამთავრების შემდეგ: მხოლოდ მისი მეგობრები კი არა, უბრალოდ ნაცნობებიც ხშირად იწვევდნენ მოსალხენად – გიტარაზე დამღერებული ბოჩიას სიმღერები დიდად ამშვენებდნენ სუფრას. აი, თამადად კი იშვიათად ირჩევდნენ... ძნელია ამის მიზეზის დასახელება – ბოჩიას არც თვალტანადობა დაეწუნებოდა, მშვენივრად ეხერხებოდა სადღეგრძელოების წარმოთქმაც, წესი და რიგიც არ შეეშლებოდა: სუფრაზე მოლხენის გამოცდილება არ აკლდა! იქნებ ის აშინებდათ, რომ ბოჩია სუფრის ბოლომდე გაძლოლას ვერ შეძლებდა – პურობის დამთავრებამდე ბევრად ადრე დათვრებოდა...

ბოჩიას იმედი ჰქონდა, რომ ბაია მივიდოდა კაკისთან დღეობაზე და ცოლთან საფუძვლიანად დალაპარაკების შესაძლებლობა ახლა მაინც მიეცემოდა; ისევე შეეცდებოდა, საბოლოოდ გაერკვია, როგორ უნდა წარმართულიყო შემდგომ მათი ურთიერთობა...

თამადაობდა ბატონი ნაპოლეონი, კაკის მამა, – დაბალი, გამხდარი კაცი, რომელიც ამჟამად საქონელმცოდნედ მუშაობდა რუსთაველის გამზირის დასაწყისში მდებარე უნივერსიტეტში; მას შვილივით დიდი ყურები და ახლო-ახლო დამჯდარი, წვრილი თვალები ჰქონდა. წინათ, როცა მისი შვილი საშუალო სკოლის მოწაფე და მერე – სტუდენტი იყო, ბატონი ნაპოლეონი ლხინის დაწყებისას მხოლოდ ერთ სადღეგრძელოს იტყოდა და მერე ახალგაზრდებს დატოვებდა – უფრო თავისუფლად იგრძნონ თავი, ამჯერად კი ბოლომდე ითავა თამადის მოვალეობის შესრულება; რიხიანად ამბობდა მორიგ სადღეგრძელოს და, შვილისგან განსხვავებით, ჭიქას ბოლომდე გამოცლიდა ხოლმე.

ბაია არ გამოჩენილა; იმედგაცრუებული ბოჩია ამან დაბოღმა, დაბღვერილი იჯდა, რაიც ფრიად უკვირდათ, რადგან უგუნებოდ მყოფი ბოჩია იშვიათად ახსოვდა ვინმეს. ბოჩია ღვინოს მიეძალა, ბატონ ნაპოლეონს გაეჯიბრა, მაგრამ კარგი გუნება-განწყობილება ვერაფრით მოუვიდა. რამდენჯერმე შეეხევეწნენ: “ბოჩო, პატივი დაგვდე, გვიმღერეო”, მაგრამ ბოჩიამ მიწოდებული გიტარა ხელში არაფრით აიღო.

ნაწული ბოჩიას გვერდით იჯდა, ღვინოს ცოტ-ცოტას წრუპავდა. ბოჩიასგან განსხვავებით, ნაწული მხიარულ განწყობაზე იყო, სხვებთან ერთად იმღერა, – სიმღერა უყვარდა და ეხერხებოდა, – იცეკვა კიდევ. რამდენჯერმე ბოჩიასაც მოქაჩა ხელში – წამო, ვიცეკვოთო, მაგრამ სკამიდან ვერაფრით ააყენა. როგორც ადრეც აღვნიშნე, ნაწულის დიდი ხანია, უყვარდა ბოჩია, მაგრამ ვაჟის საპასუხო გრძნობა რაღაც იგვიანებდა...

ერთ-ერთი სტუმარი, კაკის ბიძაშვილი ლონგინოზი, – მაღალი, მოხდენილი ვაჟკაცი, – სულ ნაწულისთან ცეკვავდა.

– რა ამოგიჩემა ლონგომ, მისი შესაფერი ველარავინ ნახა? – უთხრა მაგიდასთან დაბრუნებულ ნაწულის ბოჩიამ.

– რას უწუნებ? იცი, ცეკვაში მუშაობს, ეგრე ნუკი უყურებ. კაკი მაგან გაქაჩა, მალე კიდევ დააწინაურებენ.

– სულ ფეხებზე მკიდია, გინდაც ფადიშაჰი იყოს. შენზე ათი წლით მაინც იქნება უფროსი, ვერ ხედავ, ჭადარა მოსძალეობია.

– მერე რა, მშვენივრად ცეკვავს, საინტერესო მოსაუბრეა, არც ქცევით თუ ზრდილობით და სიტყვა-პასუხით დაიწუნება... ჭადარა უხდება კიდევ, შეხედე, რა მშვენიერი თმა აქვს!

– თმას რომ ჭკუა ჰქონდეს... ნეტა რა გითხრა ისეთი, რომ თავგზა აგინბნია?

– რას ერჩი, ისეთი არაფერი უკადრებია...

– ალბათ ცოლშვილიანიც არის.

– არ ვიცი, ბოჩო, არც მაინტერესებს, მასზე გათხოვებას კი არ ვაპირებ!

– გათხოვების გარეშეც შეიძლება...

– უი, რა უცნაური აზრები გიტრიალებს თურმე თავში! ბოჩო, ხომ არ ეჭვიანობ?!.

– აბა რა! შენს მოტაცებას ვაპირებდი და ახლა ლონგო მიშლის ხელს.

– ჰა-ჰა-ჰა!.. – გადაიკისკისა ნაწულიმ, თან გული რაღაცის მოლოდინით აუჩქროლდა. – მაინც, როდის აპირებ?

ამ დროს ლონგინოზმა ისევ გაწვია ნაწული საცეკვაოდ...

დოდო ბუჩქაძე ბოჩიასთვის პირველი ქალი იყო და ყველა სხვა ქალს, რომელიც მოეწონებოდა, მას აღარებდა. “ნაწული დოდოს მაგონებს, – ლონგოსთან მოცეკვავე ნაწულის უყურებდა და თან ფიქრებში დაცურავდა ბოჩია. – რა თქმა უნდა, დოდოსავით მოსული ტანისა არ არის და არც ფერუმარისა და პომადას ხმარობს, მაგრამ არანაკლებ ეფექტური გოგოა... დიას, ქალი

ქალია და სიამოვნებს სხვების ყურადღება, გინდაც კაცი ოთხმოცი წლისა იყოს... მაგრამ, ზოგიერთისგან განსხვავებით, ნანულის არ სიამოვნებს ვინმეს წვალება... კარგი ცოლი იქნება, შეიძლება, ეს ლონგო გააბედნიეროს კიდევ... მაგრამ, არა, ვინა გდია ეს საიდანღაც გამომტყვრალი ვიღაც ლონგინოზი, რომ მის გემოზე გაგაჯეჯილო...”.

ნანული მაგიდასთან დაბრუნდა – თვალებგაბრწყინებული, კმაყოფილებით გაღიმებული, ადგუნებულიც კი... თუმცა, როგორც ჩანს, ნანულის სიმხიარულე ერთგვარად ნიღაბი იყო, ის რაღაცას ელოდა... რაღაც უნდა მომხდარიყო... დაბაბული იყო, ხშირ-ხშირად შეხედავდა ხოლმე ბოჩიას, დადარაჯებული, პირში მისჩერებოდა: იქნებ ბაიას სახელი ახსენოს? მაშინ “ქალური” კითხვებით შეეცდება, გაარკვიოს, როგორაა მათ შორის ურთიერთობის საქმე? ამას წინათ ნანული კარგა ხანს კი ელაპარაკა ბაიას შეხვედრის დროს, მაგრამ ბაიას ბოჩიას სახელი არ უხსენებია და ნანულიმ ვერ გაბედა პირდაპირ ეკითხა: “რა ხდება შენსა და ბოჩოს შორის, ამდენი ხნით რატომ გაეზუტეთ ერთმანეთს?”. ბოჩიას მაგივრად ნებისმიერი სხვა ვინმე რომ ყოფილიყო, ნანულის არ გაუჭირდებოდა ბაიასთან ამ თემაზე საუბარი, უბოდიშოდ ჰკითხავდა: “რამდენად სერიოზულია თქვენს შორის განხეთქილება და, როგორ ფიქრობ, რით შეიძლება, დასრულდეს?”. ნანულიმ იცოდა: რომც ჰყოფნოდა თავხედობა და ეკითხა, ბაიას მანც ვერაფერს ათქმევინებდა ამის შესახებ, – ბაია გულდახურული და თან ამაყი იყო, უახლოეს მეგობარსაც კი თავის გრძნობებში არ ჩაახედებდა! ვერც ჭკუა-გამჭრინობით მოუგებდა და ახლა ბოჩიას მისჩერებოდა – იქნებ ამან მანც გაუზიაროს, რა აწუხებს?

ნანული ხშირ-ხშირად შეუვსებდა ხოლმე ბოჩიას ჭიქას, თვითონ კი ნელ-ნელა წრუპავდა ღვინოს... ბოლოს, შეატყო, თვითონ მას ბოჩიაზე მეტად “დაარტყა” სასმელმა თავში... და ამის შემდეგ ღვინიან ჭიქას აღარ მიჰკარებია, მხოლოდ ლიმონათს სვამდა. ორიოდე ჭიქა დალეული ღვინისგან სითამამე იმდენად მოემატა, რომ ბოჩიას გაუბედა:

– ბოჩო, მარტო რატომ მოხვედი?

– სამაგიეროდ, შენ დამხვდი აქ! ნახე, ჩემს გარდა, რამდენნი ვართ, სხვა დროს ამდენი არასდროს ვყოფილვართ – ოცამდე ამხანაგი შევიკრიბეთ, არ გეყოფა?

– მე მეგონა, ბაისაც წამოიყვანდი...

ბოჩიას სახე კიდევ უფრო მოეღრუბლა:

– ბაის?

– ჰო, ბაის, აბა, ვის?

– აღარც მახსოვს, ბოლოს როდის გნახე.

– მიკვირს, ძალიან მიკვირს...

– მე რა უნდა ვიღონო, მას თვითონ არ უნდა ჩემთან ურთიერთობა...

– რატომ? არ მესმის, რატომ არ უნდა?

– ვიცი და არ გეუბნები? ჩემთან დალაპარაკებაც არ სურს... თვითონაც კარგად იცი და რატომ მალაპარაკებ ამდენს?

– ბოლოს როდის ესაუბრე?

– ხომ გითხარი, დიდი ხნის წინათ.

– მერე?

– რა, მერე? მერე, არაფერი... არაფერი არ გამოვიდა, წყლის ნაყვის მეტი. ჩემი დასჯა სურს და მაწვალებს...

– რატომ? არ გაწუხებს ეს ყველაფერი?

– მართალი გითხრა, მომბეზრდა... ვანანებ... ასეთი ამბავი ადრეც იყო, მაგრამ ასეთი... ასეთი სასტიკი და უგულო...

– მართლა? სხვებთანაც გქონია უსიამოვნება?

– ჰო... ყველაზე რომ ნერვები მეშალა, აქამდე ნაღდად გაგვიჟდებოდი.

– ბაი მანც სხვაა...

– იყოს მერე სხვა, რა გქნა, თან ხომ არ გადაყვეები... მართლა სხვანაირია: უგულო, ქვა და რკინა, არ ეყო, რაც მაწვალა?

– ახლა როგორ ხარ? კარგად ხარ?

– აბა, რა!..

– მართლა?

– ჰო, მართლა, მართლა, რა გამიჭირე საქმე!.. – და, თუმცა სასმისს ნანული უვსებდა ხოლმე, ახლა ბოჩია მერე მხარეს მჯდომ სტუმარს მიუბრუნდა დემონსტრაციულად: – ერთიც დამისხი! ამ ტკბილი ოჯახის სადღეგრძელო უნდა დავლიო! არა, ჯერ უნდა ვიმღერო, გიტარა მომაწოდეთ!

და ბოჩიამ თავი გაიგიჟა – ამდენი არასოდეს უმღერია...

შემდეგ ბოჩიამ, უკვე საკმაოდ შემთვრალი თამადის მაგივრად, ორი სადღეგრძელო ზედიზედ წარმოსთქვა: სიყვარულისა და ლამაზი ქალების... და განსხვავებული სასმისებით დალია: პირველი – ბროლის თასით, მერე – ჯიხვის ყანწით.

– ბოჩო, გეყოფა, შენი ჭირიმე, შინ ვეღარ მიმაცილებ! – შეეხვეწა ნანული; არად ჩააგდო, რომ ბოჩია საკმაოდ უხეშად ელაპარაკა.

- ვინც მოგიყვანა, იმან წაგიყვანოს!
- ბორო, არა გრცხვენია?
- კარგი, ნანიკო, კარგი, ოღონდ მეტს ნუღარ იცეკვებ... აქ, ჩემთან იყავი...
- ჰო, ვიქნები...

ცოტა ხანში მათთან ლონგინოზი ისევ მოვიდა; გადიმებული, დაიხარა ნანულისკენ:

- ნანული, კიდევ ერთ ცეკვას ხომ არ მარჩუქებ?

- არა, ჭირიმე, დამთავრდა უკვე ჩუქება-გამორჩუქება! - ცოტა არ იყოს, უკმეხად მიმართა ბოჩიამ.

- მე შენ არ გელაპარაკები! - მაშინვე უპასუხა ლონგინოზმა. - ნანული თვითონ გადაწყვეტს, რა დამთავრდა და რა არა, ასე არ არის? - მიუბრუნდა ნანულის.

- მე კი გეუბნები, მიბრძანდი აქედან! - ფეხზე წამოდგა ბოჩია. - წადი, გენაცვალე, შენი ტოლი ნახე!

- გაჰ, ამ მამლაყინწას დამიხედეთ! - უკან არ დაიხია ლონგინოზმა. - შენ ვისი ტიკიტომბრა ხარ?!

- ახლავე გაჩვენებ! - ბოჩიამ ბუშტი მოუქნია, მეტოქის ყბას უმიზნებდა.

ლონგინოზმა მისი ასაკისთვის მოულოდნელი სიცქეპით მეტოქის მუშტს მარცხენა ხელის აწეული იდაყვი დაახვედრა, შემდეგ საკუთარი მარჯვენა ხელის მუშტი ისე მძლავრად გლიჯა ბოჩიას პირდაპირ ცხვირში, რომ შეაბარბაცა და, ნანულის კივილზე საშველად რომ არ მივარდნილიყვნენ, შეტორტმანებული, იატაკზეც გაიშხლართებოდა.

ბოჩია ღივანზე დააწვინეს, ცხვირიდან წამსკდარი სისხლდენა შეუჩერეს; ნანული თავთ დაუჯდა და სველი ცხვირსახოცით სახეზე ჩამოდენილი სისხლი მოწმინდა.

ერთხანს გაბრუებული ბოჩია გაყურებული იყო, მერე წამოიწია, მე მაგას ვაჩვენებ სეირსო, მაგრამ მისი ფაფხური, შემფოთებული ნანულის გარდა, სერიოზულად არავინ მიიჩნია და ეს გარემოება კიდევ უფრო აფიცებდა.

- რას იქაჩებოდი, ძამია, - ყურში ჩასჩურჩულა ბოჩიას კაკიმ, - რა დროს შენი ძველბიჭობაა! ლონგოზთან მაინც ეგ არ გაგივა, გამხდარი რომაა, ეგ ნუ მოგატყუებს... კარგად გადაჩრი, ხომ იცი: ადრე უბანში ყველაზე მაგარი დამტყმელი იყო! მერე კრივში მეცადინეობდა, ნახევარმძიმე წონით კატეგორიაში გამოდიოდა და პირველთანრიგოსანი გახდა, რესპუბლიკის პირველლობაზე საპრიზო ადგილზეც რამდენჯერმე გავიდა, ეგრე ნუკი უყურებ!

- სულ ფეხებზე მკილია მაგის ჩემპიონობა!..

- გაჩერდი!.. კარგი, კარგი, მორჩა ყველაფერი! - აწყნარებდა კაკი.

- კრივზე მეც კი დავდიოდი! - ყასიდად იქაჩებოდა ბოჩია, მის მკლაფზე ჩაფრენილი, შეშინებული ნანულის მოშორებას ცდილობდა. - ეგ მე კარგად არ მიცნობს!

- ბორო, შენი ჭირიმე, თუ ჩემი ხათრი გაქვს...

ჰაი აქეთ, ჰაი იქით - და, სტუმარ-მასპინძლის აქტიური ძალისხმევით, როგორც იქნა, ადგნებული ბოჩია დააშოშმინეს, შემდეგ კი მისი და ლონგინოზის ერთმანეთთან შერიგებაც სცადეს... გადიმებული ლონგინოზი ამისთვის მზად იყო, ოღონდ ბოჩია ვერაფრით დაიყოლიეს, მეტოქისთვის ხელი ჩამოერთმია.

ამ შეფერხების შემდეგ, სტუმარ-მასპინძლები მაგიდას ისევ შემოუსხდნენ და ლხინი გააგრძელეს, ოღონდ - ნაკლები ეშხით; თამადამ, ბატონმა ნაპომ, რომელიც მანამდე სუფრაზე ყვინთავდა და ახლა კი ამ ორმეტრიალმა საგრძნობლად გამოაფხიზლა, ჩვეულებრივ განაგრძო სუფრის გაძღოლა.

ნანული ატყობდა, რომ ბოჩია მთლად ვერ დაწყნარდა და მისი დაჟინებული თხოვნით, ის და ბოჩია სუფრის აშლამდე დაემშვიდობნენ მასპინძლებს.

უკვე კარგა გვიანი იყო, როცა ბოჩია და ნანული ნახევრად ბნელ ქუჩაში გამოვიდნენ და თავისუფალი ტაქსის გამოჩენას დაელოდნენ.

დღისით თბილდა, ახლა კი, გვიან საღამოს, საკმაოდ აგრილდა და სახლიდან თხელი კაბითა და ჟაკეტით წამოსული ნანული მობუზული იდგა, მკლაფები მკერდზე ჰქონდა მიკრული. ბოჩიამ ხელი მოხვია, ნანული გაყურდა.

- ბორო, აღარ უნდა დაჭკვიანდე? რაღა დროს შენი ჩხუბია, გული კინაღამ გამისკდა!

- დევი დათვიბალაძე დაგავიწყდა?

ცოტა ხნის წინ ბოჩიამ ნანულის უმცროსი დისგან, მარიკოსგან, შემთხვევით შეიტყო, რომ ვიღაც დევი დათვიბალაძე, უნივერსიტეტის სტუდენტი, ნანულიზე რამდენიმე წლით უმცროსი, თურმე ნანულის სულ კუდში დასდევს, გასაქანს არ აძლევს: "ვგიჟდები შენზე, ისე მომწონხარ, ცოლად მინდინარო"... ბოჩიამ მაშინვე მოძებნა ეს თავხედი მიჯნური - საკმაოდ მოსული ტანისა და მშვენიერი შესახედაობის ყმაწვილი გამოდგა, არც მაინცდამაინც უზრდელი ჩანდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, როცა ყმაწვილმა ბიძია უწოდა, - ალბათ გამელოტებისა და წამოზრდილი დიპიკოს გამო, - ბოჩიამ ვედარ მოითმინა, ერთი-ორი გაულაწუნა, თან დაჰპირდა: "თუ ძველებურად განაგრძობ მაიმუნობას, ცემას არ გაკმარებ!..".

- ოჰ, ნუღარ მახსენებ! - გაიცინა ნანულიმ. - ძლივს მოვისვენე!

მოულოდნელად ბოჩიამ მიიზიდა და ტუჩებში აკოცა:



- აბა, რა გეგონა, სხვას დაგანებებდი?
- ნანულომ ვითომ მისი მკლავებიდან განთავისუფლება სცადა:
- ბოჩო, რა სულელი ხარ...
- ჰო, კარგი, დღეს პირველად გააკოცე თუ რა! - და ბოჩიამ ისევ აკოცა.
- არ მინდა... - ნანულომ მეტი ველარაფერი მოახერხა - ბოჩიას ტუჩებმა არ ათქმევინეს... დრო მიდიოდა, ერთმანეთს მიკრულები, გარშემო ველარაფერს ამჩნევდნენ.
- ბოჩო, ასე გვიან შინ მისვლა მეშინია... - წარმოსთქვა ბოლოს ნანულომ, როცა თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალება მიეცა..
- რატომ? რის გეშინია, დედაშენმა ხომ იცის, სადაც წამოხვედი.
- მამაჩემი აქ არის, გუშინ ჩამოვიდა; გამაფრთხილა, არ დააგვიანო...
- შოთა შოფერი კაცია, რატომ არის ასეთი მკაცრი?..
- მამაჩემს ხომ იცნობ...
- შოფერი - შოფერია, განსაკუთრებით - რეისებში მოსიარულე: ყველა ქალაქში ქალი ჰყავს... ჰო, ნუ იბღუხები, ბოდიში, მამაშენი ფრთიანი ანგელოზია...
- ცდები, ბოჩო... შოფერები გამორჩეული ხალხია - ბევრის მნახველი, ბევრის გამგონი... სულ მუდამ მოგზაურობაში არიან, ახალ-ახალს ეზიარებიან, რისკიც იციან რა არის...
- კარგი, რა!
- უმეტესად მარტონი არიან და ამიტომ უყვართ სხვებთან შეხვედრისას აზრთა გაზიარება...
- ჰო, მაგარი ფილოსოფოსებიც არიან - შენსავით! ადამიანს ეტყობა, რა პროფესიის ადამიანიცაა. თუ მაგანი ლაპარაკში შიგადაშიგ გინებას გამოუჩვენებს, უნდა ივარაუდო, რომ შოფერია; თუ წამდაწუმ იგინება - დიდი სატვირთო მანქანის შოფერია!
- გინება შენც გიყვარს, რაც მე შენგან გინება მომისმენია! რატომ იცინი?.. რომ იცოდე, შოფერებს ერთგვარი სიამაყეც აქვთ, ჰგონიათ, რომ საკუთარი ცხოვრების საჭესაც თვითონ ატრიალებენ...
- ჩვენც ასე არ ვართ?
- აბა, რა!
- ჰოდა, საით მივმართოთ საჭე, საითაა ჩვენი შემდგომი გზა? მიბრძანე, სად გინდა, რომ წაგიყვანო?
- თითქოს ამ კითხვას ელოდაო, ნანულომ მაშინვე უპასუხა:
- სადაც შენ გინდა!
- იცი, ასე ბოზი ქალები ეუბნებიან ტაქსის შოფერს, როცა მანქანაში ჩაუჯდებიან...
- რა ცუდი ხარ, ხომ იცი, მე ამნაირი არ ვარ!
- ვიცი, ვიცი, მოდი, გააკოცო!
- საზიზღარო!..
- ბოჩიამ ნანულომ ისევ მკლავებში მოიმწყვდია...
- ბოჩიამ მანქანა გააჩერა, ჩასხდნენ...

\* \* \*

შუშაბერიძეებისა და კარგაჩაივების ოჯახებში მეორე დღესვე დიდი ფაციფუცი შეიქნა - ნანულომ და ბოჩიამ თითქოს მიწამ ჩაყლაპა, მათ კვალს ვერსად მიაგნეს; ორი კვირის განმავლობაში ქალაქში მათი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა.

როგორც შემდეგ გაირკვა, ბოჩიამ და ნანულომ, კაკი დიაოხიძის დღეობიდან წასულებმა, ის დამე ერთად გაატარეს სასტუმროში, მეორე დღეს კი, დილით, ქუთაისში მიმავალ ავტობუსში ჩამსხდარან - იქ ბოჩიას მამიდა ჰყავდა...

როცა ისინი დაბრუნდნენ თბილისში, ბოჩიამ ნანულომ პირდაპირ თავისთან, შინ მიიყვანა, რითაც ფრიად განაცვიფრა და დააბნია გვანჯილა და ციცილოც, - აღარ იცოდნენ, გახარებოდათ თუ წყენოდათ შვილის მიერ გადადგმული ასეთი მოულოდნელი ნაბიჯი... მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ, დაბნეულობას თავი პირველმა ციცილომ დაადწია, ვაჟიშვილსა და რძალს სახელდახელო სუფრა გაუშალა: "შვილებო, დასხედით, გზაში მოგშივდებოდათო"... გვანჯილას სასწრაფოდ უფროს ვაჟს, ბახვას, შეეხმინა, უნივერსიტეტში დაურეკა: "საღამოს საჩქაროდ გვეწვიე შენი ცოლ-შვილითო"...

ნანულოს მშობლებიც, შოთა და ნათელა, თავიდან გაურკვეველ მდგომარეობაში იყვნენ... მხოლოდ ნანულის უმცროსი და, მარიკო, სიხარულით დახტოდა ცალ ფეხზე და რაღაცას უსიტყვებოდ მღეროდა, მშობლები უყურებდნენ და ძალაუნებურად მათაც ედიმებოდათ.

საღამოს, როცა კარგაჩაივებისა და შუშაბერიძეების უკვე დამოყვრებული ოჯახების წევრები დიდ მაგიდას შემოუსხდნენ, ბატონმა გვანჯილამ პირველი სადღეგრძელო წარმოთქვა:

- ამ სასიხარულოდ გათენებულ დღეს გაუმარჯოს, ჩვენი გვრიტების ერთად და ბედნიერად დიდხანს ყოფნას! - და ალაგერდს ბატონ შოთასთან გადავიდა.

ბოჩიას გვერდით მჯდომი ნანული უსაზღვროდ ბედნიერი იყო – უკვე ორი კვირაა, თავი სიზმარში ეგონა...

### კარი VIII. ბაია წერილს სწერს ბოჩიას...

ლეღინალაშიელების ნახევრადდანგრეული ქოხმახი საცხოვრებლად აღარ ვარგოდა, ის ჯერ კიდევ მინდიას სტუდენტობისას აიღეს და სანაცვლოდ ქალაქის საბჭომ მათ შეიდსულიან ოჯახს გამოუყო ოთხოთახიანი ბინა ძველ უბანში, თბილისურ ეზოში, მეორე სართულზე. მართალია, ეს ბინაც ძველი იყო, მაგრამ წინანდელთან ბევრად უკეთესი საცხოვრებელი პირობები შეექმნათ: სამზარეულოში წყალი მაინც ჰქონდათ და ქარიან ამინდში აღარ ეშინოდათ – ჭერი ჩამოგვეგრევაო. სამწუხაროდ, პაპასა და დიდელას ახალ ბინაში ცხოვრება სულ მცირე ხანს მოუწიათ...

თითქმის ერთი წელი გავიდა, სანამ მინდიას დაზიანებული ფეხი საბოლოოდ მოურჩებოდა. ჯერ კიდევ კოჭლობით, ჯოხის დახმარებით დადიოდა, როცა პირველი მარტიდან ისევ სავაგონო დეპოში დაიწყო მუშაობა.

თბილისში მარტი საერთოდ ჭირვეულობით გამოირჩევა, მისი ბოლო ერთი კვირა სულ წვიმდა და ძლიერი ქარიც ჰქროდა, თვის მიწურულს კი, დილით, არემიდამო თოვლით გადათეთრებული დახვდა გახარებულ ბავშვებს; მართალია, თოვლი იმ დღესვე, საღამოსთვის გაიპარა. მანამდე, ორი დღით ადრე, მინდიას ღამის ცვლაში მოუწია მორიგეობა, გაცივდა და ახველებდა. მინდიას სიცხეც მისცა და დედამისის, თეოს, დაჟინებული მოთხოვნით, უბნის ექიმი გამოიძახეს პოლიკლინიკიდან, რომელმაც ბრონქიტი დაუდგინა, ბიულეტენი გაუხსნა და ურჩია, გართულეუბის თავიდან ასაცილებლად, რამდენიმე დღით, ტემპერატურის ნორმალიზებამდე, ლოგინში წოლილიყო.

მინდიას უკვირდა: ზამთარში ვორცხეში, იქაურ ყინვასა და თოშში, ხან დასველდა, ხან ისეთ სიცივეში უწევდა ხანგრძლივად ყოფნა, რომ ძველებამდე ატანდა ყინვა, ახლა კი, თბილისში, “სათბურის” პირობებში, მოერია ავადობა...

აპრილის დადგომისთანავე, უცებ ძალიან დათბა. მინდიას რამდენიმე დღეში სიცხე უკვე ნორმალური ჰქონდა, მაგრამ ხველებამ ჯერ არ გაუარა და ამიტომ დედამისმა მაინც დატოვა შინ, თვითონ კი წავიდა სამსახურში. ქალიშვილებს დაუბარა, როცა სასწავლებლიდან დაბრუნდებოდნენ, ძმისთვის მოეგლოთ.

მინდია უსაქმობას ვერ იტანდა; ორ საათს წიგნს კითხულობდა, მერე ლოგინში ვერ გაჩერდა, ადგა და, როცა სადილად დატოვებული ტოლმის გაცხელებას შეუდგა, შემოსასვლელ კარზე ზარის ხმა გაისმა.

მინდიამ პაღტო მოიხურა და კარი გამოაღო, ეგონა მისი ერთ-ერთი და დაბრუნდა; გაოცებული, არც ცდილობდა სიხარულით საგსე ღიმილის დაფარვას: მის წინ ბაია იდგა...

ბაია არც მისაღმებია, ისე უთხრა:

– მინდი, შენთან სერიოზული საქმე მაქვს...

პირისპირ მდგომი ბაია სახეში შესცქერის, მინდია კი სადღაც ქვევით იცქირება... მის გამხდარ ლოყებზე ღიმილში ნაოჭები იკვეთება; გულში რაღაც იმედი ჩაესახა: რას ეტყვის ბაია? კიდევ კარგი, ამ დილით რამდენიმე დღის წვერი გაიპარსა...

– შემოდი, ბაი, კარში ხომ არ ვილაპარაკებთ... შემოდი, შემოდი, ცოტა გაცივებული ვარ... – მინდია ბაიას ოთახში შემოუძღვა. – ქურთუკი გაიხადე... ამ წვიმამ რა გააჭირა საქმე, აღარ უნდა გადაიდოს?

– არა, მინდი, ერთი წუთით შემოვიხედე...

– ერთი წუთით რატომ? ვილაპარაკოთ, თავი მომანატრე... თუ გინდა, სადმე წავიდეთ – დღეს ორშაბათია, ახალი ფილმი ვნახოთ!

– არა, გართობის ხასიათზე არ ვარ... ჯოხით დადიხარ?

– მაღე გადავაგდე...

ბაიამ ქურთუკი არ გაიხადა, მხოლოდ წინ ჩაიხსნა, მერე სასტუმრო ოთახში მრგვალ მაგიდას მიუსხდნენ...

– ჩაის ხომ არ დალევ? ტოლმას ვაცხელებდი, დედაჩემმა გემრიელი ტოლმის გაკეთება იცის. ნათელა დეიდას განთქმულ ტოლმას არ ჩამოუვარდება.

– არა, არა, მცირე ხნით შეგაწუხებ...

– რას შემაწუხებ, უცხო ხომ არ ხარ.

– ჰო... ამიტომაც მოვედი შენთან...

– ხომ იცი, ყოველთვის მზად ვარ, გემსახურო.

– მარტო ხარ?

– კი, ყველანი წასულები არიან, საღამომდე მოვლენ; მხოლოდ მამაა შინ, გუშინ გვიან მოვიდა მორიგეობიდან, იქით ოთახში ძინავს... შენ როგორ ხარ? რა ხანია, არ მინახავხარ, ხომ მშვიდობაა?... ხომ კარგად ხარ?...

– კი... – ისეთი უფერული ხმით წყნარად პასუხობს ბაია, რომ მინდია ხვდება – მისი ნათქვამი პირიქით უნდა გაიგოს.

მინდია მოლოდინით შესცქერის – კიდევ რას ეტყვის მოულოდნელი სტუმარი? ბაიაც ერთხანს ჩუმდება, ეტყობა, უჭირს მთავარ სათქმელზე გადასვლა; მინდია შესცქერის მის დაძაბულ სახეს, მოთმინებით ელის...

ამ დროს მოულოდნელად მინდიას უფროსი და, მზია, მოვიდა: “ბოლო ლექცია გამიცდა და პრაქტიკული მეცადნეობებიც აღარ ჩატარდა”. ცოტა ხანს ისაუბრეს, შემდეგ მზია სამზარეულოში გავიდა – ტოლმა ისევ გასაცხელებელი იქნებოდა.

– იცი რა? ცალკე მინდა, დაგელაპარაკო... – მინდიასკენ დაიხარა და წასწორწულა ბაიამ.

– კარგი, აივანზე ხელს არავინ შეგვიშლის...

მინდიამ მაზარა მოისხა მხრებზე, ქუდი დაიხურა, ხელში ჯოხი დაიჭირა და ორივენი აივანზე გავიდნენ.

– მინდი, ერთი სათხოვარი მაქვს...

– კი, ბატონო!

– გთხოვ, წერილი წაიღო ბოჩოსთან... ბოდიშს გიხდი, მე იქ ვერ მივაღ... – დახრილი თავი ასწია ბაიამ და შეხედა მინდიას.

მათი თვალები შეხვდნენ ერთმანეთს და ამჯერად ბაიამ მაშინვე მოარიდა მზერა.

– რას ამბობ, ბაი, რა საბოდიშოა, ახლავე წავიდე... – ბაიას მოულოდნელი თხოვნა მინდიას თავში მრავალ ახალ აზრსა და გრძობას აღძრავს; გაუღიმა ბაიას, ცდილობს, ამ ერთგვარად ნაძალადევი ღიმილით თვითონ ყალბი არ გამოჩნდეს ქალის თვალში. – ხომ იცი, შენთვის ყველაფერს გადააკეთებ...

– ჰო, ვიცი...

– პასუხს დაველოდო? სად მოგიტანო? აქ, თუ შინ გირჩევენია?

– არა, არა... თუ შეგიძლია, მხოლოდ გადაეცი წერილი... მეტი არაფერი, არაფერი, პასუხს ნულარ დაელოდები.

– ხომ გითხარი, მაგაზე რა ხეწნა გჭირდება, ახლავე წავიდე, ოღონდ ჯერ... ტოლმა უკვე გაცხელებული იქნება, ჩაიც ალბათ შედგა მზიამ... ჩაის მაინც ხომ დალევ? – ისევ სთავაზობს მინდია.

ბაიამ კონვერტი გაუწოდა:

– არა, მინდი, დიდი, დიდი მადლობა... ბოდიში, ნახვამდის.

– კარგი, ბაი, კარგად იყავი.

– ნუ შეწუხდები, გაცილება არ მინდა... მზიასთან ბოდიში მომიხადე.

ბაიას სიტყვებში იგრძნობოდა შებნაც, რომ მისთვის უსიამოვნო საქმეს მორჩა და მარტოდ დარჩენის სურვილიც, – კიდევ ბევრი ფიქრი და გრძობების ჭიდილი ელოდა წინ; შეტრიალდა და სწრაფი ნაბიჯებით გრძელი საერთო აივნით კიბისკენ გაემართა.

მინდია ოდნავი კოჭლობით მაინც გაჰყვა უკან, ოღონდ მხოლოდ კიბემდე მიაცილა; მერე ჯერ ეზოში მიმავალს ადევნებდა თვალს, შემდეგ ბინაში შებრუნდა და მეორე სართულის ფანჯრიდან მანამდე უყურებდა ქუჩაში გასულ ბაიას, სანამ ქალი თვალთ არ მიეფარა.

მინდიასთვის სრული მოულოდნელობა იყო ბაიას სტუმრობა, უფრო სწორედ – ბოჩიასთვის წერილის გადაცემის დავალება... რატომ მივიდა მასთან, ნუთუ სხვა ვერავინ მოძებნა უფრო შესაფერისი? ამ საქმეს ქალი უკეთ გაართმევდა თავს... ნეტავ რა წერია ბაიას წერილში? როგორ უნდა დაეღაპარაკოს ბოჩიას? დიდხანს საუბარს არ დაუწყებს, გინდაც ბოჩიამ მოინდომოს რაღაცეებში მისი გარკვევა – წერილს გადასცემს და მაშინვე წამოვა, ამით მისი მისია დასრულდება... იქნება კი მთლიანად შესრულებული? იქნებ ბაია მისგან კიდევ რაღაცას მოეგოს? არა, მას არავითარი საკუთარი ინიციატივის გამოჩენა არ სჭირდება: წერილს გადასცემს ბოჩიას – მეტი მას არაფერი მოეთხოვება... ის ამ საქმეში სრულიად ზედმეტია, მხოლოდ წერილის გადაცემა და მეტი არაფერი...

ასეთი ფიქრების კორიანტელში იყო ჩაფლული მინდია, – როცა საგანგებოდ თბილად იცვამდა, მერე ქუჩაში მიდიოდა, ავტობუსით მგზავრობდა, – და მაშინაც, როცა მეორე სართულზე ავიდა და კარგაჩვევის ბინის კარზე დააკაკუნა – ელექტროზარი არ მუშაობდა.

\* \* \*

ბოჩიასთან მისულ მინდიას წერილის ადრესატი შინ არ დახვდა.

კარგაჩვევის სასტუმრო ოთახი: ბავშვობიდან ასეთი ნაცნობი ჭადი, მაგიდა, კედლებზე – ოქროსვარაყიან ჩარჩოებში ჩასმული რამდენიმე ფერწერული სურათი, შუშისკარებიანი კარადები, მათში გამოფენილი მბრწყინავი ფაიფურის სერვიზებით და ნატიფი სტატუეტებით... და განსაკუთრებული სუნი თუ ატმოსფერო, რომელიც ყოველთვის ძალუმიად იგრძნობოდა აქ მოხვედ-

რისას: რაღაც სიძველისა, სიმყუდროვისა, თითქოს ასი წლით უკან დაბრუნდი; ასეთად წარმოედგინა მინდიას ძველი არისტოკრატების ინტელიგენტური ოჯახი, თუმცა კარგად იცოდა, რომ კარგაჩანაგები სულაც არ იყვნენ თავადური წარმომავლობისა. ქალბატონ ციციონოზე ვერაფერს იტყოდა, არ იცოდა, მაგრამ ბიძია გვანჯი რომ ღარიბი მეგრელი გლეხის შვილი იყო და მამამისი, ტოგო, ოციან წლებში მიყრუებული მთის სოფლიდან შიმშილსა და უგზობას გამოექცა თბილისში, კარგად იცოდა – თვითონ მინდიას ტოგო ბაბუის მონათხრობი ბევრი რამ მოესმინა, მას ცოცხალს მოუსწრო. საკვირველი იყო: ტოგო ბაბუამ წერა-კითხვა ძლივს იცოდა, მის დღეში ერთი წიგნიც არ წაუკითხავს და მისი შვილი, გვანჯი, კი როგორი გამორჩეულად განათლებული კაცი დადგა, თუმცა, მოკრძალებული თანამდებობა ეკავა, – არავინ ამაში არ დახმარებია, გზის გამკვალავი არ ჰყავდა: საკუთარი ნიჭისა და ცნობისწადილით მიაღწია ყველაფერს.

– ბოჩოსთან პატარა საქმე მქონდა, მაღე მოვა? – მისალმებისა და ურთიერთ ჯანმრთელობის ამბის მოკითხვის შემდეგ იკითხა მინდიამ.

– ჯერ ეგ ფარაჯა გაიხადე... სამხედროდან ჩამოგყვა? აი, აგერ დაჯექი, დაბრძანდი... – სკამი გამოუწია ციციონო დეიდას. – რა ვიცი, ბოჩია, ეტყობა, დიდი კაცი გახდა, ამ ბოლო დროს თითქმის ვერ ვხედავთ, სულ იძახის, საქმეებზე დავრბივარო... რა გადაუდებელი საქმეები აქვს ნეტავ ისეთი, ფეხმძიმე ცოლს რომ თითქმის ვერ ხედავს? – შვილით აშკარად უკმაყოფილოა ციციონო. – ისევე ჯოხით დადიხარ, შვილო, ფეხი როგორ გაქვს?

– მომირჩა, თითქმის აღარ ვკოჭლობ...

– შენ რატომ უნდა დაგმართოდა ეგ უბედურება, ფეხი ჩემს არგასახარელს უნდა მოსტყდომოდა... სისხლი გაგვიშრო, სისხლი! ვაჟბატონზე არაფერი ჭრის, არც მოფერება, არც ლანძღვა... ვალეები ავიღეთ, მანქანა ვუყიდეთ, იქნებ ეშველოს რამე, ოჯახს გული დაუდოსო – მეტი არაა ჩემი მტერი! ერთ კვირაში დათვრა და დაამტვრია... ჭირი და უბედურება გვაკლდა კიდევ ჩვენ?.. თავი მოგაბეზრე ამდენი წუწუნით, წავალ, ჩაის მოგიტან... ხომ დალევ? შარშანდელი ლეღვის მურაბა კიდევ შემოგვრჩა, შენ რომ გიყვარს.

– მადლობა, მადლობა, დიდი სიამოვნებით. რაც მე მურაბები გამინადგურებია ამ ოჯახში... ვორონეჟში რამდენჯერ მომნატრებია.

– მინდი, ფეხი თუ აღარ გტკივა, ალბათ ძველ გატაცებას დაუბრუნდი – მოტოციკლით ისევე დაქრისხარ?

– როგორ ხარ? – პასუხად ეკითხება მინდია.

– კარგად, კარგად, შენ რას შერები?

– რა ვიცი... ჯერჯერობით, სამსახურში თუ არ ვარ, უფრო – შინ ვზივარ.

ნაწული სხვანაირად უბრუნებს პასუხგაუცემელ კითხვას:

– შენი მეგობარი მოტოციკლი როგორ გყავს?

– რა უჭირს, ჩემზე უკეთაა.

მინდიამ მშვენივრად დაყენებული სურნელოვანი ჩაი მიირთვა, მისი საყვარელი მურაბით, რასაკვირველია, შემდეგ – მეორე ჭიქაც მიაყოლა...

ჩაის შემდეგ საკმაო დროის განმავლობაში ისაუბრეს, ბოჩია არა და არ ჩანს...

ამ ოჯახში ყოფნისას მინდიას ყოველთვის ურთიერთსაწინააღმდეგო გრძობები ეუფლებოდა. აქ ყოფნა უხაროდა, ყველანი კეთილად იყვნენ განწყობილნი მისდამი, სიამოვნებდა მისი საცხოვრისისაგან ესოდენ განსხვავებული გარემო – სიმდიდრე, სილამაზე, სინატიფე... აქ ავეჯიც სხვანაირი იყო, თითქოს ანტიკვარულ მაღაზიაში მოხვდა; ფერადოვანი სურათით შემკული, კიდევებზე ფოჩებიანი სუფრის გადასაფარებელიც კი ხელოვნების ნაწარმოებად ეჩვენებოდა და იყო კიდევც... აქ მცხოვრებნიც სხვა სამყაროს წარმომადგენლებად წარმოედგინა; შინაც კი მინდიასთვის უჩვეულოდ ეცვათ: გვანჯი ბიძიას – ლეოპარდების გამოსახულებით შემკული თბილი საშინაო ხალათი, რატომღაც ისტორიულ ფილმებში ნანახ მონღოლ თუ სპარს დიდებულებს რომ მოაგონებდა; ციციონო დეიდასაც გრძელი ხალათი ეცვა ხოლმე – ყვავილებით ან სამოთხის ფერადოვანი ჩიტებით დამშვენებული... მხოლოდ ბოჩია იყო ერთგვარად ამოვარდნილი გარეგნულად ამ სამყაროდან – ჩვეულებრივად, სხვა ბიჭებივით ეცვა, ჩაცმა-დახურვას დიდ ყურადღებას არ აქცევდა. მინდიას – კი, თითქოს მოსწონდა, მაგრამ, ამავე დროს, ეუსერხულებოდა კიდევ ფაიფურის ჭიქიდან ჩაის დალევას; ამჩნევდა, რომ საკოლექციო არ იყო, მაგრამ მაინც – ძვირადღირებული ხომ იყო, დმერთმა დაიფაროს და ხელიდან რომ გაუვარდეს? ლაქით დაფარულ მბრწყინავ იატაკზე ძველი, ქუსლებმონგრეული ფეხსაცმლით გაველასაც ერიდებოდა – კვალი რომ დატოვოს ან ფეხი დაუცდეს?.. ამ ოჯახში საუბარიც სხვანაირი იყო, სხვა თემებს უტრიალებდნენ, რომლებიც მისთვის უჩვეულო და უცხო იყო: პრემიერა ოპერის თეატრში, პოეტის ახალი წიგნი, პოპულარული მხატვრის გამოფენის გახსნა... მინდია უსმენდა ხოლმე, ხმას მხოლოდ მაშინ ამოიღებდა, თუკი რამეს შეეკითხებდნენ და შეკითხვისაც ძალიან ეშინოდა – შეუფერებელი პასუხით უვიცობა არ გამოემჟღავნებინა... დიახ, სიამოვნებდა ამ ოჯახში ყოფნა, მაგრამ როცა გარეთ გავიდოდა, თითქოს რაღაც შემბორკავი ხუნდები მოესხნებოდა, თავისუფლად ამოისუნთქავდა.

ამჯერად მინდია უბრალო, ჩვეულებრივ საუბარში იყო ჩართული, იმავდროულად კი მის გონებაში სხვაგვარი წარმოსახვითი საუბარიც მიმდინარეობდა... “ამ აბურღული მდგომარეობის

შექმნაში თავისი წილი ცოდვა, შესაძლოა, სხვებთან შედარებით – არც ისე დიდი, ჩემო ნანიკო, შენც გიღვეს, მაგრამ ღირს კი ახლა ამაზე საუბარი? შენ თავისუფლად შეგიძლია, მიპასუხო: “ყველა ადამიანი ესწრაფვის, იყოს ბედნიერი და ამის მისაღწევად თუ იბრძვის, ძალისხმევას არ იშურებს, რატომ უნდა გაამტყუნო?”; “სწორი ხარ, მაგრამ საკუთარი ბედნიერება არ უნდა ააგო სხვის ხარჯზე, ეს ანბანური ჭეშმარიტებაა”; “რატომ სხვის ხარჯზე? ბაი არ არის პატარა ბაგ-შვი, იცის, რასაც აკეთებს, და არც ბოჩო არის აღუა, რომელსაც ჭკუა არ მოეკითხება...”; “ჰო, ცხოვრება ჰგავს რთულ საჭადრაკო პარტიას, ჯობს, აღარ გამოვეკიდო მტყუან-მართლის გარკვევას, ყველას საკუთარი სიმართლე გააჩნია და ყველამ თავისი საქმისა თვითონ იცის... მაგრამ მაშინ რატომ ვარ მე აქ? უნებურად ჩავეერთე ამ საქმეში და გვერდზე გადგომა არაფრით გამომივიდოდა... სხვა რა გზა მაქვს, ჩემი როლი, თუმცა საკმაოდ პასიური და ჩემთვის ფრიალ არასასიამოვნო, უნდა ბოლომდე ვითამაშო... და რაც მალე მოვრჩები ამ საქმეს, მით უკეთესი...”.

ნაწული მინდიას საკმაოდ შეცვლილი ეჩვენა: საკუთარი პიროვნების მნიშვნელობით აღსავსე, დადინჯებული, კიდევ უფრო მოსუქებული, ოდნავ გაზანტებულიც – ფეხმძიმობა დაეტყო; მინდიას ამის თაობაზე არაფერი უკითხავს, ისედაც უხერხულობას გრძნობდა აქ მოსვლით... ნაწული გარეგნულად არ გამოხატავს უკმაყოფილებას ბოჩიას სახლიდან “გადაკარგვით”, მაგრამ მის ჩვეულ ღიმილში უნებურად რაღაც ნაღველიც რომ გამოკრთება, მინდიას დაკვირვებული თვალისთვის ცხადია.

“წერილი ხომ არ დაგტოვო და წავიდე?” – ფიქრს განაგრძობს მინდია, უხერხულად გრძნობს თავს... თუ, როგორც მან აქაურებს უთხრა, უმნიშვნელო საქმისთვის მოვიდა ბოჩიასთან, ამდენ ხანს მისი დარჩენა გაუგებარია... რამდენჯერმე დათქვა: “აი, ხუთი საათი რომ შესრულდება, წამოდგები სკამიდან!”, მაგრამ ხუთ საათზე სხვა გადაწყვეტილებას იღებს: “რადამც მოსული ვარ, კიდევ ცოტას მოვიცდი...”. ასე მეორდება რამდენჯერმე – წასასვლელად სულ ფეხს ითრევს... სამუშაო დღე კარგა ხნის დამთავრებულია, ადრე თუ გვიან ბოჩია ხომ უნდა მოვიდეს შინ? ბოჩია შინ ალბათ ათას ზღაპრებს ჰყვება, სინამდვილეში კი, მუშაობს საღამო?

შემდეგ დაჰპატიჟეს სადილზე...

სხვა დროს მინდია არაფრით დარჩებოდა, ახლა კი, მცირე უარის თქმის შემდეგ, სხვებთან ერთად ისიც მიუჯდა მაგიდას.

მინდიამ გაიხსენა ჯარში გატარებული დრო, უფრო – როგორ დაშავდა, შემდეგ – ლაზარეთში ყოფნის ამბებს მოჰყვა – დანარჩენი ყველაფერი ნაწულისთვის მიწერილი წერილებიდან იცოდნენ.

ტელევიზორში დაიწყო რაღაც კონცერტის ტრანსილაცია. მინდიას მაინცდამაინც არ მოეწონა, მაგრამ ბოლომდე უყურა – ბოჩია არ გამოჩენილა.

უკვე საკმაოდ გვიანი იყო, როცა მინდიამ მასპინძლებს მადლობა გადაუხდა და გამოემშვიდობა. შვება იგრძნო, რომ მისი უხერხული მდგომარეობა დამთავრდა, მეორეს მხრივ კი – უკმა-რისობა და უკმაყოფილებაც არ ტოვებდა – წერილი ისევ ჯიბეში ედო...

კარგაჩვენების ბინიდან გამოსული, შორს არ წასულა: გადაწყვიტა, ბაიას წერილი როგორმე დღესვე გადაეცა ბოჩიასთვის – კიდევ ერთხელ მის სანახავად ამ სიშორეზე მოსვლა ბოლომდე მოურჩენელი ფეხით უჭირდა, თან ხველაც ჯერ კიდევ აწუხებდა და, რაც მთავარია, არ უნდოდა, სხვა დღისთვის გადაედო ბაიას თხოვნის შესრულება.

ისევ წენარად წვიმდა, წვილიად ცრიდა. სიბნელის დადგომასთან ერთად, კიდევ უფრო აცივდა; პალტოს საყელო აწია, თავი მხრებში ჩარგო და ქუჩაში სახლის წინ ბოლოთის ცემა დაიწყო, მერე სადარბაზოს შესასვლელში გადაიმყურროვა.

რამდენიმე დღე ლოჯინში წოლისას ფიქრის დრო საკმაოდ ჰქონდა, მაგრამ ახლაც მოზღვა-ვებლი გრძნობები არ ასვენებდნენ. რაღაც დიდის, კარგის სურვილი ერთგვარად უნელდებოდა, მაგრამ მას რომ არ ჰქონდა ირიბად წასული ცხვრებისეული გზის, – ასე მიაჩნდა, – გასწორების უნარი? რამდენიც უნდა ეხვანცადა, მისი სურვილი ერთი იყო და სხვათა სურვილები – სრულიად საწინააღმდეგო... დიახ, წარმოსახვაში უკეთესი მომავლის რაღაც იმედი მაინც ჭიატობდა, სულ მთლად ჩაქრობას უძალიანდებოდა... მისი ცისფერი ოცნების ასრულება ყოველთვის საეჭვოდ ესახებოდა და ახლა, ეტყობა, მას კიდევ უფრო დაშორდა – ბაია ისევ მიუწვდომელ ხატად ჩანდა...

ქუჩაში ადამიანები იშვიათად თუ გამოჩნდებოდნენ; თითო-ოროლა შემცივნული გამგლეული სწრაფი ნაბიჯით მიიქაროდა საკუთარ თბილ ბუდეში მოსახვედრად, მათ მინდია დაკვირვებულ მზერას აყოლებდა – ბოჩია არა და არ გამოჩნდა.

თითქმის შუალამე იყო, როცა ბოჩია ტაქსით მოიყვანეს მისმა ძმაცაცებმა – საკმაოდ მთვრალი იყო. მას ბოჩიას დანახვა ძალიან გაუხარდა და კარგა ხანს ექაჩებოდა – გულის გამაწყვალებლად იმეორებდა: “ავიდეთ ჩემთან, თითო ჭიქა დაველიოთ!”. მინდია წაყოლას არ აპირებდა: “ავად ვარ, წამალს ვსვამო”, – ეუბნებოდა; მას სხვა რამ აფიქრებდა: ღირდა კი ასეთ მდგომარეობაში მყოფი ბოჩიასთვის წერილის გადაცემა?

ბოლოს, ერთმა გარემოებამ გადააწყვეტინა დავალების შესრულება – თვით ბოჩიამ ახსენა ბაია... სრულიად ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული საუბარი ასე წარიმართა:

- ძლივს გნახე და რატომ არ მომყვები?.. შე ყვაგო, დავგარგეთ ერთმანეთი... ბაი ხომ არ გინახავს? – იკითხა ბოჩიამ.
- კი, დღეს გნახე...  
– როგორ არის?  
– რა ვიცი... მე მგონი, არც ისე კარგად.  
– ჰო... მე დამნაშავე ვარ.. თუმცა, იმანაც მაწყენინა... არ მირიგდებოდა... თან ხომ არ გადაყვებოდი.
- მოდი, გულახდილად გეტყვი... არც არის საჭირო ბევრი ლაპარაკი, ჩვენ ერთად გავიზარდეთ და, რაც უნდა გითხრა, ჩემგან არაფერი უნდა გეწყინოს...  
– იქნებ მე მაწყენინე რამე, მაპატიე...  
– ახლა სალაპარაკოს გვერდზე ნუ გადავხვევთ... უნდა აღიარო: ბაისთან ტყუი... ნანულისთანაც ტყუი...  
– შენთანაც ვტყუი! მოკლედ, ყველასთან ვტყუი და ეგ არის! საშველი აღარ არის!  
– ქვებით ჩაქოლვას არავინ გიპირებს... თვითონაც იცი, ყველას უყვარხარ და, ბოლოს და ბოლოს, შენ თვითონ ხომ უნდა გაარკვიო, რა გინდა? თურმე სულ გარეგარე დადინხარ, შინ სულ არ ხარ...  
– მართალი ხარ, შინ გული არ მიჩერდება.  
– გამაგებინე, რატომ?  
– ნანულის კარგი ქალია და კარგი ცოლიც, აუგს ვერაფერს ვიტყვი, უკვე ბავშვსაც ველოდებით, მაგრამ...  
– მერე, რატომ ართულებ ყველაფერს?  
– რა ვქნა, ვერაფრით ვივიწყებ ბაისთან გატარებულ იმ ერთადერთ დამეს...  
– კარგი რა, რას ბუტყურობ!  
– ასეა და რა ვქნა... შეამჩნიე? ბაიას პატარა, მკვრივი ძუძუები აქვს, ვერაფრით ვივიწყებ მასთან გატარებულ დამეს... უჰ, რა გოგოა!  
– შენ სრულ ჭკუაზე ხარ?  
მინდია განცვიფრებულია ბოჩიას გულახდილობით, რომელიც უფრო უტიფრობას ჰგავს; ვერ წარმოუდგენია, რომ თვითონ ვინმეს, თუნდაც აუახლოეს მეგობარს, ასე გადაუშალოს გული, ელაპარაკოს ამგვარ საკუთარ ინტიმურ გრძნობებზე... ცდილობს, სწრაფად დაამთავროს მისთვის ესოდენ უსიამოვნო საუბარი:  
– ბოჩო, გთხოვ, კარგად დაფიქრდი, სანამ რამეს გადაწყვეტ, რომ მერე სანანებლად არ გაგიხდეს საქმე...  
– ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია! და არ ვიცი, რა ვქნა...  
– შენ არასდროს იცოდი, რა დროს რა უნდა გექნა... კარგი, უკვე გვიანია, შინ გელიან.  
– აბა, წავედი, ხშირად გამოიარე... ნუ დავგარგავთ ერთმანეთს.  
– მოიცა, ბაიმ შენთან წერილი გამომატანა...  
– მართლა? – გაუკვირდა ბოჩიას, შეჩერდა. – ხომ არ მოვენატრე, ჰა?  
– ხვალ მოგცე თუ ახლა?  
– ახლა მომეცი... რა წერია შიგ, თუ იცი?  
– არ ვიცი...  
– წამიკითხე.  
– ამ სიბნელეში? შინ შენ თვითონ წაიკითხე, მე კი არა, შენ მოგწერა.  
– კარგი, კარგი... მომეცი!  
მინდიამ წერილი უხმოდ გადასცა.  
– ძალიან მაწყენინე... წამოსულიყავი, თითო ჭიქა დავგველია... – ბოჩიამ წერილი ქურთუკის ჯიბეში ჩაიღო, მიტრიალდა და წაბანცაღდა...  
მინდიას ისევ არაფერი უთქვამს, არც გამომშვიდობებია; საწინააღმდეგო მხარეს შებრუნდა და, გულდამძიმებული, ქუჩას გაუყვა...  
ისევ წვიმდა და მაინც ნელა მიდიოდა; გამზირზე გავიდა; ავტობუსის გაჩერებას გასცდა და შინისკენ გზა ფეხით განაგრძო, – თუმცა მთლად გამოჯანმრთელებული ჯერ არ იყო, შინ მისვლას არ ჩქარობდა – ერთი გაჩერების ფეხით გავლა გადაწყვიტა: მარტო ყოფნა უნდოდა, თან სიარულში უსიამოვნო ფიქრთა განქარება უფრო ადვილი იყო.

\* \* \*

როცა მეორე დღეს ბოჩიამ შინიდან გასვლის წინ ქურთუკი ჩაიცვა, ჯიბეში წერილი აღმოაჩინა. წერილი მხოლოდ ქუჩაში გასულმა გახსნა. მასში ეწერა:

“ბოჩო!

მიჭირს ამ წერილის დაწერა, არ ვიცი, როგორ დავიწყო. შენს წინაშე თავს დამნაშავედ ვგრძნობ, თუმცა, ალბათ ჩვენ ორივენი დამნაშავენი ვართ, რომ ახლა ერთად არ ვართ. გეფიცო

ბი, სულ იმას ვფიქრობ, როგორ მიყვარხარ! რაც მეტს ვფიქრობ, უფრო ვრწმუნდები, რომ უშენოდ ჩემს არსებობას აზრი არ აქვს, უშენოდ ცხოვრებას ვერ შევძლებ. თუ შეგიძლია, მაპატიე. არ ვიცი, შენ ხარ ბედნიერი თუ არა, მე ნამდვილად არ ვარ. და არც ვიქნები, თუ ერთად არ ვიქნებით. გეხვეწები, მომავალ კვირას, საღამოს შევხვედეთ და ვისაუბროთ. თუ შენც სურვილი გაქვს და თანახმა ხარ, გელი კვირას, საღამოს 6 საათზე უნივერსიტეტის ბაღში. შესასვლელთან დაგელოდები.

ბ.”

\* \* \*

მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა – ბოჩიასგანაც კი: შინაურებისთვის არაფერი უთქვამს, ისე მიატოვა ფეხშიმე ნაწილი და შინიდან წავიდა, უკვალოდ დაიკარგა... მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ დაზაფრულ დედამისს ტელეფონით შეატყობინა: “ნუღარ მეღიო, შინ აღარ დაგბრუნდები...”.

კიდევ რამდენიმე დღეში, აპრილის ერთ კვირადღეს, ბოჩიამ ბაიასთან ხელი მოაწერა.

ბაიასა და ბოჩიას ერთ-ერთ ხელისმომკიდელ მინდია უნდოდათ, მაგრამ მან სამსახურში მორიგეობა მოიმიზეზა და, ცხადია, არც ჯვრისწერის შემდეგ გამართულ საქორწილო სუფრას დასწრებია. პატარა რესტორანში სუფრასთან ათამდე სტუმარი თუ იჯდა – მხოლოდ ბოჩიას ძმაკაცები და ბაიას ორი სტუდენტობისდროინდელი მეგობარი ქალიშვილი.

\* \* \*

კარგა ხანს მინდია უცნაურად მხიარულ ხასიათზე იყო, თითქოს საკუთარი ჯვრისწერა ჰქონდა – ნერვიული დაძაბულობისგან რამდენიმე დამე თეთრად გაათენა...

\* \* \*

ბოჩია დროებით ერთ-ერთ ამხანაგთანაა თავშეფარებული – ემალება ნაწილის და საკუთარ დედ-მამამასაც, რომლებთანაც ცხოვრობს ფეხშიმე ნაწილი და ქალი სხვაგან წასვლას არც აპირებს. ერთი შეხედვით რბილი ხასიათის, გულჩვილმა და დამთმობმა ნაწილი, ყოველთვის მხიარულმა და, ზოგიერთების შეხედვლებით, ერთგვარად უგერგილომ და უნიათომაც კი, მოულოდნელად უჩვეულო სიმტკიცე და სიკერპე გამოამჟღავნა! ბოჩიას მშობლებიც ნაწილის მხარეს არიან: მოსწონთ შვილისგან მიტოვებული ნაწილი და გულს უკეთებენ – აქედან არაფრით გაგიშვებთო...

გვანჯი შვილის საქციელზე უფრო კინაღამ იმან გააგიჟა, რომ ერთ-ერთ კარადაში გამოფენილი მისი რუდუნებით შეგროვებული კოლექციის მშვენება და მფლობელის სიამაყის მიზეზი აღარ იყო – XVIII საუკუნის სამოციანი წლების ბერლინის სამეფო მანუფაქტურის ნაწარმი: როკოკოს სტილის იშვიათი სინატიფის სერვიზი, ტიტების ფერადოვანი თაიგულების ჯგუფებით შემკული – ნამდვილი ფაიფურის ზღაპარი! დიდად არ ჩამოუვარდებოდა სახელგანთქმული მაისენის თუ სვერის ნაწარმს! სხვა რამდენიმე მშვენიერი ნაკეთობაც აღარ ჩანდა...

გვანჯიმ დაირბინა ქალაქის ყველა საკომისიო მაღაზია, – ყველგან ძველი ნაცნობი გამოყიდვებები შეიპირა: თუ ჩემი ბერლინური სერვიზი გამოჩნდეს, მაშინვე შემატყობინეთ, ხომ იცით, მე ვაღში არ დავრჩებიო...

დღე დღეს მისდევდა, გვანჯის ურვა არ უნელდებოდა – დანაკარგი არა და არ ჩანდა არსად... ბოჩიაც გადაიკარგა, თორემ გვანჯი იქნებ სასიკვდილოდაც კი გაიმეტებდა! დიდად საკვირველი ისიც იყო: აქამდე როგორ ვერ შეამჩნია, რომ ბოჩიამ ძმაკაცებს “შეაჭამა” მისი კოლექციის ნაწილი, სანამ მათ ბერლინური სერვიზიც არ მიაყოლა... ან ბერლინური სერვიზი აქამდე რატომ დაინდო, რადას ელოდა – ბაიასთან ქორწილს უცდიდა?! ან ამ ქორწილისთვის რას გამოიდო თავი, ბაიას ძალიან შეძლებული მშობლები ჰყავს...

## კარი IX.

### ბაია ბოჩიას ახლოს აღარ იკარებს

ბაია, ბოჩიასთან ოფიციალურად დაქორწინების შემდეგ, შინ გაემგზავრა და ძველებურად დედ-მამასთან ცხოვრობს; ბოჩია – ცალკეა, ოღონდ არავინ იცის – სად. ბოჩია ბაიასთან ვერ მისი საცხოვრებლად: ბაია ოფიციალურად კი გახდა მისი ცოლი, მაგრამ ახლოს აღარ იკარებს! როცა ხელის მოწერიდან მეორე დღეს ბოჩიამ საღამოს სამსახურში მიაკითხა, კოცნისა და ტკბილი სიტყვების მაგივრად, ბაია არც კი მისალმებია, სახეგაკერპებულმა ისე მიახალა:

– ჩემი ნახვით თავს ნუღარ შეიწუხებ!

– რატომ, რა მოხდა?

– მიდი, ახლაც იტრაბახე, რომ ქალწული არ ვიყავი და ცოლად ბოზი ითხოვე!  
ბაიას სიტყვებით გაოგნებული ბოზია გაშტერდა, შემდეგ გაკვირვებით წამოიძახა:

– ბაი, ხუმრობ?! ეგ ჩავლილი ამბავია...

– ჰო, შენთვის ეგ არაფერი იყო, მაგრამ ერთი ჩემიცი იკითხე!

– რა გინდა, სამაგიერო უნდა გადამიხადო?

ბაიამ მუქი თვალები მოჭუტა, თითქმის გაუშავდა:

– აბა, რა გეგონა, ესე აღვილად გაპატიებდი შეურაცხყოფას?

– კარგი რა, ბაი, შეეშვი ბავშვობას!

– მომწყდი თავიდან!

– ვაჰ, რა ბოღმა ვიღაცა ყოფილხარ... ხომ არ გინდა, გამარტყა კიდევ?

– კი ხარ ღირსი, მაგრამ ხელს არ გავისვრი!

ბაია შეტრიალდა და ბოზია, გაოცებული და, იმავდროულად, გაბრაზებული, დერეფანში მიატოვა.

ბოზიას სადარდელი თუ სადავიდარაბო გულთან ახლოს არასდროს მიჰქონდა, ამჯერად კი ლამის გაგიჟდეს: ორი ცოლი ჰყავს და არც ერთთან არ მიესვლება!

რალა ჰქნას?

ბოზიას ეგონა, ბაიას კარგად ვიცნობო და ასე გაუცრუა იმედი! გამწარებულმა, მინდიას შეხვედრისას შესჩივლა:

– რა უნდა ბაის, ვერ გავიგე, სრულ ჭკუაზეა?... ხომ ყველაფერი შეგუსრულე, რაც მთხოვა, მეტი რალა უნდა? არც მელაპარაკება...

– იქნებ რალაც დააკელი?

– რა, მაინც რა? ხელი ხომ მოვაწერეთ, ახლა კი ერთად ყოფნას არ მთანხმდება... თუ მასთან არ უნდა, ვიცხოვროთ, ბინას ვიქირავებდი... წესიერად არც ჩემთან დალაპარაკება სურს... ალბათ უნდა, გამაგიჟოს!

– რა ვიცი, რა ვიცი... ხომ იცი, გარეშესთვის ჭირს მტყუნ-მართლის გარჩევა.

– რა არის აქ გასარჩევი? ვერ ხედავ, ჩემი გამწარება უნდა? გამოწვრთნილია მამაძაღლო-ბაში, მაინცდამაინც უნდა, გულზე გამხეთქოს!..

– რას ამბობ, ბოზო!.. შენგან მიკვირს: ბაი და მამაძაღლობა? დღეს გაიცანი თუ გუშინ?

– არა, იქნებ სხვა სიტყვა ჯობს – მზაკვარია, მაგას როგორ ვენდე?! უკეთესი სიტყვაც ეკუთვნის, მაგრამ...

– შენ შენსას უკრავ, აი! – გაფიცდა მინდიაც. – რას ერჩი, წინდახედულია, შენზე შორს იხედება... ქალი სუსტი არსება კი არის, მაგრამ რა ჰქნას, სწორედ თავისი დაუცველობის საპირ-წონედ სიფრთხლეს იჩენს...

– რა წინდახედულობაზე ლაპარაკობ, თუ ძმა ხარ! – კიდევ უფრო გაბრაზდა ბოზია. – რა აქვს გასაფრთხილებელი? ქალი რომ გათხოვდება, ქმართან ერთად არ უნდა იცხოვროს? იბუღებულნი ვარ, ხან ერთ ძმაკაცთან გაგათიო ღამე, ხან – მეორესთან...

– ბაიას რა ბრალია, მანამდეც მასე არ იყავი?

– რატომ მამწარებს, რას მერჩის?

– კარგად იცი, რასაც... ცოტა ხანს კი მოიფხანდა გულს და მერე შეგირიგდებოდა, მაგრამ შენ, შენ ახლაც როგორ იქცევი?

– ხელი ხომ მოვაწერეთ, მეტი რალა უნდა მექნა?

– რა და, თუ ბაი მართლა გიყვარს და პატივს სცემ, სხვა ქალების დევნას უნდა შეეშვა... თუ არ იცი, მე გეტყვი: ასეთ შეურაცხყოფას ნებისმიერი ქალი ვერ აიტანს, განსაკუთრებით – ბაი ვერ შეეგუება!

– კარგი, რა... – მეტის ვერაფრის თქმა მოახერხა ბოზიამ, მეგობრის საყვედურს საფუძველი მართლაც ჰქონდა.

– “კარგი რა” არ უნდა ამას, სხვას ნურაფერს აბრალე... რჩევა საკუთარ თავს ჰკითხე, კარგად დაფიქრდი: რა გინდა და როგორ უნდა მოიქცე, მეტი რა უნდა გითხრა?

– შენი იმედიც არ უნდა ჰქონდეს კაცს, შენც ბაის ჭკუისა ხარ...

\* \* \*

ბოზიას სულ ახსენდება ბაიასთან გატარებული დრო და ბაიას ადარებს სხვა ქალებს... რატომღაც სულ ახსენდება ბაიასთან გატარებული ის ერთადერთი ღამე და ვერ ისვენებს, ბაიასთან სიახლოვის სურვილი ხერხავს... მაგრამ არ იცის, რა იღონოს ქალის გულის მოსაღობად; ეგონა, მინდია ისევ დაეხმარებოდა, ისევ მიეგზავნებოდა ბაიასთან, მაგრამ მინდიაც რომ მას ამტყუნებს?..

ბოზიას მიაჩნდა, რომ საზოგადოდ ქალის ბუნებას კარგად იცნობდა და ახლა კი როგორ შეცდა! თუმცა, აღრეც მოსვლია მსგავსი რამ, ყოველთვის მისი გეგმითა და ნება-სურვილით არ აეწყობოდა მაგან ქალთან ურთიერთობა. პირველი მწარე იმედგაცრუება გაახსენდა...



ბოჩიას ინსტიტუტში სწავლისას წესად ჰქონდა: საკუთარი ჯგუფის გოგონებთან სერიოზულად არშიყობა არ დაეწყო; ერთადერთი შემთხვევა დოღოსთან ურთიერთობა იყო, იმასაც გამართლება ჰქონდა – ბოჩიას მხრივ ინცივილიზაცია არ მომდინარეობდა! საერთოდ, მთლიანად ინსტიტუტიც კი ბოჩიამ თავისი სასიყვარულო გატაცებებისთვის “აღკვეთილ ზონად” გამოაცხადა; მინდიას კი ეუბნებოდა, “შენი ჯგუფი ჩალიშვილები გამაცანიო, მაგრამ ამას უფრო იმისთვის აკეთებდა, რომ გაეგო, მინდიას თუ მოსწონდა ვინმე... მაგრამ ერთხელ ამ წესს უღალატა და ეს შემთხვევა ფრიად უცნაური იყო სხვა მხრივაც.

ისე მოხდა, რომ ერთ-ერთ ლექციაზე ერთად ისხდნენ მერხზე ის და ვახო დაჯდომელები. ეს ვახო ბევრი რამით ჰგავდა ბოჩიას: ლამაზი ბიჭი იყო, მოსული ტანის, ჯანიანი, ისიც სპორტსმანი იყო – უროს ტყორცნაში ვარჯიშობდა და საკმაო წარმატებითაც; ბოჩიას მსგავსად დიდი მუყაითობით არ გამოირჩეოდა და იშვიათად ესწრებოდა ლექციებს. ამჯერად ის და ბოჩია ერთად პირველად მოხვდნენ გვერდიგვერდ და მთელი ორი აკადემიური საათის განმავლობაში ვახო ბოჩიას ეჩურჩულებოდა: “ვახ, ბიჭო, რა ქალია, რა ქალი!” – ლექტორ ქალს იყო მონუსხულად მიჩერებული. ბოჩიას თავდაპირველად ვახოს აღტაცება ძალიან გაუკვირდა: ნელი დოღნაშაური მასალათა გამძლეობის კურსს კითხულობდა და აქამდე მის ყურადღებას არაფრით იქცევდა: ახალგაზრდა აღარ ეთქმოდა, – ორმოცს იქნებოდა მიტანებული, – თუმცა ჭკნობის ნიშნები ჯერ შესამჩნევად არ აჩნდა და არც ცდილობდა, ქალთა უმრავლესობისგან განსხვავებით, გარეგნული ხერხებით დაეფარა ასაკი. სადად ეცვა, მუდმივად შავ კაბაში იყო გამოწყობილი – ნეტავ რატომ? არც მანიკური ჰქონდა, არც პომადას ხმარობდა, საშუალო ზომაზე შეკრეჭილი წაბლისფერი თმა ყოველთვის უკან ჰქონდა სადად გადავარცხნილი და კეფაზე რეზინის ზოლით შეკრული; თმაში გარეული თითო-ორი ჭადარა ღერის დაფარვას შეღებვით არ ცდილობდა; ქცევაც უბრალო ჰქონდა, ხმას არასდროს აუწევდა...

ბოჩიას თანაჯგუფელის აღტაცება სასაცილოდაც არ ეყო და ვახოს გაეხუმრა კიდევ, რაიმე ფსიქიკური გადახრა ხომ არ გაქვს, რომ ხნიერ ქალბატონებს ეტრფიო, მაგრამ მერე და მერე ნელის შესახებ აზრი შეეცვალა: უფრო და უფრო მიმზიდველი ეჩვენებოდა ქალი – ის ჰგავდა მოკრძალებულ, ერთი შეხედვით შეუმჩნეველ მინდვრის ყვავილს, რომელსაც, რაც უფრო აკვირდები, მით უფრო მოგწონს... როგორ განსვავდებოდა დაახლოებით მისი ასაკის მზეონასგან! როცა ბოჩია სკოლაში სწავლობდა და ბაიას დედა სკოლაში მოდიოდა ხოლმე მშობელთა კრებაზე დასასწრებად, ბაიას კლასელები და მათი მშობლებიც ამბობდნენ – ვერ გადაწყვეტ, ბაია უფრო ლამაზია თუ დედამისიო. ახლაც, უკვე გასათხოვარი ქალიშვილის დედა, სიტურფით ყველას ყურადღებას იპყრობდა – კაცებისაც და ქალებისაც... რამდენჯერაც ბოჩია თვალს მოჰკრავდა ეზოში თუ სხვაგან, ძალაუნებურად ყოველთვის მზერას გაყოლებდა... ნელი ხნით მზეონაზე ერთი-ორი წლით უფროსიც იქნებოდა და არც ისეთი თვალში საცემად ლამაზი, მაგრამ მაინც მომხიბვლელი...

საერთოდ ბოჩია ხშირად აცდენდა ლექციებს, ახლა კი მოუხშირა ინსტიტუტში სიარულს: ნელის ლექციებს ყოველთვის ესწრებოდა, თუმცა მის საგანში მოიკოჭლებდა – ისედაც ხომ არასდროს სიბეჯითით არ გამოირჩეოდა და ახლა კი, იმდენად იყო გართული ქალზე დაკვირვებით, რომ ლექციის შინაარსი მისი ყურადღების მიღმა რჩებოდა.

ბოჩიას ძლიერი სურვილი გაუჩნდა, ქალს დაახლოვებოდა, მით უმეტეს, რომ გაიგო – ნელი განათხოვარი იყო... საინტერესოა, ქმარი გარდაეცვალა, თუ განქორწინდნენ? შეიღები თუ ჰყავს? ბოჩია ხშირად დერეფანში იყო დადარაჯებული, დაინახავდა თუ არა მიმავალ ქალს, აუცილებლად აედევნებოდა, დაეწეოდა და სხვადასხვა საბაბით გაუბამდა საუბარს... ამასთანავე, დაჟინებით მიაშტერდებოდა ხოლმე ამოღებულ გულისპირზე... ქალი, შეცბუნებული ვაჟის ამგვარი ყურადღებით, ხელისგულით იფარავდა გულისპირს; ბოჩია მზერას ახლა მის სახეზე გადაიტანდა და აშკარად ატყობდა შემფოთებას თაფლისფერ დიდ თვალებს... ეს დიდ სიამოვნებას ჰგვირდა და ღიმილს ვერ იკავებდა... ბოჩია იმასაც შეუმცდარად გრძნობდა, რომ, შეცბუნებასთან ერთად, იმავედროულად, ქალსაც სადღაც სიამოვნებდა ვაჟის ყურადღება – თუნდაც, მისი ასეთი უტიფარი და დაჟინებული მზერა და დაძაბულობისგან სახეზე წამოწითლდებოდა...

მის ჯგუფელებს არ გამოერჩენიათ ბოჩიას თავხედური ქმედება. “ბოჩო, გახსენი ნადირობის სეზონი?” – სიცილით ეხუმრებოდნენ მეგობრები; ვახო კი ცქმუტავდა, ნერვიულობდა; უცნაურად იქცეოდა: ხან აგულიანებდა ბოჩიას, ხან კი – ნამდვილად ეტყობოდა, დიდად არ სიამოვნებდა მეგობრის აქტიურობა...

ბოჩიამ იმდენი მოახერხა, რომ ქალი პირველ პაემანზე დაითანხმა: იმჟამად სახელგანთქმული რუმინელი მომღერალი ქალი იყო ჩამოსული საგასტროლოდ – საოპერო თეატრში როსინის “სევილიელ დალაქში” როზინას პარტია უნდა ემღერა – და ბოჩიამ დიდი გაჭირვებით იშოვა ორი ბილეთი, რომელიც ერთი ნელის გადასცა... ბოჩია ფრიად გაკვირვებული იყო და გახარებულიც, ნელის თანხმობით – თურმე ისიც მელომანი ყოფილა! მანამდე ერთ-ერთი ლექციის შემდეგ დიდხანს საუბრობდნენ და ნელი განცვიფრებული იყო ბოჩიას განსწავლულობით მუსიკის და, კერძოდ, ოპერის სფეროში და მისი გრამფიფიტიკების კოლექციის სიმდიდრით: მხოლოდ “სევილიელი დალაქის” სამი სხვადასხვა სრული ჩანაწერი ჰქონია, ყველა – ორიგინალის ენაზე!.. ოთხი ჩანაწერი – “კარმენის” და “ნორმასი”, ხუთი – “აიდასი”, ამდენივე – “რიგოლეტოსი” და

“ტოსკასი”, ექვსი – “ჯამბაზების”... სულ ას ორმოცდაათზე მეტი ოპერის სრული ჩანაწერი!.. მაგრამ როცა სპექტაკლის დღეს, საღამოს, ბოჩია პაემანზე უნდა წასულიყო, რატომღაც დაფრთხა... ასეთი რამ ჯერ არასდროს მოსვლელდა! რის შეეშინდა? რომ ნელი მასზე ბევრად განათლებული და ალბათ ჰქვიანიც იყო? თუ ასაკში დიდმა სხვაობამ შებოჭა? სანამ იგი ჭოჭმანობდა, მისულიყო თუ არა დათქმულ ადგილზე, პაემანის დროც გავიდა...

მეორე დღეს ბოჩია გულის ფანცქალით შევიდა ნელის ლექციაზე... ნელის მისკენ ერთხელაც არ გაუხედავს და როცა ლექციის შემდეგ ქალი ჩვეულებრივ წავიდა საპროფესოროსკენ, ბოჩიამ დადევნება ვერ გაბედა; არადა, წინდაწინ გონებაში მომზადებული ჰქონდა, როგორ მოუხდიდა ბოდიშს და ავადმყოფობას მოიმიზეზებდა... მერე ჰკითხავდა, როგორი შთაბეჭდილება დარჩა წარმოდგენისგან, ეტყოდა, რომ ამ ოპერის სრული ჩანაწერი ჰქონდა ხანგრძლივი დაკვირვის ფირფიტებზე სამ ვარიანტად – სხვადასხვა შემადგენლობის შესრულებით – და შესთავაზებდა, ერთად მოესმინათ ერთ-ერთი მათგანი ქალის ბინაში...

ნელისთან ურთიერთობის ბოლო ასეთი გამოდგა: ქალმა ბოჩიას იმედი გაუცრუა – ზამთრის საგამოცდო სესიის დროს ჩაჭრა! და რაც ყველაზე დამამცირებელი იყო: მთელ ჯგუფში – მხოლოდ ის და ვახო! არაფრად ჩააგდო ფაკულტეტის დეკანის მორიდებული თხოვნა: “კარგი ბიჭებია, სპორტსმენები, ნუ დაჩაგრავთ”; არ გაჭრა ბოჩიას ხეწინამაც: “ფეხბურთელი ვარ, ხშირი ვარჯიშების გამო ვერ მოვხერხე საგნის ჯეროვნად მომზადებას”... “ზამთარში მეტი ვარჯიშები გაქვს, თუ ზაფხულში?” – დაცინვით შეეპასუხა ნელი; დაბნეულმა ბოჩიამ ვერაფერი მოიფიქრა საპასუხოდ...

ამას იხსენებს ახლა, ბაიას მოპყრობით გაღიზიანებული – მაშინაც როგორ შეცდა ქალის შეფასებაში!

\* \* \*

ბოჩიამ ხელი საბოლოოდ მაინც არ ჩაიქნია და, მისდა გასაკვირველად, დიდი მოთმინება გამოიჩინა ბაიასთან შესარიგებლად – საღამოს სამსახურის დამთავრების შემდეგ თითქმის ყოველდღე დაუდარაჯდებოდა ცოლს უნივერსიტეტის პირველი კორპუსის შესასვლელთან და სახლამდე გაჰყვებოდა ხოლმე, გზა-გზა საუბრის გაბმას ესწრაფვოდა... თავდაპირველად ბაია საკმაოდ აგრესიულად იყო განწყობილი ბოჩიას მიმართ, შემდეგ კი ნელ-ნელა მათი ურთიერთობა დათბა – ბოჩია ყოველმხრივ ცდილობდა, არ გაეღიზიანებია ბაია, არც შერიგების მოვლენებს აჩქარებდა...

ორი თვის განმავლობაში ელოდივებოდა ბოჩია და, როგორც იქნა, მოახერხა ბაიასთან საბოლოო შერიგება!.. უფრო მეტიც – ლაქარდიანი ენის მეშვეობით – კიდევ ერთ კვირაში, ივლისის ბოლოს, მასთან გადავიდა საცხოვრებლად.

მზეონასა და ბესოს სიძე არ ეხატებოდა გულზე და არც მაღავენ ამას; ქალიშვილზეც გაბრაზებულნი არიან. ხშირია ხანგრძლივი დავა ბაიასი მის მშობლებთან...

ერთხელაც, კვირადღეს, როცა ბოჩია არ იყო შინ, ბაიას მშობლებმა გადაწყვიტეს, საბოლოოდ გაერკვიათ: რა სურდა მათ ქალიშვილს, მომავალში რას აპირებდა?

– რატომ ვერ განსაზღვრე, როგორ პიროვნებას გაჰყვები ცოლად? – პირველი ხალკი გაუშვა ქალბატონმა მზეონამ.

– დედა, მე და ბოჩი ერთად გავიზარდეთ...

– მით უმეტეს, მშვენივრად იცნობ და ასეთი თავქარიანობა გაგონილა?

– თავქარიანობა რატომ? ნაკლი ყველას აქვს, ბოჩოსაც, მაგრამ მითხარი, რატომ უყვარს იგი ყველას? შენც და მამასაც რამდენჯერ გითქვამთ, სად დაიკარგა ბოჩი, მისი ხალისი და ხუმრობა მოგვენატრაო... ვტყუი?

– მაშინ ცირკის მასხარას გაჰყოლოდი... – სარკაზმით აღნიშნავს ბატონი ბესო. – ჯამაგირი მაინც ექნებოდა.

– ჩემს დღეობებზე რომ გიტარაზე უკრავდა და მღეროდა, ძალიან მოგწონდათ, მაშინ ხომ კარგი ბიჭი იყო? არ გახსოვთ, რამდენჯერ წაგვიყვანა ოპერაში?

– ეგ ციციხოს ოინები იყო, მას თავიდანვე უნდოდა მისი ბიჭისთვის და ნელ-ნელა ამზადებდა ნიადაგს!..

– რას ამბობ, დედა, მაშინ ბავშვები ვიყავით!

– მე ქალი ვარ, ასეთ რამეებს ვერ გამომაპარებ! – ამპარტავნული სიამაყით ამტკიცებდა მზეონა.

– აბა, პირველსავე მიპატიჟებაზე რატომ მაშინვე გაცუნცულდებოდი ხოლმე? არ წასულიყავით ან მხოლოდ შენ და მამა წასულიყავით და მე შინ დაგეტოვებინეთ!

– შინ მარტოს როგორ დაგტოვებდი? – თავს იმართლებს მზეონა და მოულოდნელად აცხადებს: – მინდია ჯობს ბევრად!

– მინდია ნამდვილი ვაჟკაცია! – ცოლს ნათქვამს უდასტურებს ბატონი ბესო. – ბევრად გამგები! უთქმელი ბიჭია, მაგრამ თბილი!

– მერე, ვინ ამბობს, რომ მინდია ცუდი ბიჭია, რატომ გინდათ, ასე გამოიყვანოთ?

- ვინ უნდა გამოვიყვანოთ? - უცებ ვერ გაერკვა მზეონა შვილის ნათქვამში.
- თითქოს მე ასე ვფიქრობდე... ვინ დავობს, მინდია რომ მართლაც კარგი ბიჭია?
- მუშა ბიჭია, საქმიანი... - აგრძელებს ბატონი ბესო. - სახელში რამე რომ გაგიფუჭდეს, მინდიას დაუძახებ თუ ბოჩიას?
- იმით მაინც ჯობს, რომ უყვარხარ!
- კარგი რა, დედა! - უკმაყოფილოდ წამოიძახა ბაიამ. - ბოჩოს არ ვუყვარვარ?
- წესიერი სამსახური მაინც ჰქონდეს; შეიძლება, ამ ხნის კაცი ცოლის და სიმამრის კმაყოფაზე იყოს? - კვლავ ერთგება კამათში ბატონი ბესო.
- რატომ ამბობ მასე, როდის რა გთხოვათ?
- ის მაინც თუ იცი, სად მუშაობს, რა ხელფასი აქვს? რით უნდა არჩინოს ოჯახი? ორი ოჯახი?
- ქალბატონი მზეონა კი ქალიშვილის მდგომარეობას ყურადღებას არ აქცევს და მტკივან თემას კიდევ უფრო ამძაფრებს:
  - კი, ბატონო, სიყვარული - სიყვარულია, მაგრამ ტვინი იმიტომ აქვს ადამიანს, რომ განსაზღვროს: შეიძლება, შენისთანა ყოველმხრივ საოცნებო ქალიშვილმა თავისი ბედი დაუკავშიროს ბოჩიასთანა გადაგვარებულ ადამიანს?
  - დედა, რატომ ამბობ ამას? ხომ იცი, ბოჩო კეთილია!.. უნდა, ყველას კარგი გაუკეთოს, ცდილობს, მაგრამ რა ჰქნას, თუ ყოველთვის არ გამოსდის...
  - ძო, ყოჩაღი ბიჭია: ერთის გაბედნიერება უკვე მოასწრო, ახლა - შენი რიგია...

\* \* \*

აგვისტოს დასაწყისში ბაია და ბოჩია ზღვაზე წავიდნენ დასასვენებლად - ბიჭვინთაში (როგორც ადრეც აღვნიშნე, ბატონ ბესოსა და ქალბატონ მზეონას სიძე დიდად არ ეხატებოდათ გულზე, მაგრამ ქალიშვილის ოჯახიდან წასვლაც არ უნდოდათ - ბაიას მშობლებს მეტი შვილი არ ჰყავთ...).

როცა აგვისტოს ბოლოს ბოჩია და ბაია დაბრუნდნენ თბილისში, გაიგეს, რომ ნანულის ქალიშვილი შესძენია - ნანულის სურვილით, პატარას ციციწო დაარქვეს.

შემდეგი წლის აპრილში ბაიასა და ბოჩიასაც ეყოლათ გოგო - ნათია. ამ დროს ბოჩიასა და ნანულის გოგონა, პატარა ციციწო, რვა თვისა გახდა...

\* \* \*

ნათიას დაბადებისთანავე ბოჩია კარგა ხნით გადაიკარგა... ბაიამ გაიგო, რომ ბოჩიამ არ მოიშალა თავისი ჩვევა და ბავშვის დაბადებამდე ვიღაც ორშვილიან, ქმარგაშვებულ ქალთან დაძვრებოდა...

ეს ქალი გამოდგა მშვენიერი ქალბატონი დოდო ბუჩქაძე - ბოჩიას სტუდენტობის დროინდელი სატრფო.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მამიკომ დოდოს ერთ-ერთ საპროექტო ინსტიტუტში მშვენიერი სამუშაო უშოვა, მაგრამ დოდომ სამსახურში მხოლოდ რამდენიმე თვე იარა და შემდეგ თავი დაანება - გათხოვდა; წლინახევრის შემდეგ დოდო ქმარს განცილდა და რამდენიმე თვეში ისევ გათხოვდა... ამჟამად მეორე ქმართანაც სულ ახალი განქორწინებული იყო. ყოველი ქორწინებიდან თითო ბავშვი დარჩა - ბიჭები: უფროსი - სამი წლისა და უმცროსი - ერთისა. ახლა არც მესამედ გათხოვებაზე იტყვოდა უარს და სანამ ახალ ქმარს ჩაიგდებდეს ხელში, ბოჩიასთან გააბა კავშირი, უფრო სწორედ, ძველი კავშირი აღადგინა... ან იქნებ სწორედ ბოჩია უნდა მორიგე ქმრად?.. ორივეს ორ-ორი შვილი ჰყავს, ერთსაც და მეორესაც - სხვადასხვა მეუღლესთან...

ბოჩია თვეზე მეტ ხანს იყო "საგასტროლოდ" წასული და როცა ჭიჭეგორაძეების ოჯახს დაუბრუნდა, როგორც მოსალოდნელი იყო, ბაიასთან საკმაოდ მძაფრი შელაპარაკება მოუვიდა; ბოჩია თავს ამოდ იმართლებდა...

ამ სცენის წარმოდგენა ყველას შეუძლია, ამიტომ მისი აღწერა ზედმეტად მიმანჩია; მხოლოდ იმას დავებენ, რომ, დიდი ჩხუბის შემდეგ, ბაიამ ბოჩიას მოსთხოვა, ისევ იქ დაბრუნებულიყო, საიდანაც მობრძანდა...

ამ საქმეში სცადა ჩართვა მინდიამ - უნდოდა, როგორმე შეერიგებინა ბაია და ბოჩია. ასე თუ ისე, ბაიასა და ბოჩიას შეუძლებიაში მასაც მიუძღოდა მცირე წველილი, რასაც ახლა იქნებ ნანობდა კიდევ... მაშინ რომ არ დათანხმებულიყო, ბაიას წერილი წაეღო ბოჩიასთან, იქნებ ყველაფერი სხვაგვარად ყოფილიყო და, ნანულიც არ გამწარებულიყო...

ჯერ ბაიასთან შეხვედრისას მოსინჯა, თუ არსებობდა ცოლ-ქმრის შერიგებისთვის თუნდაც მცირე ნიადაგი... როგორც შეატყო, ბაია შეუვალა იყო: "ბოჩიასთან შერიგება? ამხელა მიყენებულ ტკივილისა და შეურაცხყოფის შემდეგ?"...

მინდიას მიაჩნდა, რომ დრო გავიდოდა და ბაიას გული ისევ მოუღებებოდა, როგორც ეს ადრეც მოხდა... იქნებ ბოჩია ნანობს კიდევ თავის საქციელს, მივა, მოუბოდიშებს ჭიჭეგორაძეების ოჯახს და მერე თანდათან ყველაფერი დალაგდება?

გადაწყვიტა, ბოჩიასაც დალაპარაკებოდა... ძალიან კი გაუჭირდა მისი ადგილსამყოფელის დადგენა, ბოლოს, დოდოს ბინაში დილაადრია მიადგა და ქუჩაში სასაუბროდ გამოიყვანა.

მინდიამ ბოჩიას საუბრის დასაწყისშივე უსაყვედურა:

- ბოჩო, რატომ იქცევი ასე?

- მაინც როგორ? რა არ მოგეწონა? გამოძინება არ მაცალე, მე მეგონა, რაღაც უბედურება მოხდა...

- თავქეფივა ეგოისტი ხარ, არავის უწევ ანგარიშს...

- რომ მსაყვედურობ, შე ყვაგო, შენი თავი ჩემზე უკეთესი გგონია?

- ჩემზე კი არ ვსაუბრობთ ახლა, შენს საქციელზე... ამაზე მეტი უბედურება რაღა უნდა მომხდარიყო, ახლა შენ მაგარ გასაჭირში ხარ და მინდა, დაგეხმარო.

- ვინ მოგახსენა, რომ გასაჭირში ვარ? მშვენივრად ვარ, მშვენივრად ან რა მჭირს შენი დასახმარებელი? ან ვინ გთხოვა, ჩაერიო?.. მოიცა, მოიცა... შენ, ვაჟბატონო, ბაის ხომ არ ჩააწვეთე ყურში ჩემი აქ ყოფნის ამბავი?

- რას მელაპარაკები, როდის იყო ამბების მიტან-მოტანა მიყვარდა? თუ ამ დღეში ხარ ჩავარდნილი, საკუთარ თავს დააბრალე, მე რა შუაში ვარ? თუ ძალიან გაინტერესებს, შენი უნამუსობის ამბავი პირველად მე სწორედ ბაისგან გავიგე...

- იპოვა რაღა იმანაც გულშემატკივარი და სასოწარკვეთის მაღამო...

- რატომ გიკვირს? ჩვენ მეგობრები ვართ...

- მეგობრები კი არა, ის არ გინდა?

- ბიჭო, რაებს ლაპარაკობ!..

- ჩემზე უარესი ხარ!

- მართლა? შესაძლოა, შენზე კარგი არ ვიყო, მაგრამ უფრო ცუდი რატომ ვარ? რით ვარ შენზე უარესი?

- გაგაანალიზოთ: შენ მჯობიხარ მე, თუ მე გჯობივარ შენ?..

- აუტანელი ვიღაცა ხარ!

- რატომ? რით მჯობიხარ მე? ჭკუით, განათლებით თუ სხვა რამით?

- ბოჩო, როდის ვთქვი, შენზე უკეთესი ვარ-მეთქი, შარზე ხარ?

- მომისმინე, ლოგიკურად ვიმსჯელოთ... შენ და შენისთანები, ვითომ სანიმუშონი, თავი რომ კიტრად მოგაქვთ: ყველაზე წესიერები ვართო, პატიოსნებიო, სხვათა უფლებების პატივისმცემლებიო და სხვა ამგვარი სამაგალითო კეთილი თვისებებით შემკულებიო, სინამდვილეში ფარისევლები ხართ!

- რა უნდა გიპასუხო? ანდაზაც კი არ იცი წესიერად: “თავის ქება კიტრად ღირსო”... როდის მიქია საკუთარი თავი? არ გინდა, გაიგო, რას გეუბნები, აქეთ მედაგები და პირდაპირ შეურაცხყოფაზე გადადიხარ!

- ყურადღებით მომისმინე, რასაც გეტყვი და დაგიმტკიცებ! ყველაფერს დაგიმტკიცებ, ყველაფერი მარტივადაა, მომისმინე და დაგიმტკიცებ!.. შენ იმასვე გრძნობ, რასაც მე, შენც იგივე სურვილები გხერხავს, როგორც მე, მაგრამ ჩვენს შორის ის განსხვავებაა, რომ მე ამას არ ვუარყოფ, შენ კი თავს იკატუნებ! მე ალაღად ვაღიარებ, რომ მიყვარს ქალები, მიყვარს შარაფი, მძულს დიდიდან საღამომდე იდიოტურ სამუშაოზე ყურყუტი და ვიღაც უტვინოს ხელქვეითად ყოფნა, მძულს მისი სულელური პრეტენზიების მოსმენა... ამას მე არ ვფარავ, აშკარად ვამბობ და ვმოქმედებ კიდევ... რასაც ჩემი ბუნება მკარნახობს, იმას ვასრულებ, ხელს კი არ ვკრავ... შენც სიამოვნებით იგივეს გააკეთებდი, მაგრამ მხდალი ხარ, მშიშარა, გაიგე? ვერ ბედავ!.. “ვაი, რა მოხდება? ის რას იტყვის? ეს რას იფიქრებს?”. ვინ რას იფიქრებს ჩემს შესახებ, სულ მარცხენა ფეხზე მკიდია, გაიგე?

- მაგარი ხარ! თეთრს შავად და შავს თეთრად დიდებულად გაასაღებ!

- აბა რა!

- იმიტომაც აგეწევა ყველაფერი... შენ გეგონა, ბაისთან ერთხელ მიქარვის შემდეგ რომ ყველაფერი მოგვარდა, მეორედაც მოახერხებდი ყველაფერს... არ გამოგივიდა და იცი, რატომ? იმიტომ, რომ ბაი ამაყია! ერთხელ გადაყლაპა შენგან აბუჩად აგდება, მეორედ – აღარ გაპატიო...

- კარგი რა, რა მქონდა საპატიებელი? უ-უ-უ, მაგათი!.. მიკვირს, ამდენ ხანს როგორ გაძევილი იმ აუტანელ ხალხთან...

- რატომ, კაცო, მზეონა და ბესო ბიძია ცუდად გეპყრობოდნენ?

- ბესო ბუნჩულა კაცია, მაგრამ ჩანჩურაა, ცოლის მონა – მზეონას ფეხის საწმენდ ტილოდ ჰყავს გადაქცეული...

- მართლა?

- აბა!.. თანამდებობის კაცია, არ ვიცი, სამსახურში იქნებ ხელქვეითებს უყვირის კიდევ, შინ მაგის ხმამაღალი სიტყვა არ გამოიგია... მჩვარია, ნამდვილი მჩვარია!.. ვერ გაიგებ, რა უყვარს, რა სძულს...

- ღვინო თუ უყვარს? – ცოტა არ იყოს ბოჩიას მიმართ დაცინვა გამოურია მინდამ, რაიც ბოჩიამ ვერ შეამჩნია, და უპასუხა:
- რა ვიცი, მაღალი წნევა ჰქონია, არ სვამს. მაგათ ოჯახში რამდენჯერაც სუფრა გაიშალა, წვეთი არ დაუღვია. უსახური კაცია...
- კარგი რა!
- სულ “კარგი რას” იძახი, ერთი მეც მკითხე! ახლოს რომ გაიცნობ ამ ხალხს...
- რა არ მოგეწონა?... ბაი ხომ გიყვარს?
- ეჭვი გეპარება? რატომ მკითხები?
- თუ გიყვარს, ყველაფერს აპატიებ.
- კი, ბატონო, ვაპატიებ...
- ჰო, სხვანაირად ვერ შერიგდებით. იმანაც უნდა გააპატიოს და შეგინდოს!
- მე რა მჭირს საპატიებელი?
- ბოჩო, თუ მართლა მასე ფიქრობ, თქვენი შერიგება არ იქნება. რაღაც არ მჯერა, რომ გიყვარს... იცი, რატომ ხარ ამ დღეში? იმიტომ, რომ, როგორ შეიძლება იყო ბედნიერი, თუ არავინ გიყვარს?
- შეეშვი ფილოსოფოსობას... ხომ გითხარი, მე კი მიყვარს, მაგრამ საკითხავი ის არის, თვითონ თუ გუყვარვარ?
- ისევე გეკითხები: მაგაში ეჭვი გეპარება?
- არა, ვიცი, მაგრამ...
- რა, მაგრამ?
- ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ კრიჭაში მიღვას?... ბიჭო, სიტყვა ვერ მითქვამს, რომ მაშინვე საწინააღმდეგი რამე არ დამაჯახოს! გაგიგია ესეთი რამე? ყოველ წუთს თითქოს ხანჯლის დარტყმას ველი...
- ისე ლაპარაკობ, თითქოს ახლაც ერთად იყოთ.
- ხომ იცი, თუ ნორმალური ხარ, გამორიცხულია, ნებისმიერ ადამიანს სულ ჩხვლეტდეს ყველაფერში არ ეთანხმებოდეს... პირი ისე ვერ გამოიღია, რომ არ შემეკამათოს... მოგეწონება? თუ ადამიანი გიყვარს, გინდაც მის სიტყვაში თუ ქმედებაში რაღაც არ მოგწონდეს, ზოგჯერ თვალს დახუჭავ, ასე არ არის? მისთვის ტკივილის, ან თუნდაც მცირე უსიამოვნების მიყენებას, მოერიდება, არად ჩააგდებ საკუთარ წყენას... არადა, დღეში ასჯერ რომ გიჩხვლეტს, როგორია? თანაც, სულ არაფრის გულისთვის, ტყუილუბრალოდ, გულის მოსაფხანად... მისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია, მიჩვეულია და ვერ ამჩნევს, სხვას თუ ტკივილს აყენებს. პირიქით, ალბათ სიამოვნებს, საყვედურებით ამომხადოს სული...
- მინდია ბოჩიას უსმენს, თან უნებურად ფიქრიც აედევნება: “იქნებ ბოჩია ნაწილობრივ მართალიც არის? ცნობილია: ქალის ფსიქოლოგია, განწყობა ისეთია, რომ სურს თავი მოაწონოს მამაკაცს, თუნდაც მის მიმართ არავითარი “გეგმები”, განზრახვები არ ჰქონდეს – მიხრწნილ ბერიკაცს, უცნობს, ასაკით სრულიად შეუფერებელს... ბაია კი თითქოს მარად თავდაცვაში მყოფია, ზღარბივით ეკლიან ბურთად არის ქცეული, სულ ჩხვლეტაზე ფიქრობს... არა, ალბათ მეც გაღიზიანებული ვარ, რომ ბაია არ მითანაგრძნობს, სხვაგვარად რომ მეპყრობოდეს, ასე აღარ ვიფიქრებდი...”, ბოჩიას კი ეუბნება:
- ძალიან ნაწყენი ჩანხარ... რაღაც არა მგონია, რომ ბაი უბრალოდ გულის მოსაფხანად, უმიზეზოდ ვინმეს აუხირდეს, მით უმეტეს – შენ... შენ? შენ არ აყენებდი ტკივილს? შენს ბრალს ვერაფერში ხედავ? გულწრფელად მითხარი: ამაზე თუ დაფიქრებულხარ?
- მე რა ბრალი მიმიძღვის? რა ვაწყენინე?
- რა? რა და... ვაჰ, რა კაცი ხარ! როგორ აგისხნა, როცა სულ ერთსა და იმავეს იძახი, მხოლოდ სხვის დანაშაულს ხედავ! მისმინე... ჰო, შენ გინდა, იყო თავისუფალი... კი, ბატონო, საგსებით ბუნებრივი მოთხოვნილებაა, ყველა ადამიანში ბუნებამ ჩადო ეს მოთხოვნილება და ასეც უნდა იყოს: ნებისმიერი ადამიანის მხოლოდ სურვილად კი არ დარჩეს თავისუფლად ყოფნა, არამედ – სინამდვილეშიც მიღწიოს ამას. მაგრამ აქ გასარკვევია: შენ რას გულისხმობ თავისუფლებაში?
- თავისუფლება – თავისუფლება! ან ხარ თავისუფალი, ან – არ ხარ, რა დიდი ფილოსოფოსობა ამას უნდა!
- ეგრე გგონია? არა, ბატონო, ყველას თავისებური წარმოდგენა აქვს თავისუფლებაზე და მათ შორის – შენც... შენთვის იყო თავისუფალი ნიშნავს, რომ აკეთო ყველაფერი, რაც მოგესურვილება, რის ხუმტურიც მოგივლის და ამაში ხელი არ შეგეშალოს... ცოლს რატომღა თხოულობდი? ორი შვილი რატომღა გააჩინე?
- რა უფლება აქვთ, შემიშალონ ხელი, თუ არავის არაფერს გუშავებ?
- მერე, შენ გგონია, არ უშავებ? შენ თავისუფლება გგონია, თუ აღვირახსნილობაში არაფერი შეგიშლის ხელს: სინდის-ნამუსი, მოვალეობის გრძნობა, სამართლიანობა... მიედ-მოედო ღობე-ყორეს და პასუხი არავინ მოგთხოვს...
- ყოჩაღ, უნამუსოდაც გამომიყვანე!

- მე რატომ, ჭირიმე? ასეთად ბაის მიაჩნის ხარ... იმიტომ აღარ უნდა შენთან შერიგება, ხუმტურების გამო კი არა... შენი იმედი აღარ აქვს.
- თვითონ ხომ ცამდე მართალია! დღეში ხუთჯერ რომ არ ეკბინა, არ იქნებოდა... ამომივიდა ყელში! ვერ გაიგე?
- ესე იგი, ახლა როგორც ხარ, იმით სავსებით კმაყოფილი ხარ?
- ხომ გითხარი, ახლა ძალიან კარგად ვარ!
- აბა, რატომ ხარ ასეთი აღრენილი? მართლა კარგად ხარ?
- ვარ, ვარ! ყოველდღე მაინც აღარ მესმის, შერევილი ხარო... მე ვეუბნები: “ჰო, კარგი, ყველა თავისებურად შერევილია: მე ლოთობას გადავყვე, ნაწული კერძებს ათასგვარად აკეთებს, ძალიან უყვარს ექსპერიმენტები, რეცეპტებს აგროვებს, მგონი, ბიოლოგიურზე იმიტომაც შევიდა; მინდია მოტოციკლზე გადარეული, დედაშენი – საკუთარი თავის გაღამაზების მეტი არაფერი აინტერესებს... მამაშენი? მოუცლელი კაცია, თორემ ისიც მონახავდა გასაფრენს! ყველა თავისებურად აფრენს, შენ? შენ არ აფრენ? ამდენი საყვედური გაგონილა?”. გაბრაზებული, მეუბნება: “შენ თვითონ აფრენ?”. “კი, ბატონო, ვაფრენ, – ვეუბნები, – ძმაკაცებში დროსტარებას ვარ გადაყლილი, შენ? შენ კიდევ რას აფრენ, შენ ლანძღვის მეტი რა გიყვარს?”. თავში აქვს ავარდნილი, ლამაზი ქალი ვარო, ფრანგულად თავისუფლად ვლაპარაკობო, ყოველთვის მოახლე მეძსახურებოდო და ახლა ჩემზე ბატონობა მოისურვა ქალბატონმა! ვერ მოესწრება, ვერ მივართვი! მეც მაქვს სიამაყე!
- მზეონა? არაფერს ეუბნებოდა ბაის? ხომ ხედავდა თქვენს შორის კინკლაობას?
- მზეონას, საკუთარი თავის გარდა, ყველაფერი ფეხებზე ჰკიდა! მთელი დღე სარკესთან ტრიალებს, ვერ გამძღარა საკუთარი სიტურფის ხილვით!
- რატომ გიკვირს? ლამაზი ქალია და...
- იკობტაოს, კი, ბატონო, ქალი – ქალია, მაგრამ – დიდიდან სადამომდე? რა უბედურება ამდენი საღებავი... გული აგერევა. კვირაში ერთხელ კოსმეტოლოგთან დადის... თან საწყალ მოსამსახურე ქალს სულ ეჩხუბება, მისი გაკეთებული არაფერი მოსწონს. ერთი დღეც კი არსად უმუშავია, შინაც თითს არ ანძრევს და სულ თვალების ბრიალით ელაპარაკება... რაც იქ ვიყავი, ერთ წელიწადში სამი მოახლე გამოიცვალა, ვერცერთი იგუა, ყველა ლანძღვა-გინებით გააგლო. არისტოკრატობას თამაშობს სოფლელი ხიხო! ნეტა სად მოძებნა ბესომ, ბედი არ გინდა?
- მინდას კინაღამ წამოსცდა: “დოდოს გადატყვარჭვა ხომ მშვენივრად მოგწონს?”, მაგრამ თავი შეიკავა და ის თქვა, რაც ბოჩიამ ისედაც მშვენივრად იცოდა:
- არ იცი? სოფელში ყოფილა ქორწილში და იქ სუფრაზე უნახავს... ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო თურმე. კაცი გადარეულა, ახლავე თან უნდა წაგიყვანო თბილისშიო.
- ბესოზე ამბობენ, ჭკვიანი კაციაო, ესაა გონიერება? ჩამოიკიდა კისერზე ქვა... ერთი ბაი დაბადა, მე რომ მკითხო, სხვა ხეირი მზეონასგან არაფერი ყოფილა...
- მერე, ცოტაა?
- შვილს, შე კაცო, კატაც კი აჩენს და ძაღლიც, თანაც – ერთს და ორს კი არა. მაგის ხელში ბაი კიდევ შედარებით ნორმალური გაიზარდა. გარედან რომ შეხედო, მშვენიერი ოჯახია, დალაგებული, ყველაფერი აწყობილი აქვთ... მზეონა სულ ღიმილად დნება, მშვენიერი სიტყვა-პასუხი... სულ “ჰი-ჰი-ჰი” და “ჰო-ჰო-ჰო” ისმის, ისეთი ქალია, გარეგნობითაც და ქცევითაც ნაღდად მოგეწონება, მაგრამ ახლოს რომ გაიცნობ, მის სილამაზეს ფასი ეკარგება. ბრწყინვალე ოჯახია! ყველაფერი უნდა ბრწყინავდეს: პარკეტი, სერვანტი, ჭადი, ბესოს მელოტი, მზეონა – თავიდან ბოლომდე! გარეგნულად ყველაფერი ლამაზი უნდა იყოს ამ ოჯახში, ყველაფერი კრიალებდეს, არადა, სინამდვილეში ბნელი ოჯახია... გაგიკვირდება და სულ რამდენიმე წიგნი აქვთ: ომის წინ გამოცემული ჭეიშვილის რომანი “ლელო”, კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომანი “ძირს სიმინდის რესპუბლიკა!”... ალბათ მზეონამ სოფლიდან წამოიღო, ასე ვთქვათ, მზითევად. ჰო, კიდევ ერთი წიგნი აქვთ: ხოფერიას სამზარეულოს წიგნი. მათ უზარმაზარ ზალაში ერთადერთი სურათი ჰკიდა, ისიც საკომისიო მადაზიაში ნაყიდი უხეირო ასლი – ვიდაც უცხოელი მხატვრის ტრადიციული, ათასგზის გადამღერებული შვეიცარიული პეიზაჟი: ლურჯი ტბა, ლამაზი დაბა, ქუჩაში მოსეირნე გაპრანჭული ხალხი... გული აგერევა!
- ბაისთან მხოლოდ ერთხელ ვარ ნამყოფი, ეგ სურათი არ მახსოვს, ოთახში არ შემიშვეს... ბაი ავად იყო, ორი კვირა არ უგვლია სკოლაში და მისი ნახვა მინდოდა... კარი რომ გამიღო მოახლემ, ჩემს ფეხსაცმელებს შეხედა და კარს იქით აღარ შემიშვა... გახსოვს, ოპერაში რომ წაგვდით? მამაჩემის ნაქონი რკინიგზელის შინელი მეცვა...
- იმ შინელით გაატარე სკოლის წლები, ძალიან გიხდებოდა!
- დამცინი? ჰო, კარგი, სხვაგან გაუფხვიეთ... მაინც, როგორმე უნდა შეგუებოდი... ბავშვის გამო მაინც.
- ვერაფრით შეგეჩვიე... შეგეუე, თუ კარგი ბიჭი ხარ! ყოველდღე რომ ასეთ ატმოსფეროში იმყოფები, გაქცევაზე იფიქრებ, სხვა გამოსავალი არ ჩანს. ვუთხარი ბაის, ცალკე ვიქირავოთ ოთახი და იქ გადავიდეთ-მეთქი, კინაღამ გაგიჟდა! მე ვერ დაფუძნებოდი მოახლედ, არადა, ისე ვერ გაძლებს...
- ალბათ სწორად ვერ შეურჩიე სიტყვები...

– არ ვიცი, ძმაო... ასე მოხდა. მე მგონი, სიტყვების შერჩევაც ვერაფერს შეცვლიდა. მთავარი მაინც ბაის ხასიათი იყო... მეგონა, კარგად ვიცნობდი, ძალიან კარგად შევისწავლე ყოველი მისი სიტყვის, უესტის, გამოხედვის მნიშვნელობა, წარმოთქმულის ინტონაციის ფასი... გვიან მივხვდი: თურმე ტყემაღზე ვიჯექი!

– გული არაფერზე გწყდება?

– არ გამაგიჟო! რამდენჯერ უნდა აგისხნა: დახუთული ოთახიდან რომ სუფთა ჰაერზე გამოხვალ, ინანებ რამეს?

– ბაი?... ბაეში?...

– ბაიმ თვითონ არ ისურვა წამოსვლა... თანაც, რისთვის უნდა გვეცხოვრა ერთად – ყოველდღე საჩხუბრად?

– ბოჩო, იმაზე თუ გიფიქრია, თვითონ რომ ამდენს მოითხოვდი სხვებისგან, შენ თუ რამეს აძლედი სანაცვლოდ? ყურადღებას, სიტბოს... იქნებ არცერთს გეყოთ მოთმინება... იქნებ კიდევ რაღაც სხვა გზაც უნდა გეძებნათ, რომ ერთად ყოფილიყავით... იქნებ ნებისყოფა არ გეყო? უნებნისყოფო კაცი არასად და არაფერში ვარგა!

– რა აფორიზმებით დამიწყე ლაპარაკი?!. ხომ იცი, ნათქვამია: ყველა თვითონ ირჩევს საკუთარ გზას... იმან თავისი გზა აირჩია, მე ჩემი ავირჩიე. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, მორჩა და გათავდა! შენი ჭკვიანური მსჯელობებით უკვე ვერაფერს შეცვლი...

– ნამდვილად ასეა, გეთანხმები! შენ რომ გზა აირჩიე, როგორ ფიქრობ, ბოლოში სად მიგიყვანს?

– ეგ შენ ნუ გადარდებს!

– შენ თუ ვერ ხედავ, მე გეტყვი: საშკასთან მიხვალ!

– საშკას მადრი?

ეს საშკა, ორმოცდახუთი წლის კაცი, იმავე სახლში ცხოვრობდა, რომელშიც ბოჩია, ოღონდ მეორე სადარბაზოში; პროფესიით ელექტრიკოსი იყო, დაუზარელი – მეზობლებს გასაჭირში ყოველთვის შეელოდა: უსასყიდლოდ ხალისით შეუკეთებდა გაფუჭებულ ელექტროგაყვანილობას, ელექტროხელსაწყოებს... ოღონდ დიდად მადლიერი დარჩებოდა, თუკი ცოტა არაყს დააღვინებდი – გალთებული იყო! ბოლოს, ცოლი გაექცა, აღარც მუშაობა შეეძლო და ეს ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი იქამდე დაეცა, რომ ეზოში იყო დადარაჯებული – მეზობლებს ორ-სამ მანეთს სთხოვდა...

– ჰო, ჩემო ბოჩო, ცხადად ვხედავ: ჩემი დახმარება შენ დიდად არ გეპიტნაგება... და რომც დამთანხმებოდი, ვეჭვობ, რამე გამომსვლოდა.

– აბა, რას იქაჩებოდი?

– ცლა ბედის მონახევრეა. ვგონებ, მარცხს არ განიცდი მაინცდამაინც...

– რაც მოხდა – მოხდა; ყველა მარცხში კარგი მხარეც არის, ის უნდა დაინახო.

– არ ხუმრობ? მაინც, რა?

– რა და... დაგუშვებ, შევრიგდით, ავაწყვეთ ცხოვრება... ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია, სულ ერთ ქალთან როგორ უნდა ვიცხოვრო? ათი, ოცი, ოცდაათი, ორმოცი წელი – ნელთბილად, ან თუნდაც – ბედნიერად...

– არც – ჩხუბი, არც – გაგიჟება...

– რას იკრიჭები, რა ნახე ამაში სასაცილო?

– ერთი რაღაც წარმოვიდგინე... იქნებ შენს თავში ეძებო მიზეზი?... რამდენჯერ გითხარი: შენ მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე ფიქრობ...

– აბა, რა! ადამიანი სიამოვნებისთვისაა გაჩენილი, შე ყვაავო! ყველაფერი სიამოვნებასთანაა დაკავშირებული...

– ეგ ფილოსოფია წიგნებში წაიკითხე თუ შენი საკუთარი აღმოჩენაა? გეტყობა, შინ რომ დიდი ბიბლიოთეკა გაქვს!

– ამას რა აღმოჩენა სჭირდება, ყველამ იცის! სიამოვნებასთან არის დაკავშირებული ადამიანის ჩასახვა, ჭამა-სმა, ყოველდღიური ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება კი – მოშარდავა, მოსაქმება... ყოველგვარი თამაში...

– ჩხუბიც? სკოლაში სხვებთან ჭიდაობა და წაქცევა გიყვარდა...

– აბა რა! არ მითხრა ახლა, რომ შენ არასდროს განგიცდია სიამოვნება, სხვას ყბაში რომ მოსდებ გემრიელად!

– ვაჰ, ხომ გითხარი, დიდად განათლებულხარ, აი! მითხარი, ნანულისთან თუ გიჩხუბია? ხელის გარტყმით კი არა, ისე... სიტყვერად?

– არა, არა... ნანულის ხომ იცნობ: ძალიან გამომწვევადაც რომ ექცეოდე, საპასუხოდ არასდროს აგყვება, არაფერს გიპასუხებს. შეიძლება, წარმოიდგინო, ნანულიმ ვინმეს გული ატკინოს?

– შენი თეორიის მიხედვით, ნანულის სიამოვნება არ განუცდია! მერე, შე კაი კაცო, მაიმცდამაინც ხელი უნდა გკრას ნანულიმ, რომ მოინდომო მასთან ერთად ყოფნა? ამის შესახებ თუ გიფიქრია?

– შენ რაღაც უცნაურად იქცევი... საკუთარ საქმეს ხომ არ აჩალიჩებ?

– არა გრცხვენია? ეგეთი რამ რამ გაფიქრებინა?

– რამ, ჭირიმე, და უცნაური საუბარი წამოიწყე, რა შუაშია აქ ნანული? ჩემსა და ნანულის შორის კედელია... გესმის? რა კედელია, როგორი – ამის ახსნა საკუთარი თავისთვისაც არ შემიძლია და რომც შემეძლოს, შენ არაფერს გეტყვი, გაიგე?

– აბა, რა შეგიძლია?

– არ მოგებურდა ამდენი წყლის ნაყვა? რამდენი ლაქლაქი გისწავლია, შემეშვი რა! მე რა შემიძლია, ის ჩემი საქმეა, შენ რა გინდა?

– კარგი, ჰო, არაფერი არ მინდა... რა თქმა უნდა, ყოველთვის მართალი ბრძანდები! ძალად მაცხონე გამოვდივარ, ბოდიში მომიხსენებია... თუ ჩემთან გულახდილი საუბარი არ გსურს, დაგემშვიდობები, კარგად იყავი...

\* \* \*

დროის მარადიულ მდინარეებს რა შეაჩერებს, ბაიასა და ბოჩიას ურთიერთობაში კი არაფერი იცვლება.

ჯერ ნახევარი წელი, მერე – მთელი წელი და მეტიც, ისე გავიდა, ცოლ-ქმარი ერთმანეთს ერთხელაც არ შეხვედრიან – ბაია წინააღმდეგი იყო ამისა; რამდენჯერმე ბოჩია ტელეფონით კი შეეხმიანა, მაგრამ ყოველი მათი საუბარი უსიამოვნო იყო და ჩხუბით მთავრდებოდა. ბაია ოფიციალურად მის ცოლად ითვლება, მაგრამ ერთად ცხოვრებაზე სასტიკ უარს ეუბნება, თან – არც განქორწინება სურს...

ამასობაში პატარა ნათიამ ფეხი აიდგა, ბოჩიამ კი შვილი ბოლოს მაშინ ნახა, როცა ნათია მხოლოდ ორი თვისა იყო...

მინდია ფიქრობს, რომ შექმნილი გარემოება ბოჩიას დიდად არ ანაღვლებს, ბაიას?

ბაია, ერთი შეხედვით, უფრო გონების კარნახით მოქმედებს, ვიდრე – გრძობისა, თუმცა, ზოგჯერ იმპულსური ბიძგით უცერად ისეთ რასმე გააკეთებს, მერე თვითონაც უკვირს... ბოჩიასთან მიმართებაშიც უცნაურად იქცევა: ვერ გაიგებ, რა სურს, საბოლოოდ რას უნდა მიაღწიოს? არც განქორწინება უნდა და არც მასთან ერთად ცხოვრებას აპირებს...

მინდიასთან ურთიერთობის გაგრძელებას შემდგომ როგორ აპირებს? აქაც გაურკვეველ მდგომარეობაშია... მაიამ იცის, რომ მინდიას უყვარს, იმაშიც დარწმუნებულია, რომ მისი მხოლოდ ერთი თითის მომხმობი შესტია საკმარისი, რათა ცოლად ითხოვოს... რაც დრო გადის, მით მეტად ეუფლებს აზრი, რომ მინდიასთან ბედნიერი იქნებოდა... ამას გვიან, მაგრამ მაინც მიხვდა, თუმცა... არც მინდიას ეუბნება გარკვეულად რამეს: რადაცნაირად სიამოვნებს, რომ ძლიერი გაფლენა აქვს მინდიაზე და როგორც უნდა, ისე ათამაშებს – არ ანთავისუფლებს, თავისთან “მიიჯაჭვავს”, მაგრამ არც მთლად ახლოს უშვებს – გადამწყვეტი ნაბიჯისგან თავს იკავებს...

საოცარია: ერთი შეხედვით, მტკიცე ხასიათისაა, ზედმეტად კერკეტიც კი და, მეორეს მხრივ, ასეთი მერყეობა – გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმის შიში... ნეტავ, რას ელის? თავსაც იწვალებს და სხვებსაც აწვალებს.

ერთხელ მინდიამ, როგორც იქნა, შეძლო ბაიასთან პირისპირ საუბარი.

აპრილის დასაწყისში ბაიამ მინდიას წინდაწინ ღია ბარათი გაუგზავნა: ჩემი შვილი, პატარა ნათია, მომავალ კვირას ერთი წლის ხდება და, თუმცა დღეობის გადახდას არ ვაპირებ, დიდი სურვილი მაქვს, ჩვენთან სტუმრად გემწვიო...

რასაკვირველია, კვირადღეს მინდია გაქანდა ბაიასთან, – კარგა ხანია, არ ენახა, – ყვავილების უზარმაზარი თაიგულით მივიდა, პატარა ნათიას დიდი სათამაშო დედოფალა მიუტანა...

როცა მინდია ზალაში შევიდა, ერთნაირად დაძაბულად აკვირდებდა ყველაფერს – იქ მყოფთაც და იმ მისთვის ერთგვარად საიდუმლოებით მოცულ ოთახსაც, რომელშიც პირველად მოხვდა, სადაც ყოველდღიურად იმყოფებოდა მისი საოცნებო ბაია... თვალი მოავლო დიდ ძველბურ მაგიდას და მძიმე სკამებს, ძველებურ ჭაღს, კედელზე – ერთადერთ, ოქროსვარაყიან ჩარჩოში ჩასმულ დიდ სურათს, ისედაც ბანალური შევიცარული პეიზაჟის უხეირო ასლს: დათოვლილი მთების ძირში, ტბის პირას გაშენებულ საკურორტო დაბის ქუჩაში ძვირფასად გამოწყობილი დამსვენებლები დასეირნობენ... გაიფიქრა: “ყველაფერი ეს ალბათ თავის დროზე ანტიკვარულ მალაზიაში აქვს შექმნილი მზეონას”...

მინდიას დანახვა გაუხარდა თუ არა, ბაიას ვერ შეატყო: ქალი ჩვეულებრივ იყო – თავშეკავებული, ამაყი და ოდნავ ცივი; იქნებ ცოტათი მეტად თუ იღიმებოდა ამ დღეს, ვიდრე სხვა დროს, მეტი არაფერი... თვითონ მინდია დაძაბული მისჩერებოდა, ბაია დაღლილი მოეჩვენა.

ერთმანეთი მოიკითხეს, შემდეგ ბაიამ ბოდიში მოიხადა და სამზარეულოში გავიდა, მინდიამ ბავშვთან თამაში დაიწყო. ძალიან გახალისდა – პატარა ნათია, რომელმაც ფეხი ათი თვისამ აიდგა, არაჩვეულებრივად მომხიბლავი მოეჩვენა – უშუალო, მოუსვენარი, დაუღალავი და ცნობისმოყვარე – როგორც ამ ასაკის ყველა ჯანმრთელი ბავშვი. მინდიამ შეატყო, რომ ნახევარ საათში საკმაროდ დაიღალა – ნათიას სულ უკან უნდა მიჰყოლოდი, ყოველ წამს ხან ხელი უნდა შეგეშველებინა, რომ თოთო ბავშვი იატაკზე არ წაქცეულიყო, ხან – სერვანტის კარისთვის მოგეცილებინა, რომელსაც გასაღებად ეჯაჯგურებოდა, ხანაც – მისთვის მაგიდის ქვეშ შეგორებულ ბურთი გამოგეტანა და მიგეწოდებინა...



კიდევ კარგი, ოთახში შემოვიდა ნათიას ახალგაზრდა ბებიი, მზეონა; ახალი, ფერადოვანი კაბა ეცვა და ნამდვილად მომხიბვლელი იყო. მინდია ადნიშნა, რომ მზეონა ახლაც შვილს ეჯიბრებდა სილამაზით; როგორც სხვა დროს, ამჯერადაც აშკარად ჩანდა, რომ დედა შვილზე ბევრად ხალისიანი და ღიმილიანი იყო...

მზეონამ ბავშვს ჯერ დაუცაცხანა, საჯდომზეც ერთი-ორჯერ რბილად შემოჰკრა ხელი, მერე კი აღნაგებულს მიეფერა, ხელში აიყვანა.

როცა მაგიდას მიუსხდნენ, მინდიას გაუკვირდა, რომ მის მეტი სტუმარი არავინ იყო მისულის... ბატონი ბესო, როგორც ჩანს, კვირადღის მიუხედავად, სამსახურის საქმეებს იყო გადაყოლილი და არ იცოდნენ, შინ როდის დაბრუნდებოდა.

სუფრა საკმაოდ მოკრძალებულად გამოიყურებოდა. მზეონამ ამის გამო მოიბოდიშა და თავი იმით იმართლა, რომ ბავშვის ერთი წლისთავის შესრულების აღნიშვნა არ არის წესად, მაგრამ რატომღაც ბაიამ მოინდომაო.

მინდია ამ ოჯახს, შეიძლება ითქვას, პირველად სტუმრობდა; დიდ, მშვენივრად მოწყობილ სასტუმრო ოთახში საკმაოდ შებოჭილად გრძნობდა თავს – მის გარდა, სხვა სტუმარიც რომ ყოფილიყო კიდევ, ბევრად ერჩინა... ბაიამ რატომ მოისურვა ამ მოკრძალებული წვეულების გამართვა და რატომ მიიწვიეს მხოლოდ ის? ეს კითხვები უბურღავდა ტვინს და ათასგვარ პასუხსაც გულისხმობდა... რომელი იყო მათგან ჭეშმარიტი?

სუფრის საუბარი ჩვეულებრივ მიმდინარეობდა: მინდიას ჯარში ყოფნა, ამჟამად რას საქმიანობს, როდის ფიქრობს დაოჯახებას და ასე შემდეგ... ყველაზე მეტად მზეონა ენამზებოდა, მინდია თითქმის მხოლოდ მის აურაცხელ კითხვებზე პასუხებით შემოიფარგლებოდა, ბაია კი უმეტესწილად ჩუმად იჯდა. ბოჩია ერთხელაც არ უხსენებიათ...

სუფრა დიდხანს არ გაგრძელებულა; ის ერთადერთი ბოთლი ღვინო, რომელიც მაგიდაზე იდგა, სანახევროდაც არ დაცლილა... მინდიამ სამი სადღეგრძელო წარმოსთქვა: ადღეგრძელა პატარა ნათია, შემდეგ – ოჯახის წევრები, დაბოლოს – ოჯახის წევრთა კეთილი მომავალი... ქალები ოდნავ თუ აკარებდნენ ჭიქას ტუჩს, მინდიაც ჭიქას მხოლოდ სანახევროდ თუ მოსვამდა...

როცა მინდიამ მზეონას მადლობა გადაუხადა მასპინძლობისთვის და გამოემშვიდობა, ბესო ჯერ არ იყო მოსული, პატარა თეონას კი უკვე ეძინა.

იგი ბაიამ გააცილა, ქუჩაშიც ცოტაზე გაიარეს.

მინდიამ ბაიას გვერდიდან სახეზე აკვირდებოდა, მოელოდა: ახლა დაიწყებს საუბარს, რაღაცას მეტყვისო... ქალი ხმას არ იღებდა და ისევ მინდიამ სცადა, ჩვეულებრივი საუბრის წამოწყება:

– როგორ ხარ, როგორ მიდის საქმეები? გამხდარი მეჩვენები...

– რა ვიცი, ჯერჯერობით ნელთბილად ვარ, იმის მადლობელიც ვარ ბედის, რომ სატირლად არ მაქვს საქმე.

– ბაი... არ ვიცი, იქნებ ჩემგან არ მოვლი, მაგრამ რაღაც უნდა გკითხო... ალბათ გამიგებ, არ გეწყინება...

– რა თქმა უნდა, მინდი, ბავშვები ხომ არ ვართ...

– ჰოდა, თუ ბავშვები არ ვართ, რაღა დროს ბუტიანობის თამაშია?

– მე ვთამაშობ?

– არ ვიცი, არ ვიცი... მაშინ გამარკვივ: რა ხდება? თუ არ გინდა ბოჩოსთან ოჯახის შენარჩუნება...

– ეგ საქმე უკვე გადაწყვეტილია... დიდი ხანია...

– აბა, რაღას ელი?

– ვერ მიგიხვდი... რას გულისხმობ?

– თუ გადაწყვეტილი გაქვს...

– ხომ ვითხარი... კი, კი, ნამდვილად ასეა.

– მაშინ... მე, ხომ იცი... ხომ კარგად მიცნობ... უკან არ დავიხევ, ნათია საკუთარი შვილივით მეყვარება...

მინდიას ძალიან გაუჭირდა ამ სიტყვების თქმა, ბაიასთვის სახეში შეხედვას ვეღარ ბედავდა – მისთვის “განაჩენის გამოტანას” შიშით ელოდა.

ბაია ასფალტს დასცქეროდა, ჩუმად იყო...

ასე ნელ-ნელა მიდიოდნენ, მერე მინდიამ მაინც გაბედა და ისევ შეხედა მის ასეთ ნაცნობ და საყვარელ სახეს, მკაფოდ მოხაზულ ტუჩებს; ცდილობდა, გამოეცნო: რაზე ფიქრობდა ბაია? რატომ არაფერს ეუბნებოდა?

ცოტა ხანში უხერხული მდუმარება ისევ მინდიამ დაარღვია, შეჩერდა და ყრუ ხმით წაიდუღუნა:

– კარგი, ბაი, აქ გამომოგემშვიდობები... დიდი მადლობა, კარგად იყავი... – არ უკონია, ხელიც არ ჩამოურთმეგია, ისე შებრუნდა და ნელა გაუყვა ქუჩას.

ბაიამ ისევ არაფერი უპასუხა...

გაურკვევლობის მდგომარეობაში ყოფნას მინდიას მამაკაცური თავმოყვარეობა ვერ ეგუებოდა. და, თუმცა, მტკიცედ გადაწყვიტა, რომ ამიერიდან ბაიასთან შეხვედრას ფიქრადაც არ გაიგლებდა და არც ტელეფონით დაურეკავდა, მარად არ ასვენებდა სურვილი ბაიას ხილვისა, თუნდაც უბრალოდ მისთვის თვალს შევლებოდა... რამდენჯერმე, როცა კი ამის შესაძლებლობა მიეცა, ჩუმად დაუდარაჯდა სამუშაოს დამთავრებისას უნივერსიტეტის ბაღში; მთავარი კორპუსიდან გამოსულს უჩუმრად უკან აედევნა, ტროლეიბუსშიც აჰყვა და მერე სახლამდე მიაცილა... რამდენჯერ უნდოდა, დასწეოდა და გამოლაპარაკებოდა, მაგრამ რაღაც ბორკავდა ამგვარი ნაბიჯის გადადგმისგან – და როცა ბაია სადარბაზოში შევიდოდა, შემდეგ იწყებდა ლაჩრობისთვის საკუთარი თავის ლანძღვას.

შემდგომ, როცა ცდილობდა საკუთარ გაუბედაობის მიზეზის ახსნას, თვითონაც ვერ გარკვეულიყო, რა მოსდიოდა... ეს არც შიში იყო, არც – მორიდება, ან იქნებ ერთიც და მეორეც... ან იქნებ კიდევ სხვა, მისთვის შეუცნობელი რამ?

ერთხელაც მტკიცედ გადაწყვიტა ამგვარი “პარტიზანული” მოქმედებაც დაევიწყებინა – ბაია საერთოდ აღარ ენახა... გულის კუნჭულში სულ ბუჭბუჭავდა იმედის ნაპერწკალი, რომ თვითონ ბაია დაურეკავდა სამსახურში ან შინ ისევ გამოუგზავნიდა საფოსტო ღია ბარათს...

ასე მიედინებოდა მინდიას წუთისოფლის დღეების ქარავანი, აღსავსე რაღაც მოულოდნელის მოლოდინით, რომელიც შეცვლიდა მის ჩვეულ ცხოვრების გამოხომილ რიტმს: სახლიდან – სამსახურში, სამსახურიდან – სახლში...

ამგვარ მოლოდინში გავიდა ზაფხული, სექტემბერის დასაწყისში კი მის ცხოვრებაში მოულოდნელად სხვა ქალი შეიჭრა.

### კარი X. მინდია ხვდება ლამარას

ერთი ხანია, მინდიას ვიღაც ქალი კვირაში რამდენჯერმე სამსახურში შესვენების დროს ურეკავს; სულ ერთსა და იმავეს ელაპარაკება: ძალიან კარგი ბიჭი ხარ, ძალიან მომწონხარო... მინდია თავდაჭერილად იქცეოდა, მაღლობას უხდიდა და, ბოლოს, ეკითხებოდა, რატომ მირეკავთ, ჩემგან რა გნებავთო... ქალი არ პასუხობდა, ემშვიდობებოდა და ყურმილს უკიდებდა...

ერთ დღეს კი მინდიას დაბეჭდილი კონვერტით წერილი გადასცეს. აღმოჩნდა, რომ მასთან თითქმის ყოველდღე ტელეფონით მოსაუბრე მთლად უცნობი არ იყო – ეს ქალბატონი აღმოჩნდა მისი ყოფილი თანამშრომელი, – ჯერ კიდევ ერთ-ერთ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში მუშაობისას, – ლამარა...

ლამარა წერდა:

“ძალიან ბევრი ვიფიქრე და მერე გადავწყვიტე, შენთვის მომეწერა ეს წერილი, გულით და სულით. ვიცი, ეს სუყველაფერი სისულელეა, მაგრამ მაინც ვწერ. გულს ამით ვიქარებ. მე მხოლოდ შენი ნახვით ვტკბები და ვარ კმაყოფილი შენი ცქერითაც კი. სამწუხაროდ, ახლა უფრო მიჭირს შენი ნახვა. საერთოდ არ ვიცი, რატომ მოხდა ჩემში ასეთი რამე, მე თვითონაც არ ვიცი, ეს კი ვიცი, რომ მიყვარხარ ძალიან. მე მხოლოდ შენ მიყვარხარ, პლატონიურად, ესე იგი, გაზიარების გარეშე. ვიცი, შენ სხვა გოგო გიყვარს და ამიტომ მე უკვე ზედმეტი ვარ. რა ვქნა, იქნებ შენ მასწავლო, როგორ მოვიქცე. ძალიან მიმძიმს, ჩემო მინდია, ვიცი, ძალიან გეცოდები და გამოუვალი მდგომარეობა გაქვს, მაგრამ მე კიდევ გეტყვი, მიყვარხარ. ძალიან გთხოვ, არ დამცინო. შენ შეგნებული ბიჭი ხარ და ამის იმედი მაქვს. ეს წერილი გაგაკვირვებს, ალბათ, კარგა ხანია, არავისგან მიგიღია ასეთი ბარათი.

წინა პარასკევს სიზმარში გნახე და ბედნიერები ვიყავით. ვისხედით ხის ძირში, ზღვაზე, ირგვლივ შესანიშნავი ბუნება იყო, შენ თავი ჩაგედო ჩემს კალთაში და რამდენჯერმე თქვი: “ლამრიკო, სად იყავი აქამდე, როგორი ბედნიერი ვარ!”. როცა გამეღვიძა, გამახსენდა, ერთხელ შენ რომ გნახე კიბეზე, შენ გამიღიმე და მომესალამე. მე ეს შეხვედრაც კი მახარებდა მაშინ. როდესაც მე გამომეღვიძა და გავახილვე თვალები, დამიჯერე, ძალიან მეწყინა, რომ ეს იყო მხოლოდ სიზმარი.

მართალია, ასეთი შემთხვევა უფრო ძალიან ახალგაზრდებში ხდება, მე მეორედ მხვდა ბედნიერება წილში, ეს კი უკვე გაუმართლებელია. ძალიან გთხოვ, მინდია, ჩემო სიყვარულო, არ გეწყინოს, პირადად ნურაფერს მეტყვი, თუ არ დაგეზარება, წერილი დაწერე, ერთი-ორი სიტყვა. იმასაც გთხოვ, მე და შენს შორის დარჩეს ეს ჩემი მოპარული და გაახლებული სიყვარული. თუ სიყვარული გზას აადვილებს, რატომ ვერ მოხვალ, მინდია, ჩემამდე?

ძალიან მიმძიმს ამ წერილის წერა. ბოდიშს ვიხდი, მყუდროება დაგირღვიე. ცუდი არაფერი იფიქრო, წმინდა გულით გეუბნები ყველაფერს.

ვიცი, ჩვენს შორის ჩატეხილი ხილია, ეს წერილი, გთხოვ, წაკითხვის შემდეგ დახიო. ასე აჯობებს.

შენი კარგის მდომი, ლამარა ჩამიჩაშვილი”.

მინდია გააკვირვა წერილმა და დააბნია კიდევ, როგორ მოიქცეს?

მინდიას სტუდენტობის დროს, როცა, იმავდროულად, ის ერთ-ერთ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში საწყობის გამგე იყო, ეს ლამარა ამავე ინსტიტუტში მსახველად მუშაობდა. საწყობი შენობის ნახევარსარდაფში იყო განთავსებული და ლამარა მინდიას სამსახურში ყოფნისას (დღიდან ლექციებს ესწრებოდა და საწყობის კარზე ყოველთვის წერდა, იმ დღეს რომელ საათზე დაბრუნდებოდა საწყობში) ხშირად ჩადიოდა: ხან – უფროსის დავალებით, განყოფილებისთვის გამოწერილი რაიმე მასალების წასაღებად, უფრო ხშირად კი – უმიზეზოდაც... ახალგაზრდა, ძალიან ხალისიანი, სანდომიანი ქალი იყო, ბევრი ლაპარაკის მოყვარული და რატომღაც სწორედ მინდიასთან ათასგვარ საკითხზე ხშირად საუბრობდა ხოლმე; საათობით ჩამოუჯდებოდა და გაუთავებლად ქაქანებდა. უფრო თავისი ოჯახის ამბებს უამბობდა: როგორი ბედნიერია, რომ პატარა ბავშვი ჰყავს, როგორ უყვარს ქმარს... მამამთილი კარგი კაცია, პატივს სცემს, მაგრამ დედამთილმა კი რატომღაც აითვალწუნა, რბალს დასანახად ვერ იტანს და არც მალავს ამას, ნეტავ რა დაუშავა?..

ამგვარი საუბრებით აბეზრებდა თავს; მინდიას ერჩინა, ემეცადინა, მაგრამ მოთმინებით უსმენდა ხოლმე, თან მარჩიელობდა: რატომ მანცდამაინც ის აირჩია ლამარამ გულის მოსაოხებლად, ქალები ინსტიტუტში გამოიღია?

ლამარა ცოტა მომსუქნო, სასიამოვნოდ ტანსრული, გულდია ქალი იყო, ყველას მოსწონდა, მაგრამ მინდიას არასდროს მოსვლია აზრად, სხვა კაცებივით გაარშიყებოდა: ქმარშვილიანი ქალი გახლდათ, თანაც მასზე რამდენიმე წლით უფროსი...

ახლა კი – ეს წერილი... ნეტავ საიდან გაიგო მისი სამსახურის ადგილი? ან ის, რომ ჯერ ცოლი არ მოუყვანია? რატომ მოსწერა ასეთი უცნაური წერილი ქმარშვილიანმა ქალმა, თანაც – მათი ბოლო შეხვედრიდან კარგა ხნის შემდეგ? ეს ლამარა მინდიას პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრებისა და საწყობის გამგის თანამდებობიდან წამოსვლის შემდეგ არც არასდროს გახსენებია და უცებ – ეს წერილი... რატომ წერს, ვიცი, სხვა გიყვარსო? ლამარას არ შეიძლება ბოდა, ცოდნოდა ბაიას არსებობის შესახებ, მასთან მისი სახელი მინდიას არასდროს უხსენებია (ისევე, როგორც სამსახურში და სხვაგანაც – საერთოდ არავისთან)... იქნებ ლამარას მხრივ ეს ერთგვარი ქალური ეშმაკობა იყო: ალბათ სურდა, მინდიასგან გაეგო, შეყვარებული თუ ჰყავდა...

დღევანდელი გადასახედიდან ბაიასთან რამდენიმე თვის წინანდელი ბოლო საუბარი მინდიამ უკვე უარის თქმად მიიჩნია... კი, ბატონო, მინდიასთან ყოფნა თუ არ უნდა, ძალას ვერაგინ დაატანს, მაგრამ გარკვევით ეთქვა ეს და ამით დამთავრდებოდა ყველაფერი... ბაიას მხრივ აბუჩად ამგდები დამოკიდებულება აშკარად ჩანდა...

მინდია დაბნეული და სასოწარკვეთილი იყო და ლამარასთან კიდევ ერთი სატელეფონო საუბრის შემდეგ (ლამარასთვის წერილი არ მიუწერია – არც სურდა და არც მისი ამჟამინდელი მისამართი იცოდა), ერთგვარი ყოყმანით დათანხმდა მასთან პირისპირ საუბარს... შეხვედრა მომავალი კვირადღისთვის დათქვეს.

და აი, ეს კვირადღეც დადგა... სადამოხანს, გზაში, მინდიას რამდენჯერმე წამოუარა სურვილმა, უკან გაბრუნებულიყო: რა რჯიდა, ღირდა კი ნაცნობ, მაგრამ მისთვის შინაგანად სრულიად უცხო ქალთან პაემანზე მისვლა? ნანობდა, რომ დათანხმდა შეხვედრას, მაგრამ ახლა მიცემული სიტყვა უნდა შეესრულებინა...

ერთმანეთს შეხვდნენ მინდიას ყოფილ სამსახურთან ახლოს, პატარა გაქუცულ ბაღში. ორივე ერთგვარად დაბნეული ჩანდა; მისალმების შემდეგ ერთმანეთისთვის ხელიც კი არ ჩამოურთმევიათ და იქვე სკამზე ჩამოსხდნენ.

ლამარა გაღიმებული შეხვდა, მაგრამ აშკარად ეტყობდა, რომ დელავდა: სახე დაძაბული ჰქონდა და პირველი სიტყვებიც ბორძიკ-ბორძიკით წარმოთქვა:

– ბოდიში, ცოტა არეულ-ღარეული წერილი გამომივიდა...

მინდიაც შებოროტილად გრძნობდა თავს: რაზე უნდა ელაპარაკოს?

– არა უშავს, რა გაქვს საბოდიშო, მთავარია, უშუალოდ არის დაწერილი. მეც ბოდიში უნდა მოგიხადო... სამწუხაროდ...

– ჰო, ვიცი, ვიცი!

მინდიას პასუხიდან ჩანდა, რომ ერთგვარად დაეთანხმა ლამარას გუჟანს:

– მშვენიერი ქალი ხარ, მაგრამ...

– შენ ნამდვილად სხვა გიყვარს...

– ქმართან აღარ ცხოვრობ?

– ჰო, უკვე წელიწადზე მეტია. ბავშვთან ერთად დედაჩემთან დაგბრუნდი... იმ ქაჯებთან ცხოვრება აღარ შემეძლო.

– მერე, ქმარმა როგორ გამოგიშვა?

– ვიღაც გადათრეულს გადაეკიდა... საბოლოოდ გავეყარე.

– გულს ნუ გაიტუნ... შენ კიდევ შეგხვდება... ბევრად ჩემზე უკეთესიც...

ლამარამ არ დაამთავრებინა, მინდიასთვის მოულოდნელად უპასუხა:

– ცოტათი მიინც არ მოგწონვარ?

– როგორ არ მომწონხარ!.. – დაბნეული მინდია უხერხულობისგან იშმუშნებოდა... – ხომ გითხარი, შენ ძალიან კარგი ქალი ხარ, ლამაზი, ჭკვიანი, პატიოსანი...  
 ლამარამ ისევ შეაწყვეტინა:  
 – გთხოვ, ერთი დამე მარჯულო! – და მოულოდნელად მინდიას მიეხუტა...  
 გაკვირვებული მინდია არ განძრეულა, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, ქალმა კი ხელი მოხვია და ტუჩებში აკოცა...

\* \* \*

ლამარა რამდენიმე წლით უფროსი იყო მინდიაზე, მინდიას ყოფილ სამსახურთან ახლოს ცხოვრობდა – დედასთან და ხუთი წლის ვაჟიშვილთან ერთად. სანამ ქალის დედა სამსახურში იყო, პატარა ბიჭი კი – საბავშვო ბაღში, მინდია და ლამარა ხშირად ხვდებოდნენ ხოლმე ერთმანეთს – შუადღეზე, შესვენების დროს, ლამარას ბინაში.

შაბათ-კვირას მინდიას ლამარა მიჰყავდა ხან ვაკის პარკში, ხან – მთაწმინდის პლატოზე, შემდეგ, თუ დრო დარჩებოდათ, კინოშიც დადიოდნენ.

შემოდგომა მიიწურა. მინდია უკვე იმასაც კი ფიქრობდა, ლამარაზე ხომ არ დაგქორწინდეთ, მაგრამ მას შემდეგ გადაიფიქრა, რაც ქალმა ერთხელ საუბრისას მისთვის ფრიად მოულოდნელი რამ ამცნო...

დეკემბრის დასაწყისში ლამარამ მინდიას სამსახურში დაურეკა:

– ბოდიში, მინდია, ავად გავხდი და ორ კვირას ვეღარ შევხვდებით ერთმანეთს.

– რა გჭირს, რამე წამალი ხომ არ გჭირდება?

– არა, არა, ნუ მოხვალ, ყველაფერი მაქვს...

– კარგი, მეც მივლინებაში მიშვებენ, ნამდვილად არაფერი გინდა? საიდან რეკავ?

– მეზობელიდან... სერიოზული არაფერია, როცა ჩამოხვალ, მე თვითონ დაგირეკავ...

როცა მინდია მივლინებიდან დაბრუნდა, კარგა ხნის განმავლობაში ამოდ ელოდა ლამარასგან სატელეფონო ზარს... გაკვირვებული იყო, თან – შეშფოთებულიც: ლამარას რამე ხომ არ დაემართა? გადაწყვიტა სადამოს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, მასთან შინ მისულიყო.

ეს მათი ბოლო შეხვედრა გამოდგა.

როცა მინდომ მათი ბინის კარზე დააკაკუნა, თვითონ ლამარამ გაუღო. ბინაში აღარ შეუპატრუია, ისე მოიხურა მხრებზე პალტო, წავიდნენ და იქვე შორიახლოს მდებარე პატარა სკვერში, მათთვის ესოდენ სამახსოვრო სკამზე განმარტოვდნენ.

მინდიას ლამარა შეცვლილი მოეჩვენა – გამხდარი და მობერებულიც...

– ახლა ხომ კარგად ხარ? რა გჭირდა, თუ საიდუმლო არ არის? – მოეხვია ლამარას და აკოცა.

– აბორტი გავიკეთე...

მინდია გაოგნებული მიაჩერდა:

– რატომ არაფერი მითხარი? უჩემოდ რატომ გადაწყვიტე?

– ეს ჩემი გადასაწყვეტი იყო.

ქალმა ერთხელ საუბრისას კი უთხრა, რომ მეტს შვილს აღარ გავაჩენო; მაშინ მინდია ამ საკითხს აღარ ჩაღრმავებია. ახლა კი მინდიამ აღარ იცოდა, რა ეთქვა; ბოლოს, ამის თქმადა მოახერხა:

– მე მგონი, ეს მეც მეხება... მე ვფიქრობდი, ჩვენ სულ ერთად უნდა ვყოფილიყავით...

– მეც... მაგრამ, ამის მიუხედავად, მე სრულებით არ მაქვს სურვილი, რომ მეტი შვილი ვიყოლიო.

– რატომ? შენ კი გყავს შვილი, მე?.. მე აღარ მინდა, შვილი მყავდეს?

– ჩემი შვილი შენი შვილიც იქნება...

– არ გინდა, ჩვენი შვილიც გყავდეს?

– არა!

– რატომ?

– ხომ გითხარი!

მინდია ენაგადაყლაპულივით იჯდა, გულში რაღაც ჩაწყდა; არ იცოდა, შემდგომ საუბარი როგორ გაეგრძელებინა; ერთი სული ჰქონდა, მარტო როდის დარჩებოდა.

– ეს შენი ბოლო სიტყვაა?

მინდიასთვის სრულიად მოულოდნელად, ლამარამ საკმაოდ უკმეხად უპასუხა:

– ყრუ ხომ არ ხარ, გარკვევით გითხარი!

– ბოდიში, დიდი ბოდიში, თუ რამე გაწყენინე... მეც არ მსიამოვნებს ეს უაზრო საუბარი, ყველაფერი ცხადია...

– კარგად იყავი! – უფერული ხმით წარმოთქვა ლამარამ.

– შენც კარგად იყავი! – მინდია წამოდგა, მერე რატომღაც ლამარასკენ დაიხარა და გამოსამშვიდობებლად ლოყაზე ოდნავ შეეხო ტუჩებით...

ქუჩაში მიმავალს გაახსენდა: ერთხელ სასადილოში შევიდნენ და მინდამ ყურადღება მიაქცია, როგორ ჭამდა ლამარა: ჩანგლით კერძში განუწყვეტლივ იქექებოდა, თითქოს ქათამი ნისკარტით ეძებს ნაგავში საკბილოსო... კინადამ ხუმრობით წამოსცდა: “რას ეძებს, ლამრი, მარგალიტი ხომ არ დაკარგე?”, მაგრამ თავი შეიკავა. მაშინ ლამარას უცნაური ჩვევა რაღაც მეათეხარისხოვნად ეჩვენა, მასში მხოლოდ ღიმილი გამოიწვია, ახლა კი მესხიერებაში აღბეჭდილის გახსენებამ გააღიზიანა და, იმავდროულად, რაღაც დამთრგუნველი სიმძიმისგან განთავისუფლებულადაც იგრძნო თავი: წარმოიდგინა, ლამარა რომ ცოლად ეთხოვა, სუფრასთან ყოველი დაჯდომისას მოუწევდა ამგვარი სურათის ყურება – ლამარა როგორ გულმოდგინედ, განუწყვეტლივ იქექება თეფშში და ლაქლაქებს, ლაქლაქებს...

“სულელი, სულელი!” – ლამარასთან საუბრით გაღიზიანებული, გულნატკენი, საკმაოდ ხმამაღლა იმეორებდა ამ სიტყვას. მტკივნეული ფიქრები თითქოს ისრები გახდნენ, მწვავედ ესობოდნენ მკერდში... მერე ის წერილი გაახსენდა, ლამარამ რომ სექტემბერში მისწერა... მაშინ ძალიან გულწრფელი ეჩვენა, ნუთუ ქალის მონაწერი მხოლოდ ცარიელი თვალთმაქცობა იყო? ამის დაჯერება უჭირს... მაშ, ახლა რაღა დაემართა? რა მოხდა? გაუგებარია... იქნებ გადატანილი აბორტის შემდეგ გაღიზიანებული იყო და სათქმელი ვერ მოზომა? ახლობელ ადამიანთან ამგვარად არ საუბრობენ... თავისას გაუტია, მინდიას აზრის თუ სურვილის გაგებაც კი ზედმეტად ჩათვალა... იქნებ ლამარასთვის ნერვების დასაწყენარებლად დროა საჭირო და ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდება? საეჭვოა... როგორ მოულოდნელად გამორჩა მისი გაუწონასწორებული ბუნება... იქნებ ჯობდა კიდევ, რომ ყველაფერი ასე დამთავრდა – დიდი ჩხუბისა და ვნებათაღელვის გარეშე... ასეთ ქალთან როგორ უნდა ეცხოვრა? მისთვის ყოველთვის ცხადი იყო, რომ ლამარა არ უყვარდა, – სიყვარული სულ სხვა რამ არის! – მაშ, რატომ იმოქმედა მასზე ასე მძაფრად ლამარას საქციელმა? ხომ შეიძლებოდა, ლამარას სხვაგვარად ესაუბრა, თუ რამ სათქმელი ჰქონდა, ასეთი გამომწვევი სახით არ გამოეთქვა – დაილაპარაკებდნენ და წენარად დაშორდებოდნენ, მეგობრებად დარჩებოდნენ... ახლა კი უსიამოვნო საუბრისგან მძიმე ნალექი დარჩა. როგორც ჩანს, ადრე თუ გვიან ყველაფერი ასეც უნდა მომხდარიყო და ალბათ ყველაფერი კარგად დასრულდა... ალბათ... ალბათ... და მაშინვე ბაია გახსენდა – ბაია მოიქცეოდა ამგვარად?.. იქნებ ბაია ბოჩიას უარესადაც მოექცა? მაგრამ ბოჩიას მოქმედება ამის ერთგვარ საფუძველს იძლეოდა, მას კი ლამარასთან არაფერი დაუშავებია... ერთი ის იყო, რომ თავიდანვე შორს უნდა დაეჭირა თავი, არ დაახლოვებოდა, მაგრამ მაღლობა ღმერთს, ყველაფერი წარსულს ჩაბარდა...

მინდია ქუჩაში მიდიოდა და გრძნობდა, როგორ თანდათან მოეხსნა დაძაბულობა, შვებით ამოისუნთქა.

მას შემდეგ ლამარა აღარ უნახავს, მასთან შემდგომი ურთიერთობა მხოლოდ ტელეფონით რამდენიმე საუბრით შემოიფარგლა. რამდენჯერმე დაურეკა ლამარამ, რაღაცას ბოდიშის მაგვარს ეუბნებოდა, შეხვედრას სთავაზობდა, მაგრამ მინდიას უკვე გული აცრუებული ჰქონდა მასზე და ყოველთვის უარს ეუბნებოდა – მოუცლელობას იმიზეზებდა; ბოლო საუბრისას კი პირდაპირ უთხრა, გთხოვ, ნულარ დამირეკავო.

მერეც ხშირად ახსენდებოდა ლამარასთან შეხვედრები; ძალიან, ძალიან დიდხანს ფიქრობდა: რატომ, რატომ მოიქცა ასე ლამარა? ასე იოლად როგორ შეეღია მასთან დაშორებას? ის სასიყვარულო ბარათი ახსენდებოდა, რომელმაც სათავე დაუდო მათ ურთიერთობას – ძალიან გულწრფელი აღსარება ჩანდა, ამან მოხიბლა და მნიშვნელოვანწილად განაპირობა კიდევ მისი ლამარასთან დაახლოება... ახლა კი ვერაფრით გარკვეულა: რა მოხდა? რა მოხდა ისეთი, რამაც ლამარას გულის გაცივება გამოიწვია? იქნებ მან დაუშვა რაღაც შეცდომა, რაღაც ისეთი მოიქმედა, რომელმაც ლამარას უბიძგა ესოდენ გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმისკენ?.. ეძებს, ეძებს საკუთარ დანაშაულს მომხდარში – და ვერაფრით პოულობს... საკუთარი თავის მხრივ მცირე მიზეზიც კი არ მიუცია ან იქნებ ვერ პოულობს?.. რომც ყოფილიყო რაიმე წვრილ-წვრილი გაუგებრობები, ნუთუ ის გამოდგებოდა სერიოზულ საბაბად ესოდენი მკვეთრი ნაბიჯისთვის – დაშორებისთვის?..

დიდი ფიქრისა და ჩხრეკის შემდეგ, მინდიამ მხოლოდ ერთი შემთხვევა გაიხსენა, როცა ისინი წაკამათდნენ, თუმცა არც ისე საფუძვლიანად... მომავალის შესახებ საუბრობდნენ და რატომღაც მინდიამ თქვა:

– თავს დიდად არასდროს შევიწუხებ, რომ თანამდებობრივ კიბეზე ავფოფხდე, არ მიზიდავს... თუ წაგახალისებენ და დაგაწინაურებენ, ეს თავისთავად უნდა მოხდეს, შენ ამისთვის ძალა და ენერჯია არ უნდა დახარჯო.

ლამარამ მაშინვე, რატომღაც საკმაოდ გაცხარებით, უპასუხა:

– რატომაც არა? შენ თვითონ თუ არ გაანძრე ხელი, არავინ დაგიფასებს არც ნიჭს და არც მონდომებას... ვერ ხედავ, რა დროში ვცხოვრობთ? რამდენი უღირსი მოკალათებულა თბილ საგარძელში და განცხრომით ცხოვრობს, შენისთანა ბედოვლათები კი შესცქერიან და მათთვის კონკურენციას არც აპირებენ. სულ სხვისი მოსამსახურე უნდა იყო?

– რატომ ვარ სხვისი მოსამსახურე? მე ჩემს საქმეს ვაკეთებ...  
– ჰო, იყავი პენსიაში გასვლამდე რიგითი ინჟინერი, სულ კაპიკების თვლაში...

– ფულზე გადარეული არასდროს ვყოფილვარ!

– ვხედავ, ვხედავ, სულ მაგ ძველთაძველ ტყავის ქურთუკში დადიხარ! შენი მოტოციკლი კი ნამდვილად სამშუენუმოა – შენზე მეტი ხნისაა!

მინდიას უნდოდა, ეთქვა, ეს ქურთუკიც ჩემი მეგობრის ნაჩუქარია, უკეთესი არც მჭირდებაო, მაგრამ ადარაფერი უპასუხა – დავის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. თვითონ ლამაზს, როგორც თითქმის ყველა ქალს, უყვარდა გამოპრანჭვა, თუმცა ძვირფასი ტანსაცმელ-ფუნსაც-მლის საყიდლად წელი არ მოსდევდა და ვერც ვერასდროს შესძლებდა, თუკი მხოლოდ საკუთარ შესაძლებლობებს დაეყრდნობოდა: არც საკმარისი განათლება ჰქონდა და არც – ნიჭი, ისევე სხვის იმედად უნდა ყოფილიყო; როგორც ჩანს, ამ მხრივ მინდია არ გამოადგებოდა... იქნებ ეს იყო მათი განშორების მიზეზი ან რაღაც სხვა, ბევრად საფუძვლიანი, მაგრამ მინდიამ მას ვერ მიაგნო, უფრო დამაჯერებელი ვერაფერი მოიფიქრა...

ამგვარი განსჯა-ფიქრის შემდეგ ლამაზს პიროვნება მინდიას თვალში ფრიად დამცირდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, რამდენჯერმე ქალთან დარეკვის სურვილმა მაინც მოუარა, თუმცა, ერთგვარი ყოყმანის შემდეგ, ყოველთვის გადაიფიქრა... და საბოლოოდ არც უნანია: “არა, ახლა რომ ვუკვირდები, უჭკუო ქალი გამოდგა, არ მიკვირს, ქმარი რომ გაექცა. ჭკვიანი რომ ყოფილიყო, ახლა მისი ქმარი ვიქნებოდი; მე რომც არ მეფიქრა მის ცოლად მოყვანაზე, თუ მართლა ვუყვარდი, ჩემგან ბავშვს გააჩენდა, შემდეგ – იქნებ მეორესაც... პატიოსანი კაცი მისი ორი შვილის დედას არასდროს მიატოვებდა...”

მხოლოდ დაშორებიდან რამდენიმე თვის შემდეგ მინდიამ შემთხვევით გაიგო ლამაზს უცნაური ქცევის ნამდვილი მიზეზი... ლამაზამ გამყიდველად დაიწყო მუშაობა ხილ-ბოსტნეულის მაღაზიაში. ეს ჯერ კიდევ მათი ურთიერთობის გაწყვეტამდე მოხდა და ამის შესახებ მინდიამ იცოდა, არ იცოდა მხოლოდ ის, რომ ლამაზა მაღაზიის დირექტორის საყვარელი გამხდარა... ახლა მინდიას უკვირს: როცა ლამაზა ძვირფასად ჩაცმულ-მოკაზმული ხვდებოდა, რატომ არ გაუჩნდა ეჭვი – საიდან ჰქონდა ამის შესაძლებლობა?..

\* \* \*

წინა კვირას ბაიას შინ მოულოდნელად ბოჩია ესტუმრა... მასთან კვირადღეს პირდაპირ შინ მივიდა. მანამდე, კარგა ხნის განმავლობაში, ბოჩია ცდილობდა, ტელეფონით გასაუბრებოდა, მაგრამ ყოველი ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა: ბაიას მასთან ლაპარაკი არ სურდა, მაშინვე ყურმილს დაუკიდებდა ხოლმე.

როცა ბაიამ ბინის კარი გააღო, წამით დაიბნა, თუმცა მაღევე მოეგო გონს, მისალმებაზე არ უპასუხია, არც შინ შემოუპატიჟია, მაშინვე უკმეხად ჰკითხა:

– რისთვის მობრძანდი, რა გნებაგს?

– ბავშვი მომენატრა... არ მაქვს უფლება, ვინახულო? – ბოჩიას წინასწარ მომზადებული ბოდიშისა და მონანიების სიტყვები დაავიწყდა, იმდენად დააბნია ბაიას შეტევამ.

– მეც ხომ არ მოგენატრე?

– ბაი...

– რა, ბაი? როდის აქეთ გაგხდით შენი ძვირფასი მონატრების ღირსი? ნათია ორი წლის სრულდება და ახლა გაგახსენდა?

– საჩუქარი მოვუტანე... არ მანახებ ნათიას? ერთი წუთით...

ბაია ერთხანს ჩუმად იყო, მერე შეეცოდა:

– კარგი, შემოდი, მხოლოდ ერთი წუთით!

ბოჩიამ უზარმაზარი პლუშის სათამაშო დათუნია გაუწოდა, მაგრამ ბაიამ ტუჩები მობრიცა:

– ეგ სიმახინჯეა გვაკლდა სწორედ!

ოთახში შესული ბოჩია აწრიალდა, აღარ იცოდა, სად დაეღო ბავშვისთვის მოტანილი საჩუქარი, შემდეგ დივანზე დაჯდა და დათუნია გვერდით მოისვა.

ბაიას ტუჩებს ღიმილი შეეპარა:

– ძალიან უხდებით ერთმანეთს: “ფერი – ფერსა, მადლი – ღმერთსაო”, ნათქვამია...

– დავაშავე რამე?

– არა, რას ბრძანებ, ანგელოზი ხარ, არაფერი დაგიშაგებია! ახლა გაგახსენდა, რომ ცოლ-შვილი გყავდა? ხომ არ გიშლი, ისეირნე ხევით-ქვევით, გაერთე შენს გემოზე, გაიჯგვილე, ცოლ-შვილი თუ გყავს არც გახსენდება...

– მე ყოველთვის მახსოვს...

– ჰო, აბა, რა, კახპებთან იმიტომ დაეთრევი!.. ახლა რომელთან ხარ?

ბოჩიამ ვერაფერი უპასუხა; ვერც თავი იმართლა, ვერც ბოდიშის თქმას ახერხებდა... ბოდიშის თქმა საერთოდ არ სჩვეოდა!

ბაია ხომ ჯერ აფოფრილი შეხვდა ბოჩიას, ახლა სიტყვაძუნწი გახდა; ბოჩიამ აღარ იცოდა, რა უნდა ეთქვა. რაღაც მიკიბ-მოკიბა – ბავშვი როგორ არისო, მშობლები...

ბაიას გული ვერაფრით მოუღობო, ვერც გარკვეული პასუხი მიიღო. ცოლი არ ცდილობდა საუბრის აწყოებას – ან ჯიუტად დუმდა, ან მოკლე პასუხებით იფარგლებოდა... მისი სახე ყინულივით ცივი იყო, ბოჩიას ერთხელაც არ შეხედა; არ უთქვამს, მაგრამ აშკარად აგრძნობინებდა, რომ, რაც მალე წაბრძანდები და მომასვენებ, მით უკეთესიო...

ერთხანს ისხდნენ ასე, მერე ბოჩიამ იკითხა:

– ნათიას არ მოიყვან?

– სძინავს და ვიღაც უსაქმურის გულისთვის ხომ არ გაგადვიძებ? არც მე მცალია შენისთანებთან სალაქლაქოდ, ერთი კი არა, ხუთი და ათი წუთიც გავიდა, დროა უკვე, გზას ბარაქა დააყარო!

\* \* \*

ორი თვის შემდეგ ბოჩიამ შეიტყო, რომ ბაიას სასამართლოში განცხადება შეუტანია მათი განქორწინების მოთხოვნით... სასამართლოს სხდომაზე მოსამართლემ დაადგინა, რომ ფაქტობრივად მათი ოჯახი, კარგა ხანია, აღარ არსებობდა და დიდი იწილო-ბიწილოს გარეშე ისინი განქორწინებულად გამოაცხადა... პატარა ნათია, რასაკვირველია, დედასთან დარჩა; ბოჩიას რომც ჰქონოდა სურვილი, შვილი წაეყვანა, ამის თაობაზე კრინტის დაძვრას მანაც როგორ გაბედავდა: მას შვილები კიდევ ჰყავდა – არაოფიციალურად, სხვა ქალებთან; თან მუდმივი საცხოვრებელი ადგილიც არ ჰქონდა...

## კარი XI ბაია და მინდია

ახლა ნება მიბოძეთ, მინდიას თავს მომხდარი კიდევ ერთი ამბავიც მოგახსენოთ, ძალიან მნიშვნელოვანი.

ადრეც მითქვამს: თუმცა ბევრჯერ შეეხვეწნენ, მინდია გოგოებს მოტოციკლით არ ასეირნებს – ა-პა-პა!.. მხოლოდ ჩვენი ამბის თითქმის გასრულებისას, ბაიას შემოსვლამს უკან, და ამერიკული კინოფილმების ბედნიერი დასასრულისა არ იყოს, ერთად მიჰქრინან... წუთისოფლის გრძელ გზაზე ხანგრძლივი და ბედნიერი მოგზაურობა ვუსურვოთ!

არა, არ მოგატყუეთ, არ მოვიგონე, რომ მინდიამ ბაია მოტოციკლით გაასეირნა! დიას, მართლაც ბედნიერად დასრულდა ჩვენი გმირების – ბაიასა და მინდიას – გრძელთა გრძელი და, ზოგისთვის – ფრიად მტკივნეული, ურთიერთობის ამბავი...

ეს ამბავი ცოტა დაწვრილებით უნდა მოგიტყუოთ.

კიდევ ერთი გაზაფხული მობრძანდა; ჭირვეული მარტის ბოლოს წვიმიანი დღეებისა და დარის ხშირ მონაცვლეობას მთელი მზიანი კვირა შეენაცვლა და ყველა სულდგმულისთვის საგრძნობი გახდა მზის თბილი გამონათება; მწვანედ ამოსკდა ბალახი, ეზო-კუნჭულების მოფარებულ კუთხეებში ნუში აყვავდა...

თვალის გასახარად გამოეფინენ ქუჩებში კოპწია ქალიშვილები – საზამთრო მძიმე სამოსის გარეშე, ზოგიერთნი კაბითაც კი ბედავენ შინიდან გამოსვლას!

ბაიამ ორი წლის პატარა ნათია მუშტაიდის ბაღში წაიყვანა სასეირნოდ.

ხეებს კვირტებდაბერილ ტოტებზე უკვე სიმწვანე გადაჰკრავთ, საოცრად წყნარი ამინდია და მზის ალერსიანი სხივებითაა განბანილი ირგვლივ ყველაფერი.

ბაია სკამზე ჩამოჯდა და თვალს ადევნებს, როგორ დარბის აქეთ-იქით მისი შვილი; ერთგან ჩამოვარდნილ ჭადრის შარშანდელ რუხ ფოთოლს აიღებს მიწიდან, გაღიმებული, მიურბენინებს დედიკოს, მეორეგან – ტუის ბუჩქთან ჩაცუცქდება, წკირით რაღაცას ჩიჩქნის...

ხეების ბოლოში გამოჩნდა მადალი, შავქურთუკიანი კაცი; ოდნავი კოჭლობით მოდის, პატარა გოგოს ასეირნებს...

მინდია!

ბაია ფეხზე წამოიჭრა, მინდია მისკენ ჩქარი ნაბიჯით გაეშურა და ერთმანეთი გადაჰკოცნეს.

ჩვეული კითხვა-პასუხი:

– რა ხანია, არ მინახავხარ, ბაი... როგორ ხარ? – ღიმილით ეკითხება მინდია.

– კარგად, კარგად, შენ? – ღიმილითვე პასუხობს ბაია. – როგორ გაჭაღარავებულხარ...

– მეც არა მიშავს... ნათია რამხელა გაზრდილა... უკვე ლაპარაკობს? – მინდია დაიხარა და

გოგონას ხელი გაუწოდა: – გამარჯობა! გახსოვს, ერთად რომ ვთამაშობდით?

გოგონამ თავი დაღუნა და დედას მიეკრა.

– სულ არ ჰგავს მამამისს, ძალიან მორცხვი ყოფილა! – ხუმრობს მინდია. – თვალები კი აქვს ბოჩოსი – ლურჯი!

ბაიას სახე მოედრუბლა:

- წელზე მეტია, შვილი არ უნახავს, ალბათ ვეღარც იცნობს... ვეღარც ნათია იცნობს მამამისს.
- რას დაბოდიშობს, რას შერება?
- არ ვიცი და არც მაინტერესებს... უკვე მერამდენე ქალთან ცხოვრობს, ალბათ თვითონაც აერია რიცხვი.
- მოდი, ჩამოვსხდეთ, ჯერ ხომ არ მიღიხარ?
- ბაია და მინდია სკამზე ჩამოსხდნენ; ბავშვები ერთმანეთს უყურებენ – ინტერესით და მორიდებითაც... მინდიას გოგონა ნათიაზე ცოტა პატარა იქნება, ნუთუ მინდია დაქორწინდა? როდის მოასწრო?
- შენა?.. ხომ არ დაოჯახდი? – ბაიას უნდოდა, ამ კითხვისგან თავი შეეკავებინა, მაგრამ წამოსცდა.
- ბაიას სადღაც ეწვინა – მინდიას თავდავიწყებით უყვარდა და აჰა! – ვიღაც ქალი უთხოვია! “ერთი წლის წინათ ნათიას დაბადების დღეზე რომ დავპატიჟე, ალბათ იმის მერე დიდი ხანი აღარ გასულა და ბედს ეწია... აბა, რა უნდა ექნა? – გულში საკუთარ თავს ეპაექრება ბაია. – შენ ახლოს არ გაიკარე, ერთი ბეწო იმედი არ დაუტოვე და მანაც მონახა სხვა გზა, აბა, მონახვანად ხომ არ აღიკვეცებოდა?”
- ბაიას რატომღაც ისიც აღიზიანებს, რომ მინდია თითქმის არ უყურებს, თანაც ძალზე მშვიდი სახე აქვს, თითქოს ვიღაც ჩვეულებრივ ნაცნობს შეხვდა, რომელთანაც არაფერი აკავშირებს, საერთო არაფერი არასდროს ჰქონია და არ იცის, რაზე უნდა ესაუბროს... სხვა თუ არაფერი, უკვე თითქმის სამი ათეული წელია, ერთმანეთს იცნობენ, ის კი არა, მთელი ბავშვობა და სკოლაში სწავლის წლებიც ხომ სულ ერთად იყვნენ! მინდია რატომ არაფერს პასუხობს?
- სინამდვილეში მინდია შინაგანად დაძაბულია, ეშინია, ბაიას შეხედოს – მაშინვე აუჭარხლდება სახე და ამის რცხვენია... გულს ისედაც ბავაბუვი გაულის, არ ეგონა, თუ ამდენი ხნის შემდეგ ბაიასთან შეხვედრა ასე აადვილებდა და დააბნეევდა...
- ბაიაც ერთხანს ჩუმად არის, შემდეგ სიგარეტი ამოიღო და გააბოლა, იგივე კითხვა უკვე შეფარულად დაუსვა:
- შენს გოგონას რა ჰქვია?
- ბაია.
- ბაია?
- ჰო, ბაია, – მინდიას აშკარად სიამოვნებს ამ სახელის წარმოთქმა. – ჩემი დისშვილია.
- მართლა?.. რომლის?
- მზიასი. მალე მეორეს ელოდება.
- ია?
- ია ახლახან გათხოვდა, რუსთავში ცხოვრობს... შენ რატომ წამოიყვანე ნათია სასივრთოდ, მოახლე აღარ გყავთ? – მინდიას უხერხული კითხვა წამოსცდა.
- რას ამბობ, მაგის შეძლება გვაქვს? ნათიას დღეობაზე რომ იყავი, გახსოვს? მოახლე არც მაშინ გყავდა.
- როგორ არ მახსოვს.
- ჩვენი ამბავი რომ იცოდე...
- მინდიას მისდა უნებურად გაეღიმა, გაიფიქრა: “მზეონას საყვარელი გასართობი მაღაზიებში სიარული იყო, ახლა ალბათ შეეღიმა”; ბაიას კინაღამ ჰკითხა: “ჭურჭელს შენ რეცხავ თუ დედაშენი?.. ან ნათია რომ ჩაისველებს, რომელი უცვლით?”
- დედა მზეონა და ბესო ბიძია როგორ არიან?
- “მზია და ია კარგი გოგოები კი იყვნენ, მაგრამ ხოჭოებივით შავები, მათ ასე იოლად გათხოვებას არ მოველოდი...” – ფიქრობს ბაია და მინდიას პასუხობს:
- დედა ძალიან ავად არის, ორ-სამ თვეს თუ გაატანს...
- რას ამბობ!
- ჰო... მარცხენა მკერდის კიბო აქვს, დროზე არ მიხედა და... ოპერაციის გაკეთება არ ღირს, დაგვიანებულია... არც გაიკეთებდა არაფრით...
- ძალიან, ძალიან სამწუხაროა... შენ თუ იცი, თამბაქოს წევა...
- ჰო, ჰო, ნუღარ გააგრძელებ... გადაგდება მინდოდა, მაგრამ დედაჩემის ავადმყოფობამ ისე გამანერვიულა... შენ არ ეწვი...
- ჰო, არასდროს ვეწეოდი. ჯარში რომ წამოყვანეს, ვორონეჟში, შესვენებისას, ზემდეგი დაიძახებდა: “პერეკურ!” და ყველანი თამბაქოს გააბოლებდნენ, მეც იქ შიგადაშიგ ვეთამაშებოდი. მერე, როცა ჰოსპიტალში ვიწეე, აღარ ვეწეოდი, არც გამოსვლის შემდეგ გამჩენია ამის სურვილი. საავადმყოფოში მოხვედრამ ერთი კარგი რამ მაინც მომცა: თამბაქოს მონობას გადავურჩი!.. თორემ ესე, თამაშ-თამაშ, ადვილად შევეჩვეოდი... ბიძია ბესო ისევე ეწევა?
- ნუღარ იტყვი, იმდენს ეწეოდა, სიგარეტი სულ პირში ჰქონდა გაჩრილი, ახლა – აღარ... ძალიან ავადმყოფობს.
- ისიც?



– ამ ბოლო წელიწადში ყველა უბედურებამ ჩვენი ოჯახისთვის მოიცავდა: მამაჩემს წნევაზე დაარტყა, ინსულტი დაემართა... რამდენიმე თვე იწვა, ცალ მხარეს დადამბლაგებულ ხელ-ფეხს ვეღარ ხმარობდა, ახლა ნელ-ნელა აამოძრავა, სახეც შესამჩნევად გაუსწორდა.

– ალბათ აღარ მუშაობს...

– არა, რას ამბობ... ინვალიდობის პენსია დაუნიშნეს, საპენსიო ასაკს ორი წელი უკლია.

– ძალიან წყნარი ადამიანია... რა დაემართა?

– ხომ იცი, სანერვიულო მხოლოდ ჭკუასუსტს არ აქვს... ბოლო წლებში მამაჩემს მაღალი წნევა აწუხებდა, ჩემს გათხოვება-გამოთხოვებაზეც ძალიან ინერვიუდა.

– როგორ უძლებ მარტო ამდენს?

– წარმოიდგინე, როგორ მიჭირს... ორი ავადმყოფის მოვლა მიწევს, იძულებული გავხდი, ნათია საბავშვო ბაღში მიმეყვანა. სამსახურში რა ხელფასი მაქვს, მაგრამ მაინც თავს ვერ ვანებებ, წლებზე ფეხებს ვიდგამ... გვანჯი ბიბია და ბახვაც გვაქცევენ ყურადღებას, მათი დახმარება რომ არა, არ ვიცი, რა გვეშველებოდა... სულ ექიმებში და წამლებზე დავრბივარ...

– ბოჩო არ გეხმარება?

– მეტი საქმე არ აქვს!.. ახლა ვიღაც დოდოსთან ყოფილა. მითხრეს, ორჯერ ქმარგაცილებულია, ორი შვილი აყავსო.

– ჰო, ვიცნობ... უფრო სწორედ, კარგა ხნის წინათ ვიცნობდი. მაშინ გასათხოვარი, ლამაზი გოგო იყო, ჯიშინი, ძალიან თამამი... კონიაკის სმა უყვარდა, არც არაყზე ამბობდა უარს.

– აბა, ნორმალური გაეკარებოდა? ორივე ქმარი ბოზობის გამო გასცილდაო, ბოჩოს თავისი შესაფერი მოუძებნია... ამ ქალთანაც დიდხანს არ გაჩერდება, საკუთარ ერთ შვილს ვერ შეეგუა და ორ ბავშვს აიტანს, თანაც სხვისას? ახალს ვერ იშოვის თუ რა – შტერი ქალების მეტი რა არის!

– თვითონაც კარგი შტერია, სადამდე უნდა, ასე, პეპელასავით იფრინოს?

– ხომ იცი, ყველაფერი სულ ფეხებზე ჰკიდია.

– ალბათ ასეცაა... მე მგონი, უფრო სიმხდალის ბრალია. ოჯახი – ტვირთია და ბოჩოს კი სიძნელებები არ უყვარს. მარტივ გამოსავალს პოულობს: პატარა მიზეზი თუ ნახა, იმ წუთსავე დაიხურავს ქუდს, წავა, მიატოვებს.

– ნეტა ჩემგანაც დროზე წასულიყო. ყოველდღე გატრეტილი მთვრალი ბრუნდებოდა შინ, თანაც, უფრო ხშირად, – შუალამის შემდეგ. მიკვირს: თითქმის ერთი წელიწადი როგორ გაგუქვლით! სულ დაბღვერილი იყო, სიტყვას ვერ ამოაღებინებდი... უსაქმური! არა, დედაჩემს და მამაჩემს უპატივცემულოდ არ ეპყრობოდა; გარეგნულად ვითომ ეტყობოდა, რომ ინტელიგენტურ ოჯახში იყო გაზრდილი, მაგრამ ხომ გრძნობ, ხომ იცი, რომ ძალიან გულცივად ხარ, – ამას ვერ დაფარავ, – შორს გიჭირავს თავი... ხაზგასმული თავაზიანობაც შეურაცხმყოფელია.

– ყველა ოჯახს თავისი ჩამოყალიბებული-დადგენილი სტილი აქვს ცხოვრებისა, თქვენს ოჯახში ალბათ უცხოდ გრძნობდა თავს... მან ის ვერ იგუა, ყველა ადვილად ვერ ეჩვევა ახალ გარემოს, უცხო ადამიანებს.

– არ ვიცი... ჩვენი ოჯახი ჩვეულებრივია, ძალიან კარგად გვიცნობდა წერილმან-მსხვილმანინანად – ჩვენ მისთვის უცხოები ხომ არ ვიყავით, ახლო ურთიერთობა გექონდა: სკოლაში და მერეც – ინსტიტუტში სწავლისას – გამოცდებისთვის მე არ ვამეცადინებდი?... ბოჩო ადვილად უშინაურდება ყველას, ეს შენც კარგად იცი; არ გეწყინოს და – შენ კი არ გგავს! სრულებით არ გრძნობდა ჩვენთან შეზღუდულად თავს, პირიქით, ჩვენ ვიყავით შებოჭილები, ძალაუნებურად უნდა აგვეტანა მისი ხუმტურები, გაუთავებელი ლოთობა...

– ვერც თქვენ შეეჩვიეთ...

– არა, შეჩვევა-შეუჩვევლობა კი არა, უფრო – რაღაც სხვა მიზეზია... თითქოს ერთმანეთის აგ-კარგს ძირის ძირამდე ვიცნობდით, არ უნდა გაგვენელებოდა ერთად ცხოვრება, მაგრამ შეგცდით. ერთად ცხოვრებამ დამანახა: ძალიან განსხვავებულები გამოვდექით, ვერ ავაწყვეთ ურთიერთობა. მეც შტერი გამოვდექი... სულელი...

– არა, რატომ? შენ სულელად არასდროს მიმანდი.

– როცა ორჯერ შეცდები, ჭკვიანი გეთქმის? პირველად, როცა, შენ წერილი გაგატანე მასთან... გახსოვს? გვიან მივხვდი: ეს ყველაზე დიდი შეცდომა იყო, რაც კი ოდესმე მომსვლია... იქიდან დაიწყო ყველაფერი, როცა კარგად არ დაფიქრდი და ჩემს გულისტქმას ბრმად აგყვევი. მეორედ – როცა შეგურიგდი და ოჯახში შემოვუშვი... მე ვენდე და იმან რატომ გამწირა ასე? ასეთი რამ ვერ წარმომედგინა და ამან გამაცოფა – მე თვითონაც არ მესმოდა, რა მემართებოდა, წონასწორობა დაგეკარგე... ვერ ავიტანე...

– ჰო, ბოჩო სხვანაირია, ტაშფანდურა: ათჯერაც შეცდება, თხუთმეტჯერაც და ისე გადაიტანს, ვითომც არაფერი!

– ერთი ჩემიც იკითხე! ამ ამბავმა კინაღამ მომკლა! მამაჩემი და დედაჩემი კი ნამდვილად ამას გადაჰყვებიან. დაიჯერებ? მისი სახელის გაგონებაზეც ვლიზიანდები! შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ ზიზღს ვგრძნობ, ტანში მაზრიალებს!.. ვინმეს მიმართ ასეთი გრძნობა რომ შეიძლებოდა გამჩინოდა, ადრე ვერაფრით დავიჯერებდი. არადა, იყო დრო, როცა უიმისოდ ცხოვრება ვერ წარმომედგინა, თითქოს ის ჩემი ნაწილი იყო... და ასე მკვეთრად რატომ შემობრუნდა ყველაფე-

რი, ჩემთვის აუხსნელია... ნანულისაც რომ ასევე მოექცა, ხომ დროზე უნდა მივმხდარიყავი, ვისთან მქონდა საქმე? შტერი ვარ, აბა, რა?.. ნანულისთანაც დამნაშავე ვარ... მაგრამ ვფიქრობ, რომ თვითონაც შეცდა, რაღაც მცირე წვლილი ამ გაუგებრობაში მის კისერზეც მოდის... და ისიც დაისაჯა!

“გარეგნულად რა ცივი, უემოციო პიროვნების შთაბეჭდილებას ახდენდა ყოველთვის, სინამდვილეში – სრულიად სხვანაირი ყოფილა! არ მეგონა... ალბათ თავშეკავების უდიდესი უნარი აქვს, გარეგნულად არ გამოხატავს საკუთარი გრძნობების სიმძაფრეს... ახლა კი იმდენად მწვავედ განიცდის, რომ თავს ვეღარ იკავებს და ჩემთან უკიდურესად გულახდილია, რაც ადრე სრულებით არ ახასიათებდა”, – მაიას უსმენდა და თან ფიქრობდა მინდია, მერე უთხრა:

– ბევრს ვლაპარაკობთ ამ თემაზე, ეტყობა, ძალიან მტკივნეული გზა გაიარე... ძალიან იმოქმედა შენზეც. ბოჩოს...

ბაიამ მტკიცე ხმით შეაწყვეტინა, თითქმის წამოიძახა:

– შიმშილით რომ ვკვდებოდე, მე მაგისგან კაპიკს არ ავიღებ! ჰო, არ მსიამოვნებს ამ თემაზე ლაპარაკი, ტკივილს მაყენებს...

ბაია გაჩუმდა...

მინდია შეხედა: ქალს ჩვეული, ოდნავ მკაცრი სახე ჰქონდა, ოღონდ ამჯერად რაღაც შეუვალი სიკერპე იკითხებოდა მის მოკუმულ ტუჩებში, ეტყობა, ახლაც ძალიან განიცდიდა ბოჩიას მოქმედებას. “ბევრი ილაპარაკა, გული მოიფხანა... ალბათ ძალიან სძულს და მაინც ისევ უყვარს! – გაიფიქრა მინდიამ. – ისევ უყვარს, მაგრამ მასთან ცხოვრებაც არ შეუძლია... რა უნდა ჰქნას?.. რაც დრო გადის, სიყვარული კლებულობს და სიძულვილი მატულობს; ახლა ალბათ თვითონაც გაუჭირდებოდა თქმა, რომელი სჭარბობს... მეც ასე არ ვარ? ლამარას სახელის გაგონება საოცრად არ მსიამოვნებს; ხელი რომ ასე უხემად მკრა, ამან, ეტყობა, ძალიან დამბოღმა – ამ სახელის მქონე ნებისმიერ ქალს რატომღაც ამრეზით ვუყურებ...”.

ბაიას პომადის ხმარება დაუწვია, მინდიას არ მოეწონა. “სულ არ სჭირდებოდა, არაფერს მატებს, პირიქით – ეს სისხლისფერი ტუჩები ვულგარულ იერს აძლევს...” – ფიქრობს მინდია, ხმამაღლა კი არაფერს ამბობს. “ყურები გაუხვრეტია, გვიან მოიფიქრა – ჩვენს კლასში, ბაის გარდა, ყველა გოგო საყურეებით დადიოდა, ზოგიერთი – პირველი კლასიდანაც კი. საყურეებიანი ბაი ერთგვარად უცხო მეჩვენება... მზეონას უყვარს ძვირფასი ქინძისთაგები, საყურეები, მძივები... ნელ-ნელა ბაიც დედამისს ხომ არ ემსგავსება? არც არის გასაკვირი – “დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო”, ტყუილად კი არ არის ნათქვამი... მზეონა ტანად უფრო დაბალი და ტანსაცმელს, მისი ინტერესები ჭორაობას, გემრიელად ჭამა-სმასა და ლამაზად ჩაცმა-დახურვას არ სცილდება... ნათიას დაბადების შემდეგ მზეონასა და ბაის შორის მსგავსება კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა... ბაი მოსუქებულია, ოღონდ სახის გამომეტყველება ძველებურად კუმტი აქვს, თითქოს ამ წუთას ვიღაცამ აწყენინაო... ჩვენ ყველანი მეტ-ნაკლებად ვიცვლებით და ამას ვერ ვამჩნევთ, ალბათ მეც შეცვლილი ვეჩვენები ბაის... ადრე თუ მიუკარებელი ჩანდა, თავს ადვილად არაგის გაგუჟდებო, შინაგანად თითქოს რაღაც მაღალ კოშკში ჩაკეტილი იყო, ჩემთვის მაინც, ახლა სულ სხვანაირია, გამომწვევად “აგრესიულიც” კი... დედამისის კვალს ბოლომდე მაინც არ გაჰყოლია, მაინცდამაინც გაპრანჭულად არ აცვია... თუ ფრთების გაშლის საშუალება აღარ აქვს, შესაძლებლობები შეეზღუდა?.. იქნებ ვცდები, მაგრამ თითქოს ჯაფშანში ჩასმული ბაი თავს იტყუებს, სინამდვილეში თავის სისუსტეს ნიღბავს, ფრთებჩამოყრილი მეჩვენება... ყოველთვის რა თავშეკავებული იყო, სიტყვაძუნწი, ახლა შეცვლილია – ამდენი ლაპარაკი ბაისგან არასდროს მახსოვს... ეტყობა, მართლაც ძლიერ განიცდის მის თავს გადამხდარ ამბებს, ვერაფრით მოუნელებია... როცა სათუთად ნალოლიაგები იმედები ასე სავალალოდ გეფუშება, კარგი ბიჭი ხარ და ნუ დაღონდები...”.

მინდიას სიტყვების პოვნა ყოველთვის უჭირდა, განსაკუთრებით, ბაიასთან საუბრისას... გაუხარდა, რომ ამჯერად ასე არ იყო: თავდაპირველმა შებოჭილობამ სრულიად გაუარა, თავისუფლად გრძნობდა თავს და შეეცადა, ნუგეში ეცა:

– ბოჩო ცუდი ბიჭი არ არის, ხომ იცი, ბავშვობის მეგობრები ვართ... რა საჭიროა, რატომ გეუბნები ამას, მეც არ ვიცი; ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მიყვარს და შენც გიყვარს, ორივეს გვიყვარს. ასეთია და რა უნდა ჰქნას? ძალიანაც რომ ეცადო, მაინც ვერ შეცვლი... სულ სიამოვნების ყვავილების კრეფაშია; სულ არ ფიქრობს, ხვალ რა იქნება, ზეგ, მაზეგ... არაფერი ანადგვლებს – რაღაც ხომ იქნება! სხვას თუ ტკივილს აყენებს, როდისმე არც ამაზე დაფიქრებულა... შესაძლოა, შემდგომ ცხოვრებამ ჭკუა ასწავლოს, რქები მოსტეხოს, მაგრამ უკვე გვიან იქნება თითზე კბენანი...

– არა, მას რა შეცვლის... იქნებ მიყვარდა კიდევ, მაგრამ იმდენი სიმწარე მაგემა, ვერასდროს შეგურიგდები... არა, შეიძლება, ვაპატიო კიდევ, მაგრამ მასთან ცხოვრებას წერტილი საბოლოოდ დაგუსვია!

– საბოლოოდ?

– ასე გადავწყვიტე... თურმე კარგად არ ვიცნობდი, საკვირველი არ არის? ადამიანი გასაჭირში უნდა გამოსცადო, რამდენად შეიძლება, თავისი ინტერესები დათმოს და ანგარიში გაგიწიოს. კაცი რომ საკუთარ ბავშვს ვერ იგუებს...

– ბოჩო?

– ჰო, ბოჩო! ნათიას დაბადება გაუხარდა, რასაკვირველია, მაგრამ ერთ კვირასაც ვერ გაძლო, გაიპარა; არც უთქვამს, სად მიდიოდა, რამდენი ხნით...

– ბოჩო გაიპარა?

– დიას, გაიპარა! გიკვირს? ჯერ არასდროს გაპარულა თუ რა! მერე შემოგვითვალა, მე ბავშვის გაუთავებელ დნავილს ვერ ვუძლებო... სხვა მიზეზი უფრო იყო: ვიღაც ქვეყნის ნათრევ ქალს გადაეკიდა, ოფიციალტს... ორი თვის შემდეგ მოგვადგა კარზე, მაგრამ მე ვიფრინე. რამდენი მღელვარება გადავიტანე, ნათია რომ არ მყოლოდა, ალბათ გავგიჟდებდი.

– არ გინანია, რომ ბოჩო გააგდე? გაგდება ჰქვია, აბა, რა... არ ნანობ, რომ ნათიამ მამა დაკარგა?

– არა, არ ვნანობ... ასეთი მამა რად უნდა? ხომ გითხარი, აღარც კი მახსოვს, ბოლოს ნათია როდის ნახა, მამა ეთქმის? შვილი რომ ერთხელ არ გყავს აყვანილი ხელში, ერთი ალერსიანი სიტყვა არ გითქვამს... ნათია ერთი ბეწო კი იყო მაშინ, მაგრამ, ხომ იცი, აკენის ბავშვიც გრძნობს ალერსს, სიამოვნებს – ღიმილით გაპასუხობს... ჯერ, ხომ გითხარი, ძალიან განვიცდიდი, მერე – რაღაცნაირად შევეჩვიე... და შევბაც კი ვიგრძენი – დასრულდა გაუთავებელი შფთვის გრძნობა, რამდენ ხანს უნდა გაუძლო შინაგან დაძაბულობას? რაც მაგას მოვშორდი, დავისვენე. შეხედავ – კაცსა ჰგავს, მაგრამ მხოლოდ სახე აქვს კაცისა, შიგნიდან ფუტურთა...

– რა ვიცი... – მთლად არ დაეთანხმა მინდია, თუმცა, ახლაც კი არაფრით ავიწყდებდა, ბავშვობაში როგორ იბრძოლებდა ბოჩია. – გარეშესთვის ცოლ-ქმრის ურთიერთობებში მტყუნამართალის დადგენა ჭირს...

– შენთან რად მინდა თავის მართლება, შენ გარეშე არ ხარ, კარგად იცი ყველაფერი... უცებ კი არ გაცივდა ჩვენ ურთიერთობა, წვეთ-წვეთად გროვდებოდა ბაღდაში... და იცი, უკანასკნელი წვეთი რა იყო? როცა ვუთხარი, იმ გათახსირებულ დოღოსთან რას დაეთრევი-მეთქი, უარი კი არ უთქვამს, თავი კი არ უმართლებია: “არა, არ ხარ სწორი, რასაც შენ მსაყვედურობ, მიგონებენო” ან სხვა ამგვარი, არა! ან ბოდიში მოეხადა, შეეცდიო... უტიფრად მეუბნება: “მე თავისუფალი კაცი ვარ?”, წარმოგიდგენია? დამცინის! უნამუსო!.. უნდოდა, რომ მე შეგვუბოდი მის უზნეობას!.. შეიძლება, ასეთ ადამიანთან ერთად იცხოვრო?

მინდია არ იცოდა, რა ეთქვა საპასუხოდ... “ცნობილია: ქალები საერთოდ ყოველთვის, ყოველგვარ საქმეში, ბევრად უფრო ფრთხილები არიან, ვიდრე კაცები, ამიტომაც, იშვიათად ნახავ მოტოციკლის მოყვარულ ქალს, ავტომანქანასაც უფრო დინჯად, ბევრად უსაფრთხოდ ატარებენ... თუმცა, იშვიათად, ავანტიურისტული ბუნების ქალებიც არსებობენ... ბაი კი ბავშვობიდანვე ჭკუითა და სიფრთხლით სხვა გოგონებსაც სჭარბობდა: მარად წარბეჭეტილი, გარშემო მყოფთა მიმართ თვალმოწკურვით ეჭვიანად მზირალი – ყველასგან რაღაც ხიფათის მომლოდინე და დადარაჯებული მის ასაცილებად... და მაინც, როგორ შეცდა! როგორ მიენდო ბოჩოს, რომელსაც მოხარშულს იცნობდა და ისიც კარგად უწყობდა, მისგან რისი მოლოდინიც უნდა ჰქონოდა... დიას, ყველაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ აღარ უნდა განეხლებინა ახლო ურთიერთობა, მაგრამ ერთი წამით რაღაცამ დაუბინდა გონება, მასში მანამდე მოთოკილმა გრძნობებმა იმძლავრეს და გონების კარნახს ყური არ უგდო... საოცარი არსებაა ადამიანი! არცთუ იშვიათად, გონება ერთს კარნახობს და ის კი სწორედ ლოგიკის საწინააღმდეგოდ ადგამს ნაბიჯს – გრძნობას მიენდობა და მერე ნანობს, უკვირს, როგორ შეცდა...”.

– ისევ ძველი ტყავის ქურთუკით დადიხარ? – ჩაფიქრებულ ბოჩიას მოულოდნელად შეეკითხა ბაია, სულ სხვა სიბრტყეში გადაიყვანა საუბარი. – სკოლაში სულ რკინიგზელის შინელით მახსოვხარ, მერე – ერთსა და იმავე ტყავის ქურთუკში...

მინდია ისევ სიჩუმე არჩია; ტყავის შავი ქურთუკი ბოჩიას დიდი ხნის წინანდელი ნაჩუქარი იყო...

ბაია და მინდია, ერთი შეხედვით, მეტისმეტი ყურადღებით აკვირდებოდნენ პატარების – ნათიასა და ბაიას – საქმიანობას, ხანაც ხე-ბუჩქებს მიაპყრობდნენ მზერას, ზოგჯერ კი ლურჯ ზეცასაც ახედავდნენ, თითქოს იქ ეძებდნენ სიმშვიდისა და მჭვრეტელობის წყაროს... სინამდვილეში კი ორივენი უფრო ხოლმე ერთმანეთის შეხედვას: ერთგვარად ძალას იკრებდნენ საუბრის შემდგომი გაგრძელებისთვის – დაძაბულნი იყვნენ და ერთიმეორისგან მოელოდნენ სიტყვიერ საწყის “სვლას” საუბრის გასაგრძელებლად...

მინდია ბაიას მორიდებით მაინც შეავლო თვალი: “ჰო, დიდად არ შეცვლილა, ისევ ისე – შავი თვალები და მკაფიოდ მოხაზული საგსე ტურნები, სახეზე ჩვეული სიამაყის გამომეტყველება, სიმკაცრეშიც გადაზრდილი... საკმაოდ დაღლილი მეჩვენება... წინათ იშვიათად იღიმებოდა და ახლა კი გაღიმებულს – როგორ მიყვარდა! – ალბათ საერთოდ ვეღარ ვიხილაგ... კი, ლამაზი ნამდვილად არის, თუმცა, მასზე ლამაზიც ბევრი მეპრანჭებოდა...”. გაახსენდა: ზაპოროჟიეში, გადასატვირთ ბაზაში, – ტანმორჩილი, ცქვიტი ქალიშვილი, – ვალია, ვალენტინა... სამხედრო ნაწილში რამდენიმე ახალგაზრდა ქალი, სამოქალაქო პირი, მუშაობდა ხელშეკრულებით. ისინი საყოველთაო ყურადღებას იპყრობდნენ, შეუხედავნიც კი ამდენი მამაკაცის გარემოცვაში ლამაზები ჩანდნენ; თითქმის ყველა მათგანი მალევე თხოვდებოდა, უფრო ხშირად – ოფიცრებს მიჰყავდათ ცოლად. ვალია მშვენიერი გოგო იყო – ქერა, ცისფერთვალება, ჯერაც გაუთხოვარი...

ერთხელ ათეულის უფროსმა მანქანით გააყოლა მინდია და კიდევ ერთი ბიჭი ამ ვალიას ქალაქში მარცხენა ნაპირზე რაღაც ტვირთის წამოსადებად... ვალიამ საუბარი გაუბა: “ქართველი ბიჭები ძალიან თავხედები არიან, თუმცა სხვებიც – არანაკლები: ხელებს ხედმეტ თავისუფლებას ანიჭებენ: როგორც კი დროს იხელთებენ, გვიფათურებენ, სადაც საჭირო არ არის, მაგრამ საკადრის პასუხსაც იგემებენ ხოლმე... შენ სხვანაირი ხარ, ძალიან მომწონხარ...” – პირდაპირ უთხრა. მეორე დღესაც უნდა წასულიყვნენ, მაგრამ მანქანა არ მოვიდა, მთელი დღე საწყობში უცდიდნენ და ვალია ისევ დიდხანს ესაუბრებოდა. ყველას უკვირდა, რაღა შენ ამოგარჩიო... “ჩემზე უკეთესი მართლაც უამრავი იყო, მაგრამ ქალის გულს რას გაუგებ? რა მაქვს ისეთი? არაფერი! გამოცანა... სხვებთან ურთიერთობაში, განსაკუთრებით მშვენიერ ქალებთან, მეტისმეტი თავდაჭერილობა მახასიათებს და იქნებ სწორედ იმით მივიზიდე, რომ სხვებივით ჯიქურ არ ვეარშიყებოდი? ვალია არ იყო ბაკურიანელ გალკასავით აგრესიული – სხივიანი, კეთილი თვალები ჰქონდა, ლამაზი, ნაზი ღიმილი...”. კარგი გოგო იყო, მინდიას მოსწონდა, მაგრამ მხოლოდ უღიმოდა: რუსული გვარინად კი იცოდა, მაგრამ არაფერს პასუხობდა... ვალიამ რამდენჯერმე ჰოსპიტალშიც მიაკითხა... მეგრე – ბაკურიანში – გალკა, გალინა... ზუსტად იგივე სიტუაცია განმეორდა. “რატომ არცერთს არ აუძგერებია ჩემი გული? არც სხვას, თუნდაც – ლამარას... გარეგნულად ლამარა ბაიაზე ბევრად ეფექტური ქალია... თუმცა, რომ დაუკვირდები, ძალიან გაუთლელია”.

– ცოტა მოსუქებული ხარ... გიხდება! – მინდია ქალებს ქათინაურებით არასდროს ანებივრებდა, ახლა კი წამოსცდა; ის კი ვეღარ უთხრა ბაიას, პომადის ხმარება ტყუილად დაგიწყიაო.

– ახლა უფრო მოგწონვარ?

– ბოდიში... წინათ... ამის თქმა არ მინდოდა... – დაიბნა მინდია. – შენ ყოველთვის მშვენიერი იყავი...

– ნათიას დაბადების შემდეგ თითქმის ათი კილო მოვიმატე. არ ვიცი, რა მომდის, რაც მე ნერვიულობა გადავიტანე...

– ნერვიულობა ზოგჯერ მადის მომატებას იწვევს.

– სიგარეტის წვეგაც ვერ მშველის, ალბათ ვბერდები! – მოულოდნელად გაიღიმა ბაიამ. – ნანულის ხომ არ დავემგვანე?

– ძალიანაც კარგი! – უპასუხა მინდიამ. – ნანული ყოველთვის სასიამოვნოდ მომსუქნო იყო, პუტკუნა. გახსოვს, ფიზიკულურის გაკვეთილებზე სულ მაჩანჩალებში ეწერა... ბაგირზე ერთი მეტრითაც ვერ აძვრებოდა მაღლა. შენ მთლად ბიჭებივით ვერა, მაგრამ მაინც თავისუფლად ახერხებდი ბოლომდე ზევით აძრომას.

– როგორი წვერილმანები გაიხსენე...

– ჰო, ყველაფერი მახსოვს.

მინდიას ისიც კარგად ახსოვდა, როგორ ოფლად იღვრებოდა ამ დროს ნანული, ბაია კი, ბაგირის ბოლომდე ასული და ქვევით ჩამოსული, – თითქმის არ ოფლიანდებოდა, რრმად კი სუნთქავდა... მაგრამ ამის შესახებ აღარაფერი თქვა.

– სიგარეტს ბოჩიამ დაგაჩვია?

– არა, მეორედ რომ წავინახებთ და საბოლოოდ დავცილდით. სამსახურში ეწვიან ქალები და...

– თუ მართლა გინდა, წონაში დაიკლო, ახალს არაფერს გეტყვი: სიგარეტის წვეგას, ჯობს, ცოტა ივარჯიშო.

– დილაობით ხომ არ ვირბინო? – ცოტა არ იყოს, ირონიით შეეკითხა ბაია.

– რატომაც არა? ფეხი მომირჩა თუ არა, ნელ-ნელა დავიწყე...

– ოდნავ რომ კოჭლობ?

– ეს კოჭლობა ალბათ ბოლომდე არ გაივლის... რეკორდების დამყარებას არ ვაპირებ, სირბილში იმდენად არ მიშლის ხელს. უკვე ისეა ჩემი ორგანიზმი მომართული, რომ თვითონ მთხოვს ვარჯიშს.

– ვორონეშიც დარბოდი? გაძღვედნენ მაგის საშუალებას?

– იქ დილაობით ყველას გამოგვიყრიდნენ გარეთ და გვარბენინებდნენ, თან – წელზევით შიშვლებს, თუ ძალიან ძლიერი ყინვა არ იყო.

– მაინც როგორი?

– აი, ზოგჯერ დილით გამოსვალ ყაზარმიდან ეზოში, პლაცზე გაგიყვანენ, გადააფურთხებ და მიწაზე ყინულის კენჭი ეცემა.

– საშინელებაა!.. შენ ისეთი გამხდარი აღარ მეჩვენებია, ახლა როგორ ხარ?

“მინდის ყოველთვის სახის უხეში ნაკეთები ჰქონდა, ახლა ოდნავ შერბილებია, თუმცა ვაჟკაცური იერი კიდევაც მომატებია – მანაც ამ ბოლო დროს ბევრი რამ გადაიტანა... როგორი კონტრასტია ჭაღარამორეულ თმებსა და შავ უღვაშებს შორის”.

– რა ვიცი, ოდნავაც არ ვარ წონაში მომატებული. ამ ბოლო ხანს ცოტას დავდიოდი ფეხით და ბევრს გჭამდი, მაგრამ ჩემი საშველი არაა! – გაიცინა მინდია.

– უჯიშო ხარ! – ეხუმრება ბაია. – შენ კიდევ სირბილი გაკლია? ახლა მოტოციკლით ხომ არ ხარ? – ბაიამ გაღიმებული სახე მიანათა.

– რას, ამბობ, ბავშვს მოტოციკლზე რა უნდა...

- გეხუმრები! ისე, მოტოციკლით თუ დადიხარ? კიდევ დააქროლებ?
- კი, ვაპირებ, ვერ ვეღვი ჩემს ძველ ჯაბახანას...
- სახელი რა აქვს? “ყვავი” თუ რაღაც ამგვარი...
- “ყორანა” – ჩემსავით შავია. სამი თვეა, ზედ არ შევმჯდარვარ.
- შეჯიბრებები?
- უპ, რა ხანია, მაგისტრის აღარ მცალია და, მართალი გითხრა, სურვილიც არ მაქვს.
- შენ გინდოდა, შეჯიბრებებში გაგემარჯვა, დიდი სახელი მოგეხვეჭა, გამოჩენილი სპორტსმანი ყოფილიყავი, როგორ შეეღვი?
- მე არა, ბოჩო იყო ამაზე გაგიჟებული; სულ ოცნებობდა: “ცნობილ ფეხბურთელს გოგოები ბუზივით დამეხვევიან!”. კარგად თამაშობდა, მაგრამ დიდი ფეხბურთელი ვერ გახდა... ვერც გახდებოდა.
- რატომ, იქნებ ნიჭი არ ეყო?
- არ ვიცი. ნიჭი კი ჰქონდა, მონდომება – არა. მე მგონი, თამაშ-თამაშ უნდოდა წარმატებისთვის მიღწევა... ოფლის დაუღვრელად...
- შენ? შენ რამ შეგიშალა ხელი?
- არც არაფერმა. სულ არაფრად მიმაჩნდა ყველაფერი, არ მალეღვებდა – ჯილდოები, სახელი, დიდება... მე მხოლოდ პაექრობის ჟინი მიტაცებდა. სინქარე... თავისუფლების გრძნობა... თვითონ შეჯიბრების პროცესი!
- ეგ გიჟობაა...
- ჰო, ალბათ...
- ახლა?
- ხომ ვთქვი: აღარ მცალია – სამსახური, ოჯახსაც მიხედვა უნდა: გოგოები კი გაიზარდნენ, დათხოვდნენ, მაინც ყურადღება სჭირდებათ... მამაჩემი ჯერ მაგრადაა, მაგრამ სანახევროდ შინ არ არის... მოტოციკლისთვის აღარ მცხელა. გამიფუჭდა და...
- რას აპირებ?
- მოვიცილი და მივხედავ. მომენატრა...
- არა, მოტოციკლზე კი არ გეკითხები, საერთოდ...
- მე ჩვეულებრივი გეგმები მაქვს, სხვებისთვის არაფრით საინტერესო.
- “ასე რატომ დაინტერესდა ჩემი ამბებით? – ფიქრის ხვეულებს გაუყვამინდია. – სხვა დროს არასდროს უკითხავს... მართალია, ბავშვობის მეგობრები ვართ, მაგრამ მეტი არაფერი გვაკავშირებს – ჩვენ-ჩვენი, განსხვავებული გზა გვაქვს... და ალბათ ეს გზები სულ უფრო შორდებათ ერთმანეთს... თუმცა, ბაი ყოველთვის შორს იყო ჩემგან. ერთხელ კი გავბედე და ვუთხარი ჩემი სათქმელი, მეტჯერ რა საჭიროა... ჩვენს შორის ყველაფერი გარკვეულია და სჯობს, მალე წავიდე აქედან, ვატყობ, წინანდელივით აღარ მიზიდავს მასთან ყოფნა... ახლა კიდევ ეს პომადა – რატომღაც ძალიან მაღიზიანებს და კიდევ უფრო გვაცალკევებს ერთმანეთისგან...”
- და მინდია უკვე ცივად თუ არა, საკმაოდ გულგრილად ელაპარაკება ბაიას, უფრო სიტყვა-ძუნწია (თუმცა, საერთოდ არც ადრე გამოირჩეოდა ენაწყლიანობით), თან უკვირს და სიამოვნებს, რომ ასე იქცევა, რომ ამის უნარი ჰქონია – ერთობ აუღელვებლად უცქირს ბაიას პირდაპირ სახეში, თანაც როდის – მასთან მარტოდ ყოფნას და თავისუფლად საუბარს ეღიზიანება! რამდენჯერ უოცნებია ამაზე!.. კი, მოსწონს საკუთარი თავი: როგორ თავდაჯერებულია, რიხით ელაპარაკება, მაგრამ რა არის ამაში მოსაწონი? ხომ არ თამაშობს, საკუთარი თავმოყვარეობის ჭიას ხომ არ ახარებს? და გრძნობს, რომ – კი! მაგრამ ამგვარი თამაშში თან ეხამუშება და თან კიდევაც მოსწონს! მოსწონს, რომ, ბოლოს და ბოლოს, შეუძლია, ბაიასთან თავისუფლად იგრძნოს თავი, ბუნებრივად მოიქცეს, რაც მას ადრე ძალიან ეძნელებოდა და ახლა კი... რაც წინათ ბაიასგან უყურადღებობა უგრძნია, ზოგჯერ – მისთვის გულის ტკენაც მიუყენებია (ქალია და არ შეიძლებოდა, ეს არ სცოდნოდა!), თითქოს ახლა მონდომა, ყოველივე ამისთვის სამაგიერო გადაუხადოს... და შინაგანი ხმა კარნახობს: “ეს არ არის ვაჟკაცობა!”... მეორეს მხრივ, საკუთარ თავს ეუბნება: “რატომაც არა? მას არავითარი ვალდებულება არ აკისრია ბაის მიმართ (ბოჩოსგან განსხვავებით) – ის ხომ ახლა ისე თავისუფალია, როგორც არასდროს – ყოველმხრივ და ეს ახარებს... თუმცა... იქნებ თავს იტყუებს?”...
- თითქოს მინდია სულში ორი არსება ერთმანეთს ეკამათება, ორივეს საკუთარი სიმათლე გააჩნია...
- შეხედა ბაიას... მოსწონს, რომ ბაია შეცბუნებულია – მინდია აღარ “მიჰყვება”, საუბარს გაურბის, სადღაც სხვაგან არის ფიქრით – იქნებ ბაიას აღიზიანებს კიდევ, რომ მინდია ერთგვარად უგუნებოდ ესაუბრება, თითქოს მოსწყინდა...
- მინდიას უნდა, შეწყვიტოს ეს “თამაში”, მერე, დაფიქრდეს, გაერკვეს საკუთარ გრძნობებში – იმ ორი მოკამათე “არსებიდან” რომელი იყო სწორი?
- უცებ, მისთვის მოულოდნელად, მინდია რაღაც შინაგანმა ბიძგმა ფეხზე წამოაყენა და ხაზგასმული გულგრილობით წარმოთქვა:
- ბოდიში, ბაი, უნდა დაგემშვიდობო... ნახვამდის! შინ გველიან, ბაიას ჭამის დროს გადავაცილე... აბა, ბედნიერად იყავი! ნახვამდის, ნათია!

\* \* \*

“ბოჩოსავით ბორბლად ხომ არ ვსარგებლობ თავისუფლებით?” – მთელი კვირა ამგვარი ფიქრი აწვალავდა მინდიას... საკუთარ თავს ადანაშაულებდა, ჰკიცხავდა, რომ ვითომ სიმტკიცე გამოიჩინა, სინამდვილეში კი – ბაიას ასე უცებ მიატოვა, ლაჩრულად გამოიქცა... დროს უკან ვერ დააბრუნებდა, რადას შეცვლიდა – როგორც იტყვიან, მატარებელი უკვე წასული იყო, მაგრამ რატომღაც საოცრად მოუნდა, ბაღში ისევ იმ ადგილას მისვლა, სადაც ბაიასთან ერთად ერთ სკამზე ისხდნენ და საუბრობდნენ... როგორ სულელურად გამოიქცა, ვითომ ბაიას აგრძნობინა – ყველაფერი წარსულს ჩაბარდა, ახლა ჩემი და შენი გზები საბოლოოდ გაემიჯნენ ერთმანეთს, ველარასდროს გადაიკვეთებიანო...

და როდესაც მორიგი კვირადღე დადგა, საგულდაგულოდ გაიპარსა წვერი, რაც კი საუკეთესო გააჩნდა, ტანთ ჩაიცვა (ამორჩევა არ გასჭირვებია – საერთოდ ტანსაცმელი ბევრი არაფერი ჰქონდა და არც დიდად უნდოდა, ჰქონებოდა!) და შუადღისთვის ისევ გაეშურა მუშტაიდის ბაღისკენ, ამჯერად – დისშვილის გარეშე...

გზაში ერთი პირობა ისიც კი იფიქრა, პირდაპირ ბაიას ხომ არ მივადგე შინო, მაგრამ შემდეგ საკუთარი გამბედაობისა (ფიქრად!) გაუკვირდა და ფეხებმა თითქოსდა თავისით წაიყვანა ბაღის ნაცნობ სკამისკენ...

მინდიამ შორიდანვე დაინახა: ცისფერპალტოიან ვიღაც ქალს დაეკავებინა სკამი, რომელზედაც წინა კვირას ის და ბაია ერთად ისხდნენ... და ეწვინა, რომ სხვაგან უნდა დამჯდარიყო – არ უნდოდა, მისი მარტობა ვინმეს დაერღვია – თითქოს ის სკამი რაიმეთი გამორჩეული იყო...

და როცა უკვე სხვაგან გახვევას აპირებდა, იქნებ – უკან გაბრუნებასაც, საოცრების მოწმე გახდა: ეს ქალი ბაია გამოდგა! ამჯერად სხვა პალტო ეცვა...

– გამარჯობა, გამარჯობა! აქეთ რა ქარმა გადმოგაგლო? – ფეხზე წამოდგა ბაია, გაღიმებულ მინდიას სალაპი დაასწრო.

– რა ვიცი... ალბათ იმანვე, რომელმაც შენ! – უპასუხა მინდიამ და ბაია გადაჰკოცნა – სითამამეს უკვე აღარ უჩიოდა.

ორივენი სკამზე ჩამოსხდნენ.

– მე აქ ახლოს ვცხოვრობ, შენც? – ბაიაც გახარებული ჩანდა შეხვედრით. – მარტომ გამოისეირნე?

– ჩემი და, მზია, ცხოვრობს დიდუბის ქუჩაზე... ნათია ციციხო დეიდას დაუტოვე?

– არა... ბებიჩემი ჩამოვიდა სოფლიდან, დედაჩემსა და მამაჩემსაც მიხედავს.

– ბებია გყავს? რა ხნისაა?

– პასიკო ბებია, რა ხანია, სამოცდაათ წელს გადასცილდა, მაგრამ ძალიან ყოჩაღადაა, მე მჯობნის.

– ჰო, ძველები ჩვენზე მაგრები არიან.

– ტყავის ქურთუკი რა უყავი? მოტოციკლით არც ახლა მოხვედი?

– არა, პატარა შეკეთება სჭირდება, მაგრამ დრო ვერ გამოვნახე. დღესაც ვაპირებდი, მაგრამ... – “აქეთ გამოვწიეო”, მინდიამ ეს სიტყვები კი აღარ დაამატა.

– მე რატომღაც არასდროს გაგისეირნებია! – მოულოდნელად თქვა ბაიამ.

– გინდოდა, რო? – პაუზის შემდეგ უპასუხა მინდიამ; უცნაურად აფართხალებული გული თითქოს მკერდიდან ამოფრენას ლამობდა.

– დამსვამ შენს “ყორანაზე”?

– ისევ ხუმრობ?

– არა, არ ვხუმრობ! – ისევ გაიღიმა ბაიამ.

– კარგი, როდისაც გაგიხარდება... მისი სახელი დაიმახსოვრე? მე მაგარი შავგვრემანი ვიყავი და სკოლაში “ყვავს” მიძახდნენ, გახსოვს? და “ყორანაზე” ვზივარ!

– არც ახლა ხარ ბამბის ქულა! – გაიცინა ბაიამ. – მომავალ კვირას გეცვლება?

– კი... შევეცდები... მოტოციკლს მაგ დროისთვის წესრიგში მოვიყვან, სადაც მოგესურვილება, იქ გაგასეირნებ...

“ოღონდ ერთი პირობით: უძობე არ ავიდეთო”, – კინაღამ დაამატა... მინდიას დღემდე ახსოვდა ის კარგა ხნის წინანდელი დღე, მაშინ განცდილი უსიამოვნო განწყობაც ვერაფრით გაწუქარდა განგლიძობა წლებმა...

– იცი, მოტოციკლზე ჯერ არ ვმჯდარვარ!

– გეშინია?

– ცოტა... თან მეშინია, თან მინდა, ვსინჯო, როგორია... სამსახურში რით დადიხარ? მართლა, სად მუშაობ? – საუბარმა ნახტომი სულ სხვა მიმართულებით გააკეთა.

– სალოკომოტივო დეპოში – ცვლის ინჟინერი ვარ. მოკლედ, სამსახურში რკინიგზელი ვარ და დასვენების დროსაც ჩემი ტრანსპორტით დაეჭრივარ... დაგქროდი.

მინდია ამდარ დააზუსტა, რომ სულ ახლახანს საამქროს უფროსის მოადგილედ დანიშნეს – ყველაზე ახალგაზრდა თანამდებობის პირი გახდა საწარმოში. დღედაღამ იქ იყო – სიამოვნებდა მუშაობა და ამიტომ ვერ მოიცალა მოტოციკლის შესაკეთებლად. ფიქრები მოეძალნენ, რომელთა ხმამაღლა გამხელაც მინდიას არ სურდა... თუ მთინდომებს, ახალთახალი ავტომანქანის შეძენის მსურველთა სიაშიც შეუძლია ჩაწერა, მაგრამ რად უნდა? მოტოციკლს მისთვის სხვა ხიბლი აქვს! თუ ახალგამომცხვარი თანამდებობის პირისთვის შესაფერისად არ აცვია – არც კარგი ტანსაცმლის ყიდვა გაუჭირდება, თუმცა, ამის სურვილი არასდროს ჰქონია და არც ახლა აქვს... ცოლ-შვილი რომ ჰყავდეს, ალბათ ერთ-ორ წელიწადში ახალ ბინასაც მისცემდნენ, მაგრამ არც ეს გარემოება ანაღველებს მაინცდამაინც – ყველაფერი ძველი, უფრო სწორედ, შეჩვეული, ურჩევნია: ძველი ბინა, ძველი ტანსაცმელი, ძველი მოტოციკლი... და ძველი ტრფობა!

– აქ ახლოს ცხოვრობ? აქამდე რატომ ვერ შეგხვდი? – ისევ შეეკითხა ბაია.

– მე იმ ძველ სახლში ვარ ისევ, რამდენიმე წლის წინათ რომ მივიდეთ... ხომ გითხარი, დიდუბეში მზია გადმოვიდა ორი თვის წინათ, იმას ზოგჯერ ვაკითხავ ხოლმე, სხვაგან თითქმის არსად დავდივარ: სახლი – სამსახური, სამსახური – სახლი...

– მზია აქ არსად შემხვედრია. მითხარი, სად ცხოვრობს და სანახავად მივალ... შენ თქვი, მეორე ბავშვს ელოდებო?

– მერვე თვეშია... იცი, რა? თუ გინდა, მოდი, ახლა წავიდეთ მზიას სანახავად, მე აქედან მაინც მასთან მისვლას ვაპირებდი.

– სიამოვნებით წამოვალ, ოღონდ ცოტა ხნით მივიდეთ, ხომ იცი, შინ რა მდგომარეობა მაქვს...

მზიას ოჯახში წარმართულ საუბრებში ჩვენთვის დიდად საინტერესო არაფერი თქმულა და მათი გამოცემა ზედმეტად მიმაჩნია. იმას კი აღვნიშნავ, რომ ბაიამ და მინდიამ ჯერ მზიასთან ისაძლიეს, შემდეგ დაბრუნდნენ მუშტაიდის ბაღში პატარა ბაიასთან და ნათიასთან ერთად (ნათიას წამოსაყვანად ჭიჭეკორაძეებთან გაიარეს)... საღამომდე ერთად დაყვეს, დაშორებისას კი დათქვეს: ერთი კვირის შემდეგ შეხვდებოდნენ ერთმანეთს და მოტოციკლით სადმე გაისეირნებდნენ...

\* \* \*

მომდევნო დღეებში მინდია ყოველ დღით ადგომისთანვე უპირველესად ცას ახედავდა ხოლმე – ამინდი გაზაფხულურად ურევდა ანუ დილიდან თითქოს მზე იცინოდა, მერე, შუადღისთვის, მოიღრუბლებოდა და უცებ დაუშვებდა შესაპუნა წვიმა...

საბედნიეროდ, შაბათს მშვენიერი დილა გათენდა, ღრუბლები შუადღისთვისაც აღარ გამოჩენილა და მინდია დამშვიდებული გაემართა მოტოციკლით ბაიას სახლისკენ. ბაია უკვე ქუჩაში უცდიდა, სიცილით უთხრა:

– ჩემთვის პირველი პაემანია მოტოციკლით! შენთვის?

მინდია დააბნია ამ კითხვამ, სიტყვამ “პაემანი” გული აუჩქროლა... მის უკან მოტოციკლზე შემოსკუპებულ ბაიას კითხვით უპასუხა:

– საით?

– საითაც შენ გინდა!

– კარგი, ნორიოსკენ გავისეირნოთ, მარტყოფის ღვთაების მონასტერში ნამყოფი ხარ?

– მონასტერში? კარგი, წავიდეთ! – და ხუმრობით დაამატა: – კარგი ადგილი შეგირჩევია, თუ მომეწონება, იქ დავგრჩები!

– იქაურთა ნამდვილად მოგეწონება, მაგრამ ეგ ნომერი არ გაგივა: მე არ დაგტოვებ! ხელებით მაგრად მომეჭიდე!

მთელი გზა ბაია უკანიდან ჩაფრენილი იყო მინდიაზე, მის წელზე ჰქონდა ხელები შემოჭობილი; მოტოციკლის სწრაფი ქროლვა სიამოვნებდა, თან აშინებდა, თან აღტაცებასაც ჰგვრიდა და ხანდახან წამოიყვირებდა თუ წამოიკივლებდა – შიშით თუ აღტაცებით...

მინდია მოტოციკლი მონასტრის ჭიშკართან გააჩერა.

– უჰ, გაცივინე! – წამოიძახა ბაიამ. – თბილად ჩაცმამაც არ მიშველა.

– ტყავის ქურთუკი უნდა იყიდო, ქარიან ამინდშიც გამოგადგება.

– არ მეგონა, თუ აქ ასეთი ტყე იქნებოდა...

– მონასტერში შევიდეთ და ნახავ, როგორი მშვენიერი გადასახედია!

ჯერ ტაძარს სვენებ-სვენებით გარშემო დინჯად შემოუარეს, შემდეგ შიგაც შევიდნენ. სასიამოვნო სიმყუდროვე დახვდათ, კაციშვილი არ ჩანდა. მზიანი დღის შემდეგ იქაურთა დაბინდებული ეჩვენათ, სანთლები ანათებდა წმინდანთა წყნარ სახეებს, ალი ირეკლებოდა ხატების ოქროსფერი ჩარჩოებიდან.

ეკლესიიდან გარეთ, გრილ ჰაერზე გამოსულები, მადლობიდან სამხრეთით მათ წინ გადაშლილ მართლაც დიდებულ ხედს გაჰყურებდნენ და კარგა ხანს იდგნენ იქ.

- უცებ მათთან ახალგაზრდა, შავწვერა მღვდელი გაჩნდა – მაღალი, ჯანიანი; უჩუმრად, თითქოს მიწიდან ამოძვრათ...
- გაიბა საუბარის ძაფი: მეექვსე საუკუნეში მონასტრის დამაარსებელი, ათცამეტ მამათაგან ერთ-ერთი – წმინდა ანტონი, მარტყოფის ბრძოლა...
- თქვენ ეკლესიურად დაქორწინებულნი ხართ? – მოულოდნელად იკითხა მღვდელმა.
  - არა, მამაო...
  - თუ სურვილი გაქვთ, აქვე, ახლავე დაგაქორწინებთ!..
- უცნაური წინადადებით გაოგნებულებს, ენა ჩაუვარდათ... ნეტა როგორ მიხვდა მღვდელი, რომ ერთი უცოლო იყო, მეორე – უქმრო?
- არც ერთია ეკლესიური, წესიერად პირჯვრის გადაწერაც არ იციან.
- მინდიას სუნთქვა შეეკრა...
- ბაია? არც ის იღებს ხმას...
- ესე იგი, თანახმაა!
- ხელისმომკიდებების გარეშე? არც ბეჭდები გვაქვს... – თითქოს ბურანში მყოფი, ბურტყუნებს მინდია.
  - თუ სურვილი გაქვთ, მაგას ადვილად მოვაგვარებთ; არც დიდი თანხის გადახდაა საჭირო – რამდენსაც შეძლებთ...
  - სხვა დროს იყოს, მამაო...
  - პარტიულები ხომ არ ხართ?
  - არა, მამაო... მანამდე მოვემზადებით, პატარა სუფრა მაინც ხომ უნდა გაიშალოს, ნეფე-დედოფალი უნდა დაილოცოს... დიდი მადლობა, დიდი მადლობა... – დაბნეული ლულულებს მინდია; ბაია ისევ ჩუმადაა...
  - როგორც თქვენ გენებოთ, ღმერთმა დაგლოცოთ...
- დაემშვიდობნენ მღვდელს, შემდეგ გორაკზე ამართულ, ნახევრადანგრეულ კოშკთან აბობლებაც შესთავაზა მინდიამ ბაიას... იქამდე ძლივძლივობით, აქოშინებულებმა ააღწიეს... აქედანაც გადახედეს შორეთს; ცოტა გაუქრათ მღვდელთან საუბრის შედეგად წარმოქმნილი დაძაბულობა და ახლა სიცილითაც კი იხსენებდნენ მის წინადადებას...
- უკან რომ უნდა წამოსულიყვნენ, სამონასტრო კომპლექსის შესასვლელთან, მოტოციკლზე დასხდომის წინ, მინდია სიცილით ეუბნება:
- დღეს მძაჩის ბიურო თუ მუშაობს? – და გულის ფანცქალით ელის პასუხს: რას ეტყვის მის უკან უკვე შემომჯდარი ბაია?
  - პირდაპირ ხელის მოსაწერად გინდა, წავიდეთ? მოწმეები მაინც არ გეჭირდება? – იცინის ბაიაც.
  - მოწმეებს ვიშოვით! თუ თანახმა ხარ, ეგ საქმე მე მომანდე!..
  - არ ხუმრობ?...!
  - შენ მაგრად მომეჭიდე, სწრაფი სიარული მიყვარს!..
  - ასე, შარვლით?
  - შარვლიან პატარძალს რა უჭირს; როგორც ბრძენები გვასწავლიან, მთავარია შინაარსი და არა ფორმა!..

\* \* \*

- შემდეგი წლის აპრილში ბაიასა და მინდიას ვაჟი შეეძინათ! რა დაარქვეს? რა თქმა უნდა, პაპის სახელი – გიორგი!
- ბაია გაკვირვებული იყო – მინდია “გადარეული” მამა გამოდგა! ერთი ეს იყო, რომ ძუძუს არ აწოვებდა, თორემ სხვა მხრივ ბაიას კიდევ სჯობდა: როცა კი შინ იყო, არასდროს შეეზარებოდა დღევ და ღამევ უთვალავჯერ გამოეცვალა ჩვილისთვის ჩასვრილი საფენი, ყოველ საღამოს საკუთარი ხელით აბანავებდა, ღამ-ღამობით ხომ გიორგის წამოტირებაზე ბაიას ასწრებდა წამოხტომაში – რა უნდა პატარას, რა აწუხებს? და ზოგჯერ ატირებულს დილამდე ხელში ატატებულს ანანავებდა...
- ერთხელ ბაიამ მინდიას უთხრა:
- იცი, გულახდილად გეტყვი: შენ რომ გამოგყევი, არ მიყვარდი... არა, როგორ არ მიყვარდი, მაგრამ... ჩვენ ხომ ერთად გავიზარდეთ, ერთმანეთის ყველაფერი ვიცით... მიყვარდი, როგორც ძმა...
  - ძმა არ გყოლია და რა იცი?
  - კარგი, ძო, დამამთავრებინე!.. იცი, რატომ გამოგყევი?
  - თუ არ გიყვარდი, რა გრჯიდა?
  - ალბათ მარტოდ დარჩენისა შემეშინდა... ხომ იცი, განათხოვარ ქალებს კაცები რა თვალთ უყურებენ... შეშინებული ვიყავი და...
  - მერე, ჩემზე უკეთესი ვერავინ ნახე?



– რა გახუმრებს! იცი, შენ რომ არ ყოფილიყავი, რომელსაც სრულიად ვენდობოდი, ალბათ სხვაზე გათხოვებას ვერ გაგბედავდი... ჰო, დარწმუნებული ვარ, ალბათ შენს გარდა სხვას ვერავის გაგვეგებოდი ცოლად. იცი, რამდენჯერ მიფიქრია შენზე? როცა ადამიანზე ხშირად ფიქრობ, ეს უკვე სიყვარულია... მიყვარდი, მაგრამ ეს ჯერ გაცობიერებულები არ მქონდა. რომ არ მყვარებოდი, არც გამოგვეგებოდი ცოლად!

– წინააღმდეგობაში ვარდები: ხან ამბობ, არ მიყვარდი, მაგრამ იმიტომ გამოგვეგვი, რომ მარტოდ დარჩენისა შემეშინდაო, ხან...

– მოიცა, მოიცა! – შეაწყვეტინა ბაიამ. – ხომ გითხარი: მე თვითონაც არ ვიცოდი, რომ თურმე მიყვარდი!

– აბა, როგორ გადაწყვიტე?

– აგისხენი, რატომაც... შენს გარდა, იცი, კიდევ რამდენს მოვწონდი? ერთმა განსაკუთრებით გული შემეჩამა, სულ კულში დამდევდა...

– რა ჰქვიაოდა?

– აპოლონი! სასაცილო სახელია, ხომ? უნივერსიტეტში ჩვენს კორპუსში მუშაობდა ერთ-ერთ კათედრაზე ისიც.

– მერე? – რატომაც გული აუჩქროლდა მინდიას. – თუკი კაცები ბუზებივით გეხვეოდნენ, რატომ არ გათხოვდი?

– არ მინდოდა... რაღაცის იმედი მქონდა. მერე და მერე სულ უფრო აბსურდულად მეჩვენებოდა აზრი, რომ როდისმე ბოჩოსთან ერთად ვიქნებოდი და, ბოლოს, ვიფიქრე: “რამდენ ხანს უნდა ვიყო მარტო? ეს კაცი ჩემზე ბევრად ხნიერი კი არის, მაგრამ ჩამოყალიბებული, გამოცდილი პიროვნებაა... მთლად აპოლონი არ არის შესახედავად, მაგრამ არც მახინჯია, დისერტაცია დაცული აქვს, დოცენტია; თავისი აკვირებული ყურადღებით კი მამბეზრებს თავს, მაგრამ წესიერი კაცი ჩანს, ზრდილობიანი”...

– მერე? – ისევ მოუთმენლად შეაწყვეტინა მინდიამ.

– თავიდან ისეთი გულგატეხილი ვიყავი, ვერ წარმომედგინა, თუ კიდევ ვიფიქრებდი გათხოვებაზე... მერე ნელ-ნელა ამ გრძნობამ გამიარა. ვიფიქრე: “ჯანდაბას, ვცდი, იქნებ ეს არის ჩემი ბედი-მეთქი” და დავთანხმდი შეხვედრას. წამიყვანა ფილარმონიაში კონცერტზე, ნორმალურად იქცეოდა, ვსაუბრობდით... სხვათა შორის, ფრანგულადაც – ბებიამისს ერთ დროს პარიზში უცხოვრია, ახალგაზრდობაში იქ სწავლობდა თურმე... რამდენჯერმე ვიყავით კინოში, თეატრშიც... მერე გავიგე, რომ ცოლშვილიანი ყოფილა! არ მიჩხუბია, რასაკვირველია, მაგრამ გუთხარი, აწი ველარ გაგრძელება ჩვენი ურთიერთობა-მეთქი... “მე სერიოზული კაცი ვარ, ცოლს ვეყრები, შენი მოტყუება არ მინდოდაო”, – მიმტკიცებდა, მაგრამ მე გუთხარი: “ეგ თავიდანვე რომ გეთქვა, დავიჯერებდი და იქნებ ჩვენი ურთიერთობა რაღაც ლოგიკურ დასასრულამდეც მისულიყო, ახლა კი, დიდი ბოდიში – საბოლოოდ გემშვიდობები-მეთქი”... არა, ეს მიზეზი რომც არ ყოფილიყო, მის ცოლობას მაინც არასდროს დავთანხმდებოდი და რატომ დავიწყე ამ კაცთან ეს ყველაფერი, ახლაც ვერ გამოვიგა... თავგზააბნეული ვიყავი, გულგატეხილი. შენ კი მეუბნები, ჭკვიანი ხარო, ასეთსავე გაუგებრობაში არ მოგვევი ადრეც ბოჩოსთან? ძალიან გვიან ვხვდები, სწორად როგორ უნდა მოვიქცე. ამჯერად მაინც დროზე მოვეგე გონს. ის მაინც არ მასვენებდა, კიდევ შეგხვდეთო, თავს მამბეზრებდა აბეზარი ბუზივით; აღარ ვიცოდი, რა მექნა...

– ბოჩოს რატომ არ უთხარი? მაშინვე გალახავდა!

– კარგი რა, რა გახუმრებს! ბოჩოს ძლივს მოვცილდი, მისი დანახვაც არ მინდოდა...

– ბოდიში, ბოდიში! მე კი მეგონა, ძალიან თავდაჯერებული იყავი – როცა მონდომებდი, მაშინ გათხოვდებოდი. მარტოდ დარჩენის შიშის განსაკუთრებით წამალი გამოჩენილა და თუკი შენაფერისი სხვა ვიღაცაც იყო, რატომ არ გამოიყენე?

– ხომ გითხარი, მე მაინცდამაინც გულზე არავინ მეხატებოდა...

– ჰო, ვიცი, დიდი წუნია ბრძანდები!

– მართალი ხარ!

მინდიას ფიქრი არ ასვენებდა: “ბაი მართლა დაბნეული იყო და კიდევ კარგი, კარგად დასრულდა ყველაფერი... მეც კინაღამ შევეცდი... ვუთხრა თუ არა ლამარას შესახებ? თუ არ ღირს? თუ მკითხავს, შენ თუ გყავდა ვინმეო, ვეტყვი... წასული ამბავია, ჩავლილი, ახლა წინ უნდა ვიციქრებოდეთ, მომავალი რას გვიქადის”... ბაიას ამ თემაზე საუბარი არ წამოუწყია და აღარც მინდიას უხსენებია ლამარას სახელი... თუმცა, თვითონვე რატომაც წარსულს დაუბრუნდა, მართალია, ხუმრობით:

– იმ დღეს, პირველად მუშტაიდში რომ შეგხვდით, იქაც ხომ არ გითვალთვალებდა ის შენი შეყვარებული მღევარი?

– რა ვიცი... შენ ცხვირ-პირს ხომ არ დაუნაყავდი?

– არასდროს მქონია სურვილი, ვინმეს ამგვარად მოგქცეოდი, განსაკუთრებით, თუ ამისთვის საკმარისი მიზეზი არ არსებობდა...

– ჰო, მესმის, მჟავე ხასიათის რომ ყოფილიყავი, შენ უპირველესად ალბათ ბოჩოს გაუსწორდებოდი...

- რატომ? ბოჩოს მოსწონდი, არ ვიცი, იქნებ უყვარდი კიდევც... მე რა პრეტენზია უნდა მქონოდა? ის წამართვა, რაც მე მეკუთვნოდა, თუ რა? რაც მოხდა, შენი მხრივ თანხმობით არ მოხდა? თანხმობით კი არა, რამდენადაც ვიცი, შენ თვითონ იყავი მოთავე...
  - აუჰ, საით გავუხვიეთ! არ მსიამოვნებს იმ ამბების გახსენება...
  - კარგი, მე არ დამიწყია.
  - გატყობ, სხვებივით ვიწყებთ ტრადიციულ ცოლქმრულ ჯიჯღინს... ჯარიდან რომ ჩამოცვედი, მას შემდეგ ძალიან შეიცვალე, ბევრი ლაპარაკი ისწავლე!
  - კარგია ეს თუ ცუდი?
  - შენგან – ყველაფერი კარგია!
  - სხვათა შორის, ადრე არც შენ იყავი ქალებივით ლაქლაქის მოყვარული; ახლა, მე მგონი, ნანულისაც აჯობებ!
  - აღარ მოგწონვარ?
  - როგორი კატასავით რბილი თმა გაქვს, ასეთი ჯერ არ მინახავს! მინდა, სულ გეფერო...
  - ჰო, მე კატა ვარ, კრ-კრ!.. არც მე შემხვედრია ასეთი ჯაგარივით თმა! თავი კი არა, ზღარბია!
  - მე ტახი ვარ!
  - მიყვარს ტახი! კიდევ მომეფერე!
  - სამაგიეროდ, ტუჩები მაქვს რბილი...
  - რბილი და ტკბილი! ხომ გიყვარვარ?
- მინდია არაფერი უთქვამს, პასუხი კი მაინც გასცა – სხვაგვარად: კიდევ უფრო მაგრად მოეხვია და მისი ტუჩები ბაიას ტუჩებს კარგა ხანს აღარ მოსცილებია...
- რა ტკბილი ხარ!.. რა თბილი ხარ!.. – ჩურჩულებდა მინდია და ყელზე და ყურის ბიბილოზე ჰკოცნიდა.
  - მინდი, სულ მაკვირვებ...
  - მართლა?
  - ჰო! იცი, არ მოველოდი, შენ სულ სხვანაირი ყოფილხარ...
  - მაინც, რანაირი?
  - ბოჩო ასეთ სიტყვებს არასდროს მეუბნებოდა...
  - შენ ეუბნებოდი?.. რას?
  - ცუდო! – ბაიამ ტუჩებით მინდიას ტუჩები დაფარა, რომ ამ თემაზე მეტი აღარ ესაუბრათ...

## კარი XII. ნანული და ბოჩია

- ძალიან მაინტერესებს: როგორ გაიხნება საბოლოოდ ჩემი ნახლავორთების დახლართული კვანძი? ჩემო მკითხველო, ალბათ შენც...
- ყველაზე რთულ და გაურკვეველ მდგომარეობაში ბოჩია კარგაჩანა დაგტოვე... ნეტავ როგორ წავიდა მისი საქმე?
- უნდა გავახაროთ: პოლიტექნიკურ ინსტიტუტში თითქმის ათი წლის სწავლის შემდეგ, როგორც იქნა, ინჟინერ-მშენებლის დიპლომი მოაცოდვილა... მაგრამ სამსახურის დაწყებას სპეციალისტის მიხედვით დიდად არ ჩქარობდა. პირად ცხოვრებს რაც შეეხება...
- მამამისმა, გვანჯიმ, ერთხელ კვირადღეს ბოჩია შინ მოიხელთა (ბოლო დრომდე ეს არცთუ ხშირად ხერხდებოდა: ბოჩია სულ სადღაც იყო წასული მესამეხარისხოვან საფეხბურთო გუნდებთან ერთად, ერთი სეზონი კი სულაც რომელიღაც რაიონის გუნდში თამაშობდა და თითქმის სულ გადაიკარგა) და დილის საუზმის დროს გვარიანად გაჯორა:
- ბიჭო, სად დაბოლიალობ უთავბოლოდ? ცოლ-შვილი შენთვის არ არსებობს და დედ-მამა... ვისში გამოხვედი ესეთი უჯიშო! შენი ძმა ხვალ-ზეგ აკადემიკოსი გახდება, დედაშენი – ყველა აღიარებს – დიდებული ადამიანი და ბრწყინვალე ხელოვანია, არც მე ვარ მთლად უკულტურო და შეუგნებელი, მეც გამოიკეთებია ამ ქვეყნისთვის რაღაცა... მხოლოდ შენ ვერ გაგზარდეთ, როგორც საჭიროა. რა გჭირს, გამაგებინე, შენ რაღა დაგემართა?..
  - რა დაგაშავე ისეთი, რა გინდა?
  - შენი კარგად ყოფნა... მეტი რა უნდა მინდოდეს? ფუი, ფუი, არ დამანახო შინ ეგ სიგარეტი, ეგლა მაკლდა სწორედ, მთელი ბინა აამყრალო! გამაგებინე, რანაირი სპორტსმანი ხარ, ღვინოს შენ არ იკლებ და ქალებს, გარჯიში ჭირივით გეჯავრება და წესიერი რეჟიმი შენთვის არ არსებობს... ამ ხნის კაცი გახდი უკვე და როდემდე აპირებ, ასე გააგრძელო?
  - რა გინდა, დიპლომი ხომ ავიღე...
  - დიპლომი?.. ჰი, დიპლომი!.. მომილოცავს!.. რა ფასიც აქვს იმ შენს დიპლომს, შენც კარგად იცი, მე სხვა რამეს გეკითხები: საქმეს, საქმეს როდის უნდა ეწიო?

- არ მეყო, რაც ამდენი წელი ინსტიტუტში ვიწვალე? – პასუხობდა ბოჩია მამის საყვედურებს. – დასვენება არ მეკუთვინის?
- ჰო, ხუთი წელიწადი სულ ოფლის წმენდაში იყავი, შე საწყალო! რის ხუთი – რვა თუ მეტი წელი, არა, ბევრად მეტი, – ახლა ვეღარც ვითვლი, – იწვალე და ჩვენც გაგვაწვალე! – დაცინვით უპასუხა გეანჯიმ. – ერთი აკადემიური შეგებულება აიღე, მეორე, მესამე... ერთი სემესტრი თუ ჩაათავე ისე, რომ მეორედ და მესამედ არ გასულიყავი გამოცდაზე? შენზე მეტად მე გაგწვალდი – გადაგყევი შენი ლექტორების ნაცნობთა მონახვას და “საქმის ჩაწყობას”; ამ ხნის კაცი ვარ და ლამის მამაძაღლობას დამაჩვიე!.. ის მაინც გვიბრძანე, თქვენო ბრწყინვალეობა, რამდენ ხანს აპირებთ დასვენებას?
- ახლა უნდა ცოტა გავიარ-გამოვიარო, გავერთო, მერეც მეყოფა მშენებლობებზე მტერის ყლაპვა!
- ჰო, როგორ არა, ხელად ააშენებ ქვეყანას!.. როგორი მშენებელი ხარ, მშენებლობის ინჟინერი არ გაგება! ვერ გავიგე, ვინ ხარ? ფენბურთელი? არ ვიცი, არ ვიცი... მე მგონი, დიდი ვერაფერი შეიღი... ხუთ მაჩში რომ ერთ ბურთს გაიტან, როგორი თავდამსხმელი ხარ? მიკვირს, ამდენ ხანს გასეირნებდნენ მინდორზე, რიგიანი გუნდი რომ ყოფილიყო, წესით და რიგით ერთი გემრიელი პანჩური გეკუთვნოდა, დროზე უნდა მიებრძანებინე იქიდან...
- გაინხარე, უკვე ერთი თვეა, აღარ ვთამაშობ...
- მართლა? მომილოცავს, მომილოცავს, მაღარჩის როდის კისრულობ? ასე უცებ რომ გამოგვეცხადე, არ გამიკვირდა? ალბათ ფული შემოგაკლდა... თურმე ვაჟბატონი აღარ ანცვიფრებს სამყაროს თავისი განუმეორებელი ფინტებით! ძველებურად აგრძელებ თამაშს?.. ბავშვი ხომ აღარ ხარ, არ გეყო ამდენი თამაში?
- რას ვთამაშობ? ხომ გითხარი, ფენბურთს თავი დაგანებე.
- ფენბურთს კი არა... კარგ ბიჭს თამაშობ, დარდიმანდს, კარგ მომლხენს თამაშობ, მომღერალს, ძმაკაცების მოყვარულს, მათ რომ ყველას სულსა და გულს ანაცვალე... დიპლიტაური-დიპლიტაური, შენ კი გენაცვალე, იფ-იფ, რა კარგია! შენ საერთოდ ცხოვრება თამაში გგონია... რამდენ ხანს აპირებ, ასე იტაშვანდურთ?
- შემარგე ახლა ორი ლუკმა, ნუ გეშინია, შენთან დიდხანს არ ვაპირებ დარჩენას...
- მე რისი უნდა მეშინოდეს? მაინც შეიღი ხარ ჩემი, იყავი და იცხოვრე, არავინ არაფერს გამადღის, მაგრამ იცხოვრე კაცურად! სინამდვილეში ვინ ხარ? რას წარმოადგენ? დაფიქრებულ-ხარ ამაზე? მხოლოდ ლამაზი სადღეგრძელოები, ლიტრობით ღვინის ჩასხმა და მუცლის ამოყორვა გეყოფა? იქნებ ორფეხა ცხოველი ხარ და მეტი არაფერი?
- კარგი რა, ორფეხა ვარ თუ სამფეხა, ყელში ამომივიდა შენი საყვედურები...
- ჯერ მუშაობა შემიძლია, პურის ფულს არ დაგაყვედრი, მაგრამ შენც აღარ უნდა გაანძრიო ხელი? ჩემს თავს არ ვჩივი, ცოლ-შვილი გყავს, მათ მოვლა-პატრონობა არ უნდა? მე და დედაშენი რამდენ ხანს გაგძლებთ კიდევ, სულ ხომ არ გამოგეკერებით ზეცას? ჩვენც მოხედვა არ გვაწყენდა...
- კარგი, გეყოფა ახლა, ხომ გითხარი, აქიდან წავალ...
- ყოჩაღ, ყოჩაღ, აბა, შენ იცი, დროზე გაასწარი!.. რამენაირად არ მოცდე, გადაუღებელი საგმირო საქმეები გელის!.. მსოფლიო უნდა განაცვიფროს ბიჭმა!..
- ბოჩიამ ჭამა შეწყვიტა, მაგიდიდან წამოდგა და გამოუმშვიდობებლად გავიდა გარეთ...
- ამჯერად ბოჩიამ დანაპირები შეასრულა და იმ დღესვე გაუჩინარდა – საღამოს შინ არ დაბრუნებულა. მისი ასავალ-დასავალი ოჯახის წევრებმა მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ შეიტყვეს: ბოჩია ვიღაც ქალთან ცხოვრობს...
- სასწაული მაინც მოხდა: ბოჩიას დიდად არ იზიდავდა ინჟინერ-მშენებლის სახლაფორთო საქმიანობა და, კაკი დიაოხიძის რჩევით, რომელსაც სადმე შესაფერის სამუშაოზე მოწყობის თხოვნით მიაკითხა, უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა! მართალია, დაუსწრებლად... თუმცა, ამასაც თუ სწავლა შეიძლება, ეწოდოს? ალბათ ამჯერადაც, საგამოდო სესიების დროს, გამოცდებს “წარმატებით” ჩააბარებს: თხოვნით, ტელეფონით დარეკვით და გავლენიანი პირების მიგზავნით; და ისევე, როგორც აღრე, ყოველთვის დაიწერება “დამაკმაყოფილებელი” ნიშნები, ისე, რომ ზოგჯერ გამომცდელი ბოჩიას თვალითაც არ ნახავს... ხუთ-ექვს წელიწადში, ღვთის წყალობით, უფრო კი – ისევე და ისევე “ხელის წამკერეღთა” მცდელობით, ბოჩია კიდევ ერთ დიპლომს მიიღებს, რომელსაც, წინას მსგავსად, პირდაპირი დანიშნულებით არასდროს გამოიყენებს: უმაღლესი განათლების დამადასტურებელი იურისტის დიპლომის მფლობელს, მაგანთა დახმარებით, რომელიმე რაიონში მილიციის უფროსის მოადგილედ დანიშნავენ, რამდენიმე წელიწადში უფროსიც გახდება; შემდეგ უეჭველად გადმოიყვანენ დედაქალაქში – ერთ-ერთი რაიონის მილიციის უფროსად... ან, კიდევ უკეთესი – შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქის სამმართველოში რომელიმე განყოფილების უფროსის მოადგილედ... მოადგილედ – ჯერჯერობით, შემდგომი დაწინაურების მშვენიერი პერსპექტივით, თუ მის მფარველთათვის ბოჩია მოსაწონი – “კარგი ბიჭი” – ისევე იქნება... რა იცი, იქნებ დრო გავიდეს, მასში დაფარულმა ნიჭმა გაიღვიძოს და ერთ მშვენიერ დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს აპარატშიც ამოყოს თავი – პასუხსაგებ თანამდებობაზე!

ეს ჩემი ვარაუდია, ხოლო ჩვენს ამბავს თუ მივუბრუნდებით, ამჟამად ბოჩია “თავისუფალი” კაცია. ფეხბურთის თამაშს უკვე შეეშვა თუ დაანებებინეს თავი და არც მუშაობის დაწყებას ჩქარობს, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, მთლად უსაქმურიც არ ეთქმის: ვითომ დაუსწრებლად სწავლობს უნივერსიტეტში და იქ მისატანი ცნობის შოვნა, რომ სადღაც მუშაობს, არასდროს უჭირს... სინამდვილეში რას საქმიანობს, რით ირჩენს თავს, ჩემთვის გამოცანაა... მართალი მოგახსენოთ, კიდევ ერთი სასწაულის მომსწრეც კი ვარ: ჩვენი გმირი არცთუ იშვიათად რესტორნებშიც იღვანეს ძმაკაცებთან ერთად! მართლაც, “შარაფის” გარეშე ცხოვრებას რა გემო აქვს? თან ბოჩია ისეა გასუქებული, მისი შემხედვარე ძნელად დაიჯერებს, რომ ეს ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ თმაგაცვენილი და ტანდამბიმებული კაცი არცთუ დიდი ხნის წინათ ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი ფეხბურთელი იყო!

\* \* \*

ხომ არ იქნებით წინააღმდეგი, დროის მდინარეებში რამდენადმე წინ გადავინაცვლოთ?..

ბოჩიას ერთი ახირებული ჩვევა აქვს – ზამთარ-ზაფხულ სულ თავშიშველი დადის! ქუდს ვერ იტყუებს! არადა, ნაადრევად გამელოტდა, როგორც თავის დროზე, – უფრო სწორედ, დროზე ბევრად ადრე, – მისი მამა და უფროსი ძმა... მაგრამ ქალებს ძველებურად მოსწონთ: “რა ლამაზი თავის ქალა აქვს!”. ბოჩია სხვა მხრივაც გამორჩეული პიროვნებაა – ბაიასა და ნანულის გარდა, კიდევ სამ ქალთან ჰყავს შვილები... რა ამბავიაო, იკითხავთ – საგსებით სამართლიანად. მოგახსენებთ: ჩვენი გმირი მეტისმეტად ფხუკიანია, პრეტენზიული! პატარა რამ არ მოეწონება: “ხალათის გაუთოვება ისევ დაგავიწყდა?”, “დღეს ისევ ღობიო გააკეთე?” – და მაშინვე ჩაჰყრის ჩემოდანში ტანსაცმელს, საცვლებს, წინდებს, საპარს მოწყობილობას და აიკრავს გუდა-ნაბადს მორიგი სატრფოსგან... არავითარი ბოდიში და თავის მართლება არ ჭრის – წავა და წავა! საით? ეგ რა საკითხავია: რა გამოლევს ქალებს, რომლებიც ოცნებობენ ასეთ ლამაზ და სიტყვატკბილ კაცთან ერთად ყოფნაზე!..

ამასობაში კარგაჩვენების ოჯახში კიდევ ერთი უცნაური ამბავი მოხდა: ბატონი გვანჯი... ვიცოცხლე განათხოვარ ქალბატონს გაუმიჯნურდა! ამასაც არ დასჯერდა – ერთ თვეში დაჰკრა ფეხი და სატრფოსთან გადაბარგდა! როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს ქალბატონი თურმე სამსახურში რამდენიმე თვის წინ მიუღიათ, გვანჯისთან ერთად მუშაობდა, ერთ ოთახში ისხდნენ; ჰოდა, როგორც ჩანს, ტბილად იჭუპკუპეს, იჭუპკუპეს და...

ეს ამბავი დედ-მამას – ნათელასა და შოთას – მოუყვა მათთან პატარა შვილთან, ციცი-ნოსთან ერთად სტუმრად მისულმა ნანულიმ (რამდენიმე წელია, შუშაბერიძეების ოჯახი სხვა უბანში გადავიდა საცხოვრებლად – ნანულის უმცროსი და, მარიამი, გათხოვდა და შუშაბერიძეებმა თავიანთი და ახალი, დედისერთა სიძის ბინები გაყიდეს და შეერთებული ოჯახებისთვის იყიდეს საერთო ბინა – დიდი, ოთხოთახიანი).

– ამ ხნის კაცის ასე ამჩატება გაგონილა? – ქალბატონ ნათელას გულისწყრომა გვანჯის მიმართ საგსებით გასაგები იყო – ქალური სოლიდარობა! – ახლა აღარ მიკვირს ბოჩიას სიცუტე: კვიცი გვარზე ხტის!

– კარგი, ქალო და! – ფრიად არასერიოზულად შეხვდა მძახალის უდროო გამიჯნურებას ნანულის მამა, ბატონი შოთა; შორეული რეისიდან ახლახან დაბრუნებული, მონატრებული შვილიშვილის ნახვით განარბებული, ოხუნჯობის ხასიათზე დადგა: – ციცი-ნო ღმერთით ქალია, მაგრამ ვერც გვაჯის გაამტყუნებ: ბოლოს და ბოლოს, ყოველდღე სულ ტორტის ჭამაც მოგებურდება კაცს...

– გაგწყვიტათ კაცები ჭირმა... – ვერ ისვენებდა ნათელა. – შვილს დღენიადაგ უჩინებდა: ოჯახს ნუ ანგრევ, გონებას მოუხმე, შინ დაბრუნდიო და – აჰა! თვითონ რა დღეშია ეგ ბებერი! ახლა შვილს ეჯობრება...

– ყოჩაღ, ქალების კოლექციის შეგროვებას მიჰყო ხელი! ჰი-ჰი-ჰი! – იცინის შოთა. – კეთილი საქმის დაწყება არასდროს არის გვიან!

– გაჩერდი, კაცო! – დაუტია ქმარს ნათელამ და შვილს მიმართა: – საწყალმა ციცი-ნომ როგორ გადაიტანა ეს უბედურება?

– კიდევ ერთ წირპლიან სიმღერას შეთხზავდა და დაამღერებდა გიტარაზე! – თავისას არ იშლის შოთა.

– კარგი რა, მამა! – შოთას უსაყვედურა ნანულიმაც. – ძალიან განიცადა, ძალიან, ჰოდა, შენ წარმოიდგინე, გვაჯი ბიძის სამსახურში მისულა საგანგებოდ – ერთი ვნახო, ის გათახსირებული რა ქალია, რით მჯობია მეო...

– მერე? – მოუთმენლად ცქმუტავს ნათელა.

– ჯოჯოაო, არც ფერ-ხორცი უვარგაო – გამხმარი ტარანი ხომ გინახავს...

– ტარანი ლუღზეა კარგი! – ისევ იცინის შოთა. – გვანჯის ლუდი უყვარს!

- მორჩი უაზრო ქირქილს! - აწყვეტინებს ქმარს ნათელა და ისევ შვილს მიუბრუნდება: - გვანჯი? გვანჯი ჯანდაბას იქით წასულიყოს, ციციწო, ციციწო როგორ არის?
- ხომ გითხარი, ძალიან ნერვიულობდა, მაგრამ გვანჯი ბიბია უკვე ერთი კვირაა, რაც უკანვე მოცუნცულდა...
- რას მელაპარაკები!
- ციციწო დეიდის კაბა ლამის გასაწური გახდა მისი ცრემლებისგან: მაპატიე, შეეცდიო... - დედის დამშვიდება სცადა ნანულიმ.
- ან წასვლა რა იყო და ან მოსვლა! რამდენ ხანში დაბრუნდა?
- თვენახევარი იყო იმ ქალბატონთან... არ ვიცი, იქნებ ხასიათი არ მოეწონა, ან კერძებს ვერ აკეთებდა ციციწო დეიდასავით.
- გვანჯიმ იცის პირის გემო, ტყუილად კი არ არის ჩაკუპატებული შემოდგომის მწვერივით, იმ ქალს მისი რა მოეწონა? - იცინის შოთა.
- მონანია? - სულ არ ეცინება ნათელას.
- შესაძლოა, ცოდვას დავიდებ, ამას რომ ვამბობ, მაგრამ მგონია, რომ თავის ფაიფურის კოლექციასთან განშორება ვეღარ აიტანა! - ხუმრობას არ იშლის შოთა. - უნდა ისეთი ქალი მოეძებნა, უკეთესი კოლექცია ჰქონებოდა!
- მაგ ხუმრობაში სიმართლის მარცვალი ნამდვილად ძვეს! - ამჯერად გაეცინა ნანული-საც...
- შესანიშნავი ფაიფურის სერვიზით მირთმეულ ღმრსაც კი სულ სხვა გემოს ჩაატან! - აგრძელებს შოთა.
- რა გაცინებთ, მამა-შვილი ერთი ჭკუისანი ხართ! - გაბრაზდა ნათელა, მერე რატომღაც თვითონაც გაეცინა...
- ამრიგად, ბატონ გვანჯი კარგაჩავას ოჯახის ორბიტის გარეთ გასეირნება ხანმოკლე გამოდგა - ამ მხრივ "მოსეტიალე ფორვარდმა", როგორც ბოჩიას გვანჯიმ უწოდა, მამას ნამდვილად აჯობა.

\* \* \*

ამ ხანმოკლე გადახვევის შემდეგ, დავუბრუნდეთ ჩვენი რომანის ერთ-ერთ მთავარ გმირს, ბოჩიას, თუმცა, ამ დროსაც დიდად არ დაგშორებივართ.

ბოჩია ფეხს ვერსად იკიდებს სამსახურშიც... უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების დამთავრებამდე კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის და, ბოლოს და ბოლოს, იძულებული გახდა, ყოველდღიური ლუკმაპურის მოსაპოვებლად რაღაც პარტიპურჭა საჭმეებს მოჰკიდოს ხელი, თან კალიასავით დახტის: ერთ სამსახურს თავს ანებებს ან ანებებინებენ და მეორეში იწყებს მუშაობას, მეორეს თავს ანებებს ან ანებებინებენ და გადადის შემდეგ სამსახურში... ბატონ ბოჩია კარგაჩავას "მჩქეფარე" შრომითი საქმიანობის შესახებ მთელი რომანის დაწერა შეიძლება, მე კი მოკლედ მოგახსენებთ.

ბოჩია კარგაჩავას "შრომით წიგნაკში" ჩანაწერები ახალ-ახალი სამსახურის თუ თანამდებობის შესახებ ხშირ-ხშირად მატულობს; ამ წიგნაკში თავისუფალი ფურცლები მალევე მთლიანად შეივსო და დამატებით ჩანართის ჩაწებება გახდა საჭირო... ზოგიერთ მის შრომით ასპარეზს გავიხსენებ, რათა წარმოდგენა მიიღოთ ბოჩიას "უნივერსალიზმზე": ნახევარ წელიწადზე ცოტა მეტ ხანს მოდგავდებოდა საფეხბურთო სკოლაში მწვრთნელად, შემდეგ - ერთი წელი გაძლო საშუალო სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად, სამი თვე დირექტორის მოადგილედ მუშაობდა სპორტული საქონლის მაღაზიაში, მერე და მერე - სხვადასხვა დაწესებულებებში, თითქმის ყველგან - დირექტორის მოადგილედ მომარაგების დარგში... რამდენჯერმე ფინანსური და მატერიალური დანაკლისი აღმოუჩინეს და ბეწვზე გადაურჩა პასუხისგებაში მიცემას, მაგრამ გავლენიანი ძმაკაცები თუ გყავს, ყველა და ყოველგვარ გასაჭირს მოეველება! ყველაზე დიდხანს, ორი სეზონის განმავლობაში, მაღალ ხელოვნებას ემსახურებოდა - ოპერის თეატრის გუნდში მღეროდა! იქ იქნებ მეტ ხანსაც გაეძლო, შესაძლოა, ვოკალური ხელოვნების სერიოზულად შესწავლასაც შესდგომოდა, რასაც დაბეჯითებით ურჩევდნენ, სანამ ჯერ კიდევ გვიანი არ იყო - და, ბოლოს, სოლისტიც გამხდარიყო, ერთი შემთხვევა რომ არა: როცა გუნდში მისი შესაფერი საკბილო ვეღარ ნახა, შემდეგ კორდებალეტში განაგრძო ტურფებზე "ნადირობა", იქ კი, ვაჰ, რა კოხტები, რა კოკროჭინები უბრმავებდნენ თვალებს!.. და ერთ-ერთმა კორდებალეტში მოცეკვავე გოგონამ სასამართლოში უჩივლა: "ცოლად შერთვას დამპირდა, დამაორსულა და ახლა, მიმატოვა, სხვებთან დაეთრევაო". ბოჩიას ისედაც რა ხელოვნებას ჰქონდა, ახლა კიდევ თუ ალიმენტის გადახდას დააკისრებდნენ, მთლად აშენდებოდა... ისევ გაცლა ამჯობინა, როგორც მრავალჯერ სხვა დროსაც, მოსეტიალე ცხოვრება ერთი ტურფიდან მეორისკენ მისთვის უცხო ხილი არ გახლდათ. სასამართლოს სხდომა მრავალჯერ გადაიდო მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო...

მოლხენის მოყვარულ და ხელგაშლილ ბოჩიას ნახევარი ქალაქი იცნობს, მრავალი გულშემატივარი ჰყავს – მეგობარს გასაჭირში ფონს გასვლაში ეხმარებიან: მოსარჩელეს განსაზღვრული თანხა შეუგროვებს და საჩივარი გააუქმებინებს.

ერთ მშვენიერ დღეს კი ბოჩიასთვის, როგორც ითქმის, შავად გათენდა.

ბოჩია კარგა ხანს უმუშევარი დაწანწალებდა, ბოლო დროს თითქმის ერთი თვე დოღო ბურქაძესთან ჰპოვა ნაგსაყუდელი და ძალიან გაუკვირდა, როცა ერთ საღამოს, დაბრუნებულს, ჯერ კიდევ პალტო არ ჰქონდა გახდილი, რომ დოღომ დამცინავი ღიმილით უთხრა:

– დღეს და მომავალშიც სხვა ადგილი უნდა მოძებნო, ჭირიმე!

– მაგდებ? – ბოჩიას პალტოზე ღილების შესახსნელად ამოძრავებული მარჯვენა ხელის თითები გაუშეშდა.

– არა, მეგობრულად ვშორდებით.

– რატომ? რამე ხომ არ გაწყენინე?

– იმიტომ, რომ ვთხოვდები!

– რას ამბობ?

– რატომ გაიკვირე ასე?

– არ გამკვირვებია, პირველად თხოვდები თუ რა?

– აბა, რა?

– რამდენჯერ გითხარი, ცოლად გამომყევი-მეთქი და სულ უარს იყავი...

– ესეც გიკვირს? ძალიან მიამიტი... არა, შემიძლია, დაუფარავად გითხრა: საკმაოდ ჩერჩეტი პიროვნება ბრძანდები!

– ამის რა შემატყვე? ძალიან გამახარე, კიდევ რას იტყვი ჩემზე კარგს?

– შტერი ხარ, აბა, რა: ბიჭო, მართლა არ მინდოდა შენი წყენინება და არ გეუბნებოდი, მაგრამ ელემენტარულ ამბავს თვითონ ვერ უნდა მიხვდებოდა? შენისთანა უნიფხვოს ცოლობას როგორ დავთანხმდებოდი? ჰი-ჰი-ჰი!..

გაბრაზებულმა ბოჩიამ თავი ვედარ შეიკავა:

– ისევე ფულის ტომარა დააბი?

– ყოველ შემთხვევაში, შენ ვერაფერში გაუტოლდები. თუ გინდა, გაგაცნობ და თვითონ დარწმუნდები!

– დამცინი? შენისთანას ათასს ვიშოვი!

– გზა დამილოცნია! თუ ძალიან მოგშივდეს, შეგიძლია, სტუმრად გვეწვიო, ძალიან გაგახარებ!

ბოჩიამ კინადამ შეაგინა, ერთი ლოყაში გემრიელად გალაწუნების სურვილიც ჰკლავდა, მაგრამ თავი შეიკავა, მხოლოდ კბილები გააკრაჭუნა, გუნებაში შეუკურთხა და უსიტყვოდ გაეცალა.

იანვარი იყო და საოცრად ცივი დღეები დაიჭირა, ბოჩიამ აღარ იცოდა, რა წყალში ჩაგარდნილიყო – გამოსავალი არ ჩანდა. მისი ძმაცაყები მუშაობდნენ, დაოჯახდნენ – მასთან ერთად დროსტარებისთვის აღარ ეცალათ...

ახლა, როცა ძალიან გაუჭირდა, ბოჩიამ ლიდიას მონახულება გადაწყვიტა – იქნებ, იქნებ... ერთ დროს ბოჩია ლამაზ ქალიშვილს გაეცნო, ლიდას, რომელიც სტიუარდად მუშაობდა ავიაკომპანია “აეროფლოტში” და ერთხანს მასთან ცხოვრობდა. ერთხელ ეს ბორტგამცილებელი მოულოდნელად დაბრუნდა შინ – ავიარეისი უამინდობის გამო მეორე დღისთვის გადაიდო – და ლიდა გადგებულ კარში გაშეშდა: ბოჩია ვიღაც ქალთან ნებეზრობდა ლოგინში... ბინაში ტელეფონი არ იყო და ნეტა როდის მოასწრო ბოჩიამ მისი “შებმა”?.. ან კარი მაინც ჩაეკეტათ... ახლა სწორედ ეს ქალიშვილი გაახსენდა ბოჩიას, იქნებ როგორმე ლიდასთან შერიგება მოახერხოს? მაგრამ ამჯერადაც კოვზი ნაცარში ჩაუგარდა: მეზობელმა უთხრა, რომ ლიდა უკვე რამდენიმე თვეა, იქ აღარ ცხოვრობდა: თვითმფრინვაში ვიღაც მდიდარი გერმანელი გაუცენია, მასზე ათი წლით ხნიერი, იმ გერმანელს მოსწონებია და ლიდა ცოლად გაჰყოლია – ამჟამად დასავლეთ გერმანიაში ცხოვრობს...

ახლა რაღა ჰქნას? თავის შესაფარებელი არსად აქვს, სადგურში ხომ არ მივიდეს ღამის გასათევად?

ბოჩიამ შემთხვევით გაიგო, რომ დოღო ჯერ არ გათხოვილიყო... თავმოყვარეობას გადააბიჯა და გადაწყვიტა, მასთან შინ მისულიყო – იქნებ მოეხერხებინა და რამენაირად ქალის გული გაეთბო, რომ რამდენიმე დღით მაინც შეიხიზნოს...

ბოჩია ვაკეში დოღოს ხუთოთახიანი ბინის კარს მიაღმა და ზარის ღილაკს მიაჭირა თითი.

უფროსებიდან მხოლოდ ნაცნობი, ლაქლაქის მოყვარული მოახლე ქალი დახვდა, რომელმაც ოჯახის ძველი ნაცნობი შინ შეიპატიჟა, ცხელი ჩაიც დააღვინა, ნამცხვრითაც გაუმასპინძლდა და თან ახალი ამბავი უამბო: ამ დღით, ახალგათენებულზე, დოღო საავადმყოფოში წაუყვანიათ... ახლა უკვე კარგად ყოფილა, მაგრამ მისი მშობლები მაინც თავს ადგანანო... მაინც, რა მოხდა? დოღო ვარაზისხევში ავტოავარიაში მოხვედრილა. თვითონ მჯდარა საჭესთან, მაგარი მთვრალი ყოფილა, დაღმართში მეტისმეტი სიჩქარით გაუტია, ავტომანქანა გზას ასცდა და ჭადარს შეეჯახა. “ვოლგა” ხომ ჯართად იქცა, შიგ მყოფნი, – ორი ქალი და ორი კაცი, – ყვე

ლანი საავადმყოფოში გახდნენ წასაყვანნი... ოთხივენი, გატრეტილი მთვრალეები, ძლივს გამოიყვანეს დაჭეკვილი მანქანიდან და – მოახლემ ერთი პიკანტური დეტალიც დაამატა, ნეტა საიდან გაიგო? – ოთხივეს შიშველ ტანზე მხოლოდ ძვირფასი ქურქის პალტოები ჰქონდათ თურმე ჩაცმული...

\* \* \*

აპრილის ბოლოს ბოჩიამ მის ძმაკაცს, ტახო ბარაქაშვილს, შვილი მოუნათლა, შემდგომ ტახოს ბინაში მოილხინეს კიდევ; ტახოს მეგობრებს ყველას ცოლები ახლდნენ თან, ზოგს – პატარა შვილებიც, რომლებისთვისაც ცალკე გააწყვეს პატარა მაგიდა.

ბოჩიას ნანული გაახსენდა და პატარა ციციწო...

როგორ აწოგებდა ნანული ძუძუს პატარა ციციწოს, როგორ დაჰფოფინებდა...

როგორ აღერსიანად ექცეოდა ნანული დედამთილსა და მამამთილს... თვითონ ბოჩიასაც, ბოჩია კი რა უკმენად ელაპარაკებოდა, ერთ სააღერსო სიტყვას არ გაიმეტებდა მისთვის... საკუთარი თავი შესძაგდა, მისთვის გემო დაკარგა ღვინომაც და ნუგბარმა კერძებმაც; სადღეგრძელოებსაც აღარ აქცევდა ყურადღებას, იჯდა და ფიქრობდა...

ბოჩიას დედ-მამამის ათასგზის გამეორებული რჩევა, – გეყო აღმა-დაღმა უაზრო და უთაფროლო წოწილი, დროზე მოეგე გონს და ჩვენსკენ, ოჯახისკენ, ქენი პირო, – ჭკუაში დაუჯდა და ციციწოსთან, გვანჯისთან, ნანულისთან და უკვე წამოჩიტულ ქალიშვილთან მართლაც დაბრუნდა...

ერთ თვეში ბოჩია ნანულისთან ოფიციალურად დაქორწინდა!

ბოჩიასა და ნანულის მშობლების მეცადინეობით საკმაოდ უხვი სუფრა გაიშალა კარგანავების ოჯახში და აბა, თუ მიხვდებით, ამ ქორწილში თამადად ვინ იყო?... მინდია!.. ბოჩიამ მას გული მრავალჯერ კი ატკინა, მაგრამ, დაქორწინებულთა მშობლებისა და ნანულის ხათრით, ითავა ეს დიდად გასახარი და საპასუხისმგებლო საქმე...

ბაიაც დაპატიუებული იყო ქორწილში, მაგრამ გადაჭრით უარი თქვა იქ წასვლაზე, თუმცა მინდია, მისი ქმარი, დიდხანს უმტკიცებდა: “კარგს იზამ, თუ ერთად წავალთ, უკვე დროა, ძველი წყენა წყალს გაატანო”.

\* \* \*

ძალიან ხომ არ გამოგრძედა თხრობა? გეცდები, აწი მხოლოდ მთავარ მოვლენებს მივაქციო ყურადღება და ისინიც მოკლედ მოგახსენოთ...

ეს წელიც გადაგორდა და შემდეგი წლის მარტში ბოჩიასა და ნანულის მეორე შვილი შეეძინათ, ისევ გოგო; ბოჩიას ბედი სწყალობს – შვილები სულ ქალიშვილები ჰყავს! სხვა ქალებთანაც!

სექტემბერში ნანულისა და ბოჩიას უფროსი ქალიშვილი, ციციწო, სკოლაში შეიყვანეს – პირველ კლასში!.. სექტემბერშივე მოხდა კიდევ ერთი სასიხარულო მოვლენა: ოჯახის წევრთათვის მოულოდნელად, ნანული ისევ დაფეხმძიმდა... ნანული ბედნიერია და ცდილობს, ბოჩია საბოლოოდ “მიიჯაჭვოს”!

ამჯერად ზაფხულის დასაწყისში ტყუპები დაიბადნენ – ბიჭები! ბოჩია თავიდან დიდად უკმაყოფილო იყო ცოლის გადაწყვეტილებით, კიდევ ერთი ბავშვი უნდა გაეაჩინო, ახლა კი გაგებულა სიხარულით; ბავშვს პაპების სახელები – გვანჯი და შოთა – დაარქვეს...

ნანული იქაღნის: გაჩერებას არ ვაპირებ და რამდენჯერაც დაფეხმძიმდები, იმდენჯერ ვიყოლიებ შვილსო!

ბოჩია რაღას ამბობს? როგორც ჩანს, უკვე ყველაფერზე თანახმაა და ამჯერად არც სადმე გაქცევას აპირებს: ალბათ დიდად სიამოვნებს, ერთი წლის პატარა ქალიშვილი რომ აღერსიანად უტყაპუნებს მელტოტზე პატარა ხელისგულებს... მას მალე ტყუპი ბიჭები შეენაცვლებიან, ახლა კი მათი დნავილი მაინცდამაინც არ აწუხებს... თანაც: თანამდებობის პირს აღარ ეპატიება ამჩატება – როგორც იქნა, იურისტის დიპლომს ეღირსა და მალევე (კაკი დიალხიძის ძალისხმევით – რა კარგია, როცა შენი სკოლის ამხანაგი გაველენიანი თანამდებობის პირი გახდება!) – პირდაპირ მილიციის ერთ-ერთი რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილის თანამდებობაც გაუჩარხეს! ამასთანავე, განსაკუთრებული პატივიც დასდეს – მრავალშვილიანი ოჯახის პატრონი სადმე შორს, რაიონში კი არ გაუშვეს, თბილისში მოუძებნეს მშვენიერი ადგილი! თან დაჰპირდნენ: ცოტა ხანში ახალი ბინის მიღებასაც მოგილოცავთ... ბატონი ბოჩია კარგაჩავა, იმაგრდროულად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატიც გახდა – როგორც თანამდებობის პირს შეჰფერის!

ჰო, არც იმას დავმალავ, რომ... წანწალს გადაჩვეულ, დადინჯებულ ბატონ ბოჩიას (ერთი ხანია, ყველა ბატონობით მიმართავს!) ადრე თუ პატარა, კოხტა ღიპიკო წამოეპარა, ახლა სრულფასოვანი ბატონი ღიპის მფლობელი გახდა (არც ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული ადამიანები, რომელთაც ყველაფერი უხდებათ!) – ჯიში თქვი შენ, ბატონ გვანჯის სიმალღეში თუ არა, ამაში მაინც დაემგვანა! – და კიდევ უფრო იმპროზანტური იერი მიეცა. იმედია, მამას მწიგნობრო-

ბაშიც გაეჯიბრება – აწი სამსახურისგან თავისუფალ დროს თითქმის სულ შინ იქნება – თუ, რასაკვირველია, მისდამი რწმუნებულ ტერიტორიაზე კრიმოგენური ვითარება მეტისმეტად არ დაიძაბა (ვხუმრობ!) და, თუ მცირეწლოვანმა შვილებმა ამის საშუალება მისცეს, წიგნებსაც ჩაუჯდება – ალბათ ძველ დროს გაიხსენებს: როცა სკოლაში VIII-IX კლასებში სწავლობდა, კითხვის ტრფიალი იყო... უფროს ქალიშვილს, მერე კი, დრო მოვა და სხვებსაც, მათ შესაფერის წიგნებს წაუკითხავს, განსაკუთრებით – ძველ, საყვარელ სათავგადასავლო ამბებს, აგრეთვე სხვებსაც: იმ ნეტარსენებულ ძველი დროებიდან მოყოლებული, ბევრი, ძალზე ბევრი ახალი წიგნიც გამოქვეყნდა!

ნუთუ ბოჩიას ცხოვრებაში დამთავრდა “ქარიშხლისა და შეტევის” ახალგაზრდული გზნება? დიახ, თანამდებობის პირს სხვა რამ მოეთხოვება – სიდინჯე და წინდახედულობა... თუ ერთხელაც იქნება და ძველ ჩვევებს გაიხსენებს? ვნახოთ... ჯერჯერობით კი რბილი სავარძელი ერთ ადგილს საკმაოდ უთბობს, ოჯახშიც სრული სიამტკბილობაა და რა რჯის, აუტკივარი თავი აიტკივოს, ავანტიურების ჩვეულ ტალღებში შეცუროს? თუმცა... ვინ იცის დანამდვილებით, მომავალში რა ბუზი უბენს და მისი ხუმტურების იალქნებს ქარი საიდან დაუბერავს და საით გააქანებს!

### კარი XIII.

#### ეპილოგი. ბაია, ნანული, ბოჩია, მინდია

ჩვენი ოთხი გმირის – ბაიას, ნანულის, ბოჩიასა და მინდიას – ამბავის დასასრულსაც მივადექით – “საჭადრაკო პარტიის” “ენდშიპილს”...

რასაკვირველია, როგორც ითქმის, ცხოვრება გრძელდება და, რა თქმა უნდა, კვლავაც გაგრძელდება... გაგრძელდება და გაგრძელდება, სანამ რაღაც კოსმოსური მასშტაბის კატასტროფული მოვლენა დედამიწაზე სიცოცხლეს საერთოდ მოუღებს ბოლოს; მაგრამ იმ დღემდე, როგორც მეცნიერები გვარწმუნებენ, ჯერ ძალზე შორს ვიმყოფებით და ჩვენ, ჯობს, ჩვენს საქმეს მივუბრუნდეთ.

ათ წელზე მეტი გავიდა, რაც ბაიამ, ნანულიმ, ბოჩიამ და მინდიამ საშუალო სკოლა დაამთავრეს. ყოველი მათგანის ცხოვრების ეტლმა დამოუკიდებელი რბოლისას თავდაპირველად ოღონდროს გზა განვლო და ამჟამად შედარებით სწორ მონაკვეთზე გავიდა: უმფოთველად მიგორავს მომავლისკენ – მოულოდნელი, მკვეთრი ზიგზაგებისა და შემაწუხებელი რყევების გარეშე...

შუა სექტემბრის შაბათი დღე იყო, როცა ჭიჭეგორაძეების ბინაში ტელეფონმა დარეკა. ყურმილი მინდიამ აიღო:

- გისმენთ!
- გამარჯობა, ჭიჭეგორაძეების ბინაა? – იკითხა ქალის მელოდიურმა ხმამ.
- დიახ, ვინ გნებავთ?
- ბაიას თხოვეთ, თუ შეიძლება!.. მინდია, შენ ხარ?
- დიახ, გისმენთ...
- ვერ მიცანი? ნუციკო ვარ!

მინდია გაჩუმდა, ეუხერხულა, ეკითხა, რომელი ნუციკო ბრძანდებითო... პაუზის შემდეგ ყურმილში ისევ გაისმა ხალისიანი ჟღერტული:

- ნუციკო, ვარ, ნებიერაშვილი!
- გამარჯობა, ნუციკო, ბოდიში, მართლა ვერ გიცანი! გამდიდრდები, გამდიდრდები!
- ღმერთმა გისმინოს!
- ასეც იქნება, უეჭველად! როგორ ხარ?
- მშვენივრად, მშვენივრად! იცი, მაისში დისერტაცია დავიცავი!
- მომილოცავს, მომილოცავს! ბოდიში, რომ დროზე ვერ მოგილოცე, არ ვიცოდი, თორემ უეჭველად დავგწერებოდი. ალბათ უკვე სადოქტოროზეც ფიქრობ! – გაეხუმრა მინდია.

– აბა რა! – ნუციკოს ხმაში კმაყოფილება იგრძნობოდა. – უკვე თემა მაქვს ალებული და მასალების შეგროვებაც დავიწყე!

- უეჭველად დიდი მეცნიერი იქნები! რას ეხებოდა შენი სადისერტაციო ნაშრომი?
- გაინტერესებს? სათაური ასეთი აქვს: “მოტივაციის განვითარების გაცნობიერებული და ქვეცნობიერი სტადიების ფსიქოფიზიოლოგიური მექანიზმების ერთი ასპექტის შესახებ”... როცა შევხვდებით, დისერტაციის ავტორეფერატს მოგართმევ!

- დიდი მადლობა!
- რა თქმა უნდა, გულთბილი წარწერით!
- ყოჩაღ! მაგარი გოგო ხარ! ჰოდა, უეჭველად მოკლე ხანში სადოქტოროსაც დაიცავ და მაშინ უეჭველად გამოვასწორებ ჩემს დანაშაულს! სხვა მხრივ ხომ ყველაფერი კარგადაა, როგორ ხარ? ხომ არ გათხოვდი?



– ჯერჯერობით – არა... – მხიარულად პასუხობს ნუციკო, მაგრამ მინდია გრძნობს – ერთგვარად ნაძალადევი ეს სიმხიარულე...

კლასში ნუციკო ბაიას უწევდა მეტოქეობას სილამაზით, ხოლო ნანულის – სიბეჯითით; ნიჭიერიც იყო: კაკი დიაოხიძესთან და ბაიასთან ერთად, ყოველთვის თითოთ საჩვენებელი ფრიალოსანი გახლდათ, აქტიურობით ხომ ბიჭებსაც ტოლს არ უდებდა. არც მომხიბვლელობა აკლდა, ბავშვური გადამდები სიცილი იცოდა და ამ დროს ჩაწიკიკებულ, თეთრ კბილებს რომ გამოაბრწყინებდა, ამხნევი: მარცხენა მხარეს ზედა საჭრელი კბილი ირიბად ჰქონდა ამოსული; მე რომ მკითხო, ეს “ნაკლი” ნუციკოს რაღაცნაირად ეშხს მატებდა კიდევ... მაგრამ – საოცარი არ არის? – ჯერ კიდევ გაუთხოვარია!.. მისი კლასელი გოგოები ყველანი გათხოვდნენ (ბაიამ კი ორჯერაც მოასწრო დაქორწინება!), ზოგიერთნი გარეგნულად – ერთობ შეუხედავნიც და შვილები ჰყავთ, აგერ ნანულის ქალიშვილი უკვე სკოლაში დადის... კიდევ უფრო საოცარი ის არის, რომ, რამდენადაც მინდიასთვის არის ცნობილი, ნუციკოს თაყვანისცემელი არასდროს ჰყოლია! არადა, სიცოცხლით სავესე, ენერგიული გოგოა, ბუნების წყალობით არაფერი აკლია: სახე, ტან-ფეხი, სიკეთე, დამყოლი ხასიათი, არც ჭკუა და ნიჭი დაეწუნება, სანაქებო განათლება... არც წუნია – უეჭველად მშვენიერ ოჯახს შექმნიდა, მაგრამ, ეტყობა, ბედი არ სწყალობს, იმედი ვიქონიოთ – მხოლოდ ჯერჯერობით! ფსიქოლოგს, თანაც – ქალს, თანაც – ხარისხის მქონე მეცნიერს, წესით, პირადი ბედნიერების საკითხის მოგვარება აღრეც არ უნდა გასჭირვებოდა!

– მინდია, რატომ დაგირეკე, იცი? შენთან ერთი თხოვნა მაქვს... ბოჩიას და კაკის უკვე დავურეკე და ყველანი ერთად უნდა შევიკრიბოთ... ხომ იცი, უკვე ათი წელი გავიდა, რაც სკოლა დავამთავრეთ, და აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ... ხომ ხარ თანახმა?

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა!

– ჰოდა, ეს ოთხი კაცი შევიკრიბოთ და დავთქვათ, სად ვიქიფოთ და როდის... მთელმა კლასმა... ბოჩიას და კაკის უკვე შევუთანხმდი: ხვალ, კვირადღეს, მოხვალ ჩემთან სახლში და იქ მოვითათბირებთ... ხომ შეძლებ მოსვლას?

– კარგი, შენი ჭირიმე! აუცილებლად მოვალ.

ნუციკომ საკუთარი ბინის მისამართი მისცა და შეთანხმდნენ – საღამოს ხუთი საათისთვის მასთან შეიკრიბებოდნენ.

სიამოვნებით მინდა, აღვნიშნო: დათქმული შეხვედრა დათქმულ დროს მართლაც შედგა, ამასთანავე, ის საღამო მშვენივრად გაატარეს: ნუციკომ წინა დღეს გააკეთებული ლობიო გააცხელა, – მშვენიერი რამ იყო! – სახელდახელოდ ხაჭაპურებიც დააცხო ბლომად, სალათი, ორნაირი მხალი და მშვენიერი ღვინოც ჰქონდა; მერე კი ახლო სახინკლედან ბოჩიამ ასი ხინკალი, ლუდი და ერთი ბოთლი არაყიც მოიტანა... ხილი და ტკბილეულობა აკლდა სუფრას, მაგრამ სტუმრები მხოლოდ მამაკაცები იყვნენ და ეს ნაკლი დიდად არ უგრძენიათ.

შემდგომ კვირადღეს ნუციკომ არ დაიზარა და პირადად დაიარა ყოფილი ჯგუფელები, ვისი მისამართის გაგებაც შეძლო (კაკი დიაოხიძემ თავი გამოიღო – ნუციკოს საგანგებოდ ამ საქმისთვის კაკის პერსონალური მანქანა ემსახურებოდა). ნუციკო ყოფილ თანაკლასელებს შეუთანხმდა, რომ ერთი კვირის შემდეგ ერთად შეკრებილიყვნენ და გემრიელად მოეღხინათ – აღვნიშნათ სკოლის დამთავრების ათი წლისთავი. უკვე თითქმის ერთი წელი იყო საიუბილეო თარიღს გადაცდენილი, მაგრამ ნუციკომ ყველას შეახსენა ძველი სიბრძნე: “სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!” და არც უკლებლივ ყველას მხრივ თანხმობის მიღება გასჭირვებია.

თუმცა, დაწყობილ გეგმას შეფერხება გამოუჩნდა... ჯერ შეკრება, კაკი დიაოხიძის წინადადებით, მის ახალმიღებულ დიდებულ ბინაში უნდა გამართულიყო, მაგრამ კაკის ცოლმა დაუყოვნა, რომ ისეთი თანამდებობა გიჭირავს, ფრთხილად უნდა იყო – შურიანი და შარბანი მეზობლები გყავს და გიჩივლებენ... მერე სუფრის გაშლას ბაიასთან ოჯახში აპირებდნენ – მას ამ საქმისთვის შესაფერისი დიდი ბინა ჰქონდა, მაგრამ გადაიფიქრეს – ბაიას მამის, ბესოს, გარდაცვალებიდან ერთი წელი ის-ის იყო გავიდა და უხერხულად მიიჩინეს; რაც მთავარია, ბაია ფეხმძიმედ იყო, ორ ბავშვსაც მოვლა სჭირდებოდა (გიორგიმ ფეხი აიღვა, ნათია ოთხი წლისა გახდა, საოჯახო საქმეში კი დამხმარე, მინდიას გარდა, არავინ ჰყავდა – ბაიას ბებია, პასიკო, ორი წლის წინ გარდაიცვალა). ამიტომ, სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, საქეიფოდ დათქმული დროის კიდევ ერთი კვირით გადაწევა მოუწიათ. საბოლოოდ, საღმინო სუფრა ოქტომბრის დასაწყისში ერთ კვირადღეს გაიშალა რესტორანში “გაუმარჯოს პურმარილიან კაცსა!”.

მობრძანდნენ: მინდია და ბაია, რომელმაც შავები ცოტა ხნის წინათ გაიხადა, ბოჩია და ნანული და მათი ყოფილი თანაკლასელები – სულ თერამეტი კაცი და ქალი; ერთნი – ქმრებით, მეორენი – ცოლებით, ასევე – ათამდე მათი ბავშვიც... ერთი წყვილი კი, ცოლ-ქმარი, ციალა და ჯუმბერი (პირველი კლასიდანვე თანაკლასელები იყვნენ და სკოლა დაამთავრეს თუ არა, მაშინვე დაქორწინდნენ!) – ხუთი ბავშვით მოვიდნენ! და ციალა ისევ ფეხმძიმედ იყო!

ნუციკომ თამადის არჩევამდე წაიკითხა იმათი სია, ვისაც მათ კლასში საერთოდ უსწავლია თერთმეტი წლის განმავლობაში. აღმოჩნდა, რომ ასეთი ოცდათექვსმეტი მოწაფე ყოფილა: რამდენიმე დარჩა ამა თუ იმ კლასში და მათ ჩამორჩა, ზოგი – სხვა სკოლაში გადავიდა, ზოგიც – მათ კლასში სხვა სკოლიდან გადმოვიდა... ბოლო, მეთერთმეტე კლასი ოცდაშვიდმა მოწაფემ და-

ამთავრა, აქედან პირველიდან მეთერთმეტე კლასამდე ერთად გაიარა მხოლოდ თორმეტმა; სამ-წუხაროდ, მათგან ორნი – ნუგზარ თავყვავილაძე და სულხან დაღმათითაძე – უკვე კარგა ხანია, აღარ იყვნენ ამქვეყნად...

კაკი დიაოხიძე რატომღაც არ მობრძანდა, არადა, მას უნდა ეთამადა, ასე იყვნენ შეთანხმებული. უცადეს, უცადეს და მერე შინ დაურეკეს; ცოლმა – შინ არ არის, დიდიდან წავიდაო... მეტი აღარ დაურეკავთ: კაკის დონის თანამდებობის პირს დასვენების დღესაც სამსახურში უამრავი საქმე გამოუნდებდა ხოლმე და ვერ მოაგონებდნენ! ისე კი, თვითონ რომ შეეცდებინებინა მეგობრებისთვის, ბოდიშს ვიხდი, ვერ მოვიცილი მოსასვლელადო, ღმერთი არ უწყენდა, მაგრამ რას იზამ – ბატონი კონსტანტინე დიაოხიძე დიდი კაცია, ამგვარი წვრილმანი ეპატიება.

თამადად, – დიდი ხვეწნა არ დასჭირვებიათ დასაყოლიებლად, – ბოჩია აირჩიეს, სულ ხუმრობა-ხუმრობით მიჰყავს სუფრა!

პირველი სადღეგრძელო, რა თქმა უნდა, ბავშვობის მეგობრების თავშეყრისა იყო, მეორე კი ბოჩიამ მიუძღვნა მათ საყვარელ, მარად დაუფიწყარ მასწავლებლებს, რომლებსაც მათი ყოველმხრივი წვრთნისთვის ძალ-ღონე არ დაუზოგავთ, ისინი დააფრთიანეს ცხოვრების მღელვარე ოკეანეში საიმედოდ ცურვისთვის! სამწუხაროდ, რამდენიმე მათგანი უკვე აღარ იყო ცოცხალი... ბოჩიამ სინანული გამოთქვა, რომ დროულად ვერ მოისახრეს, რათა ზოგიერთი მასწავლებელი მაინც მიეპატიებინათ ამ სუფრაზე; რაოდენ სინარულს მიანიჭებდნენ ამით მათ და თვითონაც როგორ გაიხარებდნენ ყოფილი მოწაფეების ხილვით და გახალისებდნენ მათთან საუბრით! რამდენ რამეს გაიხსენებდნენ! ბოლოს, ბოჩიამ იმედი გამოთქვა, რომ თანაკლასელთა შემდეგი შეხვედრა ხუთი წლის შემდეგაც გაიმართება, თუ უფრო ადრე არა, და მაშინ კი, რა თქმა უნდა, მათთან ერთად აუცილებლად იქნებიან მათი საყვარელი მასწავლებლებიც...

შემდეგ სადღეგრძელომდე დიდი დრო გავიდა, რადგან დაიწყეს მოგონება სასკოლო ამბებისა, უმეტესად – სასაცილოსი; ყოველ მათგანს რაღაც განსაკუთრებით დამახსოვრებოდა და სურდა, სხვებისთვისაც გაეხსენებინა, უმრავლესობას – მათი ახლანდელი სუფრის თამადის “ფოკუსები”... უფრო – ბოჩია ამოიჩემეს: სიცილით იხსენებდნენ მის არცთუ უბოროტო “გართობებს”: როგორ არ ბეზრდებოდა ნაირ-ნაირი ხერხების მოგონება თანაკლასელების საწვალეებლად – ბიჭებისაც და გოგოებისაც... მასწავლებლებსაც სისხლს უშრობდა!

საერთო ჟრიაშულში მხოლოდ ბაია, ნანული და მინდია არ ჩართულან; ბოჩიაც ჩუმად იყო, მხოლოდ იღიმებოდა და მოთმინებით ელოდა, როდის მიწყნარდებოდა სიცილი და საშუალება მიეცემოდა, მორიგი სადღეგრძელო შეეთავაზებინა იქ მყოფთათვის.

– ჩემთვის არასოდეს უწყენინებია! – ხმა აღიმადლა ქმრის დასაცავად ნანულიმ, როცა შეატყობ, რომ სასაცილო მოგონებათა ნაკადი არა და არ წყდებოდა, პირიქით – ბოჩიას ოინების ყოფილი “მსხვერპლნი” უფრო და უფრო ფიცხდებოდნენ.

– აბა, რა, ერთი გაებედა! მაშინ აღარ უკარნახებდი! – უპასუხა ნუციკომ.

სხვათა შორის, სხვებისგან განსხვავებულ, ნუციკოს არაფერი უთქვამს ბოჩიას “გმირობათა” შესახებ – მის მიმართ ბოჩიას მხრივ უკეთური ქმედება ვერაფერი გაიხსენა, თორემ სხვებს დაასწრებდა ამის აღნიშვნაში; იქნებ ახლა გულს დააკლდა კიდევ, რომ ბოჩია მას არასდროს არც კინკრიხოში წკიპურტით გამასპინძლებია, არც ნაწინავეში მოუქანავს, არც შინიდან წამოღებული საგზალი წაურთმევია... ნუციკო ალბათ ერთადერთი მოწაფე იყო კლასში, რომელსაც ბოჩია არ აწვალებდა. რატომ მოხდა ასე, ძნელი სათქმელია – ის კი დაბეჯითებით შემძლია ვთქვა, რომ, თუმცა ნუციკო ნამდვილად ითვლებოდა ლამაზ გოგოდ, ბოჩიას ის რატომღაც არ მოსწონდა... წარმოუდგენელი იყო, ნუციკოს სკოლაში დაეგვიანა, დავალეა არ ჰქონოდა შესრულებული ან უმიზეზოდ გაკვეთილი გაეცდინა – თუნდაც კინოს სანახავად; და იქნებ სწორედ იმის გამო, რომ ნუციკო ყოველთვის ყოველმხრივ მოწესრიგებული იყო, ბოჩია მას “ვერ ამჩნევდა”...

როცა ბოჩიამ წარმოთქვა ციალასა და ჯუმბერის სადღეგრძელო, განსაკუთრებით აღნიშნა მათ მამულიშვილური მისწრაფება, იყოლიონ მრავალი შვილი და უსურვა, სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად, მიღწეულით არ დაკმაყოფილებულიყვნენ!

– ჩვენ შენ მოგბაძეთ! – გაეხუმრა ციალა. – გცდილობთ, დაგეწოთ, ამისთვის კი საჭიროა, მოგვახსენო, რამდენით გვაჯობებ? ძალიან მაინტერესებს! მე და ჯუმბერმა ხომ უნდა ვიცოდეთ, რამდენით ჩამოგრჩით! გოგოებმა ვთვალეთ, ვთვალეთ და... ხუთი შვილი რომ გყავს, ეგ დანამდვილებით ვიცი და მერე რამდენი დაგვემატებინა, ვერ შეგთანხმდით: ორი, სამი თუ მეტი... გაგვანათლეთ, თუ კაცი ხარ!

ბოჩიამ ვითომ ვერ გაიგონა ციალას დამცინავი შეკითხვა და უნდოდა, ჩვეულებრივ განეგრძო თამაღობა, მაგრამ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა სხვა ქალებმაც მოსთხოვეს, მართალია, ხუმრობით, მაგრამ მაინც...

– მოგვახსენე, ჭირიმე, რამდენი შვილი გყავს?

– ნუციკომ ყველაფერი იცის ამ ქვეყანაზე! ამ ამბის გარდა...

ადრე თუ ბაია ხშირად აქილიკებდა ბოჩიას, ახლა აღარ გაეხუმრებდა ხოლმე, მეტიც – დღეს საერთოდ არ დალაპარკებია... ამ სუფრაზე ბოჩია ნუციკომ ამოიღო მიზანში, თუმცა საერთოდ არ ახასიათებდა ენამწარობა, არასდროს ცდილობდა ვინმე გაეკილიკებინა.

- ჩვენ დათვლა დავიწყეთ და ვერაფრით შევთანხმდით... - გაიცინა ნუციკომ. - ზოგი ამბობს, ექვსი ჰყავსო, ზოგი - შვიდიო, ზოგმა სულ აგაშენა - ათამდე ავიდა! შენ რას გვეტყვი? დაგვიზუსტე!

ქალთა ყავანი შენელდა: რას უპასუხებს ბოჩია?

- ძალიან გაინტერესებს? - პასუხის ძიებაში დროის მოგებას ცდილობდა ბოჩია.

- მაინტერესებს რომელია, მაგრამ შენი გასაჭირიც გასაგებია ჩემთვის: მრავალშვილიანი მამა რომ ხარ, კი ვიცით, მაგრამ ზოგი შვილის არსებობა ალბათ შენც არ იცი! ან იცი და ვერ იხსენებ, დავიწყებული გყავს!

- ჰოდა, რაც იცი, ის მაინც მოგვახსენე! - კიდევ ერთი ქალბატონი ჩაერთო, მადონა ბუშეინკილაძე - ბოჩიას საწინააღმდეგო ქალთა "კოალიცია" შეიკრა!

- გაუჭირდება, აბა, რა: არ გახსოვთ, მათემატიკაში მოიკოჭლებოდა, სულ ნანულის იმედად იყო - კისერი მოღრეცილი ჰქონდა გვერდზე ყურებით - გადაწერა ეხერხებოდა! - განაგრძობდა თავისას ნუციკო.

ბოჩიამ ქალთა შემოტევის ისევ ხუმრობაში ჩატარება სცადა და წამოიძახა:

- მაცალეთ თამადობა და გულს არაფერზე დაგწყევტო! ხომ გითხარით, ცოტა მაცალეთ, მეც ხომ უნდა დაეთვალო!

ქალები სიცილით გადაფიჩინდნენ:

- უი, გაგიხმა თავი!

- გამოსათვლელი მანქანა ხომ არ მოგიტანოთ?

- რით ვერ დათვალე, მილიციონერი ტყუილად ხარ?

ბოჩიამ ნუციკოს გულის მოგება გადაწყვიტა და შემდეგი სადღეგრძელო მას მიუძღვნა; აღნიშნა მისი თავგამოდება საერთო საქმისთვის, - შენი ძალისხმევის გარეშე ახლა აქ არ ვიქნებოდით შეკრებილნი ამ გემრიელ და ტკბილ სუფრასთანო; სხვა კეთილ სურვილებთან ერთად, არც მისი მალე გაბედნიერების წადილი დაგიწყებია, თან დაამატა:

- მე თუ არა, ციალასა და ჯუმბერს მაინც მიბაძე! ხომ ხედავ, როგორ შრომობენ, შენს გასაკეთებელ საქმესაც კისრულობენ, ჰოდა, შენც გაანძრე ცოტა ხელი, შეეხიდე - დროზე გათხოვდი, რომ ერთი ოთხი-ხუთი შვილის ყოლა მოასწრო!..

ნუციკომ სამადლობელ სიტყვაში ისევ აღნიშნა, რომ პირველობა ამ სუფრაზე მას, ბოჩიას, ეკუთვნის და არა - ციალასა და ჯუმბერს!

- მაინც რით გვჯობნის? - რატომღაც ეწყინა ციალას. - მილიციის უფროსი რომ არის და ჩვენი ყველას დაჭერა შეუძლია?

- ნუ გეშინიათ, ხალხო, ამჯერად გადავჩნით: ფორმაში გამოწყობილი არ მოსულა! - წამოიძახა მადონამ.

- მაგით არა, მრავალშვილიანობით! - დააზუსტა ნუციკომ, მერე გვერდიგვერდ მსხდომ ნანულისა და ბოჩიასთან მივიდა და ცოლ-ქმარს ხელები მოხვია: - დამთავრდა ჩვენი გმირის ბაი-რამობა! გარე-გარე ბევრი კი ისეირნე და, ბოლოს, მაინც გაები, ჩიტო, მახეში?!

ნანული ბოჩიას გამოექომაგა:

- კარგი, გოგოებო, თუ ასე გსიამოვნებთ, მე რომ არ ვიქნები, მაშინ გაუხსენეთ ძველი ცოდვები ჩემს ქმარს! ახლა გეყოთ მასხარაობა, თორემ სუფრიდან გაგვექცევა! თამადას ახალს კი ავირჩევთ, მაგრამ ვინდა გვიმღერებს! - მერე ქმარს მიმართა: - ბოჩო, თუ გინდა, ქალებს გადაურჩე, ერთი ლამაზი სიმღერა გვაჩუქე! მეც მოგესმარები!

- რა მემღერება, ქალო, ხომ ხედავ, ამ ყვავებმა ლამის ბოლომდე გამპუტეს!

- რაღა დაგრჩა გასაპუტი, თავზე აღარაფერი გაქვს! - გაიცინა ნანულიმ და ქმარს მელოტ თავზე აღერსით გადაუსვა ხელი.

- კარგი, ჰო, ცოტა მაცალეთ, ჩემს ცოლს დავათვლევინებ, რამდენი დერი თმა შემრჩა და გეტყვით!..

- ჯერ შვილები დაითვალე! - დაუყვირა ციალამ, მაგრამ ქალთაგან მხარი აღარავინ აუბა - მოყირჭდათ მასხარაობა...

- ეს ციალა ვინ ყოფილა, როგორ უძლებს ქმარი? - გადაუჩურჩულა ნანულის ბოჩიამ.

- ამ ხნისა მოიყარე და ქალების ხასიათი ვერ ისწავლე? - უპასუხა ნანულიმ.

- ახლა, მეგობრებო, მე მინდა, მორიგი სადღეგრძელო შემოგთავაზოთ... - ფეხზე წამოდგა თამადა. - ტკივილიანი სადღეგრძელოა, მაგრამ აუცილებელი - ამ სუფრაზე რომ არ ითქვას, შეუძლებელია... მოდით, ჩვენი საყვარელი ძმების, ჩვენგან უდროოდ წასული სულხანისა და ნუგზარის ხსოვნას მივაგოთ პატივი, მათი არდავიწყება იყოს, მათი წმინდა სულები, საცა არიან, იქ გაანათლოს უფალმა...

რა თქმა უნდა, ბოჩია კომუნისტური პარტიის წევრია, ისე, ცხადია, მას თანამდებობას არავინ უბოძებდა, მაგრამ ამჯერად თამადის გაქილიკების საბაბს არავინ იყენებს - უფრო ალბათ სადღეგრძელოს ხათრით...

ეს ბიჭები სრულიად ახალგაზრდები დაემშვიდობნენ ამ წუთისოფელს.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ნუგზარ თავყვავილაძე ჯარში გაიწვიეს - თურქმენეთში მოუწია სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდა. მხოლოდ რამდენიმე თვის ნამ-

სახური იყო, როცა გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. იქ სასწრაფოდ ჩაფრენილ მის მშობლებს აჩვენეს ოფიციალური დასკვნა, სადაც ნათქვამი იყო, რომ ნუგზარს პოსტზე მორიგეობისას შემთხვევით გაუვარდა იარაღი და სასიკვდილოდ დაიჭრა... ცხედარი მათ არ აჩვენეს, ცინკის დახურული კუბოთი გამოატანეს თვითმფრინავით... მშობლებს ეჭვი ჰქონდათ, რომ მათი შვილი იქ მოკლეს, საჩივრის დაწერაც უნდოდათ, ოფიციალური გამოძიების დაწყების მოთხოვნით, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრეს – ნუგზარს მაინც ვეღარაფერს უშეგელიდნენ...

სულხან დაღმთითაძე მოგვიანებით დაიღუპა. კავკასიონზე მთამსვლელებმა ჯგუფი, რომელთა შორის უნივერსიტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი სულხანიც იმყოფებოდა, ზამთრის მორიგ სავარჯიშო ასვლას ანხორციელებდა სვანეთის ერთ-ერთ არცთუ რთულ მწვერვალზე; მწვერვალთან დაბრუნებისას ამინდი გაფუჭდა, ღამემ მოუსწროთ და, ძლიერ ქარსა და ხშირ თოვანში, მოუხდათ ციცაბო ფერდობზე დაბანაკება – რამდენიმე კარავი გაჭირვებით გამართეს. გამთენიისას თოვლის ზგავი მოსკდა და კარავი, რომელშიც სულხანი იყო, უფსკრულში გადაიჩენა... ერთადერთი სულხანი შეეწირა ამ უბედურ შემთხვევას. ამინდი დიდხანს არ გამოკეთდა და მისი ცხედრის პოვნა, დიდი გაჭირვებით, მხოლოდ ორი კვირის შემდეგ გახდა შესაძლებელი. სულხანს ჰყავდა თანაკლასელი შეყვარებული, ნინო მტევანაძე, – შემოდგომაზე, ოქტომბერში აპირებდა დაქორწინებას...

– ნინოს შეატყობინეთ ჩვენი შეხვედრის შესახებ? – იკითხა ციალამ.

– შევატყობინეთ, მაგრამ არ მოვიდა...

– დარჩა გაუთხოვარი, დღესაც შავები აცვია.

– ნინოც დაღუპა, რას აიკვირებთ მთაში ხეტიალი, სხვა ცოტაა სანახავი?

– მთამსვლელობა მხოლოდ ღამაში ადგილების სანახავად ხეტიალი არაა!

– ჩვენ ყველას გააქვს ჩვენ-ჩვენი ახირებები, რაც სხვას უცნაურად ეჩვენება, ხშირად – მიუღებლადაც კი მიაჩნია. ხომ იცი, კაცობრიობამ რამდენიმე ათასი წელია, დაადგინა: სანამ სხვას განიკითხავდე, ჯერ საკუთარ თავს და საკუთარ ქცევას დაუკვირდი! – ბრძნულად ბრძანა ნუციკომ და კიდევ რაღაცის დამატებას აპირებდა, მაგრამ თამადა ფეხზე წამოდგა და რიხიანად განაცხადა:

– აბა, ჩემო ნუციკო, გვეყო ვაი-ვიში, დღეს ყველამ უნდა ვიმღეროთ და ვიცეკვოთ! წამოვიცეკვოთ! – მოკიდა ნუციკოს მკლავზე ხელი და საცეკვაოდ გაიყვანა – კიდევ რაიმე არ მითხრას უხერხულიო.

შემდეგ სადღეგრძელოებს ბოჩია ცეკვებს შორის სწრაფად მოახლაფორთებდა ხოლმე და ისევ მუსიკის ჩართვის ბრძანებას იძლეოდა.

ბოჩია გამოცდილი თამადა იყო, კარგად მიჰყავდა სუფრა, სადღეგრძელოებსაც წესითა და რიგით, დალაგებლად წარმოსთქვამდა, მაგრამ მეტისმეტად ტრადიციულად: აკლდა შთაგონება, იმპროვიზაცია, მოულოდნელობა – პოეზიის მადლი არ ეცხო... იქნებ მართალიც იყო ბოჩია, როცა თავის დროზე ხელოვნების გზას არ გაჰყვა – როგორც ჩანს, ის დიდი ხელოვანი ვერ გახდებოდა. რამდენი ადამიანია, რომელსაც მშვენიერი ხმა აქვს, კონსერვატორიასაც ამთავრებს, მაგრამ შემდგომ გამოჩენილ მომღერლად ვერ იქცევა. და პირიქითაც ხდება: არიან შედარებით მოკრძალებული ვოკალური მონაცემების მქონე მომღერლები, რომლებმაც საყოველთაო აღიარებას მიაღწიეს, დიდი მომღერლები გახდნენ. იქნებ სწორედ ფანტაზიის უკმარისობამ თუ სხვა პიროვნულმა თვისებებმა შეუშალა ხელი ბოჩიას, რომ თუნდაც კარგი ფეხბურთელი გამხდარიყო...

ბოჩია ყველა სადღეგრძელოს ბოლომდე სვამდა, საკმაოდ მალე დათვრა და ნუციკო კვლავ გაიწვია საცეკვაოდ – აშკარად დაუწყო არშიყობა...

ამ ამბის შემხედვარე ნანული მხოლოდ იღიმებოდა, ქმარს არც დაღევას უშლიდა, არც – ცეკვას... ბოჩიას მხარმარცხნივ იჯდა, მეორე გვერდზე – პატარა გვანჯი მოისვა, ხოლო გვანჯის ტყუპისცალი, შოთა – კალთაში ჰყავდა. როცა ბოჩიამ მეტისმეტად თავს გავიდა – ნუციკოსთან ისევ და ისევ ცეკვა მოისურვა, – და არც ნუციკო იყო ამის წინააღმდეგი! – პატარა შოთა ქმარს ჩაუსვა კალთაში, ამით დააბა ადგილზე... მერე ბოჩიას დაუბარა, გვანჯისაც მიმიხედო და თვითონ გავიდა საცეკვაოდ!

ლხინის ბოლოს, როცა სუფრიდან ყველანი აიშალნენ, თადარიგთანა ნუციკომ ორ დიდ ჩანთაში ჩაალაგა მორჩენილი სურსათ-სანოვაგე – შინ წასაღებად!

– მაგარია ნუციკო, ცარიელი ბოთლებიც ხომ არ ჩაგუწყვით? – ნახევრად ხუმრობით ამბობს ჯუმბერი.

– შენ ხუმრობ, ჯუმბო, და, აგერ ნახავ: ვისაც ცოლად გაჰყვება, ააშენებს იმის ოჯახს, – ქმარს უპასუხა ციალამ.

– რა მეჩქარებოდა, ნუციკოზე უკეთეს ცოლს სად ვიშოვნოდი! – ხუმრობს ჯუმბერი და სანაცვლოდ ციალას საკმაოდ მტკივნეულ ქიმუნჯს იმსახურებს.

– ბიჭებო, ხვალ საღამოს ჩემთან გელით ნამცეცრობაზე! – გამოაცხადა ნუციკომ. – კახეთიდან გამოგზავნილი ღვინო კიდევ მაქვს დარჩენილი!

– ქალებმა რა დავაშავეთ? – შეიცხადა ციალამ. – ბავშვების გადამიკიდე, ისედაც დაჩაგრულები ვართ, ოჯახს უნდა გადავყვეთ...

– თუ სურვილი გაქვთ, თქვენც მოხრბანდით, ოღონდ ცოტ-ცოტა საჭმელიც წამოიყოლიეთ! საჭაპურებს მე დავაცხობ!

ამ ახალი თავყრილობის აღწერა ზედმეტად მიმანჩია; ალბათ დამიჯერებთ, თუ ვიტყვი, რომ ნამცეცობაზე მისვლისგან თავი არავინ შეიკავა, ამჯერად მეტნიც კი მოგროვდნენ, – ბევრმა პატარა შვილებიც წამოიყვანა, – და, იმის მიუხედავად, რომ ნუციკოს ბინაში შედარებით ვიწროდ იყვნენ, ის სადამო უკეთეს სიამტკბილობაში გაატარეს!

კიდევ ერთი რამ უნდა გაუწყოთ: ბაიამ მომავალი კვირისთვის შინ დაჰპატიჟა ნანული და ბოჩია, რა თქმა უნდა, მშობლებითა და მონაგარით...

ამ კიდევ ერთ, თავისებურად გამორჩეულ სუფრაზე რაც მოხდა, არც იმის მოთხრობით დაგდლით – თქვენ თვითონაც ადვილად მიხვდებით... რა თქმა უნდა, მოზრდილებმა (ჩამოვთვლი: ბაიამ, ნანულიმ, ნანულის მშობლებმა, ბოჩიამ, ბოჩიას მშობლებმა, მინდიამ და მისმა მშობლებმა – სულ ათი სული დავთვალე, ხომ არ შემეშალა?) მშვენივრად მოილხინეს, მიუხედავად იმისა, რომ ადვილი წარმოსადგენია, როგორი ჟივილ-ხივილიც არ წყდებოდა ამ შეხვედრის დროს, ხოლო რამდენი ბავშვიც იქნებოდა ამის მიზეზი, თქვენ თვითონ დაითვალეთ!

2009 წლის 10 ოქტომბერი – 2010 წლის 31 მარტი,  
თბილისი.

## მოთხრობები

### ლევანი და ზურიკო

#### თევზაობა

ლევანი და ზურიკო ტყუპები არიან, ერთიც ექვსი წლისაა და, რასაკვირველია, მეორეც. ზურიკოს მამა, და, რასაკვირველია, ლევანის მამაც, შვილებს დაჰპირდა – მალე სათევზაოდ წაგიყვანთო.

ბიჭები მაშინვე ეზოში ჩავიდნენ და მალე მთელი ეზოს ბიჭბუჭობას მოეღო ახალი ამბავი. ზურიკო ჯერ ამბობდა: ხუთ ცალს დავიჭერთო.

ლევანმა მაშინვე გაუსწორა: ათი თევზი უნდა დავიჭიროთო.

– ათი კი არა, ოცი! – ამტკიცებდა ახლა ზურიკო.

ლევანს ოციც ეცოტავა და მეტსაც იტყოდა, მაგრამ ჯერჯერობით მეტის თვლა არ იცოდა.

აქ დამთავრდა ძმების შეჯიბრი “თევზების ჭერაში” და მათმა, განცვიფრებისგან პირდაღებულმა, ერთ-ერთმა მეგობარმა იკითხა, თითო თევზი რამხელა იქნებაო.

– ამხელა! – მტკაველი აჩვენა ზურიკომ.

– არა, ამოტოლა! – ხელები ფართედ გაშალა ზურიკომ.

ლევანმა მეტი ვედარ შეძლო, ეჩვენებინა, რადგან დედამ დაუძახა ძმებს. ზურიკო და ლევანი მაშინვე ფაციფუცით გაიქცნენ კიბისკენ – ძალიან დამჯერები იყვნენ ამ სადამოს.

მომავალი თევზაობის შესახებ მეზობლებიც ალაპარაკდნენ:

– ყველას თევზით აგვაგსებს! – ამბობდა ერთი.

– დროულად მოვამზადოთ კასრები თევზის დასამარილებლად, რადგან ჭამით ვერ მოვერევით და ძვირფასი თევზის გაფუჭებაც ცოლო! – თქვა მეორემ.

– კასრები რას გვეყოფა, ჰაერშიც უნდა გაკვიდოთ, მზეზე გამოვიყვანოთ! – დაუმატა მესამემ.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ერთ მშვენიერ კვირა დილას მამა და ბიჭები ადრიანად ჩასხდნენ ჯერ ავტობუსში (მამისთვის ბილეთი ზურიკომ აიღო), შემდეგ დიდუბეში გადასხდნენ ცისფერ №3 ტრამვაიში (აქ ბილეთი უკვე ლევანმა აიღო), რომელიც, როგორც იცით, პირდაპირ თბილისის ზღვასთან ახლოს მიგიყვანს.

როგორც იქნა, ცისფრად მოლივლივე წყალსაცავის ნაპირს მიადგნენ. აქ უკვე საკმაოდ ბლომად მოეყარათ თავი მეთევზე-მებადურებს. მამამაც გამართა, როგორც საჭიროა, თევზის საჭერი მოწყობილობა, ანკესის ბოლოზე ჭიაყელაც წამოაცვა და ისროლა მოშორებით წყალში. ბავშვები გაირინდნენ, თვალს არ აშორებდნენ ოდნავ მოთამაშე ტალღებზე აცეკვებულ საცობის ტივტივას...

უცებ ტივტივამ ჩაყვინთა – ტუმი!

ბიჭების გულები შეფართხალდა – ბუგ!

ტივტივამ ამოყვინთა და ჩაყვინთა – ტუმი-ტუმი!

ბიჭების გულები – ბაგ-ბუგ! ბაგ-ბუგ!..

ტივტივამ აღარ ამოყვინთა – თევზმა წაიღო...

მამისა და ბიჭების გულები ერთდროულად შიშმა და აღფრთოვანებამ შესძრა!.. ხოლო, როცა მამამ ჯერ ხელის მკვეთრი მოძრაობით “დააბა” თევზი, მერე აიქნია ზევით ჯოხი და ჰაერში აფართხალდა ვერცხლისფერი ლაპლაპა სხეული – ბიჭება ყიჟინა დასცხეს.

მეზობლად მსხდარმა მეთევზეებმა მწყურადად გადმოხედეს მოხტუნავე ყმაწვილებს და ძალუმად მოქაჩეს სიგარეტები – მათ ჯერ ერთი თევზიც არ დაეჭირათ. მამა დაემუქრა მეტისმეტად გამხიარულულ ძმებს, თევზს აფრთხობთო და მოჩვენებითი გულგრილობით ისევ ისროლა ანკესი წყალში. ბიჭები ვედროს არ სცილდებოდნენ, თევზს თვალს არ აშორებდნენ.

დახე უიღბლობას – ამის შემდეგ ერთხელაც არ შეტოკებულა მათი ტივტივა, სხვები კი წამდაუწუმ “ქაჩავდნენ” თევზს, სიგარეტის მოსაწვი დროც კი არ ჰქონდათ.

დაიწყო გაუთავებელი მტანჯველი ლოდინი, “გაყინული” ტივტივაზე უაზრო მიშტერება...

მზემ ამოიჭყიტა სამგორის რუხი გორაკებიდან და მცხუნვარე სხივები შუბივით პირდაპირ სახეში აბგერა ნაპირზე მყოფთ.

ნაცრისფერი ტალღები ლივლივებს, ოდნავ არწევს ტივტივებს... აღარც სხვებს უმართლებს, უშფოთველად მიედინება დრო.

დაცხა. შორეული ღურჯი მთები გახუნდა, სიმკვეთრე დაჰკარგა. წაისაუზმეს და გადაწყვიტეს შინ დაბრუნება. ნაპირი დაცარიელდა.

კიდევ კარგი, გზაში ნაცნობი არავინ შეხვდათ.

დედამ თევზი გამოშიგნა, მარილში ამოგანგლა და ნიაგზე გაჰკიდა გასაშრობად. თან ბუზღუნებდა:

– ესაა შენი ნაჯახირევი, მეზობლები რომ შემიყარე და კითხვებით მოსვენებას არ მაძლევენ – როდი გაგვასინჯებთ ახალ თევზსო?

მამა თავს იმართლებდა:

– მე ხმაც არ ამომიღია, ჩემგან რა გინდა?

მზეზე თევზი კარგად გამოშრა, ბავშვები სულ მის გარშემო ტრიალებდნენ, შამაიას მალე მივირთმევთო.

და სწორედ მაშინ, როცა საგანგებოდ ბლომად კარტოფილიც მოხარშეს... ხომ მიხვდით?.. დიახ, სამწუხაროდ, შამაიას მეზობლის კატამ გაუსინჯა გემო; საიდან შემომგრა, ღმერთმა უწყის.

“იფ-იფ, რა კარგიაო, – ალბათ კმაყოფილებით გადაისვა უღვაშზე თათი, – კარგად გცოდნია თევზის გამოყვანაო”, – მამას მოუწონა ხელობა, რადგან შამაიას ერთი ძვალიც კი ვერსად ნახეს.

## Cxubi

ერთ შაბათ დღეს ლევანი და ზურიკო შინ მარტონი დარჩნენ: მამიკო და დედიკო სტუმრად წავიდნენ, ბებია სოფელში იყო. წასვლის წინ ბიჭები გააფრთხილეს, რომ არ გამოსულიყვნენ ბინიდან გარეთ, არ ეცვლქათ. არ შეიძლებოდა ონკანის მოშვება, განჯინების კარის გაღება, მამის სამუშაო მაგიდაზე ფეხებით სირბილი, მისი უჯრების გამოღება და აწიოკება, წივნების კარადაში ქექვა... რაღა შეეძლოთ? შეეძლოთ... შეეძლოთ... ჰო, ყველაფერი დანარჩენი: სკამზე წესიერად ჯდომა, ხის კუბებისგან ხუხულების აგება, ალბომში ხატვა...

ყველაზე საინტერესო მაინც იატაკზე დაფენილ ხალიჩაზე კოტრიალი და ჭიდაობა იყო. ამ ბლლარძუნში ზურიკომ მაგიდის ფეხს თავი მიარტყა. გაბრაზდა და ლევანს კარგა მაგრად უთაქა. ლევანიც არ დარჩა ვალში. მოკლედ რომ მოგახსენოთ, ძმები წაიხუზნენ.

– მე შენთან აღარ ვითამაშებ! – თქვა ლევანმა.

– მე კიდევ არ დაგელაპარაკები! – უპასუხა ზურიკომ.

– მე ერთ კვირას არ გაგცემ ხმას!

– მე არასდროს დაგელაპარაკები!

ზურიკო გავიდა მეორე ოთახში, ტახტზე წამოგორდა. მერე ლოჯიაში გავიდა და ფანჯარასთან მიიჭრა – ეზოდან ბავშვების მხიარული ჟრიაშული ისმოდა. გიაც იქ იყო, პაატაც, თამარიკიც, ლიაც და სხვებიც...

ზურიკომ კართან სკამი მიათრია, დიდი გაჭირვებით საკეტი გადაატრიალა და კარი გამოაღო. შემდეგ სკამიდან ჩამოფოფხდა და გარეთ გავიდა.

კიბეზე დადგა თუ არა ფეხი, მაშინვე გაახსენდა, რომ აკრძალული ჰქონდა კარის გაღება და, მით უმეტეს, ეზოში ჩასვლა. ისე, გულის კუნჭულში ყოველთვის ახსოვდა ეს და იმიტომ გამოაღო კარი, რომ მხოლოდ ერთი წუთით ჩასულიყო ეზოში და თვალი შეეველო ბედნიერი ამხანაგებისთვის...

წაა! – დაიკეტა უცებ კარი და ზურიკო სადარბაზოში დარჩა. გული აუფანცქლდა, მივარდა და დააბრახუნა მუშტებით კარზე. მერე კი იკადრა ძმის დაძახება, მოუთმენლად მოუხმო ლევანს.

ლევანს არ გაჰკვირვებია, რომ ზურიკომ ხმა გასცა – თვითონაც აღარ ახსოვდა გაბუტვა, მოსწყინდა მარტოს. ლევანმა მოიბრინა კართან, ისიც შეაშინა მარტოობამ. ცდილობდა კარის გაღებას, მაგრამ ამაოდ.

ზურიკო უკვე ყვიროდა: “გაადე, გაადე!”, ფეხებს ურტყამდა კარს. შიგნიდან ლევანი პასუხობდა: “შენ თვითონ გაადე”. მალე ორივე ძმა აღვრიალდა. – თითოეული კარის ცალ მხარეს...

გამოვიდნენ მეზობლები, ამშვიდებდნენ – ერთსაც და მეორესაც.

– ნუ გეშინია, გარეთ არ დაგტოვებთ, ჩვენთან შემოდი! – ეუბნებოდნენ ზურიკოს.

– არ მინდა! ლევანთან მინდა! – ტიროდა ზურიკო.

– ზურიკოსთან მინდა! – იჭაჭებოდა ცრემლებს ღვრით ლევანი.

ბოლოს, ერთი ყმაწვილი მეზობელი ლოჯიიდან მათ ლოჯიაში გადაძვრა და შიგნიდან გააღო კარი.

და იმავე წამს კიბეზე სირბილით ამომავალი მამა და დედა გამოჩნდნენ, ტირილის ხმაზე მოიჩქაროდნენ.

ლევანი და ზურიკო დედასა და მამას მიეხუტნენ და მათ მოფერებაზე უარესად ატირდნენ.

## ოთახების დალაგება

კვირადღე იყო. ლევანი და ზურიკო ხალიჩაზე ისხდნენ და ფერადნახატებიან წიგნს ფურცლავდნენ.

აი, გამოჩნდა ჩოხაში კოხტად ჩაცმული ვაჟკაცი, დევი ფეხქვეშ მოუგდია.

– ეს მე ვარ! – იყვირა ზურიკომ.

– არა, მე! – არ დაუთმო ლევანმა.

აფათურებდნენ ხელებს, ბღლარძუნობდნენ, საწყაღ წიგნს ფხრიწინ-ფხრიწინი გაუდიოდა.

ხმაურზე მამა შემოვიდა.

– აღარ წაგიყვანთ კინოში! ისხედით შინ. არც ახალ წიგნებს გიყიდით, სანამ მათ მოგვლას არ ისწავლით.

ბიჭები მაშინვე დაშოშმინდნენ, აშლილი წიგნიც დააღაგეს, მაგრამ, აბა, დახეულ ფურცლებს რაღა გაამრთელებდა.

მამა და დედა მართლაც კინოში წავიდნენ, ლევანი და ზურიკო ისევ მარტონი დარჩნენ შინ.

ცხადია, ახლა კართან მისვლაც კი არ გაუბედავთ. ერთხანს ნაწყენები ისხდნენ ხალიჩაზე, მერე ზურიკომ თქვა, მოდი, სახლი დავაღაგოთო. ლევანიც მაშინვე დაეთანხმა.

დაიწყო დიდი თამაში – “ოთახის დალაგება”.

სანამ დალაგებას დაიწყებდნენ, მანამდე ყველაფერი უნდა გამოაღაგო. სულ მალე კარადებიდან და სერვანტიდან გამოღებულმა წიგნებმა, თეთრეულმა, ტანსაცმელმა და ჭურჭელმა თითქმის მთლიანად დაფარა იატაკი. ბიჭები იძულებულნი გახდნენ, სამზრეულოში გადაენაცვლებინათ.

სამზარეულოშიც რამდენიმე კარადა იდგა. ერთი კარადა გამოუღაგებელი დარჩათ, რადგან მის ქვედა თაროზე მურაბებიანი ქილები ელაგა: შინდის, ალუბლის, ბლის, ლელვის და ათასი სხვა... იფ, რა კარგია!

ცოტა შეისვენეს, სული მოითქვეს და საქმეს შეუდგნენ – ხელი პირდაპირ ჩაყვეს ქილებში.

როცა მშობლები კინოდან დაბრუნდნენ...

ტყუპები იმდენად ამოთხვრილნი იყვნენ მურაბაში, რომ, გინდაც დიდად განსხვავებულნი ყოფილიყვნენ, მაინც ვეღარ გაარჩევდნენ, რომელი იყო ზურიკო და რომელი – ლევანი.

იატაკზე ისხდნენ, წინ მურაბის ქილები ედგათ და, დიდად კმაყოფილებს, გაღიმებულებს, სახეზე მხოლოდ კბილები მოუჩანდათ თეთრად.

### ჭიდაობა

– საჩქაროდ ბებია სალომე უნდა ჩამოვიყვანოთ სოფლიდან, თორემ ისე ამ ანცებს ვერ მოვუვლით, – თქვა მამამ.

ბიჭებს გაუხარდათ ბებიის ჩამოსვლა, განსაკუთრებით – ზურიკოს. ბებიას სათვალე აქვს – ორი ცალი; ერთით კითხულობს, მეორეთი ტელევიზორს უცქერის და მუშაობს. სათვალე ხშირად ეკარგება, ხან – ერთი, ხან – მეორე, სულ მათ ძებნაშია. ზურიკო ხან ერთს უმაღავს, ხან – მეორეს, მერე მიურბენინებს და კანფეტს დასტყუებს.

ბებიისა და დედის გაერთიანებული მეცადინეობა ზოგჯერ შედეგს მაინც არ იღებდა – ბიჭები მეტისმეტად ცელქობდნენ და მაშინ მამას მოუხმობდნენ.

ერთხელ ლევანმა და ზურიკომ ჭიდაობა გააჩაღეს დიდ ოთახში და ლამის გადაქელეს იქაურობა – ამდენი წვა-დაგვით დასუფთავებული და მოწესრიგებულ-დალაგებული. ვერაფრით გააჩერეს ბიჭები; უნდოდათ, უკვე მიეტყუებინათ, მაგრამ ამ დროს მამაც მოვიდა სამსახურიდან შინ. აუხსნეს მდგომარეობა და ის შეგზავნეს წესრიგის დაამყარებლად.

ცოტა ხანში მოისმა რაღაც საშინელი გრუხუნი და მსხვრევის ხმა.

ბებია და დედა შეფოთებულნი გამოეშურნენ, კარი გამოაღეს და განცვიფრებისგან ენა ჩაუვარდათ.

იატაკზე დაფენილ ხალიჩაზე ოთხზე დამდგარიყო მამიკო, ბიჭები ებლაუჭებოდნენ მის კისერსა და მკლავებს, ცდილობდნენ წაექციათ.

მამის ბოხი სიცილი უერთდებოდა ტყუპების მხიარულ ჭყვიტინს.

იქვე, კუთხეში, ძვირფასი ლარნაკის ნამსხვრევები ეყარა.

– გადით, გადით, ხელს გვიშლით! – თქვა მამამ.

### ბაფთები

– ამიერიდან – არავითარი ჭიდაობა! – თქვა დედამ.

– ადგილიდან დაძრული არაფერი ვნახო! – დაამატა სალომე ბებიამ.

დედა და ბებია დიდი შიშით ტოვებდნენ ბავშვებს და მამას – ბებიას მონატრებული ვაჟიშვილი, რძალი და ძმიშვილები უნდა მოენახულებინა.

– ყველაფერი წესიერად დაგხვდებათ! – დაამედა მამამ. – ოღონდ დროზე დაბრუნდით, მეც წასასვლელი ვარ.

ქალები წავიდნენ თუ არა, მამა დივანზე წამოწვა და წიგნის კითხვა დაიწყო. ბიჭებმა იცოდნენ: როცა მამიკო წიგნს კითხულობდა, არავის ჰქონდა უფლება, ხელი შეეშალა.

ლევანიკომ და ზურიკომ ერთხანს მათ საყვარელ ხალიჩაზე იგორავეს, მერე წიგნებში ნახატები ათვალიერეს... მერე დაინახეს, რომ მამას წიგნი მკერდზე დაედო, თვალები დაეხუჭა და ფშვინავდა – ჩასძინებოდა.

მივიდნენ დივანთან და ჩუმად დაიწყეს თამაში. ჯერ საგარცხელი მოძებნეს და დავარცხნეს მამიკოს თმა, მერე მაკრატლით უღვაშები შეუსწორეს...

როცა დედა და ბებია დაბრუნდნენ, სამივეს ეძინა. დაღლილი ბიჭები მამის გვერდით მიყუჟულიყვნენ.

მამა ქალების ლაპარაკმა გამოაღვიძა. საათზე დაიხედა და მაშინვე ფეხზე წამოხტა.

– ოჰ, როგორ დამგვიანებია! – დაფაცურდა მამა. საჩქაროდ პიჟამა გაიხადა, შარვალ-პიჯაკი ჩაიცვა და მეგობრებისკენ გაწია.

გზაში ყველა რაღაც უცნაურად უცქეროდა მამას; მან ტანსაცმელზე დაიხედა კიდევ, ბედურამ ხომ არ დამასაჩუქრაო. აგტობუსშიც ყველა მას მისჩერებოდა, ზოგი აშკარად ვერ მაღაურდა ღიმილს.

მამა წრიალებდა, ვერ მიმხვდარიყო, რა მოხდა.

მხოლოდ მეგობრებთან აეხადა ფარდა საიდუმლოებას.

ერთ-ერთმა მეგობარმა სიცილით მიიყვანა მამა სარკესთან.

მამამ თვალებს არ დაუჯერა.

მარცხენა უღვაში თითქმის მთლიანად მოკორტნილი იყო.



თმებზე კი სამ ადგილას ებნია ბაფთები: ერთი – ლურჯი, ერთი – წითელი და ერთიც – ყვითელი.

### თათარა და ფელამუში

შემოდგომაც დადგა, სანატრელი შემოდგომა.

ლევანი გურიაში წაიყვანა დედამ – ბებია სალომესა და ბაბუა ლევანთან, ზურიკო და მამიკო კი ქართლში სტუმრად წავიდნენ დიდუდა მათიკოსთან. პაპა ზურაბი, რა ხანია, სადღაც წასულიყო დიდი ხნით და ჯერაც არ აპირებდა დაბრუნებას. ასე აუხსნეს ზურიკოს.

ოქტომბრის დასაწყისში მამა ახლა გურიას ესტუმრა, დედა და ლევანი წამოიყვანა და დიდუდა მათიკოსთან ჩავიდნენ ქართლში.

ერთმანეთის მონატრებულ ტყუპებს სიამტკებილობაში დაუდამდათ. მეორე დღეს მაინც წაიხზუნენ და იცით, როდის? როცა ყველაზე სასიამოვნო საქმეს აკეთებდნენ...

დიდუდა მათიკომ გადაწყვიტა, შვილიშვილებისთვის ჩურჩხელები ამოეგლო.

პირველად მაშინ გაგულსდნენ, როცა ზურიკომ თქვა, რა გემრიელი თათარააო.

– თათარი შენ თვითონ ხარ! – უთხრა ლევანმა.

– აბა, რას ჭამ ახლა? – ჰკითხა ზურიკომ.

– ფელამუშს! – იყვირა ლევანმა.

– არა, თათარას, თათარას, თათარას! – ხმამაღლა გაჰკიოდა ზურიკო.

– ფელამუშს, ფელამუშს, ფელამუშს! – ხმას იხლეჩდა ლევანი.

ყვირილით დაილაღნენ და ცოტა ხანს უბრად იყვნენ.

როცა დიდუდა მათიკო თოკზე ჩურჩხელებს ჰკიდებდა გასაშრობად, ლევანმა ძმას დაასწრო:

– ეს ჯანჯუხები ჩემია!

– ჯანჯუხები შენი იყოს, ეს ჩურჩხელები ჩემია! – დაეთანხმა ზურიკო.

ორივეს უხარია, ხტიან დიდუდის გარშემო და მღერიან.

– ჯანჯუხები ჩემია! – მღერის ლევანი.

– ჩურჩხელები ჩემია! – მღერის ზურიკო.

ზურიკო გაჩერდა, ერთხანს უცქეროდა ძმის ცეკვა-სიმღერას, ვეღარ მოითმინა და ხელი ჰკრა.

ლევანი დაგარდა, ზურიკო კი გაიქცა და დედის კალთას მიეკრა.

ლევანმაც მიიღბინა დედასთან, ეჯაჯგურებოდა ზურიკოს, უნდოდა, მოეცილებინა დედისგან.

დედამ ღიმილით მოხვია ხელები ორთავეს:

– მოდით, ჩემო ლომის ბოკვერებო!

ზურიკომ შესჩივლა:

– დედიკო, ის ჯანჯუხები ხომ ჩემია?

ახლა ლევანი ატყდა:

– დედიკო, ჩურჩხელები ხომ ჩემია?

მამაც თურმე იქვე მდგარიყო, დედასთან ერთად მასაც გაეცინა.

– ჩურჩხელა და ჯანჯუხა ერთი და იგივეა! – თქვა მამამ. – გურიაში ჩურჩხელას ჯანჯუხას ეძახიან. მაგაზე მოგივიდათ ჩხუბი? თათარას კიდევ – ფელამუშს.

აქ დედა შეეპაექრა:

– რატომ თათარას – ფელამუშს და არა – პირიქით?

– ნუ გურულობ, ქალო, ახლა შენ! – უპასუხა მამამ. – ქართულ სალიტერატურო ენაში ქართლური დიალექტია საფუძველი და ამიტომ!

დედამ არ დაუთმო და ტყუპები ახლა დედისა და მამის დავის მოწმენი გახდნენ...

### ლევანი და ზურიკო ცირკში

გინდათ მოგიხსროთ, როგორ წავიდნენ ლევანი და ზურიკო ცირკში და რა ნახეს იქ საინტერესო?

როგორც იცით, ისინი ტყუპი ძმები არიან. ორივე ექვს-ექვსი წლისაა, სიმაღლეც ზუსტად ერთნაირი აქვთ, ტანზეც თითქმის ყოველთვის ერთნაირად აცვიათ. ადრე ეშლებოდათ ტანსაცმელი და ჰქონდათ დიდი გაწეგ-გამოწევა – შენ ჩემი რატომ ჩაიცვიო. მერე დედამ მოიფიქრა და ლევანს ტანსაცმელზე ლეკვი ამოუქარგა, ზურიკოს კი – მამალი. ლეკვები და მამლები მომრავლდნენ შარვლებზე, ხალათებზე, ქუდებზე, წინდებზე...

სადმე რომ შეგხვდეთ, არ გაგიჭირდებათ ძმების გარჩევა: ლევანი ქერაა, ჭორფლიანი, მამასავით ცისფერი თვალები აქვს; ზურიკოს წაბლისფერი თმა აქვს, დედასავით თაფლისფერთვალეა; ერთმანეთს კი ძალიან ჰგვანან ცელქობით. ბარემ იმასაც გეტყვი, რომ ძმები ერთთავად ძიძგილაობენ და ჭინჭყლობენ, მაგრამ მაინც სულ ერთად არიან – უერთმანეთოდ ვერ ძლებენ.

ახლა კი დროა, ცირკის ამბავიც დავიწყოთ.

იმ კვირა დილას ლევანი და ზურიკო სასადილო მაგიდას უსხდნენ, ფეხებს აქანავებდნენ და საუზმობდნენ. უფრო სწორედ, ბებია სალომე ეხვეწებოდა მათ, ჭამეთ, თქვენ გენაცვალეთ, ბიჭებო, მაგრამ ძმებს სად ეცალათ ამისთვის!

ზურიკო კარაქწასმულ პურის ნაჭერს დაახოხიალებდა სუფრაზე მარჯვენა ხელით, თან აგტომობილივით თუხთუხებდა, დროდადრო სხვებს აფრთხილებდა, მოვდივარო: “პი-პი-ი-ი!.. პი-პი-ი-ი!” “აგტომობილი” მარჯვედ უხვევდა ჩაის ჭიქასთან, ჩერდებოდა მგზავრების გადმოსასხმელად, მერე კი რატომღაც უკანა სვლით მიდიოდა ერთხანს... ლევანმა კი გაფცქვნილი მანდარინის ლებნები მატარებლის ვაგონებივით გაამწკრივა; თითო “ვაგონი” მოგზაურობდა მაგიდაზე და, ბოლოს, “გვირაბში” იკარგებოდა – ლევანის პირში.

ამ დროს ოთახში მამა შემოვიდა. ბებია შესჩვიდა – ლევანი საერთოდ არაფერს ჭამს, ზურიკოს კი ჩაი გაუცივდაო.

– აფსუს, მე კი დღეს მათი ცირკში წაყვანა მინდოდა! – თქვა მამამ.

ზურიკო მაშინვე ჩამოფოფხდა სკამიდან და მაგიდის გარშემო დაიწყო ხტუნვა-სირბილი. ლევანი სკამზევე ხტოდა, ორივენი კი გამაყრუებლად ყვიროდნენ:

– ცირკში მივდივართ, ცირკში მივდივართ!..

– ცირკში კი არა, ზოოპარკში ხართ წასაყვანები! – თქვა გაჯავრებულმა ბებიამ.

– ზოოპარკშიც გვინდა! – კიდევ უფრო გაუხარდათ ბიჭებს.

– არსადაც არ წაგიყვანთ! – თქვა წყნარად მამამ და მაგიდას მიუჯდა. ბებიამ ჩაი დაუსხა. ბიჭებმა მაშინვე ხმა გაკმინდეს, მამიკოსთან გაჩერდნენ და უყურებდნენ, როგორ აუნქარებლად საუზმობდა, თან ბებიას ესაუბრებოდა. ბიჭებისკენ არც გაუხედავს.

ლევანი და ზურიკო მამას ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ, უახლოვდებოდნენ, უახლოვდებოდნენ... ვიდრე სულ არ მიეკვრნენ – ერთი მარჯვნიდან, მეორე მარცხნიდან.

მერე კი, როგორც თავადაც მიხვდებოდათ, მამა და შვილები შერიგდნენ.

ბიჭებმა სასწრაფოდ ისაუზმეს, კრინტი არ დაუძრავთ – რასაც ბებია მიაწვდიდათ, მაშინვე შესანსლაგდნენ. ცირკში წარმოდგენა ათ საათზე იწყებოდა და ხომ არ დააგვიანებდნენ.

მერე ავტობუსში ჩასხდნენ მამიკოსთან ერთად და უკვე იმედი მიეცათ, რომ ცირკში აუცილებლად მოხვდებოდნენ.

ჯერ წყნარად ისხდნენ. ფანჯარაში ათასი საინტერესო რამ მოჩანდა: სახლები, ქუჩა, მოსრიალე მანქანები...

– ეს მანქანა ჩემია! – თითოთ უჩვენა ზურიკომ ლევანს შინდისფერი მანქანა, რომელიც მათ ავტობუსს უსწრებდა. საბედნიეროდ, ქუჩაში უამრავი მანქანა ირეოდა. ლევანმა მაშინვე საპასუხოდ იყვირა:

– ეს ცისფერი მანქანა ჩემია!

მამა გაუწყრა ბავშვებს, ნუ ხმაურობთ, სხვებს ნუ აწუხებთო.

– ეს ხე ჩემია! – დაისაკუთრა ზურიკომ.

– ეს მაღაზია ჩემია! რამდენ კანფეტს ვჭამ!

– ეს ცა ჩემია! თვითმფრინავიც!

– ეს მზე ჩემია!

– ეს ჩვენი ავტობუსი ჩემია, ჩადი!

– შენი კი! ის ჩემიცაა, მეც ხომ ვზივარ!

– არა, მარტო ჩემია, მე პირველმა ვთქვი!

– აბა, ეს სკამი ჩემია, ადექი!

– ეს ავტობუსი ჩემია და სკამიც ჩემია, შენ თვითონ ჩადი!

მათ პირდაპირ მოხუცი ქალი იჯდა. ერთხანს უყურა მათ დავას, მერე თქვა:

– არა გრცხვენიათ, ბავშვებო, სულ “ჩემია, ჩემიას” რომ გაიძახით? ეს ავტობუსი ყველასია, ეს ქუჩაც, ბაღიც, ცაც, მზეც. აქ სხვა ბავშვებიც არიან, აბა, თუ ვინმე ჰყვირის, ეს ჩემია, ის ჩემიაო.

მამამ ამოიხხრა:

– ვერაფერს იყოფენ, ყველაფერს ორ-ორს ვყიდულობთ: ბურთებს, სათამაშოებს... “დილის” ერთსა და იმავე ნომერსაც კი ორ ცალს ვყიდულობთ...

მოხუცი ქალს გაუკვირდა:

– კი, ბავშვებო, თქვენთვის ნაყინი ორ-ორი უნდა იყიდონ, ასევე – შარვალი და სხვა, მაგრამ ორი ერთნაირი სათამაშო რაღა საჭიროა? ან წიგნში რომ ზღაპარია, ის ხომ შენიც არის და სხვისიც, ყველასია. ასე არ არის?

ბიჭები ჩუმად იყვნენ, მოხუცმა ქალმა კი ჩანთიდან ლამაზნახატებიანი ორი წიგნი ამოიღო და ერთი ლევანს მისცა, მეორე – ზურიკოს.

- ჩემს შვილიშვილებს მერე ვუყვიდი... იცოდეთ, ეგ ერთი წიგნიც ორივესია და მეორეც. აწი აღარ იჩხუბოთ.

ამ დროს გორაკზე ლამაზად ამართული ცირკის შენობაც გამოჩნდა.

უჰ, გაჩერებიდან რამსიგრძე კიბეები იყო მაღლა ასასვლელი! ყოჩაღად აიარეს ბიჭებმა და შენობაში შევიდნენ.

გაკაშკაშებული უზარმაზარი წრიული დარბაზი გაგსებული იყო მოჟიჟოვებულ ბავშვებითა და მშობლებით.

სინათლე ჩაქრა. პროექტორების შუქი სარბიელზე გამოსასვლელს მიეხვინა.

ორკესტრმა ისეთი მხიარული მარში დასცხო, რომ ბიჭებს ძალაუნებურად ხტუნვა-კუნტრუში მოუნდათ.

ფარდა გადაიწია, ჩაიარეს პარად-პროლოგის მონაწილეებმა, ცოტა ხნის შემდეგ გამოვიდა შავტანსაცმლიანი წარმოსადგევი კაცი და ხმამაღლა გამოაცხადა პირველი ნომერი.

წარმოდგენა დაიწყო.

ჯერ მოვარჯიშეთა მთელი გუნდი გამოვარდა. გამოქანდებოდნენ და ისე ხტოდნენ, ისე ტრიალდებოდნენ ჰაერში, ისეთი ომახიანი შეძახილებით გადადიოდნენ მაღაყებს, რომ მარტო ბავშვები კი არა, მშობლებიც, ფეხზე წამომხტარნი, აღტაცებით უკრავდნენ ტაშს.

მერე ორი ხუმარა გამოვიდა. ერთი კლოუნის მაღალი იყო, გაბღენძილი, გაპრანჭული; მეორე - დაბალი, მხიარული; აჩაჩული, განიერი შარვალი წამდაუწუმ სძვრებოდა და ყოველ ნაბიჯზე ხელებით ზეეთი ექაჩებოდა.

მაღალმა ხალხს ქული მოუხადა ვითომ. არა, ჯერ ვერ მოიხადა, ალბათ ძალიან უჭერდა თავზე. ერთი ათჯერ მაინც დაუკრა თავი მაყურებლებს, ქული კი ვერ მოიძრო. მაშინ დაბალს სთხოვა, მოდი მომეხმარეო. როცა მაღალი დაიხარა - თავი მიუშვირა ქულის მოსახდელად, დაბალი გამოქანდა, ახტა და ზურგზე შეახტა. "აჩუ, აჩუ!" - მიერეკებოდა მაღალს. მაღალმა ძირს, ნახერხში ჩამოაგდო. მათ შორის ჩხუბი ატყდა, კარგა ხანს უტყუპუნებდნენ ერთმანეთს, ჭიდაობდნენ, გორავდნენ სარბიელზე. დაბალი გასასვლელისკენ გაიქცა. მაღალი დაეწია, შარვლის ტოტზე ფეხი დააბიჯა და დაბალს შარვალი ჩასძვრა, თეთრი ნიფხავი გამოუჩნდა.

ამ დროს ახალი ნომერიც გამოაცხადეს. გაწვრთნილი ცხენები თანაბარზომიერად დარბოდნენ ბარიერის გასწვრივ. ტანწერწეტა ქალიშვილი გაქანებულ ცხენს ზურგზე შეახტა და ყირა გაჭიმა, მერე ცალ ფეხზე კოხტად დადგა. მოქნილი ჭაბუკები ხან მოახტებოდნენ ცხენებს, ხან ძირს ჩამოხტებოდნენ; ერთი ცხენიდან ამხტარნი - მეორე ცხენის ზურგზე ეშვებოდნენ, თან ჰაერში მაღაყებს გადადიოდნენ... დასასრულ, ცხენებმა მაყურებლებს ტაშისთვის მაღლობა გადაუხადეს - ერთ ხაზზე ჩამწკრივებულებმა, წინა ფეხები მოდრიკეს და თავები დახარეს.

სად იყვნენ და სად არა, ჩვენი ნაცნობი მასხარებიც გამოჩნდნენ. მაღალი დაბალს აგულიანებდა, აბა, შენც თუ შესძლებ ცხენის ზურგზე ასე ვარჯიშსო. დაბალი იჯგიმებოდა, იკეენიდა, ნახე, როგორ ვივაჟაკაცო, მაგრამ ცხენთან მისვლისა ეშინოდა. მაღალი უჯიკავებდა, მიდი, რაღას უდგახარო. ბოლოს, დაბალმა გაბედა და ცხენს მიუახლოვდა, თმები ყალყზე დაუდგა და ციებიანივით აკანკალებდა. ცხენი გაეცალა. დაბალი კლოუნის ისევე მიეპარა, ცხენი ისევე გაშორდა. მაშინ მაღალი მივიდა ცხენთან, ყურში რაღაც ჩასწურჩულა და ადვირით დაიჭირა. ახლა ცხენი წყნარად იდგა ერთ ადგილზე, მაგრამ დაბალი ამოდ ცდილობდა მასზე აფოფრთხებას. დიდხანს ეწვალა - ხან აქედან მოუარა ცხენს, ხან - მეორე მხრიდან... მერე, შუბლზე ხელისგული შემოირტყა - აქამდე სად ვიყავით - კულისებში გავარდა და კიბე მოათრია. ძლივს აბობღდა მუხლების კანკალით ცხენის ზურგზე. ცხენმა მაშინვე ტლინკები ჰყარა და დაბალი ძირს ჩამოაგდო. დაბალი წამოდგა, ნახერხი ჩამოიფერთხა... ისევე გაჭირვებით მოექცა ცხენს ზურგზე. ამჯერად ცხენი ყალყზე დადგა და დაბალი ისევე ნახერხში გაგორდა... ხელი უიმედოდ ჩაიქნია და გასასვლელისკენ წაჩანჩალდა. ახლა ცხენი გამოეკიდა - სად მიდიხარო, არ უშვებდა, კბილებით შარვალში წვდა. დაბალ კლოუნს შარვალი ისევე ჩასძვრა...

ლეგანისა და ზურიკოს კისკისი დანარჩენი ბავშვების გნიასს უერთდებოდა.

მერე ორი ქალი და ორი კაცი გამოვიდა. მზინავი ტანსაცმელი ეცვათ. ყველას წელზე თოკი ჩააბეს და მაღლა, გუმბათქვეშ აიყვანეს. იმ სიმაღლეზე აიყვანეს, რომ ყველანი თავადურილნი უყურებდნენ ქვევიდან. ბევრი იტრიალეს ჰაერში, ერთი მოქანავე დერძიდან მეორეზე გაბედულად ხტებოდნენ და ყოველ ნახტომზე განცვიფრებულ ხალხს გული შიშით ეკუმშებოდა.

როცა ოთხივე მშვიდობიანად დაეშვა სარბიელზე, ყველამ შვებით ამოისუნთქა, ტაშით აიკლეს იქაურობა.

შესვენება გამოაცხადეს, მაყურებელნი წამოიშალნენ.

- აბა, ლომებო, წამოდით, ნაყინი ვიყიდოთ! - თქვა მამამ.

მაგრამ ბიჭები გვერდზე აღარ ედგნენ. ზურიკომ ხტუნვა-ხტუნვით ჩაირბინა კიბეები და სარბიელზე გავარდა; ლევანმა ძმას მიბაბა - მასაც მოუნდა კლოუნებისვით ნახერხში კოტრიალი; ჯერ გარშემო ირბინა ბარიერზე, შემდეგ სარბიელზე ყირაზე გადავიდა ყოფინით.

უნიფორმისტებმა შეწყვიტეს ნახერხის მოსწორება და ნოხ-ფარდაგის ხვეტა, ბიჭების ცელქობას მიაჩერდნენ.

მამიკო ავარდა ბარიერზე და ბავშვებს მუშტის ქნევა დაუწყო:

– მოდით ახლავე აქ!..

ბიჭები მამის ყვირილს ყურადღებას არ აქცევდნენ და ნებიერად გორავდნენ ნახერხში, სახეც კი ერთიანად ამოეგანგლათ – ველარ გაარჩევდი, რომელი იყო ლევანი და რომელი – ზურიკო.

გასასვლელად მომზადებული მაყურებლები შეჩერდნენ და სიცილ-ხარხარით ადევნებდნენ თვალს დამატებით ნომერს.

ერთმა ძმამ ცოცხს სტაცა ხელი და გამეტებით დაუწყო ნახერხს ხეგტა, მეორე – ერთ-ერთ უნიფორმისტს ელიჭინებოდა, ბიძია, ერთი ოქროს დიდი მარჯვენა შენი ფორმიდანო.

გაცეცხლებულ მამას ბარიერის გადმოლახვისას ფეხი დაუცდა და ნახერხში გაგორდა. ხალხმა ტაში დასცხო, დირიჟორმა ხელი დაიქნია და ორკესტრმა მხიარული მარში დააგუგუნა.

ნახერხში ამოთხვრილი მამა მთელ სარბიელზე დასდევდა ბიჭებს დასაჭერად. იმათაც მოსწონდათ მამასთან დაჭერობანას თამაში – ჭიდაობდნენ, კოტრიალობდნენ, თან სიამით ჭყლოპინობდნენ.

როგორც იქნა, მამამ ლევანი იგდო ხელთ, ახლა ზურიკოს გამოუდგა და ისიც დაიჭირა... სამაგიეროდ, ლევანი გაუსხლტა და გაექცა. მამა გაეკიდა, ლევანი უცებ ჩაჯდა და გამოქანებულ მამა დაეჯახა, ყირას გადავიდა...

მაყურებელთა ტაში კიდევ უფრო გაძლიერდა.

ბოლოს და ბოლოს, ბრაზისა და რბენისგან სპილენძისფერად სახეგავარგარებულმა მამამ ნახერხში ამოგანგლული, სიცილისა და დაღლისგან არაქათგამოლექული შვილები ბარიერს გადაღმა გადაიყვანა და სამივენი აუყვნენ მადლა კიბეს დარბაზიდან გასასვლელად.

მაყურებლები სიცილითა და ტაშით აცილებდნენ.

და ამ დროს ბოლდით გულგასიებულმა მამამ გაიგონა ვიდაცის ხმამაღლა ნათქვამი:

– მე მაგათ კარგად ვიცნობ, ისინი ყოველ წარმოდგენაზე აკეთებენ ამ ნომერს!

1970

## რამდენიმე ჭკუის სასწავლი ამბავი

### 1.

მოქალაქე ბედურაძემ ღამის პირველ საათზე ფიშტოდან ხუთი გასროლით (თუმცა, ერთი გასროლაც საკმარისი იყო) გააგორა მოქალაქე ვეფხვაძე, რომელიც, საკუთარ აივანზე გამოსული, მშვიდობიანად უსმენდა ტრანზისტორულ რადიომიმღებს.

მოსამართლე ჭიჭიაშვილის შეკითხვაზე, თუ რატომ არ გააფრთხილა წინასწარ მოქალაქე ბედურაძემ მოქალაქე ვეფხვაძე, რომ არ მოსწონს რადიოს მაღალი ხმა, განსაკუთრებით კი – გვიან ღამით, მოქალაქე ბედურაძემ განაცხადა, რომ მოქალაქე ვეფხვაძე სავესებით მოწიფული ადამიანია და ასეთი უბრალო ჭეშმარიტების ახსნით არ სურდა მისი თავმოყვარეობის შელახვა.

სასამართლომ გაამართლა ბრალდებული.

### 2.

სანადიროდ მიმავალმა მოქალაქე ამილახვარმა საღამოს რვა საათსა და ოცდათვრამეტ წუთზე “გასტრონომში” ორღულიანი თოფის გასროლით თავი წააცალა გამყიდველ ქურდოვანი შვილს, რომელმაც 1 (ერთ) კილოგრამ ძეხვში წონაში დააკლო 17 (ჩვიდმეტი) გრამი და, დამატებით, არ დაუბრუნა ხურდა 10 (ათი) კაპიკი.

მოსამართლე კიდურაშვილის შეკითხვაზე, თუ რატომ არ მოსთხოვა მოქალაქე ამილახვარმა გამყიდველს კუთვნილი ხურდა და ძეხვის ზუსტი აწონვა, სანამ კარდინალურ ღონისძიებაზე გადავიდოდა, მოქალაქე ამილახვარმა განაცხადა, რომ გამყიდველი ქურდოვანი შვილი ყველა გარეგნული ნიშნის მიხედვით, უკვე დიდი ხანია, მოზრდილ ადამიანთა კატეგორიას განეკუთვნება და ასეთი ელემენტარული ამბის განმარტება უხერხულადაც კი მიიჩნია. გარდა ამისა, ის მაინც სანადიროდ მიემგზავრებოდა და არას დაგიდევთ, რომ ორი დატენილი პატრონი უფრო ძვირი დაუჯდა, ვიდრე 17 (ჩვიდმეტი) გრამი ძეხვი და 10 (ათი) კაპიკი საკუთრივ მისი კუთვნილი, მაგრამ არმიღებული ხურდა.

ბრალდებული გაამართლეს.

### 3.

მოქალაქე შინჯიკაურმა, სამშენებლო ტრესტის ერთ-ერთმა საქმის მწარმოებელმა, რომელ თანამდებობასაც მდობიურად “პრარაბს” უწოდებენ, დღის პირველ საათზე და ჩვიდმეტ წუთზე, შესვენების დროს, გარდამავალი წითელი დროშის ტარის თავის არეში დარტყმით ძირს დასცა სამშენებლო ტრესტის მმართველი კანკალაშვილი – მის საკუთარ კაბინეტში. ამ უკანასკნელმა თურმე წესიერად გააფრთხილა მოქალაქე შინჯიკაური, რომ დროულად გადაეცა მისთვის ყოველთვიურად გათვალისწინებული 300 მანეთი, თორემ დაუყონებლივ გაანთავისუფლებდა დაკავებული თანამდებობიდან – ამ თანამდებობის დაკავების მსურველი საკმაოზე დიდად მეტიც მოიძეებოდა.

მოსამართლე მოსკაშვილის შეკითხვაზე, თუ რატომ არ აუხსნა ბრალდებულმა მოქალაქე კანკალაშვილს ქრთამის აღებ-მიცემობის დაუშვებლობა ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში, მოქალაქე შინჯიკაურმა უპასუხა, რომ მოქალაქე კანკალაშვილი უკვე ალბათ ორმოც წელზე მეტია, რაც საბავშვო ბაღში აღარ დადის ასაკის გადაცილების გამო და მის მხრივ უთქმელადაც კარგად უნდა სცოდნოდა ზოგიერთი როგორც დაუწერელი მორალური, ასევე – დაწერილი კანონიც.

სასამართლომ ბრალდებულ მოქალაქე შინჯიკაურს, მომჩივანის ბლაგვი საგნით საშუალო სახის სიმძიმის დაზიანების განზრახ მიყენების გამო, მიუსაჯა: 1 (ერთი) წლით თავისუფლების აღკვეთა პირობითად; ასევე, გამოიტანა კერძო განჩინება, რათა პროკურატურას დაუყონებლივ დაეწყო მოქალაქე კანკალაშვილის მიმართ წინასწარი გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე.

1971 წლის 27 მარტი.

## შემხედე, როგორ მაქვს?..

ჩანახატი

შუა ივლისია, მზიანი შუადღე – ჩრდილში სიცხე 38 გრადუსია ცელსიუსით... რომ იტყვიან, მკვდარი საათია.

იაფი ტანსაცმლის მაღაზიაში ხნიერი ცოლ-ქმარი შედის.

ყავისფრად უხეიროდ თმაშეღებილ ცოლს ეტყობა, ახალგაზრდობაში სანდომიანი უნდა ყოფილიყო; ქმარი 8-10 წლით უფროსი ჩანს, მაგრამ უფრო ყოჩაღადაა. ქმარმა ნაცრისფერი საზაფხულო შლაპა მოიხადა, მელოტ თავზე ცხვირდახოცით ოფლს იმშრალებს.

ორივენი ყველა სეზონის ნაირგვარი ტანსაცმლით გაჭედვილ ერთი ბეწო მაღაზიას ათვალიერებენ... რატომღაც უმეტესად საზამთრო ქურთუკებია გამოტანილი გასაყიდად, ორ ერთნაირს რომ ვერ ნახავ.

– ეს ხალათი მანახვეთ, გეთაყვა! – მიუთითა კუთხეში სკამზე მთვლემარე სქელ გამყიდველ ქალს ცოლმა. – ეჰ, რათ მინდა რამე, ქალი აღარ ვარ...

– რატომ, ქალბატონო, ახლაც მშვენივრად ხართ, – პასუხობს გამყიდველი, უხალისოდ წამოიზღაზნება, ზანტად აწვდის საშინაო თბილ ხალათს და ჩაცმაში ეხმარება.

– გარეთ მაინც ვეღარ გავდივარ... – ისევ წუწუნებს ცოლი. – დამბლა დამეცა; თითქოს გამიარა ყველაფერმა, ცალ მხარეს მაინც ვეღარ ვხმარობ თავისუფლად... შემხედე, როგორ მაქვს? – მიმართა ქმარს, თან სარკის წინ ათვალიერებს თავს.

– მოიცა, ქალო, ეს პიჯაკი მინდა, გავისინჯო...

– დაიწყო ისევ შენებურად! ჰა, დიდხანს ვიდგე ასე? – ბუზღუნებს ცოლი. – ცხელა, ადამიანო, ლამის მოვიხარშო...

– მერე ვინ დაიჯინა, მაღაზიაში რომ არ წავიდე, გადავირევიო!

– კარგი ერთი! აქ, წინ, მიჭერს ცოტა – ეს ოხერი მუცელი...

– ქალბატონო, ცოტა გახდებით და კარგად გექნებათ, – გულს უკეთებს გამყიდველი.

– იცით, როგორი იყო? ახლა ბევრად გამხდარია, – ამბობს ქმარი. – ახალგაზრდობაში უნდა გენახათ, რა ქალიც იყო, მოტაცებული მყავს... ეს პიჯაკი რა ღირს?

– 25 ლარი.

– 20 ლარს მოგცემ და ეგრევე მიმაქვს, არც მოვიზომებ.

– არა, ნაკლებ არ იქნება.

– 22?

– მე თვითონ 23 მაქვს მიცემული და ზარალით ხომ არ გავყიდი. თხა ვიყიდე, თხა გავყიდე...

– კოტე, შემხედე, კაცო!.. – მიუტრიალა ქმარს ცოლი.

– ჰო, გიყიდი, გიყიდი... – ცალყბად პასუხობს ქმარი და ისევ პიჯაკს ატრიალებს, მერე ადგილზე ჰკიდებს.

– რას მიყიდი, მიჭერს.

- მაშინ არ გიყიდი, სხვა ამოირჩიე.
- მასეთი სხვა არ გვაქვს, - ებრძოდა შემრჩა ზამთრიდან, - ამბობს გამყიდველი ქალი და სკამს უბრუნდება; გამოცდილი თვალით შეატყვო, თავიდანვე არ ღირდა წამოდგომა.
- რა ღირს? - კითხულობს ქმარი.
- სამი ლარი.
- ორი ლარი?
- არა, თავის ფასში გაძლევეთ.
- რათ გინდა, კაცო, სრულად მაქვს! აი, აქ მიჭერს... - უკმაყოფილოდ ბუზღუნებს ცოლი.
- რა ვიცი, ერთი საათი გაცვია და სარკეს ვერ მოშორებიხარ, - პასუხობს ქმარი.
- უჰ, ოფელში ვცურავ... მომეხმარე! - ეუბნება ცოლი ქმარს.
- ჩაცმა-გახდა, გახდა-ჩაცმა... - ბურტყუნებს ქმარი და ხალათს ადგილზე აბრუნებს. - ორ-ნახევარ ლარად მომცემ?...  
 “მოცლილებია ვიღაცა, ამ პაპანებაში ზედმეტი ლაპარაკი არ ეზარებათ?” - ფიქრობს გამყიდველი და გასასვლელისკენ მიმავალ ცოლ-ქმარს არაფერს პასუხობს.

2000 წლის 11 ივლისი.

## ფარდობითობის თვალსაზრისით

### 1.

ერთ-ერთი საწარმოს უფროსი ბუღალტერი კვიპრიანე კუნკულაშვილი იყურება მატარებლის ვაგონის ფანჯრიდან, - სოფელში მიდის სასწრაფო დეპეშის გამოძახებით: დედა ვერ არის კარგად და იქნებ ჩამოუსწროს, - გუნებაამღვრეული, სხვა მეზაგრებთან ლაპარაკის თავიც არ აქვს და მხოლოდ ფანჯარაში ყურებას აყოლებს გულს...

დაინახა: მტკვრის პირას ვიღაც შლაპიანი კაცი მოლბერტის წინ გასაშლელ სკამზე ზის და რაღაცას ხატავს... ბორბლების რაკარუკზე იმ კაცმა თავი მოაბრუნა და მატარებელს შეხედა.

კვიპრიანე კუნკულაშვილმა გაიფიქრა: “აი, ვიღაც მოცლილი... უღარდელი... ნეტავი მაგას, რომ ასე მშვიდად აყოლებს თვალს მატარებელს...”.

### 2.

მხატვარი კაპიტონ ჭიჭეგორაშვილი გაწამებულა: ცოლმა გული შეუჭამა, დღედაღამ ჩანჩინებს: “არ ვიცი, რაც გინდა, ის ქენი, თუნდაც მატარებელი გაქურდე... არაფერი ვიცი, როგორც გინდა, ფული იშოვე. ყველას ახალი პალტო აცვია და მე სხვაზე ნაკლები რითი ვარ?... სალომეს დაბადების დღეზე მარტო ჩვენი ქეთინო იყო ძველი კაბით, არ გრცხვენია?”.

მხატვარს არასდროს აქვს ფული, მაგრამ ხალტურას, სამხატვრო კომბინატის შეკვეთებს მაინც არ მისდევს. ცოლის გაუთავებელ საყვედურებზე ერთხელაც გული ისე მოუვიდა, რომ გაიქცა სახლიდან, როგორც ხშირად უქნია აქამდეც...

ამჯერად უფრო შორს წასვლა გადაწყვიტა - ეტიუდების საწერად სადმე კასპს იქითაც...

გამოიარა მატარებელმა. ვიღაც მეზაგრს თავი გამოუყვია ფანჯრიდან და გულგრილი მზერით გააცილა მტკვრის პირას მოლბერტთან მჯდომი კაპიტონი.

“ნეტავი შენ, არაფერი გადარდებს...” - გაიფიქრა მხატვარმა.

1982, 2008

## მესამე

### ესკიზი დეტექტიური მოთხრობისთვის

მოკლეს მხატვარი **A** - შუახნის, ასე თუ ისე ცნობილი.

კვალი - არავითარი, არც მიზეზი დადგინდა.

მკვლელობის მიზეზის რამდენიმე ვერსია განიხილება - უშედეგოდ.

ცოტა ხანში მოკლეს მეორე მხატვარი - **B**, გარემოებები - ისიც პირველი მოკლული მხატვრის მსგავსი ყოველმხრივ.

აქაც რამდენიმე ვერსია განიხილეს და ყველა - უშედეგოდ: კვალი არ დარჩენილა, მომხდარის მიზეზიც უცნობია.

რა აკავშირებს ამ ორ მსგავს მკვლელობას?

ორივე მსხვერპლი - მხატვარია.

რა არის მათ შორის საერთო?

არაფერი აკავშირებდათ, არცკი იცნობდნენ ერთმანეთს.

მხოლოდ მათი სამწუხარო ბედია მსგავსი...

და კიდევ ის, რომ გარდაცვლილი მხატვრების სურათების ფასმა ნახტომისებურად ძლიერ მოიმატა.

იქნებ სხვა რაღაც გარემოებაც აკავშირებს ამ ორ შემთხვევას ერთმანეთს?

გამოჩნდა ძაფი: რამდენიმე ხნის წინ ორივემ გაყიდა სურათების მოზრდილი პარტია.

ორივე მხატვრის ნამუშევართა მყიდველი ერთი და იგივე პიროვნება აღმოჩნდა – C.

მაგრამ C-ს ნაღდი ალიბი აქვს.

ხელმოსაკიდი კვლავ არაფერი ჩანს... რაღა უნდა ვიღონოთ?..

ამ ბოლო ხანს C-მ კიდევ ვინმესგან ხომ არ შეიძინა ბლომად სურათები?

დიდი ძალისხმევის შედეგად აღმოაჩინეს ასეთი მხატვარი – D. ისიც A-სა და B-ს მსგავსია: შუახნის, საკმაოდ ცნობილი, მაგრამ არა სახელგანთქმული...

იქნებ D-ს სიცოცხლესაც საფრთხე ემუქრება?

შესაძლოა, მასზე მოსალოდნელმა თავდამსხმამ მისცეს გამოძიებას ორი მხატვრის მკვლელობის გასაღები...

D-ს არაფერს ეტყვიან, არცკი გააფრთხილებენ და იწყებენ მისი სიცოცხლის ჩუმად დაცვას. ამ თვალთვალის დროს აღმოჩნდება ბევრი პიკანტური დეტალი ამ მხატვრის პირადი ცხოვრებისა...

განაგრძნობენ თვალთვალს, ყველგან უჩუმრად თან დასდევენ.

ბოლოს: თავდამსხმელი მორიგი მკვლელობის ჩადენის მცდელობისას გასკვანჩეს...

იგი აღმოჩნდა E – ახალგაზრდა კაცი, ნარკომანი...

მას მკვლელობების შეკვეთას აძლევდა C. იგი წინდაწინ უხდიდა E-ს ფულს, შეკვეთის შესრულების შემდგომ ჰპირდებოდა – ბლომად ნარკოტიკებს მისცემდა.

C-ს განზრახული ჰქონდა: ბოლო შეკვეთის შესრულების შემდეგ E-სთვის განკუთვნილ ნარკოტიკებში შეურევდა საწამლავის სასიკვდილო დოზას...

1999. 2008

### მონატრება ესკიზი მოთხრობისთვის

ჩემმა მეგობარმა, შესანიშნავმა მხატვარმა და ჩინებულმა მწერალმა გოგი (ანზორ) ჩაგელიშვილმა დამირეკა, – ეს იყო 2002 წლის 14 ივლისს, – ვილაპარაკეთ... მერე მომიყვია ერთი ნამდვილი ამბავი, შემომთავაზა მოთხრობის სიუჟეტად. მე, რასაკვირველია, მადლობა მოვასხენე და უარი ვთქვი: “ჩემო გოგი, შენ თვითონ დაწერე, მე იმდენი თემები მაქვს ჩამოწერილი დასამუშავებლად, რომ ყელამდე მყოფნის-მეთქი”.

მას შემდეგ შვიდ წელიწადზე მეტი გავიდა, გოგის ეს თემა არ გამოუყენებია, არადა, არც ჩემია... მისი დაკარგვაც არ მინდა! ამიტომ მკითხველს მხოლოდ თემის ჩონჩხს შევთავაზებ, იქნებ გამოჩნდეს მსურველი, სრულფასოვნად შეასხას მას ხორცი...

ერთ სოხუმიდან ლტოლვილ კაცს, როცა ძალიან მოსძალებია ნოსტალგია, გადაუწყვეტია: მოდი, დავრეკავ სოხუმში ჩემი ბინის სატელეფონო ნომერზე. მისდა გასაკვირვებლად, იქიდან უპასუხეს! თურმე მის სახლში ვიდაცა ცხოვრობს – აფხაზი. ეს ლტოლვილი გაგიჟდა, აქედან აგინებს: “შე ნაბიჭვარო, ჩემს ბინაში რა გინდა, როცა დაგბრუნდები, ხეზე ფეხებით დაგიიდებ!.. თუთის ხეზე!” და სხვა. აფხაზიც იქიდან აგინებს, არც ის აკლებს...

რამდენიმე დღეში ლტოლვილმა ისევ დარეკა. დაიწყეს ძველებურად ერთმანეთის ლანძღვა-გინება... მერე ეს ლტოლვილი დაინტერესდა, ვინ ხარ, საიდან მოხვდი ჩემს სახლშიო.

იმან აუხსნა, ვინც იყო.

მერე ამან ჰკითხა, როგორ არის ჩემი ბაღიო.

იმან უპასუხა – ასეაო.

ეზოში ერთი დიდი თუთის ხე იდგა, თუ ასხიაო...

კიო, ყოველდღე გეახლებითო.

ეგ პაპაჩემის დარგულია, გაუფრთხილდითო...

ცოტა ხანში ისევ დაურეკა.

ცოტა კი გალანძღეს ერთმანეთი, მუქარაც გაურიეს, მაგრამ შემდეგ ჩვეულებრივი საუბარი გააგრძელეს... გამოჰკითხა იქაური ამბები, როგორ იყვნენ მეზობლები... მეზობლები, სამწუხაროდ, იქ თითქმის აღარავინ დარჩენილა...

შემდეგ დარეკვაზე, როგორც ძველი ნაცნობები, ისე ესაუბრებოდნენ ერთმანეთს.

ამან გამოიკითხა, ვინ იყო მისი ხიზანი, საიდან...

ლტოლვიდს მოთხოვნილებად ექცა, კვირაში ერთხელ მაინც დაერეკა სოხუმში. საუბრობდნენ ჩვეულებრივად...

ბოლოს, ლტოლვილმა უთხრა: “მაქ რომ ჩამოვალ, რა თქმა უნდა, ჩემს ბინაში ვიცხოვრებ; საკმაოდ დიდი ბაღი გვაქვს და შენთვის იქ ერთ პატარა სახლს ავაშენებ”...

2009 წლის 1 იანვარი.

## გაზაფხულის ჩანახატი

დღეს 2009 წლის 11 მარტია, ოთხშაბათი.

ვდგავარ ლოჯიაში ფანჯარასთან და მეთე სართულიდან გაყვურებ მიდამოს...

წყნარი საღამოა, დღემ შესამჩნევად მოიმატა: უკვე შვიდი საათია და მხოლოდ ახლა ფეხაკრეფით შემოიპარება ბინდი.

შორს რუსთავის ერთ გრძელ ხაზად გაწოლილი სინათლეების ძეწკვი კანკალებს, უფრო ახლოს – თბილად ჭიატობს ვარკეთილის დასახლების ზემო პლატოს სახლების განათებული ფანჯრები.

გულში ჩხვლეტას გრძობ – ნუთუ მოწვიმს?

შავი, უძრავი ღრუბლები ზევიდან დასწოლია ქალაქს, თუმცა შორეთი კი პორიზონტთან ნათელია.

ისმის ქუჩაში მიმქროლავი ავტომანქანების ძრავათა გუგუნნი...

ჩვენი სახლის ეზოში ნუში აყვავებულა – მკვეთრად გამოიყოფა თეთრად აფეთქებული ბურთი; ჩვეული დიდი, მუქი მწვანე ბურთები – ლამაზი ფიჭვები – და შავი მიწა (ბალახი კი ამოიწვერა უკვე, მაგრამ ბინდბუნდში ასეთად ჩანს).

მწუხრი იპყრობს არემარეს...

და უცებ მიდამო გაკაშკაშდა – ქუჩის განათება ჩართეს!

2009 წლის 11 მარტი.

## მოლარე

ვარიაცია სიგიზმუნდ კრეიფანოვსკის  
მოთხრობის “ფანჯარა” მიხედვით

ვინმე ილია ილიას ძე, 30 წელიწადს მოლარედ მუშაობის შემდეგ, გახდა პენსიონერი, შემდეგ საცხოვრებლად გადავიდა კოოპერატივის მიერ აშენებულ სახლში, მისთვის განკუთვნილ ბინაში.

ახალ ადგილას ვერ გრძობს თავს კარგად: ცხოვრების მეტი წილი საღაროს ვიწრო სარკმელთან რომ გაუტარებია, დაბალჭერიან ბინაში ნაცხოვრებს, ახლა ფართო იტალიური ფანჯარა აღიზიანებს, საიდანაც სინათლის ნიაღვარი მოედინება.

ილია ილიას ძემ მოიწვია დურგალი და მეშუშე და შეუკვეთა ახალი ფანჯარა.

რამდენიმე დღეში ძველის მაგივრად ახალი, უცნაური ფანჯარა გაუკეთეს დამკვეთის სურვილის შესაბამისად: ზედა ნაწილი დიქტით იყო დაფარული, ქვედა ნაწილში კი დატანებული იყო პატარა სარკმელი, სარკმელის წინ – ჩასაკეტი ფიცარი; გარეთ, ქუჩის მხარეს, ეწერა: “საღარო”.

ილია ილიას ძე ყოველ დილით, ზუსტად სამუშაო დღის დაწყების ჩვეულ დროს, მიუჯდებოდა ამ სარკმელს და გააღებდა... და მთელი დღე იყო ბედნიერი!

წვიმიან ღამეს ორი მთვრალი ქუჩაში მიდის და ხედავენ: V სართულზე განათებული სარკმელია, სარკმელს ზევით კი აწერია: “საღარო”.

ფული არ აქვთ, არადა, კიდევ უნდათ დალევა...

– მთელ სახლში ამ დროს მხოლოდ ეს ერთი ფანჯარაა განათებული, რატომ?

– რა მნიშვნელობა აქვს, ცხადია, რომ იქ საღაროა და ვიღაც გვიცდის...

და ერთ-ერთი აძვრება საწვიმარი მილით ზევით.

“კლიენტმა” დააკაკუნა, ილია ილიას ძემ გამოაღო სარკმელი: თუმცა სამუშაო დრო დასრულდა, ის მაინც პოსტზეა!

– რამდენი გნებავთ?

– ერთ ბოთლ არაყს რომ ეყოს!

– ინებეთ!



- დიდი მადლობა!
- არაფრის, ხვალიც მობრძანდით!

2009 წლის 25 მარტი.

## ჯიბო და ბესიკი

ჯიბო ჯიბილაშვილი, ცნობილი მოჭიდავე, თავისუფალ ჭიდაობაში ზემომე წონით კატეგორიაში გამოდიოდა – ლამაზი, მთასავით ბიჭი იყო. უამრავ შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა, მათ შორის – საერთაშორისოშიც, საკმაო წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ პირველ ადგილს ვერც ერთხელ ეღიროსა. დიდად იმედის მომცემ მოჭიდავედ ითვლებოდა და ადრე, ევროპის იუნიორთა ჩემპიონატში რომ მესამე ადგილი დაიკავა, იქ მოპოვებული ბრინჯაოს მედალი შემდგომ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე გამოსვლისას ვერაფრით “გადაცვალა” ოქროს მედალზე ან თუნდაც – ვერცხლისაზე, სულ III-IV ადგილებს იმსახურებდა.

იქნებ ფიცხმა ხასიათმა არ მისცა ამის საშუალება – პატარა რამეზე ბიჭებს, თავისივე გუნდის წევრებს, აუშარდებოდა და, გინების გარდა, მუშტითაც გამასპინძლებია, რის გამოც გუნდიდან გაგდება ხშირად დამუქრებია... თუმცა, ყოველთვის დროებითი დისკვალიფიკაციით გადაჩენილა – იმდენად გამორჩეული ფიზიკური მონაცემები ჰქონდა; მეტად ღონიერი იყო და თავისი სიძლიერის იმედი ჰქონდა. მის სპორტულ კარიერაში უმაღლეს საფეხურზე ასვლას ალბათ უფრო იმან შეუშალა ხელი, რომ მხოლოდ ძალისა და გამძლეობის იმედად ყოფნა არ იყო საკმარისი, უნდა დაეხვეწა და გაემდიდრებინა საჭიდაო იღეთები, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო “საჭიდაო აზროვნებაც” შერკინების დროს: გაეთვალისწინებინა მოწინააღმდეგის ხასიათი, შესაძლებლობები, ჭიდაობის დროს წარმოქმნილ მდგომარეობებში სწრაფად მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება...

დრო მიდიოდა, ჯიბო დაცოლშვილდა. ისევ იწვევდნენ ნაკრებში, მაგრამ თუ ქვეყნის პირველობაზე უფრო ხშირად კვლავ იმარჯვებდა, საერთაშორისო ასპარეზზე ისევ ნაკლები წარმატებით გამოდიოდა. ჯიბოს სანაქებო ფიზიკური მონაცემები კიდევაც რომ გაეუმჯობესებინა, მხოლოდ ეს არ იყო საკმარისი, სხვა მხრივ კი წინსვლა არ ეტყობოდა, – არც ტექნიკური არსენალის გამარავალფეროვნებისა და დახვეწის და არც ფსიქოლოგიური მომზადების მხრივ...

როგორც მისალოდნელი იყო, ჯიბოს თანდათან გამოუჩნდნენ ძლიერი მეტოქეები – რამდენიმე მშვენიერი მონაცემების მქონე ჭაბუკი; მათ შორის აშკარად გამოირჩეოდა ერეკლე ჯამბაკურაძე, რომელმაც, ახალგაზრდობის მიუხედავად, რამდენჯერმე დაამარცხა კიდევ ჯიბო პირად შეხვედრებში.

ერთხელ ზემომე წონის სამ მოჭიდავეს შორის ტარდებოდა წინასწარი შესარჩევი შეჯიბრი – ვინ იყო ღირსი ამ წონით კატეგორიაში დაეცვა ქვეყნის სახელი ევროპის მომავალ პირველობაზე. ჯიბო პირველად ერეკლეს უნდა შეხვედროდა. ხალიჩაზე გასვლის წინ, გასახდელში, ჯიბო ერეკლეს სრულიად უმნიშვნელო საბაბით აუხირდა. ერეკლემ კარგად იცოდა ჯიბოს ხასიათი და არ აჰყვამ, აყალმაყალი არ სურდა – წყნარი ახალგაზრდა იყო, ჯიბოზე თითქმის ათი წლით უმცროსი. ერეკლეს ქცევამ ჯიბო კიდევ უფრო გააღიზიანა და ერთი-ორჯერ ხელიც შემოჰკრა – უნდოდა, ჩხუბში გამოეწვია. ერეკლემ არც ამჯერად უპასუხა და ამით გამძვინვარებულმა ჯიბომ მუშტი ისეთი გამეტებით დაარტყა პირდაპირ სახეში, რომ ერეკლე წაიქცა და გონება დაჰკარგა...

ამ “გმირობის” გამო ჯიბო ნაკრებიდან დაითხოვეს და ერთი წლით შეჯიბრებებში მონაწილეობაც აუკრძალეს.

ჯიბომ არც შემდგომ მოიშალა თავგასულობა, მაგრამ ერთხელ სულ სხვაგვარად დაუტრიალდა საქმე – ნათქვამია: “ეოკა წყალს ყოველთვის ვერ მოიტანსო”...

ჯიბო ბაკურიანში იმყოფებოდა სპორტულ შეკრებაზე. ვარჯიშებისგან თავისუფალ დროს ბიჭების ერთი ნაწილი, ორ გუნდად გაყოფილნი (თავისუფალი სტილის მოჭიდავეები – ერთში და ძიუდოსტები – მეორეში), ფეხბურთს თამაშობდა. ჯიბო დაცვაში იდგა. ერთი წკნაპა ბიჭი იყო, ძიუდოსტი – ბესიკ ბედინაური, თავდასხმაში თამაშობდა და აშკარად დაჯაბნა მის წინააღმდეგ მოთამაშე ჯიბო. ბესიკი ბევრად სწრაფი იყო 120-კილოგრამიან ჯიბოზე და, ეტყობა, ფეხბურთსაც კარგად თამაშობდა: მშვენიერი დრიბლინგი ჰქონდა, მოულოდნელი ფინტებით ხომ თავგზას უბნევდა ჯიბოს და მისი ყოველი წარმატებული გასხლტომა ახარხარებულ მაყურებელთა ტაშს იმსახურებდა. გაბრაზებული ჯიბო ამოდ დაძუნძულებდა, მაყურებელთა მხარდაჭერით შეგულიანებული ბესიკი კი კიდევ უფრო უკეთ თამაშდა. მისმა თანაგუნდელებმა ახლა მთელი თამაში მის მხარეს გადაიტანეს და შედეგმაც არ დაყოვნა: ბესიკის მიერ გარღვევისა და მარჯვედ ჩაწოდებული პასების შემდეგ ანგარიში გახდა 2 : 0 – ძიუდოსტთა გუნდის სასარგებლოდ. სულ მალე ანგარიში გაიზარდა – 3 : 0, – ბესიკი ისევ ადვილად გაექცა ჯიბოს, კარისკენ გაიჭ-

რა და ამჯერად, ჩაწოდების მაგივრად, მოულოდნელად თვით ძლიერად დაარტყა მოწინააღმდეგის კარში და გოლიც გაიტანა...

ჯიბო იმდენად გაბრაზდა, რომ ბესიკის მორიგი გარდევების მცდელობისას, იგი ორივე ხელით უბოდიშოდ დაიჭირა, მოიქნია და მოწინააღმდეგე მთელი ძალით დაახეთქა მიწას...

ბესიკი კარგა ხანს იწვა ბალახზე, ბოლოს, მეგობრების დახმარებით, გაჭირვებით წამოდგა და ძლივს გაიმართა წელში. მერე თამაში განაგრძო, მაგრამ ისე ცქვიტად ვეღარ დარბოდა და კოჭლობდა კიდევ. ჯიბომ ეს შეამჩნია და ახლა ძალზე ხშირად ტოვებდა საკუთარი დაცვის ზონას და თავდასხმელებს ეხმარებოდა. თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა გუნდის ერთ-ერთი შეტევის დროს ჯიბო წინ, თავდასხმაში გაიჭრა; მას ფეხდაფეხ მისდევდა ბესიკი და უკანიდან ფეხი ჯიბოს ფეხს გამოჰკრა...

მთელი ძალით გაქანებული 120-კილოგრამიანი ჯიბო რომ მინდორს დაეძნევა, ისეთი ხმა გაისმა, თითქოს ბომბი გასკდაო.

როცა ჯიბომ ფეხზე წამოდგომა შეძლო, ბესიკს დაუწყო ძებნა – მოგვლავ მაგ ნაბიჭვარს, ხალხში თავი მომჭრაო...

თამაში აღარ გაგრძელდებოდა.

მეორე დღით, სასადილოში მიმავალ ბესიკს საერთო საცხოვრებლის ვიწრო დერეფანში მოულოდნელად წინ გადაუდგა ხელებაშლილი ჯიბო:

– მოიცადე, ჭირიმე, სად გეჩქარება! – მარჯვენა ხელი წინ გაიშვირა და თითები გაფარჩხა. – რომ მოგიჭერ მაგ ქეციან თავზე, პომიდორივით გაგჭყლეტ!

– რა გიდა, ბარი ბარში ვართ! – ბესიკმა ხელეები ჯიბოებში ჩაიწყო.

– როგორ გამიბედე ასეთი რამე?! ერთ ლუკმად არ მეყოფი, რომ დაგარტყამ ახლა, ბაღლინჯოსავით მიგასრეს კედელზე!

– სადაც ხელს დამარტყამ, იქ დანას დაგარტყამ! – თვალის არ დაუსამხამებია ბესიკს, ჯიბოს რომ მხრამდე ძლივს წვდებოდა.

– შენი... – კბილები გაადრჭიალა ჯიბომ, მოუქნია მუშტი და სახეში სთხლიშა.

და იმავე წამს, თვითონაც ვერ გაიგო, როგორ მოხდა ეს, – მკერდში რაღაც ჩხვლეტა იგრძნო...

ჯიბო ბორჯომის საავადმყოფოში გააქანეს, მაგრამ დაჭრილის გადარჩენა ექიმებმა ვერ შეძლეს.

2009 წლის 25 აპრილი.

## სოფო, ლარისა, ლადო, ნოდარი

### რომანის ესკიზი

35 წლის წინათ ჩამიწერია ერთი სიუჟეტი, რომელსაც ახლა ცოტათი განვაგრძობ...

სოფო, ლარისა, ლადო და ნოდარი ერთ კლასში სწავლობდნენ – პირველიდან მეთერთმეტე კლასის ჩათვლით; განუყრელი მეგობრები იყვნენ, თუმცა, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ხასიათები ჰქონდათ.

სოფო დაბალი გოგო იყო, მაგრამ ძალიან კოხტა, ხალისიანი, კისკისა; სკოლაში კარგად სწავლობდა – უფრო სიბეჯითის, ვიდრე უნარის წყალობით. საშინაო დაგალებების მომზადებაში ხშირად ეხმარებოდა ხოლმე ლადოს, რომელიც ბავშვობიდანვე უყვარდა.

ლადო – მაღალი, ქერათმიანი, ლურჯთვალეა ბიჭი: ოთხ მეგობარს შორის ყველაზე ხმაურიანი, სხვადასხვა წამოწყებების მოთავე, ამასთანავე – თავდაჯერებული, გვარიანად ამპარტავანი და თავქეიფა... ნიჭიერი კი იყო, მაგრამ ზარმაცი, საგნების მომზადებით თავის შეწუხება არ უყვარდა, თუმცა ყოველთვის ახერხებდა (ხშირად – სოფოს დახმარებით) “საშუალო” ნიშნის მიღებას და ეს სრულებით აკმაყოფილებდა.

ნოდარი – მაღალი, ერთი შეხედვით, სუსტი აღნაგობის, მაგრამ საოცრად ღონიერი ბიჭი, – მეგობრებს შორის ყველაზე ჩუმი იყო, უთქმელი და ძალიან კეთილი, მეგობრებში ყველაზე ღარიბი ოჯახის შვილი – შვიდი სული ცხოვრობდა ოროთახიან კეთილმოწყობულ ბინაში. ორი ოცნება ჰქონდა: მოტოციკლის შეძენა (რა თქმა უნდა, ავტომანქანაზეც არ იტყოდა უარს, მაგრამ ვაგლას!) და ლარისას ცოლად მოყვანა... ყველამ იცოდა, რომ ლარისა ბავშვობიდან უყვარდა – ერთ ეზოში ცხოვრობდნენ.

ლარისა – კლასში ყველაზე ლამაზი გოგო იყო, ამასთანავე – ყველაზე ამაყი და თავმოწონე; შეძლებული ოჯახის დედისერთა ქალიშვილს ბავშვობიდანვე ანებივრებდნენ. ცოტა უცნაური ახირებები ახასიათებდა, მეგობრებს უბრალო საბაბით აღვილად ებუტებოდა და შემდეგ კარგა ხანს აღარ ელაპარაკებოდა. ძნელი გასარკვევი იყო, უყვარდა ან თუნდაც მოსწონდა თუ არა ვინმე, იმას კი რატომღაც ხშირად ამბობდა: “ვინც პირველად მაკოცებს, იმისი ვიქნები”.

ერთხელ ლადომ რაღაცნაირად მოახერხა მისი კოცნა. მეორედ, როცა, ცოტა ნასვამებიც იყვნენ, მოსთხოვა სიტყვის ასრულება და ლარისაც დანებდა მას...

ამ დროს ნოდარი ჯარში იყო, მისი მეგობრები კი სამივენი უნივერსიტეტში სწავლობდნენ..

ლადომ მოურიდებლად დაიწყო ნაცნობ-მეგობრებში ლაპარაკი ლარისასთან ურთიერთობის შესახებ; თან იმასაც ამტკიცებდა, ვითომ ის “პიონერი” არ იყო ლარისას დაუფლებაში.

რამდენიმე ხანში, მეგობრებთან ყოფინასს, ლადომ დაცინვა დაუწყო ლარისას – შელაპარაკდნენ და წაიჩხუბნენ. ლადოს ის აღიზიანებდა, რომ ლარისა მეორედ სიახლოვეს არ თანხმდებოდა, თან წერილით შეატყობინა ჯარში მყოფ ნოდარს, რომ მის თავს რაღაც უბედურება მოხდა; ნოდარს ალბათ შეეძლო, მიმხედარიყო, რასაც გულისხმობდა ლარისა...

შემდგომ ამბები ასე განვითარდა.

ერთხელ სოფო და ლადო სადღაც წვეულებაზე ერთად იყვნენ, ცოტა შეთვრნენ. საკმაოდ გვიანი იყო და სოფომ უთხრა გამცილებელ ლადოს, ასე გვიან მე შინ ვერ მივალ, გამიწყრებიანო.

ლადომ წაიყვანა თავის ამხანაგთან.

როგორც აღვნიშნე, სოფოს დიდი ხანია, უყვარდა ლადო, მაგრამ საპასუხო გრძობა რაღაც იგვიანებდა...

მეორე დღეს ლადო და სოფო წავიდნენ მატარებლით ქუთაისში – იქ ლადოს ნათესავები ჰყავდა.

ორ კვირაში ისინი დაბრუნდნენ თბილისში და ლადომ სოფო შინ მიიყვანა.

ამ დროს ნოდარმა სამხედრო ვალდებულება მოიხადა და დაბრუნდა თბილისში, მეორე დღესვე დაწვრილებით გაიგო ლარისას ამბავი...

ლარისამ რაღაც სასოწარკვეთილი წერილი მისწერა ლადოს – ნოდარის ხელით; ეფიცებოდა, ძალიან მიყვარხარ, უშენოდ ცხოვრებას ვერ შევძლებო.

ლადომ მიატოვა სოფო და შინიდან წავიდა.

ერთ კვირაში ლარისასთან ხელი მოაწერა...

მოწმედ ნოდარი იყო; რაღაცნაირად უცნაურად მხიარულ ხასიათზე იყო, თითქოს საკუთარი ჯვრისწერა ჰქონდა – ნერვიული დაძაბულობისგან.

ლადო დროებით ერთ-ერთ ამხანაგთანაა თავშეფარებული – ემალება სოფოს და საკუთარ დედ-მამამასაც, რომლებთანაც ცხოვრობს ფეხმძიმე სოფო და სხვაგან წასვლას არც აპირებს.

ლარისა ლადოს ახლოს აღარ იკარებს – სურს, სამაგიერო გადაუხადოს შეურაცხყოფისთვის, ცრუ ხმების გაგრძელებისთვის, თითქოს ლარისა მას ქალწული არ დანებდა. ლარისას უცნაური თვისება აქვს: არც ნოდარს ეთანხმება, რომ განქორწინდეს და მას ცოლად გაჰყვეს, თუმც, როგორც გვიან მიხვდა, უყვარს იგი, და არც უშვებს, თავის ახლო ამყოფებს, “მიიჯახავას”, ძლიერი გავლენა აქვს მასზე – როგორც უნდა, ისე ათამაშებს – და ეს რაღაცნაირად სიამოვნებს... ასევე, ექცევა ლადოსაც – ოფიციალურად მისი ცოლი კი გახდა, მაგრამ ერთად ცხოვრებაზე უარს ეუბნება, თან არც განქორწინება სურს. თავსაც იწვავებს და სხვებსაც აწვავლებს...

ძალიან მაინტერესებს: როდემდე გაგრძელდება ასე? ან როგორ გაიხნება ეს დახლართული კვანძი?

ჩემო მკითხველო, ალბათ შენც...

1974 წლის 23 მაისი – 7 ივნისი.

### წიგნი მიძღვნის წარწერით

როცა სასურსათო მაღაზიის გამყიდველმა, საკმაოზე მეტადაც დამრგვალებულ-ჩაბურვაკებულმა, გაიგო, რომ მისი მუდმივი მუშტარი მწერალი ყოფილა, თხოვა, იქნებ თქვენი რომელიმე წიგნი მაჩუქოთ, მე სიტყვაკაზმული მწერლობის დიდი მოყვარული განსლავართო.

მაღაზიაში შემდეგი სტუმრობისას მწერალმა გამყიდველს დაპირებული საჩუქარი გადასცა.

როცა სამუშაო დღის ბოლოს, შინ წასვლის წინ, გამყიდველმა მოიცალა და წიგნი გადაშალა, მისდამი მიძღვნილი წარწერა აღმოაჩინა. წარწერა საკმაოდ მოზრდილი იყო და ამიტომ მწერალს იგი ფორზაცზე გაეკეთებინა:

“პვირფას დურმიშხან ვაჩალიჩაძეს!

მართლაც პვირფასი ბრძანდებით! როცა თქვენგან ყველს ვყიდულობდი, შემდგომ შინ ვწოდინდი და, მხოლოდ ამ ბოლო წელს, ჩვენი კეთილი ნაცნობობის შედეგად, თქვენ მე “გაჩუქეთ” არანაკლებ 15 კილოგრამი ყველისა. რა თქმა უნდა, ყველი სხვაგანაც შემეძლო მეყიდა ან თქვენთვის პრეტენზია წამეყენებინა, მაგრამ მაღაზიაში ყოველი შესვლისას დიდ სიამოვნებას მანიჭებ-

და თქვენი გულშეგრძელებული თვალებისა და ალალი ღიმილის ხილვა, რომლითაც მაჯილდოვებით დაკლებული ყველის საპირწონედ.

გატყობთ, დიდად აფასებთ მწერლის შრომას, სულ უფრო გიყვარდებით ლიტერატურა და აი, დასტურიც: ამ ბოლო დროს თქვენ განსაკუთრებული კეთილსინდისიერება გამოიჩინეთ: ყოველ ჯერზე, ჩვეულებრივ 50-60 გრამის ნაცვლად, დაიწყოთ ჩემთვის 80 გრამის დაკლება...

გისურვებთ შემდგომ წარმატებებს ამ გზაზე დამდეგ ახალ წელსაც, რომელსაც წინასწარ გილოცავთ. მომავალ წელს ახალ წიგნს გამოგუშვებ და, თუ თქვენ არ გაგინებდებით მხატვრული ლიტერატურის ტრფიალი, დიდი სიამოვნებით მასაც მოგართმევთ – კიდევ უფრო თბილი წარწერით.

უღრმესი პატივისცემით,

პეპინო გუერაძე,  
1988 წლის 30 დეკემბერი.

**P. S.** იმედია, არ გეწყინებათ: სამწუხაროდ, წუნდებული ეგზემპლარი გერგოთ – სტამბაში ბოლო ორი თაბახი შეცდომით რომელიღაც სხვა წიგნისა აუკინძავთ და დიდად დამავალბებთ, თუ შემატყობინებთ, კერძოდ, რომელი წიგნისა; ჩემი ვარაუდით, რომელიღაც სასამართლო კოდექსიდან უნდა იყოს.

პ. გ.”.

2009 წლის 16 ოქტომბერი.

### სინანული

მაისის მიწურულის შაბათ საღამოს ვბრუნდებოდი ავტობუსით ლოჭინის ნაკვეთიდან შინ. როცა თბილისში ჩამოვედი და ჩემს გაჩერებას მიგუხანლოვდით, თადარიგი დავიჭირე, წინ წავიწიე და ავტობუსის წინა კართან დავდექი.

გხედავ: შოფრის მარჯვნივ, საქარე მინაზე, პატარა ჩარჩოში ჩასმული, მელოტი, ჯემუხი მაკაცის შავარშიაშემოვლებული ფოტოსურათია დამაგრებული.

მეცნაურა: ამ მარშრუტის ავტობუსზე მუშაობდა შოფრად; გამორჩეული შოფერი იყო – ხშირად მიმგზავრია ამ ავტობუსით და თავი დამამახსოვრა...

ახალგაზრდა შოფერს ვკითხე მისი ამბავი. მითხრა, მე მისი შეილი ვარ, ახლა მე ვმუშაობ მის მაგივრად; შარდის ბუშტის რაღაც დამართნია, ოპერაცია გაუკეთებიათ და გარდაცვლილა, საწყალი. ამბავი კარგად ვეღარ გამოვკითხე, გაჩერებაზე ჩავდიოდი...

გზად სულ ცხონებულზე ფიქრი ამეღვევანა. მხიარული კაცი იყო, ხალისიანი, ღიმილიანი. ტანსრული იყო, მსუქანიც კი, ღონივრად იჯდა საჭესთან, ღია ფერის გამჭრიახი თვალებით იმზირებოდა აქეთ-იქით, არ გამოეპარებოდა არაფერი – არც გზაზე და არც მანქანის სალონში. ყურადღებიანი კაცი იყო, ზოგ მუტრუკ, უხეშ შოფერს კი არ ჰგავდა.

სინანულის გრძნობამ ამიტანა და მხოლოდ იმიტომ არა, რომ კარგი ადამიანი უდროოდ წასულა იმ ქვეყნად...

როცა ამ ავტობუსით შინ ვბრუნდებოდი ხოლმე, რამდენჯერ მინდოდა, მისთვის ჩემს ნაკვეთში მოწეული ხილი მეწილადებინა – პირი გაესველებინა ბალით, ალუბლით, გარგარით... და რატომღაც შეთავაზება ყოველთვის მერიდებოდა: ცუდად არ გამიგოს, თითქოს მგზავრობის ფულის გახდა არ მინდოდა-მეთქი – ასე გაგფიქრებდი და თავს შევიკავებდი.

ახლა ვნანობ, რომ გაუმართლებელი სიმორცხვე ერთხელაც კი ვერ დავძლიე – თითქოს ამით მე დამაკლდა რაღაცა, მარტო მას კი არა...

2001 წლის 22 მაისი.

2009 წლის 25 დეკემბერი.

### კოჭლი პრეზიდენტი

მისი უმაღლესობის, უბრწყინვალესობის, უდიდებულესობის და ასე შემდეგ, ბატონ პრეზიდენტისთვის, ფრიდრიხ ვილჰელმ შატაბუტა-ტარულაშვილისთვის, პროვინციულ ქალაქ ფუთში სტუმრობა ერთი ფრიად უსიამოვნო ინციდენტით აღინიშნა.

თავდაპირველად ყველაფერი ჩვეულებრივ მიედინებოდა: ბატონი პრეზიდენტი რესტორან “ცისფერ კალმასში” გემრიელად გამოძღა, ორი ლიტრი ძვირფასი საკოლექციო ღვინოც მიირთვა, საგანგებოდ მისი სტუმრობისთვის აქ ჩამოყვანილი უცხოური ქალთა ვოკალური ტრიოს სიმღერების მოსმენითაც დატკბა და სასიამოვნოდ გატარებული საღამოს შემდეგ, ღამის ორის

ნახევარზე, პირადი დაცვის (და, აგრეთვე, ერთი მშვენიერი ქალბატონის – ვოკალური ტრიოს წევრის) თანხლებით გამოდიოდა რესტორნიდან. წყნარი ღამის სუფთა ჰაერზე გამოსული ბატონი პრეზიდენტი დაჯავშნული “მერსედისისკენ” გაემართა, რათა გარეუბანში განლაგებულ ადგილობრივ საპრეზიდენტო რეზიდენციაში გამგზავრებულიყო, რომ ამ დროს... ბატონმა პრეზიდენტმა უცებ მშობიარე ქალივით წამოიკვილა!

არა, ტერორისტული აქტის მცდელობა არ ყოფილა, უბრალოდ ფეხის კოჭი უხერხულად გადაუბრუნდა... და, მასთან მივარდნილი პირადი დაცვის ჯანიანი ბიჭების დახმარებით, ცალ ფეხზე ხტომით, გაჭირვებით მიხანხალდა საპრეზიდენტო “მერსედისს” წინასწარ გაღებულ უკანა კარამდე...

ალბათ ყველაფერი დამთავრდებოდა თბილისიდან ვერტმფრენით საჩქაროდ ფუთში გადმოფრენილ გამოჩენილ ექიმ-ტრავმატოლოგის მიერ ამოვარდნილი კოჭის ადგილზე ჩასმით და შატაბუტას რამდენიმეღლიანი დასვენებით (ჰოი, რას მოისვენებდნენ ადგილობრივნი! დიდიდან აღარ გადაიკეტებოდა რესტორნისკენ მიმავალი ქუჩები და თვით რესტორანიც არ დაიკეტებოდა ერთი კაცის სტუმრობის მოლოდინში – კაცმა არ იცოდა, როდის ინებებდა ბატონი პრეზიდენტი რესტორნის მონახულებას!), მაგრამ მოულოდნელად მოვლენები სხვაგვარად წარიმართა...

ბატონ პრეზიდენტს შეატყობინეს, რომ მისი უსაფრთხოების სამსახურის მიერ მოპოვებული ოპერატიული მონაცემებით, თურმე მისი რესტორნიდან გამობრძანება და დაჯვლანული სახით, კვანჭილაობით მანქანამდე მისვლა ვიდეოკამერით უჩუმრად გადაუღიათ ადგილობრივი სატელევიზიო არხის ტელერეპორტერს, ვინმე ცირა გაბედულად და ტელეოპერატორს! (მეორე დღეს, საღამოს, უნიკალური მასალა ადგილობრივი სატელევიზიო არხით ეთერში მოხვდა). და, შესაძლოა, ეს სენსაციური კადრები დედაქალაქის არხებითაც გადაიცეს და, არ არის გამორიცხული, მას გვერდს არ აუფლიან მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც!

– ეს დაუშვებელია! – ამ ამბის შეტყობისთანავე იყვირა უკიდურესად გაღიზიანებულმა ბატონმა პრეზიდენტმა. – ახლავე მიიღეთ ყოველგვარი ღონისძიება ამ ვიდეოფირის გასანადგურებლად და დამნაშავეთა დასასჯელად!

ცირა შუადამეზე წამოაგდეს ლოგინიდან...

მაშინვე წაიყვანეს სასამართლოში.

საქალაქო სასამართლოს საგანგებო სხდომა იწყება ღამის პირველ საათსა და ცამეტ წუთზე.

სასწრაფო დავალების შესასრულებლად საგანგებოდ მოყვანილმა მოსამართლემ, ქალბატონმა კასანდრა კაკაღუამ, ცირა გაბედულად ფრიად სერიოზული ბრალდებები წაუყენა: 1) ტელერეპორტერი ბოროტად არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს; 2) გამომწვევად იქცეოდა და პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია; 3) სერიოზულად დააზიანა პრეზიდენტის მანქანა!

მოწმეებიც ჰყავთ – პოლიციის თანამშრომლები!

ბრალდებულს თვითონ უხდება საკუთარი ინტერესების დაცვა, რადგან, მისი კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, სასამართლო პროცესს არ ესწრება ადვოკატი.

– სად მოხდა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა და როდის? – კითხვას სვამს ბრალდებული ცირა.

– დღის 2 საათზე, ქალაქის მერიის წინ! ა, ბატონო, ამას ადასტურებს შედგენილი ოქმი!

– ამ დროს მე ტელესტუდიაში ვიმყოფებოდი, მასალას ვამზადებდი, უამრავი მოწმე დადასტურებს! მეორე ოქმში წერია, რომ პოლიციელებს მე წინააღმდეგობა გაუწიე დღის 2 საათსა და 10 წუთზე პრეზიდენტის რეზიდენციის შესასვლელთან, რომელიც მერიიდან დაშორებულია კვი 20 კილომეტრით... როგორ შეგძელი მე ათ წუთში მერიიდან რეზიდენციამდე მისვლა? ჩიტი ხომ არ ვარ, გადაფრენილიყავი? არა, ჩიტიც ვერ შეძლებდა ამას! თანაც პრეზიდენტის დაჯავშნული მანქანაც დამიზიანებია... რატომ არ ახლავს ოქმს ექსპერტიზის დასკვნა? კერძოდ, რა სახის დაზიანება იქნა მიყენებული? მანქანის ჯავშანი ფრჩხილებით დაგკაწრე, თუ სული შეგუბერე და შეგვლუნე? ან, ასე ადვილია პრეზიდენტის მანქანასთან მისვლა, ორმოცდაათკაციანი დაცვა რას აკეთებდა?

მოკლედ რომ მოგახსენოთ, თეთრი ძაფით იყო ნაკერი ყველა ბრალდება და მოსამართლე იძულებული გახდა, მოეხსნა ყველა წაყენებული ბრალდება და სასამართლოს დარბაზშივე გაერთავისუფლებნა ცირა გაბედულად, მაგრამ ადმინისტრაციული ჯარიმა მაინც დააკისრა – 100 ლარის ოდენობით! ვიდეოჩანაწერის კონფისკაციით!

– რისთვის დამაჯარიმეთ?

– სასამართლოს მიმართ გამოჩენილი უპატივცემულო დამოკიდებულების გამო!

რასაკვირველია, ვიდეოფირი ბევრად ადრე იყო უკვე ტელესტუდიიდან წაღებული უშიშროების სამსახურის მიერ...

ყველაზე სასაცილო ამბავი კი სასამართლოს სხდომის დასრულების შემდგომ მოხდა.

სასამართლოს შენობის წინ შეკრებილი იყვნენ მმართველი პარტიის ადგილობრივი ახალგაზრდული ორგანიზაციის საგანგებოდ მოყვანილი წევრები, დაახლოებით ორმოცი კაცი, რომლებმაც, მოსამართლის გადაწყვეტილებით უკმაყოფილოებმა, – ისინი მოელოდნენ, რომ ცირას 90-დღიან პატიმრობის ვადას მიუსჯიდნენ! – გარეთ გამოსულ პოლიციელებსა და სასამართლოს

მოსხლეებს დამპალი პომიდორებისა და ლაყე კვერცხების სეტყვა დააყარეს... რამდენიმე კვერცხი ქალბატონ მოსამართლესაც მოხვდა და მისი კაბა ყვითლად შეაღამაზა...

2010 წლის 5 იანვარი.

## ტახო

შენ ტახოს არ იცნობ? არც მისი სახელი გაგიგონია? თუ გინდა, მის შესახებ გიამბობ, ახალგაზრდა კაცია, მაგრამ უკვე მოასწრო საინტერესო ცხოვრებისეული გზის გაგლა – შენ მწერალი კაცი ხარ და იქნებ ჩემი მონათხრობი როდისმე გამოიყენო... იქნებ რომანის სიუჟეტადაც კი გამოდგეს, მე მოკლედ მოგიყვები.

ტახო ჩემი მეგობრის, ტერენტის, შვილია, ძალიან კეთილი ბიჭია, იცი, რა კარგი ბავშვი იყო? ვინ იფიქრებდა, რომ მაგისგან მაგარი ქურდი გამოვიდოდა... მაგრამ რომ ნახა, ის ვიღაც კაცი, ოხერი, დედამისს... ამას მერე მოგიყვები, ჯობს, თავიდან დაგიწყო.

ინტელიგენტი მამა ჰყავდა, – ტერენტი ერქვა, – უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული, ლექსებს წერდა, – ჩემი მეგობარი იყო... და გიკვირს ალბათ, მისი შვილი როგორ გახდა ქურდი? იმიტომაც გახდა, რომ მამამ მიატოვა ოჯახი, ამ დროს სამი შვილი კი ჰყავდა: ეს ერთი ბიჭი – შუათანა შვილი, თოთხმეტი წლის ტახო – და ორი გოგო – უფროსი, ოცი წლის მარიამი და უმცროსი, ათი წლის ნინო. ტახოს დედა, ნინია, ჩვიდმეტი წლისა იყო, როცა ტერენტიმ ცოლად მოიყვანა. მერე, ეს არეულობა რომ დაიწყო, გამეფდა ძალმომრეობა, ქურდობა და უბედურება, ხალხს პურის ფულიც არ ჰქონდა და, განსაკუთრებით, ინტელიგენცია ჩავარდა შავ დღეში, ნინიამ სამუშაო იშოვა, მაღაზიაში გამყიდველად მოეწყო. ტერენტიმ გაიგო – მისი ცოლი მაღაზიის მეპატრონის საყვარელი გამხდარა... ფული იშოვა და აიწყვიტა... შვილმა უთხრა, ტახომ: “მამაო, სადღაც ქალაქკარეთ მივდიოდით ხოლმე მანქანითო – მოდი, მანგლისი ვნახოთო; მერე გადაუხვევდა ხეობის მიყრუბილ ადგილას, სადაც ნაკლებად იყო ხალხი... რომ გაცივდები, ჩაიფერდებ, ალგეთი იწყება და იქ ბუჩქებია... ზევით დამტოვებდნენ: ჩვენ წავალთო, რაღაც ბალახები უნდა მოგკრიფოთო, წამალიო – მოიგონებდნენ... მანქანაში დამტოვებდნენ და მანქანას მიხედეო, მეტყოდნენ...”.

ტერენტი ხათაბალას გაერიდა, ნინია მიატოვა, შენი დედაც გატირეო და მეორე ცოლი ითხოვა: მასზე ბევრად ახალგაზრდა ქალი, მისი უფროსი ქალიშვილის ხნისა – ტატა, წიწკი, ფუმფულივით გოგო, ჩასაყლაპი... მეორე სიდედრი, ამ ტატას დედა, ტერენტის ხნისა იყო!

ტატასთან ტერენტის ყვოლა გოგო – თათული. მარიამი და ნინო გათხოვდნენ, შვილები ჰყავთ... ტახოს უფროსი და, მარიამი, დიდი კერძო სტომატოლოგიური პოლიკლინიკის მფლობელია, მისი ქმარი ერთხანს პარლამენტის წევრი იყო, ახლა ბიზნესმენობს; მეორე დას, ნინოს, სამი შვილი ჰყავს და დიასახლისობს, მისი ქმარი სამშენებლო ფირმის თანამფლობელია. სიძებმა ტახოს ფულით მოიმაგრეს თავდაპირველად წელი. იცი, ტახო ნაბოლარას, თათულის, განსაკუთრებით აქცევს ყურადღებას, ძალიან უყვარს უმცროსი და; შეარია და დედამისი, ნინია, და დედინაცვალა, ტატა, ისე, რომ უერთმანეთოდ პურს არ ჭამდნენ; ტერენტი გარდაიცვალა, ორივენი ტირილდნენ... ტერენტი კარგი კაცი იყო, ძალიან გულთბილი... ეს ტატა, სანამ ტერენტის ცოლი გახდებოდა, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში მუშაობდა, ყოველთვის რედაქტორის მდივანად და ყოველთვის რედაქტორის საყვარელი იყო. ამბობდნენ, ტერენტის ბედი არა ჰქონია: პირველი ცოლი გაუბოზდა, მეორე – ბოზი შეირთო. იქნებ ტერენტიმაც იცოდა ტატას წარსული, მაგრამ პირველი ცოლის ჯინაზე მოიყვანა: “აი, შენ ხომ მიღალატე, სამაგიეროდ, ნახე, შენზე ბევრად ახალგაზრდა და უფრო ლამაზიც ვითხოვე!”.

როცა ტახომ ყველაფერი ეს დაინახა, – მამამაც მიატოვა ოჯახი, – აგრესიული გახდა, ხალხი შეიძულა, იმისთვის ყველა ადამიანი იყო გლახა და მატყუარა... და იმას უნდოდა, შური ეძია ხალხზე. ხომ ვერ განსაზღვრავს იმ დროს თოთხმეტი წლის ბიჭი, რომ ზოგი ადამიანი კარგია, ზოგი – ცუდი, სწავლაზე გული აიცრუა... გაერია ქუჩის ბიჭებში, ნელ-ნელა ქურდობაც დაიწყო... ჰოდა, ჩაჯდა ციხეში, მაგრამ ის სიკეთე, რაც ბუნებით ჰქონდა, მაინც არ მოიშალა, კეთილი მაინც არის. მერე, შევარდნაძის დროს, მანქანებს იპარავდა, ცხინვალში გადაჰყავდა... იქ მშაკაცები ჰყავდა, მანქანებს ყიდულობდნენ და რუსეთში ჰყიდდნენ. ტახო ბანდას ხელმძღვანელობდა, მაგარი ფული იშოვა – სამ თვეში სამი მაღაზია იყიდა კარგ ადგილას: “დელისის” მეტროდან რომ ზევით ახვალ, ნუცუბიძის ქუჩის გაყოლებაზე; დედამისი, ნინია, დააყენა უფროსად, ძველი ვაჭარი... ტერენტის ეცინებოდა: ამ ქურდმა რას მიაღწიაო. მთავარი ქურდი იყო და რომ წავიდოდა “საქმეზე”, მზვერავი ბიჭები ჰყავდა, იცოდნენ, დამე კარგ მანქანებს სად აყენებდნენ. გარაჟს ცხრაკლიტული რომ ჰქონოდა, მივიდოდნენ და დილას პატრონს კარი დაფლეთილი დახვდებოდა – უხმოდ მუშაობდნენ. ლიტრანახევრიანში ჰქონდათ ჩასხმული ხსნარი და არც შესადუღებელი აპარატი გინდოდა და არც არაფერი, – რომ ჩაასხამდნენ, იხსნებოდა რკინა, გაჭამდა, დაადნობდა თავის ანჯამებიანად, როგორც ყინულს რომ მღუღარე დაასხა; ტახომ ამის ტექნიკა იცოდა ბრწყინვალედ.

ოთხნი იყვნენ, როცა ტახომ ქალი მოიტაცა – თბილისის ერთ-ერთი რაიონის პოლიციის განყოფილების უფროსის ქალიშვილი! როგორი საქმეა, პოლიციის უფროსი რომ იტყვის, ჩემი ქალიშვილი მოიტაცესო, საბურთალოელმა ქურდმა წაიყვანაო, სირცხვილით სადღა უნდა გამოეყო თავი! დედალს დაუბახებდნენ... ტახოს დასჯა გადაწყვიტა, უნდოდა ეჩვენებინა, რომ აი, რა მაგარი ვარ, კაცი ვარ და კიდევაც წავართვი გატაცებული ქალიშვილი, კიდევაც დავიბრუნეო! ახლა მასაც დაგიჭერ და დედას ვუტირებო!

თბილისიდან გაცემული იყო ბრძანება, ეგონათ, რომ გამტაცებლები მცხეთის ახლომახლო დაიმალებოდნენ. აქედან გასაქცევი იყო სამ მხარეს: ჩრდილოეთით – არაგვის ხეობისკენ, დასავლეთით – გორისკენ და აღმოსავლეთით – კახეთისკენ; ყველა ეს გზა შეკრა პოლიციამ. გამტაცებლები იძულებულნი გახდნენ, მცხეთაში მანქანაც და ქალიც დაეტოვებინათ და თვითონ გაქცეულიყვნენ... ის მანქანაც მოტაცებული იყო. ტახომ მოისაზრა, რომ მანქანიანს დაგვიჭერნო და წავიდნენ ფეხით, ტყე-ტყე. პოლიცია მხოლოდ გზებზე იყო ჩასაფრებული: მათი დევნა არ ღირს, გოგო დაგვიტოვა და მაგენი თუ მანქანით წავლენ, დავიჭერთო.

ტახოს ერთ-ერთი მეგობარი სვანი იყო, სვანეთში წავიდეთ, ჩემს ნათესავთან, იქ ვერაგინ მოგვაგნებსო. გადავიდნენ ჯერ ცხინვალისკენ, მერე, კვანისის გზით – რაჭაში, რიონის ხეობაში, მერე – ლაჯანური და ცაგერი გაიარეს, ოღონდ – სულ ტყე-ტყე იარეს ან ცუდი სავალი გზით, ფხეკებით... სოფლებში თუ ბიჭებს შეეკითხებოდნენ, ჩვენ მოგზაურები ვართ, ტურისტებიო, ფულს მისცემდნენ საჭმელში; იმათ რა იცოდნენ, ამათ ქალი მოიტაცეს თუ რა იყო. მაგდენი ინფორმაცია მაშინ სად იყო, იმ პოლიციის უფროსსაც უკვე ფეხებზე ეკიდა – შვილი ხომ დაუტოვა. ყველა ოჯახს ხომ ვერ დაურეკავ, ასეთი და ასეთი ხალხი დააკავეთო, მაშინ მობილური ტელეფონებიც სად იყო, ან ვის უნდა დაურეკო – ამნაირი კაცი გამოივლის და დაიჭირეთო... თანაც, გრაკალის მკითხავიც ვერ გამოიცნობდა, საით წავიდნენ.

გზაში კიდევაც გაიყინენ, ავადაც გახდნენ, მიადგნენ სვანეთს; ალბათ ხუთი-ათი კილომეტრი კიდევ უნდა გაიარონ ერთ-ერთი გამტაცებლის ნათესავის სოფლამდე და უცებ წინ გადაუდგნენ თოფიანი მძარცველები. ერთი უფროსობს, იკითხა:

– აქ რომ უცხონი მოდიხართ, საიდან ხართ, ვინ ხართ?

უთხრეს, ვისთანაც მიდიოდნენ; უფროსმა არ დაუჯერა – იმ ტახოს მეგობარმა სვანმა არ იცოდა სვანური:

– შენ რა სვანი ხარ? საბუთში მე, თუ მინდა, ბაგრატიონს ჩავიწერ! საიდან მოსულხარ, ვინ გაგდებული ხარ? მატყუებ?! ყველაზე სიმართლე ის იქნება, სვანურად დამელაპარაკე და არაფერი გვინდა, ყველაფერს დაგიბრუნებთ, თუ სტუმრად მიდიხართ!... ჩვენ მხოლოდ ყაჩაღებს ვაყაჩაღებთ: “ქურდის ქურდი ცხონდაო”...

სინამდვილეში ესენიც ყაჩაღები იყვნენ, მაგრამ ვითომ – პატიოსანი ბიჭები: ფეხებზე არ ჰკიდიათ, ვინ იქნება, ყველას ერთნაირად ძარცვავენ, ყველაფერს წავართმევენ, თანაც – გცემენ, მაგათ ცემა უყვართ! თუნდა სვანურად დალაპარაკებოდი, ქალაქში იყავი წასული, რაღაც გიყიდიო, მოგაქვს, მაინც წავართმევენ, თან შეგაშინებენ: “გაიხადე, ბიჭო, შენი დედა... გაამხელ – დედაბუდიანად გადაგწვამთ!”... როცა სვანურად დაელაპარაკები, იოლად გადარჩები: კი წავართმევენ, მაგრამ აღარ გაგლახავენ, კბილები შეგრჩება, ესეც ხომ ხეირია!

– აბა, გაიხადეთ ახლავე ტანსაცმელი, თორემ დაგხოცავთ სუყველას!..

ბიჭებს ქურქები ეცვათ, განადგენ... ნაღდი ქურქები, თითო 3000 ლარზე ნაკლები არ ღირდა – ბეწვიანები, სულ ტყავი, გრძელები... აბა, ქურდი იაფფასიანს კი არ ჩაიცვამს, თანაც საქორწინლოდ ან თუნდაც საქეიფოდ მიდიოდეს; ქურდისთვის მულამი ის იყო, ყველაზე კარგად, ძვირფასად უნდა ყოფილიყო ჩაცმული: ქურქი ზევით მოკლე კი არ უნდა ყოფილიყო – კოჭებად უნდა უწევდეს, იმიტომ, რომ, თუ მოკლე აცვია, მთლად მაგარი ქურდი ვერ არის, რანგით ნაკლებია, აბა, რა! თან ქურქი უნდა იყოს თავისუფლად, ჩაფამფალებული, ბარაქიანად მორგებული, შემოწკეპლი კი არა: “რა გენანება, ვერ მიეცი ცოტა მეტი, შე გომიო, ფული არ გაქვს თუ რა?”. ამათი ფსიქიკა ასეთია. თუ ვინმეს ახლობელი მოუკვდა, ქურდი ყველაზე მეტს დადებს, თუ ღარიბია ნაცნობი – სულ არ შევა...

ჰოდა, ამდენი ტყეები გაიარეს, მთები გადაიარეს და არცერთ სოფელში ხიფათი არ შემთხვევიათ, იმიტომ, რომ სოფელში ყაჩაღი ვერ იბოვინებს. მეზობელს რომ წაართვა, მერე მოგიხტება და დედას გიტირებს, ამიტომ ცოტა მოშორებით ყაჩაღობენ, მივარდნილ ადგილას, თან – ახლომახლო, რომ უცებ შეძლონ გაქცევა და შინ მისვლა. აქამდე არაფერი მოსვლიათ, ახლა კი, როცა ეგონათ, სამშვიდობოს გავედითო, სადაც შევლას ელოდნენ, იქ წაუვიდათ საქმე ცერად, იქ გაძარცვეს, სცემეს, ჩამოაცადეს კბილები... შეიძლება, მოეკლათ კიდევ...

მხოლოდ ტახო არ იხდიდა ქურქს – შემოდგომა იყო, მთაში უკვე მართლა ციოდა – და ამან, ამ უფროსმა უყვირა:

– შენ გელოდო? აგაუწავ! ქურქის გაფუჭება მეცოდება, თორემ აგჭრიდი სულ, მერე ხომ უნდა ჩავიცვა... ჩქარა გაიხადე, შენი... – შეაგინა.

ტახო გაბრაზდა:

– რას ამეუწავ, შე ჩათლახო! – და ისე გამწარებულა, მაგრად ხია ყბაში, იყარა ჯავრი, ძალიან ივაჟკაცა. ისე მოარტყა, კინაღამ გაუხვრიტა თავს ქალა.

ტახო პატარაა ტანად, მაგრამ უტყვია, რომ დაახრჩო, არ შეგეპუება; თავზე ჯაგარა თმა რომ ჰქონდა, მხოლოდ იმიტომ არ შეერქვა მეტსახელად ტახო, ხასიათიც შესაბამისი ჰქონდა. მივარდნენ და ერთი-ორი კბილიდა შეაჩინეს.

მთელი ყურადღება გადავიდა ამ დარტყმაზე, ეს რომ არ გაეკეთებინა, შესაძლოა, ბიჭები ძალიან დაემცირებინათ, ისინი ლაჩრებსაც არ ინდობენ... მაგრად კი სცემეს. მაგრამ იმათშიც გამოჩნდა ვიღაც ჭკვიანი და “კარგი, გვეყო, ნულარ მოგვლავთო” – მერე იმათ საქმეც ძალიან გაუფუჭდებოდა, თუ ვინმე შემოაკვდებოდა, იქ ველარ გაჩერდებიან. დანარჩენებიც სცემეს, მაგრამ იმდენად არა, ტახოს შედგნენ ფეხებით ყველანი; მთლად არ მოკლეს, შეიწმინდეს ფეხები და წავიდნენ, ნადავლი წაიღეს: ჯიბეზე რაც ფული ჰქონდათ, ტახოსთვის ძეწკვი შეუხსნიათ – ოქროს ძაწკვს ატარებდა, ხომ იცი, უყვართ ქურდებს ოქროსულობის ტარება, წაართვეს ბეჭდები, საყურეები – მოტაცებული ქალი ცოლად მიყავდა – და დატოვეს ესე ცოცხალ-მკვდარი.

ავიდნენ, მივიდნენ ბიჭები იმ სვანის ნათესავის ოჯახში, ჰოდა, რომ ნახეს გატიალებულები, კბილებჩამოცვენილები, გაძარცვულები, – რაც კი კარგი რამ ჰქონდათ, სულ წაუღლებიათ, – ნათესავმა თქვა:

– ეს ჩემი სირცხვილია, შენ რომ ჩემი სახელი უხსენე და ასე მოგექცენ; არა მგონია, რომ ეგენი ჩვენებურები ყოფილიყვნენ, იმიტომ, რომ ჩვენ აქ გვიცნობენ! მე ამას შევამოწმებ და დედას უუტირებ მაგათ!

არა, დედას სვანეთში ვერ უტირებდა, არ შეიძლება, იმიტომ, რომ მერე დაგსჯიან, გვარი გვარს გადაემტრება; უნდა სხვანაირად მოიქცე.

– მოვითათბირებთ და რაღაცას მოვახერხებ, ოღონდ უნდა დამტკიცდეს, აქ ასეა მიღებული. ყაჩაღები ბევრი სოფლიდან დადიან და ჩვენი სოფლიდან ვინც დადის, ვიცნობ იმათ...

ჰოდა, ამით ჩვევა აქვთ, ეს აქ ითვლება დიდ ვაჟკაცობად: რასაც წაართმევენ, მეორე დღეს იცვამენ “ბირჟაზე”: “აი, მე ის ღამე ვათიეო, აი, მე როგორი ვაჟკაცი ვარ, წავართვი ვიღაც გოიმის!”. იმათ “ნანადირევი” და “მონადირეც” მოსწონთ: “ვაჰ, რა მაგარი ყოფილხარ!” – ბიჭები მისჩერებიან, ამგვარ “ვაჟკაცობაში” ბაძავენ ერთმანეთს, იზრდებიან ბავშვები... აბა, ძროხა რომ გაზარდო, ძნელი გასაზრდელია: წადი, ზაფხულში აძოვე, ზამთრში თივა აჭამე, მუქთად არ ჯობს? გზაში ვიღაცას დაუხვედები ან სახლში მიუხტები...

გამოსულია თურმე ერთი “ბირჟაზე” – ტახოს ქურქი არ აცვია? მაგის დედა ვატირე! “უ-უ-უ!” – დადის ასე, დაიყინება. ყველაზე კარგი ნადავლი იმ წელს ტახოს ქურქი იყო და იმას არ აჩვენებდა “ბირჟაზე”? ნაყაჩაღარით ამაყობდა: “ნახეთ, რა მაგარი ვარ!”.

– მოდი აქ! – დაუძახეს, დაუქნიეს ხელი.

– რა იყო?

– რა იყო და იმ კაცმა ხომ გითხრა, ჩემთან მოდიოდა სტუმრად, რატომ შეაფურთხე ჩვენს ოჯახს?

– არ ვიცი მაგი, სვანური ვერ გვითხრა, ის რა სვანია?

– ჩემი სახელი ხომ გიხსენა? თუნდაც არ იყოს სვანი, მერე რა? იქნებ იმერელია, იქნებ მეგრელია... მოდის ჩემთან სტუმრად...

– ალბათ შენი სახელი სადღაც ქალაქში გაიგონა და იყენებდა... – თავს იმართლებდა ტახოს ქურქის წამრთმევი.

– საქართველოში სტუმარი ღვთისაა და შენ ეს როგორ გააკეთე? ახლა, ბიძია, შენ ვერსად წახვალ და თუ სადმე წახვალ, ველარ მოხვალ აქ, გაიგე? უნდა შევიკრიბოთ, – შენიანებიც, ჩვენიანებიც, – და შენ დაიხჯები!..

– კარგი, დავიხჯები, რასაც...

და მიუსაჯეს – რა? უნდა გაეოჭონ და დაზარალებულმა უნდა ურტყას, სამაგიერო გადაუხადოს, როგორც იმას სცემა.

მოიყვანეს ტახო, კბილებჩამოცვენილი, გაშუბღურებული, ჰოდა, მიდიო, ურტყო, ჩვენ ასეთი წესი გვაქვსო. “არაო, – ტახომ, – არაო, მე დღეს თქვენთან სტუმრად ვარო და რაც ამან ჩაიძინა, ამათ თვალწინ მე იმავეს ვერ გავიმეორებ, მე ამას ვერ ვიზამო... მე არა ვარ სვანი, რა უფლება მაქვს, მაგას ვცემო... თუ არადა, სულ არ ვითხოვ მაგის გალახვასო, ამ კბილებს კი ჩავისვამ, რაღაცა იქნება, ხომ არ მოგუკლივარო... თუ გინდა, ეგ ქურქიც მაგას ჰქონდეს, არ მინდაო, კიდევ ვიყიდიო... თუ გასალახია, თუ გინდათ, თქვენ სცემეთო”...

“ჩვენ ვცემოთ?” – მივიდა სამი ბიჭი და ამოურტყიათ პანჩური: “წადი, შენი...”, როგორ შეგვარცხინეო. “დედა შემაგინაო”, “დედას შემაგინებდა, აბა, რას იზამდა!”, დედის გინება აღარაფრად ითვლება, რაც ჩაიძინა დანაშაული, იმაზე უნდა აგოს პასუხი, ჰოდა, უარესად ურტყეს ამის გვარის ხალხმაც და იმის გვარის ხალხმაც – ტახო ისე ვერ გალახავდა. იმიტომ კი არ სცემეს, ქურქი რატომ განადგო, – გვარი რატომ შეურაცხყავი, რატომ არ დააფასეო...

ტერენტის ქვეყნის ნაცნობობა ჰყავდა პოლიციაში, საგამოცდლო კომისიის წევრი იყო, მათ შეიღებს აწყობდა ხოლმე სამედიცინოზე... სხვათა შორის, ახლანდელი ექიმები რომ კლავენ ხალხს, ვერ აკეთებენ ვერც ოპერაციებს, მაშინდელი გამოშვებულია ესენი – სულ ფულით როგორ უნდა ისწავლო. ტერენტისაც მიუძღვის ბრალი და ღმერთმა იქნებ ამიტომ დასაჯა, რომ ამდენ უცოდინარს უწყობდა ხელს... თუ არ ვარგინარ, არ უნდა წახვიდე ექიმად; ბევრ



წესიერსაც იცავდა, ნიჭიერს, მაგრამ გლახასაც იცავდა... კარგს რომ არ შერებოდა, თვითონაც იცოდა, მაგრამ მაშინ, ხომ იცი, რა უბედური დროც იყო – უფულობა, უდენობა, უმუშევრობა... ჰოლად, ჩააწყო ტერენტომ საქმე, დაურეკა პოლიციის უფროსობას, იმათ კიდევ – მთლად უფროსობას და ჩაიფარცხა იმ გოგოს გატაცების საქმე, თორემ მამა რომ არ ჰყოლოდა, ტახო არ გადაჩებოდა, ჰკლავდნენ ნაღდად... პირობა დაადებინეს, რომ იმ გოგოს აღარ გასცემდა ხმას; ტახოც დათანხმდა, რასაკვირველია, და ტერენტის უთხრეს, ჩამოვიდეს, გამოჩნდეს, აღარაფერს ვუზამთო...

მერე, ყველაფერმა რომ ჩაიარა, საქმის დასახურად ტერენტი უნდა მისულიყო ვაკის პოლიციის განყოფილებაში. ჩაეუჯექით მანქანაში; შვილი დასვა თავისი მანქანის საჭესთან და ტახომ გახის სატერფულს რომ დააწვა, ისე გავიარეთ ეს ვაკე-საბურთალოს გზა, არაფერს უყურებდა – გიჟივით მოფერინავდით... ადრე სამჯერ ყოფილა ტახო აგარიებში გადაჩენილი, ერთხელ კი მანქანა გადმოაფრინა, ჩავარდა და ვიღაცის სახლის სახურავს დაეცა ზევიდან! იცი, რამდენი თავგადასვალი ჰქონდა მაგ ბიჭს?

ჯერ ვითომ გადაწყვიტა, სოლიდურ სპეციალობას დაუფლებოდა და მამამისმა, ტერენტომ, მიაბარა სამედიცინო სასწავლებელში, კბილის ტექნიკოსი გამოვიდა – ალბათ სვანეთში რომ კბილები ჩამოუდეს, იმის სამახსოვროდ! ქურდობას შეეშვა... კიდევაც რომ იქურდოს, სააკაშვილი უტირებს ყოფას! აღარც აქვს საქურდალად საქმე, მილიონერის ქალიშვილი შეირთო, თვითონაც ბევრი ჰქონდა – დედა ვაჭარი ჰყავს, – მარკეტები, მანქანები... ტახომ ცოლად ითხოვა გოგო, – შეყვარებული როცა იყო, ტერენტისთან მოჰყავდა ხოლმე, – ულამაზესი, შოლტივით ასული, ტახო ჭიპამდე სწვდება. ძალიან შეუყვარდა, ბიჭი ჰყავთ, ახლა ორი წლისაა – ლამაზი, ხუჭუჭთმიანი – ტახოს ჯაგარივით თმა კი არ აქვს!

მამამისი, ტერენტი, გაუქურდავთ ვიღაცეებს, პირწმინდად წაუღიათ ყველაფერი: მაცივარი, ავეჯი, ჭურჭელი... რა იცოდნენ ქურდებმა, თუ ტერენტის შვილი ყოფილი ქურდი ჰყავდა.

ტახომ მამას ჰკითხა:

– ეჭვი ხომ არ გაქვს ვინმეზე?

– შვილო, მე არ დამინახია, მეუბნებიან, სამი ბანდაა, ისინი იპარავენო.

– მოვიყვან ბიჭებს და მაგათ დედას ვუტირებ – ყველას სახლში ბომბს შევაგდებ! არც ეს სახლი გეინდა, სხვაგან ვიყიდოთ!

– არა, შვილო, – აჩერებდა ტერენტი, ატყობდა ტახოს, ხალხის მიმართ აგრესიული გახდა, სიცილით უთხრა: – შენ რომ იპარავდი, შე მამამაღლო, ის კარგი იყო? კარგი რა, რა ბომბი აგიტყდა, არ შეიძლება!

– არა, ბომბი უნდა შეეუდო!

მამა არწმუნებდა, დამშვიდდო, ბოლოს, ტახოც მიხვდა, რომ ჩხუბი და დავიღარაბა არ ივარგებდა; მამის გავლენა რომ არ ყოფილიყო, გახდებოდა ბოროტი; ტერენტის დამსახურებაცაა, რაც საბოლოოდ გახდა ტახო – ეს წლები მამამისი სულ მოშორებული ხომ არ იყო, ყურადღებას აქცევდა.

ტახომ სოფელში აიშენა სამსართულიანი აგარაკი, ბობოლეების გვერდით: ზოგი – ბანკის მმართველია, ზოგი – საქმოსანი... გააკეთა თანამედროვედ, უმაღლეს დონეზე – აუხით და ერთი ამბით, ეზოში ციცრები და ფარშევანგები გაუშვა... მარტო სამი სახლის ფასი გალაგანი დაუჯდა; გამოთხარა, ჩაასხა ბეტონი, ტერასები გააკეთა...

ტახო ამოდის ხოლმე თავისი ჯიპით და ოჯახთან ერთად ისვენებს. ქალაქში ააშენა პატარა ეკლესია, – სადაც ცხოვრობდა, იმ უბანში. მამამისი, ტერენტი, რომ მოკვდა, იქიდან გაასვენეს. ეკლესიას 500 დოლარი შესწირა. მღვდლებმა რომ გაიგეს, მაღაზიები აქვსო, უთხრეს, ცოტააო. ტახომ დაამშვიდა: ნუ გეშინიათ, მერე კიდევ მოგცემითო...

ახლა რომ მიდის ეკლესიაში, ლოცულობს და ინანიებს, ზოგი ხომ არ მონანებდა... მონანია და რასაც იშოვის ნავაჭრს, თითქმის ნახევარს სულ მათხოვრებს ურიგებს. შედის ეკლესიაში და დაჩოქილ მათხოვარს ორ კაპიკს ხომ არ დაუგდებს, რომ იქნებ ღმერთმა მაპატიოსო...

2010 წლის 11 მაისი.

სამი ძმა  
ესკიზი

მე ჩემს დღეში არ მქონია სახლი არსად, სანამ მთავრობამ ბინა არ მომცა აქ, ღრმადელეში... სადაც დავიბადე, სოფელში, ის სახლი თანდათან დაინგრა – მამაჩემი ომში წაიყვანეს და იქ დაიდუპა – და ჭურები, ბევრი სხვა რამეც, მეზობელმა წაიღო... დედაჩემი კი წამოიყვანეს მისმა ძმებმა – ჟულიამ და კაკომ, სხვა სოფელში, სადაც დედაჩემი დაიბადა და ცხოვრობდა, სანამ გათხოვდებოდა; მიუზომეს ადგილი და აუშენეს ხუხულა.

ის ქოხი ძმებმა მისცეს, გაუკეთეს და ჩემი ხომ აღარ იყო, არც ჩემი ძმის, მამიასი, ის დედაჩემის იყო. მე რე დედაჩემმა იმუშავა, ახალგაზრდა სანამ იყო, – წავიდა გურიაში, ჩაის კრეფდა სეზონებში და სახლის ფული იშოვა. სახლის ფული რომ იშოვა, მე რე დაგვიძახა მე და ჩემს ძმას, მოდიოთ, პატარა ქე იყო და უნდა აშენდეს კარგი სახლიო ქოხის მაგივრად, – ახლა მოდიოთ, შევთანხმდეთო... კაი იმერული სოფელია, ლამაზი – კაი ჰაერი, ტყე, წყაროს წყალი ამ სიმსხო გადმოსჩქეფს კლდიდან – გადასარევი ადგილია...

პოდა, ჩავედი, ვფიქრობ, რაზე მიბარებს? მაშინ ბავშვები პატარა მყავდა. “რაზე მიბარებს?”. “შვილო, ფული ვიშოვეო, რომ არ დაიჭუჭკოთო, არ მინდაო, ძმები მარტო იყოთო, ააშენეთ ამ ფულით დიდი სახლი, ზიარი იყოსო”. მე ვუთხარი: “არა გრცხვენია, რაა აქ გასაყოფი, ეს იყოს მამიასი. მე უფროსი ძმა ვარ, თბილისში მივდივარ, არაფერი სახლი არ მინდა-მეთქი”. არაფერი არ მქონდა, მაგრამ ვიფიქრე... ჩემი ძმა ქუთაისში ცხოვრობდა, სოფელში ცოლ-შვილი ზაფხულში ჩამოყავდა დასასვენებლად. ჩემი რომ ყოფილიყო, არ გავყიდდი არავითარ შემთხვევაში, იცი, რა ადგილია? აუჰ! ისეთი ადგილია, რომ ნახო, გაგიჟდები! ჩემმა ბიძებმა ჩამოიჭრეს საკარმიდამოები და... დიდი ხნის წინათ მოკვდნენ ის ბიძები – ჟულია და კაკო... იმათმა ჩამოიჭრეს კარგი ადგილები, ცოლებმა თურმე კინადამ სცემეს: “ვის აძლევ, ვინ მოგყავს?”; მიუხედავად ამისა, იმდენად კარგი ადამიანები იყვნენ, რომ თავისი ქერივი, სამშვილიანი და მოიყვანეს და დაასახლეს გვერდით, ეხმარებოდნენ...

სახლი კარგ ადგილზეა; როცა მოკვდა დედაჩემი, ჩემმა ძმამ გაყიდა ის სახლი კაი ფასში. მე რომ ვყოფილიყავი წილში იქა იმ სახლის, იმ ფულს ხომ გავუყოფდი? უჩემოდ ვერ გაყიდდა... ძმამ ძმა მოკლა სახლის გულისთვის, აგერ თუ ნახეთ ტელევიზორში, – თემქაზე, გუშინწინ – ლოთები იყვნენ... კაცი თუ ხარ, რაღაცა უნდა დათმო. მამია ქუთაისში ცხოვრობს, ჩავიდა სოფელში, გაყიდა... დაც მყავს, მარიკა, მაგრამ დას წილს ვინ აძლევს, ის გურიაშია გათხოვილი... გაბრაზებული იყო: ჩემმა ძმამ არაფერი, ერთი კაპიკი არ მომცაო; მით უმეტეს, დედაჩემს სიკვდილის წინ ის უფლიდა ერთი წელიწადი. ვინც არ იძლევა, ის მოგებუღია, მაგრამ კაცობის ამბავში წაგებუღია... რა კაცი ხარ, თუ არ დაუთმე, რომ მითხრეს, შენმა ძმამ გაყიდა სახლი დოლარებშიო, მე არ მინანია – “აუ, ნეტა არ დამეთმო!”, არ მწყენია, ნეტა მილიონად გაეყიდა... რა თქვენი საქმეა, თქვენი დედაც ვატირე-მეთქი! სახლის გულისთვის ძმას უნდა ვაწყენინო? ხომ სწორი ვარ?

მამიას ორი შვილი ჰყავს, გოგო და ბიჭი, შვილიშვილებიც. ბიჭი უფროსია, კოტე ჰქვია, ძალიან კარგი ბავშვია, ქალიშვილს – ლიკა. კოტეს ერთი გოგო ჰყავს, ლიკას კიდევ – ქალ-ვაჟი; ქუთაისში გვერდით ქუჩაზეა გათხოვილი. კოტეს კარგი ცოლი ჰყავს, ძალიან კარგი ადამიანები არიან. ჩემი ძმაც კარგი ბიჭია, მე დავეუთმე; რომ დაუთმო, რაღა იმის ბრალია, რაც უნდა, ის ქნას, თუ უნდა, გაყიდოს. არ მივევარდნილვარ: “ეს მე მერგება!”.

ჩემი და, მარიკა ჰქვია, სოფელში ცხოვრობს, გურიაში, ლანჩხუთის რაიონის სოფელში. სამი შვილი ჰყავს, ბიჭები, შვილიშვილებიც ჰყავს უკვე და შვილთაშვილებსაც მოესწრო – ჩემი და 1941 წელსაა დაბადებული, ჩემი ძმა – 1939 წელს, მე – 1935 წელს.

ჩემი დის შუათანა ბიჭი, ენვერა, თბილისშია, ბაზარში ვაჭრობს – ხან იქ, ხან აქ. სოფელში რომ სკოლაში სწავლობდა, მეშვიდე კლასიდან უყვარდა ერთი სვანის გოგო, ლალი, მისი კლასელი – სვანები იყვნენ ჩამოსახლებულნი მათ გვერდით სვანეთიდან. მათ კლასში იყო გოგი, კოლმეურნეობის თავმჯდომარის შვილი და ამ გოგის და ლალის უყვარდათ ერთმანეთი. ენვერა ლალის არ უყვარდა, გოგი უყვარდა მთელი გულით. ენვერა აცვენილი ბიჭი იყო, მეცხრე კლასში იყვნენ, როცა მოიტაცა ლალი და გააუპატიურა – გოგი ვეღარ წამართმევსო. მოვარდნენ სვანები, დაიჭირეს ენვერა და დახოქილს სულ მუხლებით წრები არტემევიანეს, ჩოქვა-ჩოქვით აფორთხიანეს... მე რე აიძულეს, ჯვარი დაეწერა ლალიზე, შერთეს ცოლად. თექვსმეტი წლის, მეჩვიდმეტეში გადამდგარნი იყვნენ. ვინც ლალის უყვარდა, გოგი, დადის შავებში, ტირის – ეს რა მომივიდაო...

გავიდა დრო, ჰყავს ლალი ცოლად – ბეჭელიც უყიდა, ყველაფერი. ენვერა წაიყვანეს ჯარში; რადამც ცოლი ჰყავდა, ერთი წლით ადრე გამოუშვეს შინ. დაღევა უყვარდა და პირველად ცოლთან კი არ მივიდა, საქეიფოდ წავიდა ძმაკაცებთან. სუფრაზე თამადად იყო ლალის პირველი შეყვარებული, გოგი, ის და ენვერა ვითომ შერიგდნენ... და უნდა, მაგრად დაათროს ენვერა, იცის, რომ არაყი უყვარს, გაუბედურებულია. სკოლაში სწავლის დროსაც ენვერა, გაკვეთილების მაგივრად, წავიდოდა ბიჭებთან ერთად არაყის დასალევეად, გოგი კიდევ მათ არ ეკარებოდა, სულ ხუთბეზე სწავლობდა. გოგიმ უთხრა ლალის: “რაც მოხდა, მოხდა, აღარაფერს ვუყურებ, ერთად უნდა ვიყოთო”, – სანამ ენვერა ჩამოვიდოდა ჯარიდან, მანამდეც ასე იყო, მაგრამ – “მაინცდამაინცო, ახლა უნდა გადავუხადო სამაგიერო ყველაფრისთვისო, ხალხში რომ მომჭრა თავი, ლოგინიდან უნდა აგართვა შენი თავიო”. და როგორ ქნა, იცი? ლალიმ ოქროულობა, ბეჭდები, ტანსაცმელი – ყველაფერი დაუტოვა: დამე წევს ლოგინში გათხლებილი მთვრალი ენვერა, – სახლამდე ხელით მიიყვანეს – და სასთუმალთან დაუწყო. გოგის წვეთი არ დაუღლევა, ბიჭები ჰყავს, იმათ წაიყვანეს ლალი მანქანით – წავიდნენ ბათუმში... სამ წელიწადს იქ ცხოვრობდნენ, სოფელში არ გამოჩენილან. ეს ენვერა შერცხვენილი დარჩა; კი იცოდა სად იყვნენ, მაგრამ ლოთ კაცს რისი

თავი აქვს, ქალის გულისთვის გამოეკიდება? ჩამოვიდა ჯარიდან და ცოლთან მისვლის მაგივრად არაყს სვამს, ასეთ კაცს რა უნდა მოსთხოვო?

გავიდა დრო, გოგის ლალისთან შვილები ეყოლა, ბედნიერად განაგრძეს ცოლქმრული ცხოვრება. ახლა ჩვეულებრივად ჩადიან სოფელში, როცა უნდათ...

ენვერა ლოთობდა, მერე, როცა გაჭირვებული დრო დადგა, სოფელში არაყის ფულს ვეღარ შოულობდა და თბილისში ჩამოვიდა, ვაშლით ვაჭრობა დაიწყო. ნავთლუდის ბაზარში ვიღაც გურული ქალი გაიცნო, ქერივი, ისიც ვაშლის ყიდვა-გაყიდვით ირჩენდა თავს, თხუთმეტი წლის ბიჭი ჰყავდა, რუსთაგში ცხოვრობდა. ითხოვა ეს ქალი ცოლად და იმასთან გაუნდა ქალიშვილი; ისე უყვარდა ეს ბავშვი ენვერას, რომ სულ აღარ სვამდა, ბეჯითად მუშაობდა. მოულოდნელად მოუკვდა სამი წლის გოგო – გაცივდა თუ რაღაც ავადმყოფობა დაემართა იმ ბავშვს და ამის მერე ენვერა მთლად უარესად გალოთდა... აი, ასეთი ტრაგიკული ამბავია.

მარიკას ნაბოლარა ბიჭი – აჩიკო – ენვერაზე უარესი გამოდგა... მეზობელ სოფელში ითხოვა უღამაზესი ქალი, ისეთი ქალი თბილისშიც არ დაიარებოდა. აჩიკო წაყვანილი ჰყავდა მამამისის, ბიჭიკოს, სიძეს, – სამტრედიელი კაცი იყო, გაქექილი, – რუსეთში; ფული გააკეთებია და რომ ჩამოვიდა აჩიკო იქიდან გაქსუებული, დაინახა ერთი გოგო... პატარა ცოლისდა ესტუმრა, 12 წლის იყო და აჩიკომ მასზე ძალა იხმარა...

მიუცვივდნენ აჩიკოს და გამოიქცა, სადღაც დაიმალა. დასდევდნენ მოსაკლავად... აჩიკოს ცოლი გამოუვალ მდგომარეობაშია – ქმარი დაეღუპება, არადა, არ მოეშვებიან – უნდათ, აუცილებლად დასაჯონ.

გავიდა ერთი თვე; ერთხელ აჩიკოს მდევრები მივიდნენ მამამისთან, ბიჭიკოსთან, შინ: “გვითხარი, სად იმალება შენი შვილი?”. ბიჭიკომ უთხრა, არ ვიციო. “თუ არ იცი, შენი კარგი-ცო... – შეაგინეს, – ერთი კვირის ვადას გაძღვეთ, ან მოიყვან მას ან შენ თვითონ მოგკლავთ”...

დათქმულ ვადაში დაბრუნდნენ, რომ არ იყო აჩიკო მოყვანილი, მამამისი, ბიჭიკო, დაჭრეს მძიმედ. ერთი თვე უმკურნალეს და მერე მოკვდა, ვერ უშველეს. შვილმა მიიყვანა სიკვდილამდე... იმ ხალხმა არ აპატიო – ვინ აპატიებდა ბავშვის გაუბედურებას? ოჯახში შენიანი არის სტუმრად მოსული, ეს უცხომ არ უნდა გააკეთოს და შენ როგორ უნდა იკადრო? ადამიანი როგორ უნდა მივიდეს იქამდე, ველური ხომ არ ხარ? ხომ ხარ სიკვდილის ღირსი? აჩიკოს ის ცოლი კი დარჩა, აბა, ხომ არ წაართმევდნენ; ის გოგოც, მისი და, გაიზარდა, გათხოვდა მერე, პატრონი გამოუჩნდა, შვილები და უკვე შვილიშვილებიც ჰყავს. ახლა ყველა შერიგებულია, ის აჩიკო ცოცხალი დაგლახაობს, მამამისი ქე მოკვდა... მე აღარც გკითხულობ აჩიკოს ამბავს, ჩემთვის ისიც მკვლარია. ჩემ დას რომ სამი შვილი ჰყავდა და ქმარი, ბიჭიკო, სადღაცაა გადაკარგული, ამათ ხომ მიხედვა უნდა, ეს ბიჭები მთელი დღე გარეთ ეყარნენ; იქ მდინარე ჩამოდის, სუფსას უერთდება, ეწერზე, და იქ ჭყუმიპალაობდნენ, თამაშობდნენ ზარს, გაველურებულები – აგებდნენ, იგებდნენ, წადი, სდიე... ჩემი და ვერაფერს გააწყობდა – დედასაც გალახავდნენ, თუ მოინდომებდნენ, მხეცებად იყვნენ გადაქცეულნი...

ეს ბიჭები რატომ გაიზარდნენ აცვენილები, გლახები, იცი? როცა ბიჭიკომ ითხოვა ჩემი და, გააკეთა ბავშვები, წავიდა მერე ფულის საკეთებლად, სულ რუსეთში ეგდო, ქალებში დაიარებოდა... მერე დაბრუნდა, ბავშვები რომ დაიზარდნენ – გაველურებულები; ხომ იცი, მამა როცა არ ჰყავთ, ჩემი და კი საწყალი ქალია, თვითონ ბავშვური ხასიათი აქვს, ამხელა ბიჭებს რას მოთოკავდა...

ოღონდ უფროსი ძმა არა: ერთადერთი წესიერი, უნაკლო გამოდგა ბიძინა, თავიდანვე ამ ამბავში არ იყო ჩათრეული. იგივე სოფელში იზრდებოდა, ოღონდ ბებიასთან, დომნასთან, მარიკას დედამთილთან. ეს დომნა როცა გათხოვდა, ვიღაცა ჩაისიდა და შვილები ეყოლა – ორი გოგო და ერთი ბიჭი, ბიჭიკო, შემდეგომ ჩემი დის ქმარი. დომნას ქმარი ომში დაეღუპა, ის ორი ქალიშვილი ბათუმში გაათხოვა, ცალკე იყვნენ, მარტო დარჩა და ეს უფროსი შვილიშვილი – ბიძინა – დაიწერა თავის სახელზე ოჯახში. ბიძინა სწავლობდა, ეტყობა, ჭკუაც მეტი ჰქონდა – ზოგს გამოყვება ჭკუა, ზოგი – სულელი იბადება. მზიას უფროსი ბიჭი, ბიძინა, ლანჩხუთის რაიკომის მდივანს დაატარებდა “ვოლგით”, შოფრად მუშაობდა, მას წესიერი ოჯახი აქვს.

ჭრელია ქვეყანა...

2010 წლის 1 აგვისტო.

## მამა და შვილი

მამა-შვილის ჩხუბის ამბავი გავიმეორრო? კეთილი, ბატონო...

იქა, სოფელში, მეზობლები მყავს – გარე მეზობლები, გვერდით კი არა, საცა ეს ამბავი მოხდა. კაცი არის, გოდერძი, ქერივი კაცი, ცოლი ადრე მოუკვდა ამ კაცს, სამი შვილი ჰყავს: ერთი ბიჭი, მერაბი, და ორი გოგო, მაყვალა და მანანა, გაუთხოვრები; გოგოები ბიჭზე პატარები არიან.

გოდერძი დაბალი იყო, გამხდარი, სუსტი და პირველი შვილი რომ ჯანმრთელი, დიდი ბიჭი შეეძინა, სიხარულით ცას ეწია. მერე, მოგვიანებით, ტყუპი ქალიშვილები მოეველინენ ამქვეყნად და გოდერძი კარგა ხანს დამწუხრებული დადიოდა რატომღაც – ისევ ბიჭის დაბადებას თუ ელოდა. მერაბი ძალიან მოსული ტანისა იზრდებოდა, ჯანიანი, მამას სატრიაბახოდ ჰქონდა. გაიზარდა მამაზე ბევრად მაღალი და მხარბეჭიანი. კარგად ჭიდაობდა, მაგრამ ზარმაცობდა, გული ვერ დაუდო და თავი ადრევე დაანება, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. სპორტსმენობის ხათრით სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მიიღეს, არც ის დაუმთავრებია. ცოლი ადრე შეერთო, შეძლებული ოჯახის შვილი – გოგოს მამა კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო. როცა კოლმეურნეობა გადავარდა, სიმამრი ველარ ეხმარებოდა და მერაბი ცოლ-შვილით იძულებული გახდა, სოფელში დაბრუნებულიყო. გლეხური შრომა არც ადრე იზიდავდა, იოლ საქმეს მოჰკიდა ხელი: იჯარით აღებულ სამარშრუტო ტაქსზე იჯდა შოფრად, სოფლიდან ქალაქში და პირუტყვ გადაჰყავდა ხალხი.

გოდერძის ცოლის ძმამ, გოგიამ, უთხრა, რომ შენ სახლში შვილიშვილები მოგემატაო, რძალიო და აქ ჩემს სახლში გადმოდი შენ და შენი ქალიშვილები, მერაბი ოჯახით მანდ დარჩეს, მარტონი იყვენ ცოტა ხნით, ამოისუნთაქავენო... მე თბილისში ვცხოვრობ – ცოლ-შვილით, ყველაფრით და გადმოდი მარტო შენო, შენი გოგოებით ჩემს სახლშიო, ერთი ქუჩიდან მეორე ქუჩაზე, მიხედვით, სახლ-კარი მოუფლელი არ დარჩესო... გოგია კაი ადგილზე ცხოვრობს – კაი ბაღი, კაი ყანები... სანამ მე მოვალ აქაო, დაგბრუნდები საცხოვრებლადო, მანამდე იყავი აქ, როგორც შენ სახლშიო, მოუბარეო; თუ რამეს მოხნავ და დათესავ, შენი იქნება, არავინ წაგართმევს, მე წილი არ მინდაო, თბილისში კარგად ვცხოვრობ, შენი არაფერი მინდაო. როცა უკან ჩამოვალო, გადადი ისევ უკან შენს სახლშიო.

ჰოდა, გოდერძიმ თავის სახლში მერაბი დატოვა საცხოვრებლად, თავისი ცოლით და ორი შვილით, თვითონ კი ტყუპი ქალიშვილებით, მაყვალათი და მანანათი, გადავიდა საცხოვრებლად გოგიას სახლში.

გავიდა დრო, სამი თუ ოთხი წელიწადი თუ მეტი. დადგა დრო, ჩამოვიდა სოფელში ის კაცი, ცოლისძმა, გოგია. უთხრა გოდერძის, გააფრთხილა: ახლო, დღეს და ხვალ კი არ გეუბნები, გადადიო, დროს გაძღვეო: თუ გინდა, ამ წუთში წადი, შენს სახლში დაბრუნდიო; მე და ჩემი მეუღლე უკვე მოვხუცდით და აქ გვინდა, ვიცხოვროთო, სოფელშიო – გამრავლდა ჩემი ოჯახი თბილისში, იმ ბინაში ველარ ვეტევიო; აქ ახლოს ვართ, თბილისიდან ორ ნაბიჯში და მოვუფლით აქაურობასო... დაბრუნდი ახლა შენი ქალიშვილებით შენს სახლშიო.

დაბრუნდეს – შორს კი არ იყო, მეორე ქუჩაზე უნდა მივიდეს.

მერაბს ჰგონია: რაღამც მამა და დები იქ წავიდნენ, გოდერძიმ მას დაუტოვა სახლ-კარი – ალბათ ბიძაჩემს, გოგიას, რაღად უნდა სახლიო, აღარ ჩამოვლენო...

როგორ არ უნდა, ვინ მიატოვებს ასეთ ადგილ-მამულს, დიდებული სახლიცაა, გაწყობილი. მივიდა გოდერძი და გაუიშვილს უთხრა:

– შვილო, ასეთი ამბავია, უნდა დაგბრუნდე აქ საცხოვრებლად და ის გოგოებიც ჩემი შვილები არიანო; სანამ გათხოვდებოდნენ, – ლამაზი გოგოები ჰყავს, – ისინიც იქნებიან აქაო. ახლა აირჩიეო, ამ სახლის გინდა ქვედა ნაწილი იყოს შენი, გინდა – ზედა ნაწილიო.

– რა ნაწილი, რა გოგოები! – აყვირდა მერაბი. – შენ სულელი ხომ არ ხარ, აქ ველარ დაბრუნდებით!..

– რატომ, კაცო?

– რა შენი სახლია, წასული ხარ სამი წელიწადია, მე მეგონა, იქ ხარ, ახლა დაბრუნდი... ესენი როდის გათხოვდებიან, მერე – იქნებ ვერ გათხოვდნენ ან ვიღაც კაცი შემოიყვანონ ზედსიძედ – ამის თავი სად მაქვს! წადი, შენი დედაც...

ახლა წაიწიენ ერთმანეთზე და ბიჭს რას უზამს, – განიერბეჭებიანი, მხეცივითაა, – გოდერძი კი სამოცდაათს არის უკვე გადაცილებული... მამა გამოწეილია, გამხდარი, ნარბენი მგელივით, ერთი კვირის მშვიერი რომ არის, – ცოლი არ ჰყავს...

გაიწია მერაბმა მამამისზე და რომ ხია გამეტებით, დააგლო ძირს.

ყვირილზე მოვიდნენ მეზობლები, მერაბმა მამამისს მეორეც დაუმატა... დამთავრდა...

რომ მოსულიერდა გოდერძი, გაბრაზებულმა, ცხელ გულზე, წავიდა და ქალიშვილებს, მაყვალასა და მანანას, არ დაუმტკიცა ეს სახლი? სახლი გოდერძიზეა გაფორმებული.

მოვიდა პოლიცია და სახლიდან ყრის მერაბს.

თავიდან ასეთი წესია პოლიციის: მეზობელმა რაც უნდა დაუშავოს მეზობელს, ეტყვის: “თქვენ მორიდდითო” – არ ჩაერევა საქმეში, იმიტომ, რომ ერთი მხარე რომ დაიჭიროს, ჩაუსაფრდებიან მერე, დედას უტირებენ – სოფელი, ხომ იცი, შტერია – და აირიდებენ ხოლმე დავიღარაბას.

ჰოდა, მოვიდა პოლიცია, აგდებს მერაბს ბინიდან.

– ვინ მყრის, თქვენი დედაც ვატირეო, – მერაბი მამას უყვირის: – შე ჩათლახო, როგორ იკადრე, ძუენებზე როგორ დაამტკიცე სახლიო, – და კიდევ არ ხია? პოლიციელების გვერდზე დააგლო გოდერძი. რა უნდა ამას, სუსტი კაცია, შვილი მხეცია, სოფელში კაცი ვერ ერევა, ყველას ლახავს, ძლიერი ბიჭია.

პოლიციამ უთხრა:

– მოდი, შენ აქ, ბიძია! ახლა ხომ შეგვიძლია, ამის გულისთვის დაგაპატიმროთო, წადი ახლა, საცა გინდა, გაეთრიე აქედანო!

გოდერძიმ უთხრა პოლიციას:

– საწოლები და ლოგინები წაიღოს, შვილია მაინც; ჩვენ ვიშოვით, სუყველაფერი წაიღოს, რაც აქვს აქ, მაგისი არაფერი მინდა!.. ოღონდ აქ მაგის “დუხი” არ დავინახო, ჩემს შვილად აღარ ვთვლი!

– სად წავიდე? – იფოფრება მერაბი.

– რა სად წახვიდე, – ეუბნება პოლიცია. – აგერ რამდენი მიტოვებული წარმოებები არის, სახურავი არ აქვს; წადი, დროებით იქ იცხოვრე, ჩვენ არ გამოგყრით; გადახურე, მერე რაღაცა ჰქენი ან ბინა იყიდე!..

– რატომ, რისთვის?

– ჩვენ არ გვჯეროდა, ეს კაცი რომ გვეუბნებოდა, მიტყამდა ამ ხნის კაცსო და ჩვენს თვალწინ დედა უტირე ორჯერ და ჩვენ რომ აქ არ ვიყავით, რას იზამდი! წადი, ბიძია, სანამ ცოცხალი ხარ!

და გამოაგდეს იმ სახლიდან მერაბი; გოდერძი და მისი ქალიშვილები შევიდნენ ბინაში.

სოფელში კი არჩევენ, ვინ მართალია, ვინ – მტყუნა: “ო, ეს გოდერძი რა კაცია, შვილი გააგდო სახლიდანო!” – სოფლის მსჯელობა და სამართალი ესაა.

“საკუთარ სახლში რომ არ უშვებდა, ის კარგი იყო?” – ზოგი სამართლიანობისთვის ამბობს.

ეს გარემოება არგუმენტად არ ითვლება, მთავარი სათქმელი სოფელს ის აქვს, რომ სახლიდან საკუთარი ვაჟიშვილის გამგდები – კაციაო? და იმას კი არ უყურებენ, როგორი სიტუაცია იყო...

2010 წლის 26 ივლისი.

## ხავსიანი ქვა

უცნაური სიზმარი ვნახე, რომელმაც ეს ჩანახატი დამაწერინა...

გურულ სოფელში დეკემბრის ცივი დილა გათენდა.

ერთთავად თმაგათეთრებული მოხუცი რუსი კაცი მიდის ორდობეში – თონეში პური იყიდა და შინ ბრუნდება.

იკონებს ახალგაზრდობას, როგორ მოხვდნენ ის და მისი ცოლი აქ ნახევარი საუკუნის წინათ. მაშინ ომი იყო, ევაკუაციით ჩამოიყვანეს ჯერ ფოთში, მერე მოხვდნენ ამ სოფელში.

ქართულ სკოლაში სწავლობდნენ, თან – ჩაის კრეფდნენ; სკოლის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობაში მუშაობდნენ... შეუღლდნენ, წაბლის კარგი ოდა აიშენეს, სახლის წინ მშენიერი ყვავილები გააშენეს – ჰორტენზიები, ნაირგვარი ვარდი და იელი, გაზაფხულზე რომ ზღაპრულ წალკოტად აქცევდა იქაურობას...

შვილები გაზარდეს – ხუთი ბიჭი ეყოლათ; ისინი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთში წავიდნენ... მოხუცი ცოლ-ქმარი არსად ფიქრობს წასვლას; თუმცა შვილები და შვილიშვილები სთავაზობენ მათთან გადაბარებას, ისინი ვერ ელევინან აქაურობას – მეზობლებს, მშობლიურ სახლ-კარს... როგორც ერთ აღვილზე ხანგრძლივად დებისგან ქვას ხავსი მოედება, ისე არიან ისინიც...

ფიქრებში ჩაძირული მოხუცი აუჩქარებლად მიაბიჯებს შინისკენ, თბილ თონის პურს იკრავს გულზე და ეს სიცივეს არ აგრძნობინებს...

2010 წლის 1 აგვისტო.

## საფლავი

თანამედროვე ტრაგიკომედია

დაფნა საწყალი ქალია, უკვე თითქმის 70 წლის; ცხოვრობს თბილისში – ქალიშვილთან, სიძესთან დ ორ შვილიშვილთან ერთად.

დაფნას ქმარი, ესტატე, – კარგი კაცი იყო, აცხონოს ღმერთმა, – თხუთმეტი წლის წინათ გარდაეცვალა – წნევამ დაარტყა ნერვიულობისგან; მაშინ საშინელი დროება იყო, თავსამტვრევსა და სადავიდარაბოს რა გამოლევდა...

დაფნას ქმარი ძალიან უყვარდა. ესტატე დასაფლავებულია მთის სოფელში; იქ საგვარეულო სახლიც დგას და მამაპაპისეული კარ-მიდამოც არის, მაგრამ მოუვლევლობით გაპარტახებულია ყველაფერი... ქალიშვილი და სიძე იქ წასვლით თავს არ იწუხებენ, საწყალ ქვრივს კი შეპ-

ლება არ აქვს, რომ სოფელში იშვიათად მაინც ჩავიდეს: ორი შვილიშვილის მოვლა თითქმის მთლიანად მასზეა გადაბარებული, თვითონ ავად არის, ჯანმრთელობის მხრივაც ბევრი რამ აწუხებს და სოფელში წასასვლელადაც გზის ფული აღარ რჩება – წამლები უსაშველოდ გაძვირდა... არადა, სიძე შოფერია, ვიღაც მაღალი თანამდებობის პირს ატარებს და, რა თქმა უნდა, შეუძლია, სიდედრი თვეში ერთხელ მაინც წაიყვანოს სოფელში და კარ-მიდამოსაც მიხედოს...

საწყალი ქალი ყველაზე მეტად იმითაა შეწუხებული, რომ ამდენი წელი გაილია და ქმრის საფლავს არც მესერი აქვს, არც წესიერი საფლავის ქვა ადევს... სულ უბრალოდ შემოღობილი მაინც იყოს, რომ საქონელმა და ღორებმა არ გადაიარონ მასზე... სადაცაა, საფლავის კვალი ისე წაიშლება, რომ მიგნება გაუჭირდებათ.

ეს გარემოება ძალიან აწუხებს დაფნას და დიდი სურვილი კი აქვს საფლავის წესრიგში მოყვანისა, მაგრამ საშუალება არ აქვს – არც ფული, არც თვითონ მოსდევს ძალა... რა ჰქნას?

გამოჩნდა ვიღაც შეძლებული პიროვნება, სურს ამ სახლის და ეზო-მიდამოს ყიდვა სააგარაკოდ. ქვრივმა უთხრა: “ოღონდ ჩემი ქმრის საფლავი გამიკეთე და სახლიც და მიწაც შენი იყოს”. იმ კაცს გაუხარდა და დათანხმდა – თითქმის მუქთად იგდებდა ხელში მამულს!

მაგრამ გამოხდა ხანი და საფლავი წინანდებურადაა – ეს კაცი არ ჩქარობს პირობის შესრულებას. დაფნამ რამდენჯერმე შეახსენა კიდევ და, როცა საქმეს მაინც არ დაადგა საშველი, ახლა მეორე პიროვნება მოძებნა და მას მოურიგდა იმავე პირობებით...

მეორემ დაიწყო საფლავის მოწყობა; ეს გაიგო პირველმა კაცმა, მიუვარდა “კონკურენტს” და ჩხუბი დაუწყო: “შენ ვინ ხარ, ჩემზე იყო შეპირებული, საფლავის გასაკეთებელი მასალა ვიყიდე, საფლავის ქვაც უკვე დავამზადებინე წარწერით”...

მეორე არ უთმობს – საფლავის სანახევროდ მოწყობა მოასწრო – და არის ამათ შორის დაკა-დაკა...

ერთიცა და მეორეც ახლა ამ საწყალ ქალს ეჩხუბებიან – შარში რატომ გაგვხვიო... ამ ამბის დასასრული როგორი იქნება?

2010 წლის 11 ივნისი.

## მტრედები

დილის რვა საათია. სამზარეულოში ვარ: ეს-ეს არის ეზოში ნაყიდი ორი ქილა მაწონი შევდგი მაცივარში, გახქურაზე დავდგი წყლიანი ჩაიდან და ახლა ფანჯრიდან, X სართულის სიმაღლიდან, გაგყურებ მიდამოს – კიბეზე ულიფტოდ, ფეხით ამოვედი და გული ჯერ კიდევ არ დამწყნარებია.

ღამე ძლიერი წვიმა მოვიდა, ქუჩაზე ახლაც გუბეები დგას; ცა მოწმენდილია და, თუმცა ჯერ მხოლოდ შუა ივნისია, ალბათ ცხელი დღე გველის.

შორს რუსთავეის სახლები ჩანს, ქარხანათა მიწები, მარჯვნივ – იაღლეჯას ლურჯი გორა; უფრო ახლოს – თაბორის ქედის ხეობით დაღარული, რუხ-მომწვანო, მტკვრისკენ დაქანებული კალთები...

სულ ახლოს, ქუჩის გადაღმა: თეთრი და რუხი კორპუსების ჯარი, ცაში დასრიალებენ მერცხალთა შავი მეტეორები; აგერ ფრთების ზანტი ფართქუნით გაიფრინა კაჭკაჭმაც – ვერ არის მაგარი მფრინავი! ტელეანტენაზე შემოჯდა ორი ბელურა, ფუთფუთებენ, მოუსვენრად ატრიალებენ თავებს, მერე უცებ მოწყდნენ ადგილიდან და ქვევით ქვასავით დაეშვნენ.

ქუჩის გადაღმა გრძელი, თეთრი კორპუსის წინ გარაჟებია ჩარიგებული, მათ უკან ვიდაცას პატარა ხუხულა დაუდგამს, – აქამდე არ შემიმჩნევია, – ნეტავ იქ რა უნდა? თურმე სამტრედე ყოფილა: ჰაერში თეთრად აფართქუნდნენ მტრედები – შვიდი ფრთა! ერთ ადგილას შეგუნდნენ, ერთმანეთში ირევიან, თამაშობენ: ერთნი – ზევით, მეორენი – ქვევით, მესამენი – ერთ ადგილზე დაკიდებულნი...

რამდენიმე თეთრი მტრედი მიწაზე ჩანს, რამდენიმეც – სამტრედესთან ამართულ რკინის მაღალი ჭოკის თავზე, შუა ადგილით დამაგრებულ განივ ჯოხზე; სხედან, გაყურებულნი. მერე ეს უკანასკნელნი, ჰაერში აიჭრნენ, ერთიან გუნდად გადაედინნენ მარჯვნივ, შემობრუნდნენ მარცხნივ და ისევ ძველ ადგილას განაგრძეს თეთრ ქულებად ფართქუნ-თამაში – ზევით, ქვევით, ზევით, ქვევით... ეტყობათ, სიამოვნებთ დილის გამახნვევებელი ვარჯიში!

სამტრედესთან გამოჩნდა ვიღაც წითელხალათიანი კაცი, უყრებდა ჰაერში მოთამაშე მტრედებს, უსტგენდა; მიწაზე მსხდომი მტრედები არ აფრენილან, ალბათ ეს კაცი მათი პატრონი იყო, იცნეს.

მერე მტრედები რიგრიგობით შემოსხდნენ სამტრედის ზევით, ოღონდ ჭოკზე კი არა, უფრო მაღლა და გვერდით გაჭიმულ მავთულზე. წითელხალათიანი წავიდა, წავიდა, ქვევიდან აუქნია ხელები მავთულზე მსხდომ მტრედებს, ააფრინა ისინი – ისევ დაიწყეს ჰაერში მაღაყები და თამაში... შემდეგ მთელი გუნდი შებრუნდა, ცოტაზე იფრინა და მტრედები რიგრიგობით შემოს-

ხდნენ ჩვენს ძალიან ფართო ქუჩაზე ძალიან მაღლა ჰაერში კორპუსებს შორის დაჭიმულ კაბელზე.

წითელხალათიანი სამტრედესთან დაბრუნდა, შიგ შევიდა და, ისევ გარეთ გამოსულმა, მიწაზე მსხდომ მტრედებს საკენკის დაყრა დაუწყო. ეს მტრედები ამოძრავდნენ, ცქვიტად დაესიგნენ საკენკს... ჭოკზე მსხდომი მტრედებიდან ზოგიერთი აფრინდა, მიწაზე მსხდომ მტრედებთან უნდოდან დაფრენა – კაცი ისევ უყრდა მათ საკენკს, მაგრამ რატომღაც გადაიფიქრეს და ისევ ჭოკს დაუბრუნდნენ...

რატომ ვდგავარ ამდენ ხანს ფანჯარასთან და მტრედებს ვაკვირდები, რა დავინახე ისეთი საინტერესო, საქმე გამომეღია?

არა, ეს უბრალო სურათი, – მტრედების თამაში, საკვების აკენკვა, ერთთა მინდობა ადამიანისადმი, პატრონისადმი, მეორეთა მორიდება, მესამეთა შიში, – მიზიდავს ცხოველების, სიცოცხლის გამოვლინებით, მისი მრავალფეროვნებით; ჩვეულებრივ ყოველდღიურობასაც თავისი ხიბლი აქვს...

2010 წლის 17 ივნისი.

## მაგნოლია

დილაადრიან, როცა წვერს ვიპარსავდი, რატომღაც მეხსიერების ერთ-ერთი ყველაზე შორეული კუნჭულიდან მოულოდნელად ამოტივტივდა: ყმაწვილობაში რკინიგზის სადგურთან ახლოს, ოქროს უბანში ვცხოვრობდი და ჩელუსკინელების ქუჩაზე – ახლანდელი თამარ მეფის გამზირი – ხშირად დავდიოდდი. იქ ცალ მხარეს ახალი, ხუთსართულიანი სახლები იყო აშენებული, მეორე მხარეზე კი, ძველ კინოსტუდიასა და კინოთეატრ “კოლმეურნეს” შორის, საკმაოდ უსახური, ერთ-ორსართულიანი შენობები და მესრები იყო ჩარიგებული; ზოგან მოჩანდა ეზოებში ხეების მწვანე ვარჯები. განსაკუთრებით ახარებდა თვალს ერთ ადგილას მაღალი მაგნოლიის მუქი მწვანე ბურთი, ალაგ დამშვენებული დიდი თეთრი ყვავილებით. აქ ისე არ გავივლიდი, რომ არ გაეჩერებულყავი და მისთვის თვალი არ შემეფლო...

მერე გამახსენდა უზარმაზარი მაგნოლია მწვანე კონცხზე, დეიდაჩემის სახლის გვერდით; დიდ, პრიალა ფოთლებს შორის აქა-იქ მოჩანდა კიდევ უფრო დიდი, თეთრი, მშვენიერი ყვავილები – თითქოს ხეს თოლიების გუნდი შესაგია დასასვენებლადო; ტყუილად კი არ უწოდებენ ამ სახეობას დიდყვავილი მაგნოლიას. მისი ტანი იმდენად მსხვილი იყო, რომ რამდენიმე ადამიანი თუ მოახერხებდა ხელების შემოწვდენას. სკოლაში სწავლის დროს და შემდეგაც, სტუდენტობისას, თითქმის ყოველ ზაფხულს და ზოგჯერ ზამთარშიც, იანვარში, არდადეგებს აქ ვატარებდი. ერთხელ, მაშინ ალბათ ცამეტ-თოთხმეტი წლისა ვიქნებოდი, ცისფერი საღებავით ჩემი მეგობარი მაგნოლიის რუხ ტანზე ფუნჯით დიდი ასოებით წავაწერე: “სოსო”. დრო მიდიოდა, მაგნოლიის ტანი სულ უფრო მსხვილდებოდა... და რამდენჯერაც მწვანე კონცხს ჩავივლიდი, იქ მხვდებოდა მაგნოლია და მესალმებოდა ამ წარწერით – წინანდელზე ოდნავ გაფერმკრთალებულით.

დიდი ხანია, რაც მწვანე კონცხზე არ ვყოფილვარ – დეიდაჩემი და მისი მეუღლე, კარგა ხანია, გარდაიცვალნენ, დეიდაშვილი მოსკოვში ცხოვრობს; სახლი გაიყიდა, მერე მოუვლელობით თანდათან დაინგრა და ახლა მის ადგილზე აღარაფერი არის... ვიდასთან მივიღე? იქნებ მაგნოლიასთან... ნეტავ ჩემი სახელი მის ტანზე ისევ თუ ემჩნევა – დაწერიდან სამოცი წელი გავიდა!

და გამახსენდა ღვთაებრივი ანას სტრიქონები:

“როგორ მინდა შენთან, როგორ მინდა შენთან,  
ჩემო მაგნოლია!”.

მიყვარს მაგნოლია!

2010 წლის 19 ივლისი.

## შემოდგომის პეპლები

მეათე სართულზე, აივანზე ვდგავარ და, ყვავილების მორწყვის შემდეგ, მიდამოს გავეყურებ. ცრიატი დღეა, – არც მზე ჩანს და წვიმასაც არ აპირებს, გარინდებულია გარემო; მხოლოდ ეზოში ჟრიაშულით დარბიან ბავშვები და ქუჩაში დაჰქრებიან ავტომობილები.

უცებ თეთრი პეპელა დავინახე; სახლის წინ ამოზრდილი ოცდაათწლიანი იფნის მწვანე გუმბათისებრ ვარჯს, ჯერაც რომ არ შეტყობია შემოდგომური ფერისცვალება, დაჰფარფატებს, დროდადრო ხან აქ დაჯდება ფოთლებზე, ხან – იქ... მეორე თეთრულაც შევამჩნიე – ნატავ რატომ გამოჩნდნენ ამ წყნარ დღეს? შორიდან ვერ დაადგენ, თეთრულას რომელმა სახეობამ გაახალისა ჩემი მზერა ამ დაღვრემილ დღეს... მერე ვხედავ: აგერ – მესამე პეპელა, მეოთხე,

მეხუთე... ნეტავ რამდენს დავითვლი? ჰაერში აჭრილა მეექვსე, უფრო შორს მდგომ იფნის სიმწვანეზე გამოიყოფა მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე...

არასდროს მახსოვს, რომ ამდენი თეთრი პეპელა ერთად გამოჩენილიყოს, ნეტავ რისი ბრალია?

ჩემს ქვევით, მეცხრე სართულის აივანზე, ქალი შევნიშნე: იდაყვებით დაყრდნობია მოაჯირს და გაყურებული, რაღაც ფიქრებში ჩაძირულა...

ნანამ თვენახევრის წინ დამარხა ქმარი – უშანგი; სამი ათეული წელი ვმეზობლობდით, ადრე – ერთ დაწესებულებაში ვმუშაობდით. ჩემი კბილა იყო, ცოტა უფრო ახალგაზრდაც, ჩემზე ბევრად ძლიერი და ჯანმრთელი, ძალიან მოულოდნელად გავიდა გაღმა მხარეს...

თეთრი პეპლები კი კვლავ უზრუნველად დაფარფატებენ, დაფარფატებენ, დაფარფატებენ...

2010 წლის 23 სექტემბერი.